32 გვ

# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

№ 18 (315) ◆ 30 აპრილი — 6 მაისი, 2001 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

### „ის ირონია და „ხუმრობა“, რომ მე ვენახიდან — ვენაში მოვხვდი, უსაფუძვლოა“



...მე და ავთო იოსელიანი უკვე ვფიქრობდით იმაზე, თუ როგორ მოგვეწყო სამშობლოსათვის თავდადებულ ამ ქართველ მეომართა გადმოსვენება-დაკრძალვის ცერემონიალი, მაგრამ...

...ძალიან დიდი სიმწარე ვნახე. ნურავის ეგონება, რომ სხვაზე ნაკლებ თავმოყვარე ვარ;

...პოლიტიკაში დაპირისპირებულ ადამიანებს „კუდები“ აქვთ ბიზნესში გადაბმული. აი, ეს სინამდვილეა;

...როგორი გამადიდებელი შუშითაც არ უნდა ეძებონ, ჩემსას ვერაფერს ნახავენ საქართველოში.

გვ.3

### ბალის მოვლენების განმეორება შესაძლოა პარტიზანებს დაბრალდეთ

პარტიზანი, დაუწერელი კანონის მიხედვით, არალეგალურად, პარტიზანულად უნდა მოქმედებდეს. ნუ დავუთმობთ ტელეეკრანებს ტყეში გასულ მებრძოლებს. ამას სოხუმშიაც კარგად ხედავენ...

გვ.7

### საკუთარი შენობის პირველ სართულზე სუპერმარკეტი ველარ უნდა გავხსნა?..

რა იყო ცეკავშირი წარსულში და რად იქცა ახლა...

გვ.6

— ვერ გავიგე?.. — ქალაქში კაზინოები რომ შემოვიდა, მეგობრებმა მთხოვეს ეს ფართი იჯარით...

ახლა თვეში 4 ათას დოლარს მიხდიან...

*გოგი ქათამაძე*

### „ჩემ უკან ქვანია დგას... და გებიაჩემი კიდევ...“



— კაცო, რა გაუკვირდათ, შენგელია „ჯიპით“ დადისო... აბა, პარტიზანი ვირით ხო არ ივლის... ჭკუასელის „ჯიპზე“ ასე არ თქვა შევარდნაძემ — აბა, მინისტრი ველოსიპედით ხო არ ივლისო...

— სააკაშვილი „მხედრიონის“ წინააღმდეგი არ არის... მაგან ირინა სარიშვილს გაუგორა კოჭი.

გვ.5-8

*ჯაბა იოსელიანი*

### სცენარის ავტორი და რეჟისორი ბატონი ედუარდ შევარდნაძე...

ნეტავ სცენარის მოქმედმა პირებმა თუ იციან, რა როლი შეხვდებათ...



**ყურადღება!** — ამაში ჩვენ დაგეხმარებით. ხელისუფლების წევრი ინკოგნიტო რესპონდენტის **პროგნოზები...**

გვ.5

### „მაფთი“ თუ „ჯეოსელი“

ამ ორთა ბრძოლაში რა როლი ერგო და როგორ შეასრულა იგი „ვინ არის ეს?!“ — ანუ — **„ჯთ მობილურმა“**...

გვ.6

### დემაშვილი ვარ — ჯოჰარის დაცვის უფროსი

გვ.8

წარმოშობით შატილიონი ვარ... ჯოჰარ დუდაევის დაცვის უფროსი ვიყავი, ერთი წელია რუსთავში ვცხოვრობ... ჩეჩენ ახალგაზრდებს ვწვრთნი...

### რა გვნამლავს და რა გვრგებს...





ვის სამზარეულოშიც მარილის ასეთი პაკეტია, — სასწრაფოდ „მოისროლეთ ფანჯარაში“...

თურმე, ერთი წელი გვარიანად რადიაციული მარილი გვიჭამია...

გვ.7

### იბეჭდება პირველად: ღმერთის შვილები

„ამ მოთხრობას ეს სახელი იმიტომ დავარქვი, რომ ოდესღაც, დიდი ხნის წინათ, ამ სოფელში ღმერთს ღამე გაუთენებია და რო წასულა, ხალხი ასე დაურიგებია...“

გვ.24

*გოდერძი ჩოხელი*

### „კვირის პალიტრის“ მკითხველმა პრემიერ-მინისტრად მიხეილ სააკაშვილი „აირჩია“

გვ.31

მკითხველის ლიცინში

### როგორ ვიცხოვროთ მაისში

როგორ მოვუაროთ მიწას და პირუტყვს — — თვის კალენდარი **„ყოველთა კაცთათვის“**

გვ.25

### ევროპის ჩემპიონი!



**გიორგი ასანიძემ** ტრავმის გამო გამოტოვებული თვეების შემდეგ მაინც შეუძლებელი შეძლო — ქართველი ძალოსანი კვლავ ევროპის ჩემპიონია.

გვ.29

### ალარ დადგა საქართველოში ბიზნესისათვის შესაფერისი გარემო...

...დიდი რისკი დევს ყველაფერში...

...ინვესტორები არ ჩქარობენ დიდი ფულის ჩადებას.

გვ.21

...კანონმდებლობა არ მუშაობს ბიზნესზე.

*ემი დენმანი, აშშ-ის სავაჭრო პალატის საქართველოს ოფისის გენდირექტორი*

### სამხედრო თემაზე:

გვ.9

30 აპრილი — ქართული ეროვნული არმიის შექმნის ათი წლისთავი

### საქართველოში ყველაფერი პირიქით ხდება

### ვერსია

### ეს ვერელი კაცი, გამოგონილი ბრალდებით, ათი წლით გაუყენეს ციმბირის გზას...

როდესაც დარბაზში მყოფ „მოწმეს“ კითხვები დავუსვი, შეცბა, თვალის ცეცებას მოჰყვა და რაღაც სისულელეები მიკიბ-მოკიბა. საქმეში უმალ ჩაერთო მოსამართლე — შუახნის, დარბაისელი ქალბატონი. „მოწმე“ დაითხოვა და გვარიანად მლანძღა... ყველაფერი ნათელი იყო. ფეხზე წამოვდექი: „პატივცემულო მოსამართლევ, თქვენ განაჩენი კარგა ხნის წინ გქონიათ დაწერილი. მოდით, ნუღარ მტანჯავთ და წაიკითხეთ!“ გაცოფდა, მეორე დღეს კი განაჩენიც გამომიტანა: ათი წელი არ მაკმარა და ოცი მომისაჯა! მალევე გამიყენეს ციმბირის გზას.

გვ.10

### „ნატვრის ხე“ სიზმარში დაიწერა



კეთილი „სპილო“ სიცილით გვიმტკიცებს — ბურთზე კი არა, უცხოეთიდან მეგობრების მიერ გამოგზავნილ სკამზე ვზივარო...

გვ.27

### ელექტროკვება პრობლემების გარეშე

PVR სერიის ძაბვის სტაბილიზატორები მთელი ოფისისათვის და ბინისათვის.

NSP1250 ელექტრომოწყობილობების საიმედო დაცვა გადაძაბვისაგან და სხვა სახიფათო ცვლილებებისაგან ქსელში.

მაღაზიები:
იპოტელი — გამსახურდიას 4
ტიტანი — ათონელის 29, პუშკინის 10
ფოკუსი — აღმაშენებლის 104 და 150
საინფორმაციო სამსახური: 877-72-27-02; 95-90-20

## ანწყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია!

FOCUS
Неделя
КОММАНДОС
ЧАСТНАЯ ЖИЗНЬ
ТЕЛОХРАНИТЕЛЬ
За РУБЕЖОМ
МОСКОВСКИЕ НОВОСТИ
Newsweek
Общая газета
DER SPIEGEL
КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА
МК БУЛЬВАР
stern
აქ „სეგოდნიას“ ადგილი იყო...
ИЗВЕСТИЯ
ЭХО ПЛАНЕТЫ
ТРУД
СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО
АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ
Иностранец
LE FIGARO Magazine
MATCH
ТВ ПАРК
ЛИЦА
ОГОНЁК
აქ „იტოგის“ ადგილი იყო...
Le Nouvel Observateur
daily

## პრეზიდენტის „საკადრო როქი"

ქართულ სამოქალაქო ავიაციაში, კერძოდ, საჰაერო დეპარტამენტსა და „აირზენას" შორის მიმდინარე გაუთავებელ სკანდალსა და აყალმაყალს პრეზიდენტმა ე.წ. „საკადრო როქით" დაუსვა წერტილი, კერძოდ, შევარდნაძემ ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომლის საფუძველზეც საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის პოსტი გია ნიჟარაძის ნაცვლად, „აირზენას" ვიცე-პრეზიდენტმა ზურაბ ფერიშვილმა დაიკავა. პრეზიდენტის ეს ნაბიჯი ყველამ „აირზენას" გამარჯვებად შეაფასა! რაც შეეხება გია ნიჟარაძეს, იგი მართალია ტრანსპორტის მინისტრის მოადგილედ დანიშნეს, მაგრამ ავიაციას ჩამოაშორეს. ტრანსპორტის სამინისტროში ის ამ უწყების საერთაშორისო ურთიერთობებს გაუწევს კურირებას...

## „პუტინს ყველაფერი გაურკვევია..."

დასრულდა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა, სადაც აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხები განიხილეს. რუსეთმა კვლავ ვეტო დაადო გაეროს ექსპერტთა მიერ შემუშავებულ დოკუმენტს თბილისსა და სოხუმს შორის კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა გამიჯვნის საკითხზე. გაეროს უშიშროების საბჭოს 15 წევრი ქვეყნიდან (მათ შორის ხუთი ქვეყანა რუსეთითურთ მუდმივი წევრია) 14-მა მხარი დაუჭირა დოკუმენტს, მხოლოდ რუსეთი წავიდა მის წინააღმდეგ აბსურდული მოტივით: დოკუმენტში არ არის გათვალისწინებული აფხაზური მხარის ინტერესებიო(!), ანუ ლაპარაკია იმ მუხლზე, რომელიც აფხაზეთს საქართველოს შემადგენელ და განუყოფელ ნაწილად აფიქსირებს. „მეგობარმა ერთმორწმუნე" რუსეთმა მარტის თვეშიც დაადო ვეტო ამ დოკუმენტის მიღებას! განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე, რომელიც მონაწილეობდა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაში და სადაც ვრცელი მოხსენებითაც გამოვიდა, ამ სხდომას უშედეგოდ არ მიიჩნევს იმ თვალსაზრისით, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებათა პროცესი გრძელდება და კონკრეტულ შედეგსაც მალე მივიღებთო! მარტში, როდესაც რუსეთმა ჩააგდო აღნიშნული დოკუმენტის მიღება, პრეზიდენტმა შევარდნაძემ განაცხადა, რომ იგი დაუკავშირდა პრეზიდენტ პუტინს და პასუხი მოსთხოვა რუსეთის ამ პოზიციის გამო. პუტინმა, შევარდნაძის თქმითვე, გაკვირვება გამოთქვა მომხდარის გამო და შეჰპირდა საქართველოს პრეზიდენტს ამ საკითხში „გარკვევას" და აი, ფაქტია, რომ პუტინმა „ყველაფერი გაარკვია" და აშკარად დადგა აფხაზ სეპარატისტთა მხარეზე...

## დასახელდა „საპატიო ნაჯახის" კავალერი

ქართველმა „მწვანეებმა" ტყის მჩეხველის (ანუ ტყის გამანადგურებლის) „საპატიო ნაჯახის" კავალერად ამჯერად დაასახელეს მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი კობა ბუჩუკური, რომელმაც „მწვანეთა" ლიდერის გია გაჩეჩილაძის მტკიცებით, „საპატიო ნაჯახის" ადრინდელ მფლობელს, სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორს გიგლა ბარამიძეს ყველა მაჩვენებლით გაუსწრო. ამ „ისტორიულ მოვლენას", რა თქმა უნდა, არ დასწრებია ბუჩუკური და არც კომენტარი გაუკეთებია, როგორც ჩანს, „ყრუ თავდაცვაზე" გადავიდა. სამაგიეროდ, „საპატიო ნაჯახის" მფლობელის მეუღლემ, პარლამენტარმა მარინა მოლოდინმა გაკვირვება გამოთქვა: „ნუთუ „მწვანეებში" ვინმეს სჯერა, რომ ჩემი მეუღლე ამის გამკეთებელია?" მოლოდინი უსაფუძვლოდ მიიჩნევს „მწვანეთა" ბრალდებას და მეუღლის „იმიჯის" გასაფუჭებელ ძალისხმევას უწოდებს ამ აქციას... თუმცა, ფაქტები სხვას ღაღადებს — მცხეთა-მთიანეთის ტყის მასივები უმოწყალოდ იჩეხება დღემდე...

## მინისტრი გაუქურდავთ

ოზურგეთში გაქურდეს ეკონომიკის მინისტრის ვანო ჩხარტიშვილის სახლი, რომელსაც გამთენიისას დაეცნენ. ქურდებმა წაიღეს საოჯახო ნივთები, ტელევიზორი და რადიოაპარატურა, ძვირფასეულობა, მინისტრის მამის კუთვნილი მობილური ტელეფონი. პოლიციის განცხადებით, ქურდების ვინაობა მათთვის ცნობილია და მალე დააკავებენ...

## კომუნისტები „კომუნისტობაში" ეჯიბრებიან ერთმანეთს

უზენაეს სასამართლოში ქართველ კომუნისტთა ორი ჯგუფი დაუპირისპირდა ერთმანეთს. კომუნისტმა ივანე წიკლაურმა და მისმა თანამებრძოლებმა „ავადმყოფი" უწოდეს პანტელეიმონ გიორგაძის ადვოკატს, კომუნისტ ალიოშა ბროკიშვილს და მოითხოვეს მათი პარტიისთვის რეგისტრაციის გაუქმება... ამ შეფასებას დიდი აყალმაყალი მოჰყვა ლენინ-სტალინის იდეების მიმდევართა შორის. ალიოშა ბროკიშვილი ნახევარსაათიან სიტყვაში სასამართლოს უმტკიცებდა, ივანე წიკლაური და ძმანი მისნი „სათანადო მოწოდების კომუნისტები არ არიანო". ივანე წიკლაურმა კი იქით დასდო ბრალი პანტელეიმონ გიორგაძეს, რომლის ვაჟის, იგორის უშიშროების მინისტრობისას და მისივე მითითებით გაიტაცეს ივანე წიკლაურის მიერ აღდგენილი კომუნისტური პარტიის დოკუმენტაცია და გამოაცხადეს ერთიანი კომუნისტური პარტიის შექმნაო... მოსამართლემ მართლაც ორიგინალური დასკვნა გააკეთა — დაპირისპირებულ კომუნისტებს სხვა გზა არა აქვთ, მათ ერთმანეთის კომუნისტობა უნდა დაიჯერონო! სასამართლომ ორივე პარტიის კანონიერება დაადასტურა, თანაც ეს გადაწყვეტილება 80 ლარად შეაფასა და მოსთხოვა ბროკიშვილსაც და წიკლაურსაც 40-40 ლარი გადაუხადონ სასამართლოს ბაჟის სახით...

## ეკონომიკის სამინისტრო ვალს ვერ იბრუნებს

ეკონომიკის სამინისტრო ადრე დარიგებულ იაპონური გრანტის თანხებს ველარ იბრუნებს. გაზეთი „რეზონანსი", სააქციო საზოგადოება „კონცენტრატი", შპს „ტაიგერი" და სააქციო საზოგადოება „ამალთეა" დავალიანებას არ ფარავენ. 27 აპრილს კი კრედიტის გასტუმრებისთვის მათთვის მიცემული დამატებითი ვადაც ამოიწურა... ეკონომიკის სამინისტრო სასამართლოს ძალით ცდილობს ფულის ამოღებას და იმუქრება, რომ ყადაღას დაადებს და გაყიდის ამ ორგანიზაციათა ქონებას, თუ ისინი არ დააბრუნებენ აღებულ თანხებს...

## საქგაზმა სახელმწიფო აზარალა

მთავრობის ბოლო სხდომაზე კონტროლის პალატის თავმჯდომარემ სულხან მოლაშვილმა მორიგი ანგარიშისას, გაზის იმპორტისა და მისი განაწილების სფეროში არსებულ დარღვევებთან დაკავშირებით დაასახელა პარლამენტარ დავით ბეჟუაშვილის გვარი. მოლაშვილმა საქგაზს, თბილელექტროცენტრალსა და რამდენიმე კომპანიას ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახადის გადახდა დააკისრა... საინტერესოა, რომ მთავრობის სხდომას ესწრებოდა საქგაზის ყოფილი შეფი და ამჟამად დეპუტატი დავით ბეჟუაშვილი (თუმცა იგი არ ყოფილა მთავრობის სხდომაზე მიწვეული), რომელიც შეეცადა უარეყო მოლაშვილის ბრალდებები, მაგრამ პრეზიდენტმა არ მისცა ხმის ამოღების უფლება და ურჩია „ჩვენებები პროკურატურისთვის მიეცა". იქვე პრეზიდენტმა დასვა საკითხი იმის შესახებაც, რომ დეპუტატის იმუნიტეტის მიუხედავად, სამართალდამცავებს უნდა მიეცეთ უფლება ნებისმიერ დროს გამოიძახონ ნებისმიერი დეპუტატი და დაჰკითხონ იგი... შევარდნაძის განცხადებით, ერთი თვის შემდეგ საზოგადოება გაცილებით ფართო ინფორმაციას მიიღებს გაზთან დაკავშირებულ უამრავი დარღვევის შესახებ — მოკვლეული მასალების მიხედვით, საეჭვო გარიგებებით სახელმწიფოს 30 მილიონ ლარამდე ზარალი მიადგა.

## „ეი-ი-ეს"-ი შეტევაზე გადავიდა

უკიდურესად გამძაფრდა ურთიერთობა „ეი-ი-ეს თელასსა" და საგადასახადო სამსახურს შორის, რომელმაც „ეი-ი-ეს"-ის საბანკო ანგარიშებს ყადაღა დაადო. ამის მიზეზი სახელმწიფო ბიუჯეტისადმი ამერიკული კომპანიის სამმილიონიანი დავალიანებაა. თელასი კატეგორიულ უარს აცხადებს ამ დავალიანების გადახდაზე და საპასუხოდ ელექტროენერგია გაუთიშა „წყალკანალს", რის შედეგადაც 26 აპრილს მთელი დღის მანძილზე დედაქალაქს წყლის მიწოდება შეუწყდა. „ეი-ი-ეს"-ი ელექტროენერგიის გათიშვას აპირებდა თბილისის მეტროპოლიტენისთვისაც, თუმცა ქალაქის მერიის აქტიური ჩარევის შედეგად ამ განზრახვაზე ხელი აიღებინეს... „ეი-ი-ეს თელასში" გაღიზიანებას ვერ მალავენ, რადგან მათი თქმით, ისინი არ ელოდნენ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ასეთ ქმედებას, რადგან სულ ახლახან ბიუჯეტში მილიონ-ნახევარი ლარი გადარიცხეს და ეს მაშინ, როცა სახელმწიფო ორგანიზაციებს თელასისადმი 15 მილიონი ლარის დავალიანება აქვთ. ფინანსთა მინისტრმა „ეი-ი-ეს"-ს შანტაჟში დასდო ბრალი, თუმცა პასუხად შუქის გამორთვა მიიღო. თელასი არც ძალოვნებს მოერიდა, თავდაცვის სამინისტროში თურქეთის დელეგაცია და ქართველი ჩინოსნები „ეი-ი-ეს"-ის წყალობით გამორთულ ლიფტში გაიჭედნენ..

## მეფარიშვილმა ბევრს იმედი გაუცრუა

პარლამენტარმა კობა დავითაშვილმა ახალ გენერალურ პროკურორს გია მეფარიშვილს იმავე კანონის იმავე მუხლის დარღვევაში დასდო ბრალი, რომელიც ჯამლეთ ბაბილაშვილმა დაარღვია და რასაც გადაჰყვა კიდეც... დავითაშვილმა სინანული გამოთქვა, რომ მეფარიშვილმა არ გაამართლა რეფორმატორ-პარლამენტართა იმედები და ბაბილაშვილის შეცდომები გაიმეორა. კერძოდ, რეფორმატორები გენპროკურორს ბრალად სდებენ სტაჟირებაგაუვლელი პროკურორების დანიშვნას თანამდებობებზე და მის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებით იმუქრებიან. ამ პოზიციას იზიარებენ იურიდიულ საკითხთა კომიტეტში და მოითხოვენ მეფარიშვილის საქმის გამოძიებას პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მიერ, რომელსაც მიხეილ ოსაძე ხელმძღვანელობს! შეგახსენებთ, რომ სწორედ ოსაძის კომისიის მოკვლეული მასალების შედეგად შეიქნა იძულებული ჯამლეთ ბაბილაშვილი, ვადაზე ადრე გადამდგარიყო თანამდებობიდან... თავად მეფარიშვილი ამ ბრალდებებს უსაფუძვლოს უწოდებს და აცხადებს, რომ დავითაშვილმა საზოგადოება შეცდომაში შეიყვანა. პარლამენტში კი უკვე საჯაროდ ლაპარაკობენ მეფარიშვილის სუსტ და უპრინციპო მუშაობაზე!

## გამახარია ხელახალ გამოძიებას მოითხოვს

ფრაქცია „21-ე საუკუნის" წევრმა ჯემალ გამახარიამ ზვიად გამსახურდიას სიკვდილის გარემოებათა ხელახალი გამოძიება მოითხოვა. ამის მიზეზი გახდა რუსეთის ტელევიზიით იგორ გიორგაძის მიერ გაკეთებული განცხადება, რომელშიც, ფაქტობრივად, გიორგაძემ აღიარა, რომ თვითონვე იყო ზვიად გამსახურდიას მკვლელობის... თანამონაწილე(!).

## პრეზიდენტს უჩივიან...

ვიცე-სპიკერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა 91 პარლამენტარის ხელმოწერის შეგროვება შეძლო და საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანა სარჩელი პრეზიდენტ შევარდნაძის წინააღმდეგ. რჩეულიშვილი და რიგი პარლამენტარები პრეზიდენტს ადანაშაულებენ კონსტიტუციის დარღვევაში და მოქალაქეთა კავშირის პარტიის თავმჯდომარეობიდან მის გადადგომას მოითხოვენ. რჩეულიშვილის განცხადებით, „შევარდნაძე ადვოკატია არა საქართველოსი, არამედ ჟვანია-სააკაშვილის გუნდისა"... მოქალაქეთა კავშირში კი აცხადებენ, რომ რჩეულიშვილი და ძმანი მისნი ვერ ეღირსებიან პრეზიდენტისა და მოქკავშირის გამიჯვნას...

## დიდი ბრიტანეთის ელჩი საქართველოში

საქართველოში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ახალი ელჩი დაინიშნა — 45 წლის ქალბატონი დებორა ჯონსი, რომელმაც რწმუნებათა სიგელი გადასცა პრეზიდენტ შევარდნაძეს. საქართველოში ჩამოსვლამდე იგი ურუგვაიში დიდი ბრიტანეთის ელჩის მოადგილე გახლდათ. დებორა ჯონსი პირველი ქალბატონია, რომელიც გაერთიანებული სამეფოს ოფიციალური ელჩი გახდა უცხოეთის სახელმწიფოში... ახალმა ელჩმა პრეზიდენტ შევარდნაძეს გადასცა გაერთიანებული სამეფოს დედოფლის ელისაბედ II-ის ბარათიც!

## ვინ გაამდიდრებს ბიუჯეტს?

საქართველოს პრეზიდენტმა, კანონის შესაბამისად, შეავსო შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაცია და ჩააბარა სათანადო უწყებას. დეკლარაცია მასმედიისა და ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იქნება მიმდინარე წლის პირველი ივლისიდან. დეკლარაციების ჩაბარების ვადა 30 აპრილს იწურება, თუმცა 28-29 აპრილისთვის ბევრ თანამდებობის პირს დეკლარაცია ჯერ კიდევ არ ჰქონდა ჩაბარებული. გასულ წელს დეკლარაციების დროულად ჩაუბარებლობის გამო 150-მდე ჩინოვნიკი 150-150 ლარით დაჯარიმდა და ეს თანხა ბიუჯეტში წავიდა... საინტერესოა, ამჟამად რამდენი ჩინოვნიკი „გაამდიდრებს" ამ გზით სახელმწიფო ბიუჯეტს?!

## რედაქტორი ამხელს

დამოუკიდებელი გაზეთ „ფოთის" რედაქტორმა (გაზეთი 2001 წლის იანვრიდან გამოდის) თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მას და მის გაზეთს ფოთის ადგილობრივი ხელისუფლება ავიწროებს, რომ მოიტაცეს მისი მანქანა და დალეწეს. რედაქტორი ამ ფაქტებს გაზეთში გამოქვეყნებულ მამხილებელ მასალებს უკავშირებს, რომლებიც დაკავშირებულია ადგილობრივ ხელისუფალთა მიერ საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივ ხარჯვასა და კორუფციის ფაქტებთან. გაზეთის რედაქტორი ხათუნა ცომაია დარწმუნებულია, რომ აღნიშნული ინციდენტები იმ მაღალჩინოსანთა პირდაპირი მითითებითაა მომხდარი, რომლებიც გაზეთმა „ფოთმა" არაერთხელ ამხილა. ცომაიამ დასახმარებლად და მხარდასაჭერად თბილისელ კოლეგებს მიმართა და ქართულმა თავისუფალმა მასმედიამაც სოლიდარობა გამოუცხადა გაზეთ „ფოთს", რომლის მორიგი ნომერიც ჩვეულებისამებრ გამოვა!

## გამოფენა დემირელის კოლეჯში

საქართველოსა და თურქეთის პრეზიდენტების თანხმობით, 1993 წელს თბილისის ძველ უბანში, გრიშაშვილის ქუჩაზე გაიხსნა დემირელის სახელობის კოლეჯი. 26 აპრილს კოლეჯში მოეწყო იმ სასწავლო-ტექნიკურ საშუალებათა გამოფენა, რომელიც თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებაში ეხმარება მოსწავლეებს. გამოფენის გახსნას ესწრებოდნენ ელდარ შენგელაია, ნოდარ ამაღლობელი და სხვ. აურიამულებულ დერეფნებში ისმოდა ინგლისური, თურქული, ქართული ლაპარაკი. კოლეჯში ჰუმანიტარულ საგნებს ქართულად, ხოლო ტექნიკურს — ინგლისურად ასწავლიან. ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერების სიმრავლეზე რომ არაფერი ვთქვათ, კაბინეტებსა და დერეფნებში იდგა უამრავი ხელსაწყო, რომელთა დახმარებითაც მოსწავლეები აუდიტორიებში შესწავლილი ფიზიკისა და ქიმიის კანონების პრაქტიკულ დემონსტრირებას ახდენენ.

ამ საერთო ინგლისურ-თურქული საუბრების ფონზე ერთობ ნოსტალგიურად გამოიყურებოდა გურამ თიკანაძისა და გურამ რჩეულიშვილის პორტრეტები და მერვეკლასელ მარიკა იდოკაშვილის ხელით დიდი რუდუნებით ამოქარგული „ქართული ანბანი", შესრულებული იაკობ გოგებაშვილის დედაენის მიხედვით.

## პუტინის რუსეთი აფხაზეთს დაუთმა



(რუსული პრესის მიხედვით) **„კომერსანტის"** კორესპონდენტი ესაუბრა აფხაზეთის პრეზიდენტის ერთ-ერთ უახლოეს თანამოაზრეს, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს ალმასბეი კჩაჩას.

— *აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტის მიმართ სოხუმისა და თბილისის თვალსაზრისი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. გადაწყდება კი ეს საკითხი უახლოეს მომავალში?*

— რატომაც არა! პრეზიდენტმა შევარდნაძემ ამას წინათ გამოთქვა მზადყოფნა სოხუმში ჩამოსასვლელად და პრეზიდენტ არძინბასთან მოსალაპარაკებლად. ჩვენც იმ აზრისა ვართ, რომ ომით ეს პრობლემა ვერ გადაიჭრება.

— *თქვენ გინდათ თქვათ, რომ მზად ხართ თბილისთან უშუალოდ მოსალაპარაკებლად?*

— არა, მოლაპარაკება რუსეთის შუაკაცობით უნდა გაიმართოს, ჯერჯერობით მაინც.

— *როგორ გესახებათ აფხაზეთის მომავალი სტატუსი?*

— ჩვენი სტატუსი — მოლაპარაკების საგანი არ არის. ის გარკვეულია. აფხაზეთი სუვერენული რესპუბლიკაა. თავის დროზე თბილისი თანახმა არ იყო საქართველოს ფედერალიზაციაზე, იმაზე, რომ იგი ორი რესპუბლიკისგან ყოფილიყო შემდგარი. ახლა ჩვენ არ ვართ ამაზე თანახმა.

— *ამბობენ, რომ აფხაზეთის პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბა ავადაა და ამიტომაც ბოლო დროს აღარ ჩანსო. მართალია?*

— სისულელეა. რეგულარულად ვხვდები. ამის გარდა, ამ დღეებში მას ჩვენი ტელევიზიით 40 წუთიანი გამოსვლა ჰქონდა. პრეზიდენტის ავადმყოფობის შესახებ ჭორებს ისინი ავრცელებენ, ვისაც სურს საქართველოსთან მოლაპარაკებებზე შეასუსტოს ჩვენი პოზიციები.

— *მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას ბატონი არძინბა?*

— ვერ გეტყვით. მომავალი არჩევნები 2004 წელს გაიმართება. იქამდე დიდი დროა.

— *მას შემდეგ, რაც რუსეთს ახალი პრეზიდენტი ჰყავს, შეიცვალა რამე თქვენდამი მოსკოვის დამოკიდებულებაში?*

— დიახ. ახლა რუსეთის დამოკიდებულება აფხაზეთის მიმართ გაცილებით თბილია.

— *რუსეთის სამშვიდობო გარემოს მიმართ როგორი განწყობა იგრძნობა?*

— ნორმალური. ისეთი, როგორიც შეიძლება იყოს იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც ომი შეაჩერეს.

— *ახლა სულ უფრო ხშირად გაისმის მათი გაყვანის მოთხოვნა. თქვენ ეთანხმებით ამას?*

— აფხაზეთში რუს მშიდობისმყოფელთა ყოფნა აუცილებელია.

## ჩატარდება ექსპერტიზა, მაგრამ რა აზრი აქვს?

კიევში აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროსა და თავდაცვის სამინისტროს ექსპერტები უკრაინელ სპეციალისტებთან ერთად ჩაატარებენ ცხედრის ექსპერტიზას, რომელიც სავარაუდოდ გიორგი ღონღაძისაა. უკრაინის გენპროკურატურა ამერიკელებს იმ შემთხვევაში მისცემს ექსპერტიზის უფლებას, თუ ისინი ხელს მოაწერენ ძიების საიდუმლოს გაუმჟღავნებლობის აქტს(?!).

## თალიბებს რელიგიური მარაზმი სჭირთ

ბუდას უნიკალური ქანდაკებების განადგურების შემდეგ, თალიბებმა ახალი საქმე გამონახეს და ხელი მიჰყვეს ყველანაირი სახეობის მუსიკალური საკრავის განადგურებას. საგანგებოდ გამოყოფილი სამხედრო რაზმები ჩხრეკენ სახლებს, ბინებს. გამოაქვთ გიტარები, პიანინოები, სასულე ინსტრუმენტები, რომლებსაც ლეწავენ და ცეცხლს აძლევენ. ვისაც ტელევიზორს, მაგნიტოფონს და კასეტებს უპოვიან, საჯაროდ როზგავენ, აპარატურას კი ანადგურებენ. მეტიც, თალიბებმა ხალხს სიმღერაც აუკრძალეს. ნებადართულია მხოლოდ თალიბანის მადიდებელი სიმღერის და რელიგიური ჰანგების შესრულება, ისიც მხოლოდ მამაკაცების მიერ. თალიბებს, ჯერჯერობით, არ აუკრძალავთ გადაადგილების საშუალება — ავტომობილი, თუმცა მეჩეთებში ზოგიერთი ღვთისმსახურისგან მაინც გაისმის ამისკენ მოწოდება.

## თურქმენბაში მწვანე ჩაის სმას ურჩევს

თურქმენბაშის ეტყობა თავისი ხალხის და ქვეყნის თალიბანიზაცია აქვს გადაწყვეტილი. ოპერისა და ბალეტის თეატრის დახურვის შემდეგ, თურქმენბაში-ნიაზოვის განკარგულებით, თურქმენეთის ყველა სოფელში ქალებს მოეთხოვებათ თურქმენული სამოსით სიარული (ეს კანონი მალე ქალაქელ ქალებზეც გავრცელდება). თურქმენბაში უკმაყოფილოა ქვეყანაში ექიმებისა და მასწავლებლების დიდი რაოდენობითაც და მათ უმრავლესობას სამსახურებიდან ათავისუფლებს. უკვე დაიხურა უამრავი სკოლა და საავადმყოფო. მეტიც, ბრძენი თურქმენბაშის ბრძანებით, შემცირდა ძვირად ღირებული წამლების იმპორტი, იგი მოუწოდებს მოსახლეობას მამაპაპური საშუალებებით იმკურნალონ, ანუ მომეტებულად სვან მწვანე ჩაი...

დიდი ხანია რუსულ ისტებლიშმენტსა და მასმედიას არ გამოუხატავს ისეთი დაუფარავი და ღვარძლიანი სიხარული, როგორიც უკრაინის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ იუშჩენკოს თანამდებობიდან გადაყენებასთან დაკავშირებით მოიმოქმედა. „კუჩმა ჩვენი პარტნიორია და ახლა მასთან გვექნება საქმე“ — აი, მათი მრავალრიცხოვანი კომენტარების რეზიუმე და არცთუ უსაფუძვლო. პოლიტიკური და სახელისუფლებო კრიზისითა და მძვინვარე კორუფციისაგან დასუსტებული კუჩმა იძულებულია, მოსკოვის მიერ შემოგდებული თამაშის წესები მიიღოს... მიუხედავად ევროპის საბჭოს მინიშნებისა, რომ რეფორმატორ იუშჩენკოს გადაყენების შემთხვევაში და საერთოდ, უკრაინაში დემოკრატიზაციის საწინააღმდეგო პროცესების გამო, ამ ქვეყანას გარიცხავდნენ ევროსაბჭოდან, უმაღლესმა რადამ მიიღო გადაწყვეტილება, რის შედეგადაც უკრაინას გამოეცალა პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკური ლიდერი (იმედი ვიქონიოთ, რომ დროებით), რამაც უწინარესად რუსეთის წისქვილზე დაასხა წყალი. მოლდოვაში კომუნისტების გამარჯვების შემდეგ იუშჩენკოს გადაყენება ყველაზე მძიმე დარტყმაა სუუამისთვის, მით უმეტეს, რომ მოსკოვსა და კიევშიც უკვე ალაპარაკდნენ რუსეთ-ბელორუსის კავშირთან უკრაინის შესაძლო მიერთებაზეც... და აქ კვლავ ისმის ლოგიკური კითხვა: ხომ არ დადგა საქართველოს „რიგიც“? მით უმეტეს, საქართველოს ხელისუფლებაშიც რომ ვერ არის კარგად საქმე, ამაზე ალარავინ დაობს. დსთ-ის სივრცეში პუტინის პოლიტიკის გააქტიურება კი გვაიძულებს, ბოლოს და ბოლოს, ჩვენს ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ დავუსვათ წერტილი სახელისუფლებო ბაკქანალიას, მით უმეტეს, რომ გალის რაიონში შექმნილი სავალალო მდგომარეობა, თუ ის დროულად არ განიმუხტა, გაუთვალისწინებელ შედეგებს გვპირდება... სახელმწიფო მინისტრ ბატონ **გია არსენიშვილთან** საუბარი მის კაბინეტში განუწყვეტელი სატელეფონო ზარების თანხლებით წარიმართა, რომელთა შინაარსი ნამდვილად ვერ დააყენებდა ვერავის კარგ გუნებაზე. საქმე ეხება მძევალთა გაცვლის თაობაზე აფხაზებთან გამართულ მოლაპარაკებას. თავისთავად ის ფაქტი, რომ ჭუბურხინჯის შეხვედრაზე სახელმწიფო მინისტრს თან გაჰყვა ქართველ ძალოვანთა მთელი ამალა, მოწმობს ვითარების სიმძიმეს. სამწუხაროდ, ქართული დელეგაცია თბილისში ხელცარიელი დაბრუნდა... (იხ. გვ. 7).

— ეს გახლდათ უმძიმესი შეხვედრა. მძევლების გაცვლის პერსპექტივა არსებობს და ეს საქმე აუცილებლად უნდა გაკეთდეს. არ არის საბოლოო შედეგი მიღწეული და კონსულტაციები უახლოეს მომავალშიც გაგრძელდება. აფხაზური მხარე კატეგორიულ უარს აცხადებს გალის რაიონში დაკავებული სამი ქართველის გადმოცემაზე და მხოლოდ მეთევზეების გადმოცემაზეა თანახმა. ჩვენი პოზიციაა ის, რომ დაკავებულთა გაცვლა მოხდეს პრინციპით — ყველა ყველაზე, რაზეც აფხაზური მხარე უარს ამბობს... ვითარება მართლაც მძიმეა, მაგრამ ვიმეორებ, პერსპექტივა არის და ყველას ვთხოვ, თავი შეიკავოს მოვლენათა საკუთარი ინტერპრეტაციისაგან...

**— სწორედ გალის რაიონში ბოლო დროს განვითარებული საშიში პროცესების ფონზე, უკვე იხსენებენ შარშან და წელს თქვენ მიერ აფხაზებთან ერთად ხელმოწერილ დოკუმენტებსაც, რაც მაშინვე მკაცრად შეაფასა ქართულმა პოლიტიკურმა სპექტრმა და მასმედიამ...**

— მე ქვეყანამ დამავალა აფხაზებთან მშვიდობიანი მოლაპარაკების წარმართვა და ამ სამშვიდობო პროცესს მივყვები. თოფის სროლა რომ მცოდნოდა, ან 16-20 წლის ბიჭი ვყოფილიყავი, არ ვიცი, რას გავაკეთებდი. დღეს მე ვარ სახელმწიფო მინისტრი, პარტიზანი არა ვარ და რაც მევალება, იმას ვაკეთებ, ანუ ვასრულებ უმძიმეს დავალებას, რომელიც არავითარ სახელს და პოპულარობას არ მომიტანს... სწორედ იალტის შეხვედრაზე მივაღწიეთ იმას, რაც გვევალებოდა. ანუ მშვიდობიანი მოლაპარაკებათა პროცესის შედეგად გაგვეღრმავებინა ურთიერთნდობის ფაქტორი. ეს ნამდვილად მოხდა, აფხაზეთის პრობლემა ისეთია, სადაც ჩვენ ყველანი ულაპარაკოდ, ერთ პოზიციაზე ვდგავართ. მაჩვენეთ კაცი, რომელსაც არ უნდოდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. იალტაში აფხაზებმა დამიდასტურეს ისიც, რომ დაუბრკოლებლად მოხდებოდა ბაბუშერიდან ყველა ქართველი მეომრის გადმოსვენება და ისინი ჩვენ უნდა გადმოგვესვენებინა 17 აპრილს. მე და ავთო იოსელიანი უკვე ვფიქრობდით იმაზე, თუ როგორ მოგვეწყო სამშობლოსათვის თავდადებულ ამ ქართველ მეომართა გადმოსვენება-დაკრძალვის ცერემონიალი... მაგრამ ვითარება გართულდა, თანაც ისეთი რამის გამო, რასაც არავითარი რეალური საფუძველი არ გააჩნია. საკმარისია, ხელისუფლებას გადმოეცეს პარტიზანების ხელთ მყოფი მძევლები, რომ შესაძლებელი გახდება ეფექტიანი მოლაპარაკებების გამართვა აფხაზურ მხარესთან. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს მოხდება. აფხაზებს ორჯერ ჰქონდათ ჩემთან კონტაქტი იმ იმედით, რომ ჩავერთვებოდი ამ პროცესში, მაგრამ როგორ უნდა ჩავრთულიყავი, როდესაც ჩემზე სრულიად უპასუხისმგებლო განცხადებები ვრცელდება... გადახედეთ გაზეთებს, სადაც გარკვეულ პირთა მიერ პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ თუ არსენიშვილი და ავთო იოსელიანი მოჰკიდებენ ამ საქმეს ხელს, ჩვენ მათ წინააღმდეგობას გავუწევთო... 2000 წლის 11 ივლისს სოხუმში ხელმოწერილი ოქმის გამო სასტიკად გამაკრიტიკეს. მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ სწორედ 11 ივლისის ოქმი დაედებოდა საფუძვლად გუდაუთის ბაზიდან მძიმე ტექნიკის უპრობლემოდ გაყვანას. დღეს კი, არა მარტო მძიმე ტექნიკა, არამედ საერთოდ გადის ბაზა. შარშან, ივლისში კი, ძალიან დიდი სიმწარე ვნახე. ნურავის ეგონება, სხვაზე ნაკლებ თავმოყვარე ვარ, მაგრამ კრიტიკა ავიტანე, რადგან ვიცოდი, რას რა უნდა მოჰყოლოდა. მე რომ მაშინ ყვირილი დამეწყო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ეს დიდი საქმე ჩაიშლებოდა...

**— გაეროს უშიშროების საბჭოში გრძელდება განხილვა აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის საკითხებისა. მაგრამ მარტშიც და ახლაც გაეროს ექსპერტთა მიერ შე-**

# „ისეთი გზნებით ხვდებიან ბიუჯეტის შეუსრულებლობას, გეგონება, ეს რა კარგი რამ მოხდაო!“

**მუშავებულ დოკუმენტს რუსეთმა ვეტო დაადო...**

— ვშიშობ, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების მიღებას ხელს შეუშლის ის, რომ კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების პირობები არ არის დაცული. აფხაზეთიდან მძევლების გადმოყვანას გაერო ძალიან კრიტიკულად უყურებს. ამასთან, შეიძლება „კუს ნაბიჯებით“ მიდის ამ მხრივ საქმე გაეროში, მაგრამ წინსვლა აშკარაა და საქართველოს

**მგლების ხროვაში ყველა მგელია. ჩვენთან ხშირად პოლიტიკაში დაპირისპირებულ ადამიანებს „კუდები“ აქვთ ბიზნესში გადაბმული. აი, ეს არის სინამდვილე და ძალიან ძნელია, მათ რაიმე ზნეობის კატეგორიებით მიუდგეთ.**

მიზეზით უკუსვლა არ არის... აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით მე გახლდით ვენაში, როცა ავსტრია იყო ეუთოს თავმჯდომარე. შევხვდი ავსტრიის კანცლერსაც, პრეზიდენტსაც, საგარეო საქმეთა მინისტრსაც. დაწვრილებით განვიხილეთ აფხაზეთის პრობლემები და მისი პოლიტიკური სტატუსის საკითხები. მეორე დღეს, ეუთოს სხდომაზე, სადაც ბატონი ირაკლი მენაღარიშვილი მონაწილეობდა, აშკარად გამოჩნდა, თუ როგორი უმწვავესი შეფასებები გამოთქვეს ავსტრიისა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებმა რუსეთის მიმართ, მათ შორის, სავიზო რეჟიმის შემოღების გამო... ხოლო ის ირონია და „ხუმრობა“, რომ მე ვენახიდან ვენაში მოვხვდი, უსაფუძვლოა. სხვათა შორის, ვენახში უფრო ჭკვიანი ხალხი მინახავს, ვიდრე თბილისში!..

**— პარლამენტის სხდომაზე „ახალი ფრაქცია“ თქვენი, ნოღაიდელისა და მაჭავარიანის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას აპირებს და სამივეს გადადგომასაც მოითხოვს შარშანდელი ბიუჯეტის შეუსრულებლობის გამო.**

— იანვარში აღდგა სავალუტო ფონდის პროგრამა და დაიწყო პირველი თავდასხმები, რომ ჩვენ ვერ შევასრულეთ წინა წლის ბიუჯეტის გეგმა. ეს მაშინ, როცა სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი აფიქსირებდნენ ბიუჯეტის საგადასახადო ნაწილის შესრულებას... ხანდახან მგონია, რომ ჩვენ ვართ სადღაც, ვთქვათ, ოლსტერში, სადაც მოხდა აფეთქება და პრესა ელოდება, თუ ვინ იკისრებს ამ აფეთქებაზე პასუხისმგებლობას... ამით იმის თქმა მსურს, რომ უფლება არა მაქვს, პასუხი ვაგო იმაზე, რაც კანონით არ მევალება. მე პასუხს ვაგებ კანონისა და კონსტიტუციის წინაშე, სადაც წერია: „სახელმწიფო მინისტრი ასრულებს პრეზიდენტის ცალკეულ დავალებას“. რაც არ უნდა ვთქვა კიდეც, მაგალითად, რომ განვაცხადო — წელს თუ გვალვა იქნა, გადავდგებიო, ზოგიერთი ისეთი ოპონენტი მყავს, ალბათ, სიხარულით აიტაცებს ამას და მომთხოვს — ხომ იყო გვალვა, რას შვრები ახლაო. მაგრამ მე ვარ სახელმწიფო მოღვაწე, ვალდებული ვარ, დავიცვა კონსტიტუცია და კანონი. რაც შეეხება დანარჩენს, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ სურვილი იმ ხალხისა, ვისაც, სამწუხაროდ, სხვა სურვილები არ გააჩნია, მათ შორის არც ის, რომ რაც შეიძლება კარგად ემსახურონ სამშობლოს!

**— მაგრამ 2001 წლის ბიუჯეტის I კვარტლის გეგმაც ჩავარდა.**

— იანვრის გეგმა შესრულდა. ვერ შესრულდა თებერვალ-მარტის დავალებები, რასაც მოჰყვა უმწვავესი კრიტიკა. გასაგებია, გააკრიტიკოს ადამიანმა, რომელიც შენთან ერთად აკეთებს საქმეს, მაგრამ გულხელდაკრეფილი კაცის კრიტიკა მიუღებელია. რაც შეეხება მიმდინარე წლის ბიუჯეტს, როცა პირველი კვარტლის შესრულების მაჩვენებელი უკვე არის 92%, არა მგონია, მოხდეს რაიმე სეკვესტრი. ღმერთმა დაიფაროს! საოცარია, მაგრამ ისეთი გზნებით ხვდებიან ხოლმე ბიუჯეტის შეუსრულებლობას, გეგონება, ეს რა კარგი რამ მოხდაო! ხოლო ის, თუ რატომ ვერ შესრულდა, ამას თავისი მიზეზები და თავისი პატრონი ჰყავს. სახელმწიფო კანცელარია ბიუჯეტს ვერ შეასრულებს, მას საამისო მექანიზმები არ გააჩნია. მას შეუძლია მხოლოდ კოორდინირება გაუწიოს სხვადასხვა მიმართულებით ძალისხმევას, მათ შორის, ბიუჯეტის შესასრულებლად. მაგრამ ფულის ამოღების მექანიზმი გააჩნიათ მხოლოდ საგადასახადო და საბაჟო სამსახურებს...



**— ბატონო გია, ახლახან, როდესაც თქვენი ყოფილი მოადგილე ლევან ძნელაძე ქონების მართვის მინისტრად ინიშნებოდა, პარლამენტში საკომიტეტო მოსმენისას ირაკლი ბათიაშვილმა ჰკითხა: „ხართ თუ არა მზად, ებრძოლოთ იმ ჩამოყალიბებულ მგლებს, რომლებთანაც ურთიერთობა მოგიხდებათ ამ პოსტზე მუშაობისასო“... თქვენ, როგორც ინტელექტუალსა და ხელისუფლებაში მეცნიერებიდან მოსულ კაცს, არ გიჭირთ ამ გარემოში მუშაობა...**

— ერთი მარტივი პრინციპი მაქვს: თუ ადამიანი მიზანმიმართულად იღვწის, ის აუცილებლად მიიღებს შრომის ნაყოფს, ხოლო რამდენად მნიშვნელოვანი იქნება იგი, დამოკიდებულია სწორედ გარემოზე, დროზე, რომელშიც გიწევს საქმიანობა, გარშემო მყოფებზე და ა.შ. ვფიქრობ, გარკვეული შედეგები სახეზე გვაქვს, მაგრამ იმ სფეროებში, რომლებიც არც ისე პოპულარულია.

ყოველ ხუთშაბათს ლექციებს ვკითხულობ უნივერსიტეტში, ვხვდები ახალგაზრდებს და ვიცი, როგორია ქვეყანაში შექმნილი ვითარებისადმი ნამდვილი დამოკიდებულება; მაგრამ ვხედავ სხვაგვარ განწყობილებასაც, რომელსაც რეალობასთან არა ესაქმება რა. კი ვამბობთ ხოლმე, საჭიროა შეთანხმებული მუშაობაო, მაგრამ ეს ადვილი არ არის. თქვენ რომ უწოდებთ შექმნილ ვითარებას, „მგლურ გარემოს მგლებში“, ასე არ არის. მგლების ხროვაში ყველა მგელია. ჩვენთან ხშირად პოლიტიკაში დაპირისპირებულ ადამიანებს „კუდები“ აქვთ ბიზნესში გადაბმული. აი, ეს არის სინამდვილე და ძალიან ძნელია, მათ რაიმე ზნეობის კატეგორიებით მიუდგეთ. ერთი მხრივ, თითქოს სახეზე გვაქვს მათი პოლიტიკური „მრწამსი“, მაგრამ მეორე მხრივ, აშკარაა მათი ფინანსური ინტერესები, მერკანტილური გარემო, რომელშიც გადაბმულია სხვადასხვა დაჯგუფების თუ პიროვნებების „კუდები“. შედეგად არის ბევრი ფიქცია, განცხადებები, რომელსაც არანაირი საფუძველი არა აქვს და რისიც ხალხს არ სჯერა, მაგრამ ეს ფიქციები საკმაოდ მყარია და ხანდახან ადამიანს ტყუილისა უფრო სჯერა, ვიდრე სიმართლისა. ამიტომ მათი მხრიდან ტყუილი შეფასებები, ტყუილად ვითომ ნერვების შლა, ვითომ წარმოდგენა იმისა, თუ როგორ დაჩაგრულია ჩვენი ქვეყანა, თვალისახვევაა, მით უმეტეს, რომ საღამოთი ეს ხალხი სულ სხვა საქმითაა გართული...

**— ბოლო დროს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნისა და ჭიათურმანგანუმის ირგვლივ ამტყდარი სკანდალისას ხშირად გაისმის თქვენი წინამორბედი სახელმწიფო მინისტრის გვარი... თქვენთვის თუ შემოუთავაზებიათ, რომ „სხვა საქმეც“ გეკეთებინათ?**

— ჩემს წინამორბედზე ცუდს ნამდვილად ვერაფერს გეტყვით და არც არავის არაფერი შემოუთავაზებია... ხუთი წელიწადი ვიმუშავე კახეთში და ამ წლებს უპირველესად იღბლიანად ვთვლი იმიტომ, რომ ნამდვილი ბიზნესის განვითარებას შევუწყვე ხელი. დღევანდელი პოლიტიკური ვითარების ფონზე შეიძლება წარმოუდგენლადაც მოგეჩვენოთ ის ფაქტი, რომ სწორედ მე გახლდით მხარდამჭერი დავით გამყრელიძის და ლევან გაჩეჩილაძისა, რომლებმაც თავიანთი ბიზნესი კახეთში წარმატებით განავითარეს. ამის გარდა, კახეთში ვითარდებოდა ნავთობის დიდი ბიზნესი, რადგან მასში მონაწილე უცხოელი ბიზნესმენები გახლდნენ უმდიდრესი ადამიანები. მათ დამანახეს, რომ ბიზნესი არის არა მარტო ფულის კეთება, არამედ მოღვაწეობა და ბევრი რამ ერთად გავაკეთეთ. ამიტომ უკვე ნაზიარები გახლდით ნამდვილ ბიზნესთან და იმ ძირითადმა მოქმედმა პირებმა, რომლებიც საქართველოში არიან, იცოდნენ ჩემი დამოკიდებულება ყველაფრისადმი. როგორი გამადიდებელი შუშითაც არ უნდა ეძებონ, ჩემსას ვერაფერს ნახავენ საქართველოში, ხოლო რაც გამაჩნია, იმას არავითარი გამადიდებლები არ სჭირდება. ეს არის ჩემი ურთიერთობა კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების წარმომადგენლებთან, ჟურნალისტებთან, ხალხთან, რომლებიც საქართველოს ავტორიტეტს და ღირსებას ქმნიან და სამწუხაროდ, მივიწყებული გვყავს... საერთოდ, ძალიან ცოტა ხალხს ვილებ, კვირაში ერთ-ორ ადამიანს, ვინაიდან, ბევრი დავალება მაქვს მიღებული პრეზიდენტისგან და ვხვდები მხოლოდ მათ, ვისთან შეხვედრაც ამა თუ იმ სახელმწიფო საკითხის გადასაწყვეტადაა საჭირო...

**— მომავალ მინისტრთა კაბინეტში თუ ხედავთ თქვენს ადგილს, მით უმეტეს, რომ პრემიერ-მინისტრობის ერთ-ერთ კანდიდატად თქვენი გვარიც დასახელდა...**

— მინისტრთა კაბინეტის შექმნა არ არის ცუდი იდეა, ის ნამდვილად მხარდასაჭერია. ჩემთვის ცოტა ძნელია იმისი თქმა, თუ რამდენად ეფექტიანი იქნება ეს ინსტიტუტი. ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რა ფუნქციები ექნება მინისტრთა კაბინეტს. მე მაინც არა მგონია, რომ დღევანდელმა საკონსტიტუციო წყობამ ამოწურა თავისი შესაძლებლობები. ვდგებით ახალი რეალიების წინაშე, ანუ ძალაუფლება ასე თუ ისე გადანაწილდება. კარგია ეს თუ არა, შემეძლება გიპასუხოთ მას შემდეგ, როცა პასუხი გაეცემა საქართველოსთვის მთავარ პრიორიტეტებს — ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, ეკონომიკის გაჯანსაღება, ენერგეტიკული კრიზისების დაძლევა, ლტოლვილთა დახმარებების გაცემის უზრუნველყოფა, დაყოვნებული ხელფასების გასტუმრება და ა.შ. რაც შეეხება პრემიერ-მინისტრის პოსტზე ჩემს კანდიდატურას, პირადად არსად წამიკითხავს ამის თაობაზე და ეს სულ სხვა თემაა. ლაპარაკს, თუ ვინ დაიკავებს პრემიერ-მინისტრის პოსტს, აზრი ექნება მაშინ, როცა ყველა ზემოთ დასმულ შეკითხვას გაეცემა ამომწურავი პასუხი. მეტიც, როცა გაირკვევა — საიდან და რით დაფინანსდება მინისტრთა კაბინეტი? წლევანდელ ბიუჯეტში მისი დაფინანსების გეგმა, ბუნებრივია, არ ზის! რა ბედი ეწევა სახელმწიფო კანცელარიას და შენარჩუნდება თუ არა მისი თანამშრომლების, აპარატის რაოდენობა იმ სახით, რაც დღეს გვაქვს? რამდენ ხანში იქნება შესაძლებელი საკონსტიტუციო ცვლილებების გატარება? ერთადერთი, რისი მოსურნეც ვარ, არის არა ის, განხილული იქნება თუ არა ჩემი კანდიდატურა ამ პოსტზე, არამედ იქნებ რამენაირად შევინარჩუნოთ ის ვითარება მაინც, რომელიც დღეს არსებობს საქართველოს მთავარ პრიორიტეტებთან მიმართებაში! თუ ვილაცამ დღესვე იფიქრა, მე მეტს აღარ ვიმუშავებო და ჩაიქნია ხელი, ჯერ რა ვითარებაში ვართ და მერე რა მდგომარეობაში აღმოვჩნდებით? ხოლო წინასწარი საუბარი იმაზე, ვინ რომელ „ქანდარაზე“ წამოჯდება, ვფიქრობ, არ არის გამართლებული. მთავარია, ადამიანი მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მშენებლობაში...

**— დაბოლოს, უკრაინის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ იუშჩენკოს თანამდებობიდან გადაყენების შესახებ გთხოვთ კომენტარს.**

— ვიქტორ იუშჩენკო ჩემი მეგობარია. ის უაღრესად განათლებული და ღრმად მორწმუნე ადამიანია. ბატონი იუშჩენკო გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ბანკირი. მან ევროპაში „პირველი ბანკირის“ საპატიო წოდებაც კი მიიღო ორი წლის წინ. იგი ზნემაღალი კაცია და არ მჯერა იმისა, რასაც ზოგჯერ მასზე ამბობენ... იუშჩენკოს პრემიერ-მინისტრობისას უკრაინის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები საგრძნობლად გაუმჯობესდა. მან შეძლო დაეფარა დიდი რაოდენობის დავალიანებები, ანუ ის პროცესი, რომელიც ჩვენთან ივლისის შემდეგ დაიწყება, იუშჩენკომ უკვე განახორციელა. მეტიც, უაღრესად მნიშვნელოვანი გეგმებიც ჰქონდა, რომლებიც უკრაინის განვითარებასა და კეთილდღეობასთან იყო დაკავშირებული. პრეზიდენტ კუჩმასთან ერთად იუშჩენკო გახლავთ ინიციატორი 5 ათასი ტონა ხორბლის საქართველოსთვის გადმოცემისა და საერთოდ, მისი პრემიერობისას ბევრი სასიკეთო რამ გაკეთდა საქართველოსთან დაკავშირებით... ამიტომ იუშჩენკოს გადაყენება სამწუხარო მოვლენაა. ცალკე საუბრის თემაა ის, თითქოს მოლდოვა-უკრაინის შემდეგ, დადგა საქართველოს რიგიც... ამაზე ჩემი აზრი მაქვს და ვხვდები კიდეც, რატომ არის ხშირად წარუმატებელი ჩვენი ნამდვილი წარმატებები და რატომ ხვდება საზოგადოების ნაწილი აგრესიულად საქართველოს გარკვეულ წარმატებებს...

მოდით, ამაზე მომავალში ვისაუბროთ.

*ზურაბ მჭედლიშვილი*

# მფარველი იბერიისა



როგორც სანაქებო მონაფეებს შორის გამოარჩევს ხოლმე მასწავლებელი მჯობნის მჯობნს, ასევე წმინდანებს შორისაც გამოირჩევიან დიდმოწამე წმინდანები, რომელთაც ღვთისა და ერის განსაკუთრებული სიყვარული მოსავთ. ქართველთათვის ამგვარი სათაყვანებელია წმინდა გიორგი, რომლის სახელს არქმევდნენ შვილებს. მარტო 12 მეფე გვყავდა წმ. გიორგის მოსახელე. და სიმბოლურია, რომ საქართველოს ბოლო მონარქის სამეფო გვირგვინი უკანასკნელად გიორგი XII-ს ედგა თავზე (ალბათ აქაც გამომჟღავნდა ნება უფლისა: ისევე როგორც რუსეთში, ბულგარეთში, სერბეთში, სადაც ბოლო მონარქები ამ ქვეყნების მფარველი წმინდანების სახელს ატარებდნენ. შესაბამისად: რუსეთში — ნიკოლოზ II, მოსახელე წმ. ნიკოლოზისა, სერბეთში — საბა, მოსახელე წმ. საბა განმანათლებლისა, ბულგარეთში — ბორისი, მოსახელე წმ. ბორისისა — ბულგარეთის მფარველად წოდებულის). თვით საქართველოსაც ხომ უცხოელები გიორგიას უწოდებენ. ალბათ ესეც არაა შემთხვევითი: ომში საბრძოლველად მიმავალი მეომრები, უპირველესად წმ. გიორგის მოუხმობდნენ შემწედ და წინამბრძოლად. როგორც მოგვითხრობს მეფეთ-მეფე დავითის მემატიანე, დიდგორის ომის წინ თავად ძლევამოსილი წმინდანი წარსძღოლია ქართველთა მხედრობას... საქართველოს ყოველი კუთხე მოფენილია წმინდა გიორგის სახელზე აგებული ეკლესიებით: ხევსურეთში — ხახმატის ჯვარი, გუდანის ჯვარი, სანების ჯვარი; ფშავში — ლაშარის ჯვარი; მთიულეთში — ლომისის ჯვარი; კახეთში — სოფ. ანყურის წმ. გიორგი... და წლის რომელიმე დღეს, რომელიმე სოფელში მაინც აღინიშნება წმ. გიორგის ხსენება. რომელთაგან განსაკუთრებულად გიორგობას მაინც 6 მაისს წმინდანის აღსრულების დღეს და 23 ნოემბერს ბორბალზე წამების დღეს აღვნიშნავთ.

წმ. გიორგი იყო კაპადოკიელი, ნათესავი წმ. ნინოსი. დაიბადა მე-3 საუკუნის მეორე ნახევარში, მდიდარ ქრისტიანულ ოჯახში. მამა წმინდანისა აღესრულა მოწამებრივად, რის შემდეგაც დედამ ვაჟიშვილითურთ კაპადოკიიდან პალესტინას მიაშურა.

ჭაბუკი გიორგი რომის ლაშქარში გამწესდა მხედრად. სულ მალე იმპერატორმა დიოკლეტიანემ მამაცი მეომარი პირად მცველად და მხედართუფროსად დანიშნა. იმპერატორმა ბოლო წლებში სასტიკი დევნა გამოუცხადა ქრისტიანებს. ამ დროს მას საყვარელი მხედართმთავრის ქრისტიანობის ამბავიც „ახარეს“... განრისხდა მბრძანებელი. დაიბარა პირადი მცველი. უბრძანა — უარეყო ქრისტე. გიორგი წავიდა და ამის საპირისპიროდ ქონება გლახაკთ დაურიგა. თავად კი გამოცხადდა სენატში და საჯაროდ აღიარა ქრისტიანობა. „თავად ქრისტეა ჭეშმარიტება“, — ასეთი პასუხი გასცა უშიშარმა ჭაბუკმა ერთ-ერთი წარჩინებულის კითხვას ჭეშმარიტების რაობაზე. განრისხებული მბრძანებლის განკარგულებით მეომრები შეეცადნენ შუბის კვრით გაეგდოთ იგი დარბაზიდან. მაგრამ წმინდანის სხეულზე შეხებისას შუბი იდრიკებოდა — რბილდებოდა... საპყრობილეში მას ფეხებზე ხუნდები, მკერდზე კი დიდი ლოდი დაადეს. მაგრამ მეორე დღეს გიორგიმ ამაყად უპასუხა დიოკლეტიანეს: „უფრო მალე შენ მოუძლურდები შენი ტანჯვით, ვიდრე მე, შენ მიერ გვემული“. შემდეგ მბრუნავ ბორბალზე დააკრეს. რკინის წვერწასრმა ისრებმა დაუსერა სხეული და წმინდანმა პირველად ხმამაღლა უხმო უფალს. მოულოდნელად ჩამობნელდა, იქაურობა ჭექა-ქუხილმა გააყრუა და მაღლიდან მოისმა ხმა: „ნუ გეშინის, გიორგი, მე შენთანა ვარ!“

უფლის სასწაულმა დიოკლეტიანეს მეუღლე ალექსანდრაც კი ხმამაღლა აამეტყველა ღმრთის სადიდებლად. საიმპერატორო კარის ორმა წარჩინებულმაც აღიარა ქრისტიანობა. ამან უფრო გააბოროტა დიოკლეტიანე: მოხელეებს თავი მოჰკვეთეს, წმინდა გიორგი კი ხაროში ჩააგდეს და თავზე გახურებული კირი დააყარეს, მერე რკინის წვერწამახული ჩექმა ჩააცვეს ფეხზე. „ჩექმა ძალიან მომეწონაო“, — მოახსენა მხედარმა იმპერატორს. თავის მოკვეთა გადაუწყვიტეს. სიკვდილის წინ ილოცა და მორჩილად მიუშვირა კისერი ჯალათს. ეს მოხდა 303 წლის 23 აპრილს (6 მაისს). ანდერძისამებრ, წმ. გიორგის სხეული დაკრძალეს პალესტინის ქალაქ რამლაში, მერე გადაასვენეს კონსტანტინე დიდის მეფობის დროს წმინდანის სახელზე აშენებულ ლიდიას ტაძარში.

P.S. მსოფლიოში გავრცელებულია ხატი, სადაც წმ. გიორგი კლავს ბოროტ გველეშაპს, ხოლო გველეშაპის მაგივრად ზოგ ხატზე იმპერატორი დიოკლეტიანე არის გამოსახული, რომლის მეფობაც უილბლოდ წარმართულა წმ. გიორგის წამების შემდგომ. სიკვდილამდე მხოლოდღა ბოსტნეულის თესვა-მოყვანით შეიქცევდა თავს ყოფილი იმპერატორი. ერთხელ დიდებულებმა საიმპერატორო ტახტზე დაბრუნება ურჩიეს თურმე. იცით, ჩემს ბოსტანში როგორი კომბოსტო მომყავსო? — ხელი ჩაიქნია ქრისტიანთა დევნით დაღლილმა იმპერატორ-რყოფილმა. მან თავისი მოწყენილი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა...

**ნინო ტარყაშვილი**




# მეტი სხვა არაფერი დაგვრჩენია...



*...მივუახლოვდი. მის გვერდით ბორდიურზე ჩამოვჯექი. ერთი კი შემომხედა გაოცებული და დიდი თვალებით, მერე დაჭორფლილი ცხვირი მაჯით მოიწმინდა და კვლავ სივრცეში განაგრძო ცქერა.*

**— მანქანებს ათვალიერებ? გაინტერესებს ეგეთი რამეები?.. აბა, ეს რა მანქანაა, თუ მეტყვი? — ვანიშნე ნაცრისფერ ლიმუზინზე, ფილარმონიასთან რომ უხვევდა.**

— ეგ ლინკოლნია, — მითხრა სულმოუთქმელად, — მაგარი მანქანაა... 300 აქვს სიჩქარე.

**— ეგ საიდანღა იცი, შიგ მჯდარხარ?**

— არა, მაგრამ გუშინ აქ იდგა, ბარის წინ და ჩავიხედე. სპიდომეტრზე აწერია 300.

**— ვაა, შენ მართლა მაგრად გცოდნია მანქანები. ეს „სპიდომეტრი“ საიდანღა იცი?**

— ვიცი. მამიკო ადრე პროფილაქტიკაში მუშაობდა, სოხუმში რომ ვცხოვრობდით. მე პატარა ვიყავი, მაგრამ სულ თან დავყვებოდი და ყველაფერს მასწავლიდა ხოლმე, — დიდ და ლურჯ თვალებში ისეთი სევდა ჩაუდგა, ისეთი სითბოთი ლაპარაკობდა, რომ ენაზე მომდგარი „მამაშენი ახლა სად არის მეთქი“, ჩემდაუნებურად ჩავულაპე.

**— მაშ, სოხუმელი ხარ? აბა, შენ კატერებიც კარგად გეცოდინება, — ვცადე, საუბარი შედარებით უმტკივნეულო ყოფილიყო.**

— არა, რა კატერები. ჩემი ბიძაშვილი ზღვაში დაიხრჩო შტორმის დროს. ჰოდა, დედა ზღვაზე სულ არ გვიშვებდა ხოლმე, არც მარტოებს და არც მამიკოსთან ერთად. სამაგიეროდ, მამაჩემს სულ თან დავყავდი მანქანით. ნაყინს მიყიდდა ხოლმე, და სათამაშოებსაც, როცა კარგად ვიქცეოდი...

*რაკი გავშინაურდით, სახელის კითხვაც გავუბედე.*

— მე რეზო მქვია. შენ? — *კითხვა შემომიბრუნა. ვუპასუხე. გაეცინა.*

— ეგ რაღა სახელია. ჯერ არ გამიგია.

**— ერთ ქართველ მეფეს ერქვა... შენ გაგიგია ქართველი მეფეები?**

— როგორ არ გამიგია. დედა მეუბნებოდა, სასტუმროს წინ რომ ძეგლია, დავით აღმაშენებელიაო და მაგის მეფობის დროს თურმე საქართველო ყველაზე მაგარი იყო. მაშინ სახლებიდან არ გარბოდნენ და არც არავის ხოცავდნენ, ყველა კარგად ცხოვრობდაო... მაშინ რომ გვეცხოვრა, ომიც არ იქნებოდა და მამასაც ხომ არ მოკლავდნენ... ისევ ჩვენ სახლში ვიცხოვრებდით, საჭმელიც გვექნებოდა და ყველაფერიც...

**— ახლა სასტუმროში ცხოვრობთ?**

— ჰო. სასტუმროში, მაგრამ მე აქ მირჩევნია ჯდომა. მანქანებს ვათვალიერებ და დედამ მითხრა კიდევ, თუ ძვირფასი მანქანიდან გადმოვიდა კაცი, ფული სთხოვე და მოგცემსო...

**— მერე, გაძლევენ?**

— ხან მიბრაზდებიან ხოლმე — აქედან წაეთრიეო და ეგეთები... ერთმა ქალმა კიდე ესე მითხრა, მამაშენი უნდა მათხოვრობდეს აქა, შენ კი არაო... მამა არ მყავს-მეთქი. რაში მაინტერესებს, მაშინ დედაშენი არ უნდა გგზავნიდესო... დედა დილიდან ბაზრობაზეა, ხაჭაპურს ყიდის... საღამოს მოდის ხოლმე და ეგრევე იძინებს. ჩემთვის და გიოსთვის ხაჭაპური მოაქვს...

**— მთელ დღეს აქ ატარებ?**

— მერე რა. აბა, სასტუმროში რა გავაკეთო...

**— გიო სასტუმროშია?**

*თვალი ამარიდა.*

— არა. მეტროში, ქვემოთ არის. ბრიტვებს და რაღაცეებს ყიდის. ადრე მეც კი ვყიდდი, მაგრამ ერთხელ დიდმა ბიჭებმა დამიჭირეს და წამართვეს. გიო კიდე დიდია. მე რომ გავიზრდები, ვიმუშავებ — რამეს გავაკეთებ, რომ დედას მივეხმარო. პროფილაქტიკაში მოვეწყობი და მანქანებს გავარემონტებ.

ბიჭუნას დავემშვიდობე. გულდამდუღრული წამოვედი. ანგელოზივით ბავშვი ყოველ ცისმარე დღეს ქუჩაშია და შინ მისულს ხშირად დედის ალერსიც კი ენატრება. ერთადერთი „ოცნება“ აქვს — პროფილაქტიკაში იმუშაოს, ახალი ქართველების ძვირფასი მანქანები არემონტოს და დედასა და ძმას ამოუდგეს გვერდში... ჩვენ კი გულის მოსაოხებლად დიდი დავითის ძეგლის მეტი სხვა არაფერი დაგვრჩენია...

**დაჩი გრძელიშვილი**

# „ალმა მატერი“ შვილებს ველარ უვლის

უნივერსიტეტი, რომელმაც ასე თუ ისე მოახერხა დეპოლიტიზებული დაწესებულების სახის შენარჩუნება იმ წლებშიც კი, როდესაც ლამის საბავშვო ბაღებში იქმნებოდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის პირველადი ორგანიზაციები, დღეს გარკვეული პოლიტიკური დაპირისპირების ასპარეზი ხდება. ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, მაგრამ უნივერსიტეტში ჩატარებულ „ორმაგ არჩევნებს“ აშკარად პოლიტიკის უამური სუნი უდის.

ტელევიზიით მთელმა საქართველომ იხილა მოპაექრე მხარეების — „სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირისა“ და „სტუდენტური თვითმმართველობის“ წარმომადგენელთა „დიალოგი“, რომელიც უფრო ორი მონოლოგი იყო, რადგან დიალოგი მოსაუბრეთაგან ერთმანეთის მოსმენასაც გულისხმობს. გასაგებია, რომ ახალგაზრდას, მით უმეტეს იმდღევანდელი ვნებათაღელვის შემდეგ, კამათის ეთიკის დაცვა ვერ მოსთხოვო — ბევრისგან განსხვავებით ჩვენ ამას არ გავულიზიანებივართ. მთავარი სხვა რამ არის — თუ რას მოითხოვენ ან ერთნი ან მეორენი. დღემდე ვერავინ მიიღო ამ ლამის რიტორიკულად ქცეულ კითხვაზე დამაჯერებელი პასუხი, ამიტომ იმას მოგახსენებთ, რაც ჩვენ დავინახეთ: „სტუდკავშირი“ აქამდე ასრულებდა და მომავალშიც სურს შეასრულოს დაახლოებით ის როლი, რაც ადრე კომკავშირს ეკისრებოდა უნივერსიტეტში — იდეოლოგიური ფუნქციის გამოკლებით, ე.ი. სპორტული, თვითშემოქმედებითი და სხვა სფეროების „წარმართვა“. კარგია თუ ცუდი, ეს სხვა საკითხია. ცხადია, ესეც ჭირია, მაგრამ „შეჩვეული ჭირი“.

ალბათ რისკზე მივდივართ, რომ „არადემოკრატიულობას“ დაგვწამებენ, მაგრამ უფრო შემაშფოთებლად „სტუდენტური თვითმმართველობის“ მომხრეთა მოთხოვნები მიგვაჩნია: „საგნებისა და ლექტორების არჩევითობის პრინციპი“! (ეს მათი ლიდერების მიერ მოყვანილი ფორმულირებაა და მისი გრამატიკული გაუმართაობისთვის ბოდიშს არ გიხდით).

ბარემ მიუკიბ-მოუკიბავად გეტყვით, როგორ გვესმის ეს „მოთხოვნა“: ამ ხალხს სწავლა არ უნდა!



სხვანაირად ვერავინ ახსნის იმ ფაქტს, რომ სტუდენტი ითხოვს უფლებას, თვითონ აირჩიოს შესასწავლი საგანი. რა გამოდის?! — ორმოცდაათი სავალდებულო დისციპლინიდან, რომელიც წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე შექმნილი პროგრამით არის გათვალისწინებული, მავანმა სტუდენტმა შეიძლება ხუთი ან შვიდი „აირჩიოს“? არგუმენტად დასავლეთი მოჰყავთ — ევროპასა და ამერიკაში ასეაო! ამ „ნახევარსიმართლის პრინციპმა“ მიგვიყვანა დღევანდელ დღემდე: რატომ ის არ ითქმება, რომ დასავლეთის უნივერსიტეტებში მართლაც ირჩევს საგნებს სტუდენტი, მაგრამ ამას მხოლოდ იმ საგნის უკეთ შესასწავლად აკეთებს, რაც აინტერესებს და იცის, რომ სრული კურსის გაუვლელად (ე.ი. ყველა სავალდებულო საგნის ჩაუბარებლად) დიპლომს არავინ მისცემს?! ამათ „იქაურად“ სწავლა უნდათ და „აქაურად“ დიპლომის აღება.

რასაკვირველია, სრულიად სამართლიანია ფასიანი სექტორის სტუდენტთა მოთხოვნა, რომ ზუსტად იცოდნენ სად მიდის მათ მიერ გადახდილი ყოველწლიური 900 ლარი. მაგრამ რად უნდა ამას ორგანიზაცია და არჩევნები? „თვითმმართველობისტებმა“ მითხრეს, ეს ფული მთლიანად არ იხარჯება დანიშნულებისამებრ, ლექტორებსაც არ უხდიან ხელფასებსო. დალოცვილებო, თუ რამეზე ეჭვი გაქვთ, ეს უკვე სისხლის სამართლის დანაშაულია და ამას „შესაბამისი ორგანოები“ უნდა იძიებდნენ.

ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ უნივერსიტეტი უნივერსიტეტად დარჩეს — ცოდნის იმ თეთრ ტაძრად, სადაც თაობები ქუდმოხდილნი შედიოდნენ არა მხოლოდ სასწავლებლად, არამედ განსაწმენდადაც.

ისიც ვიცით, რომ ბევრი რამ (თუ არა თითქმის ყველაფერი) შესაცვლელი, უფრო სწორად — აღსადგენია. მაგრამ ეს უნივერსიტეტის სიყვარულით უნდა კეთდებოდეს და არა „სწავლის ძირის გატკბილების“ მოთხოვნით.

P.S. თანხების „დანიშნულებისამებრ გამოყენებას“ რაც შეეხება: დარწმუნებულნი ვართ, 30 ათასიან უცხოურ გრანტს „სტუდენტური თვითმმართველობის“ ახალგაზრდა მესვეურები მართლაც ასე გამოიყენებენ. მაგრამ უბედურება ის არის, თუ ეს „დანიშნულება“ საფუძველშივე ეწინააღმდეგება ჩვენი უნივერსიტეტის ინტერესებს.

„ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს!“ — სამწუხაროდ!

**ზვიად გურული**

# იმ ადგილას, სადაც აბო თბილელი აწამეს...

ძველ თბილისში, აბანოთუბანში მიმდინარე არქეოლოგიურმა გათხრებმა 40 სებასტიელ მოწამეთა სახელობის მცირე ეკლესიის გამოსავლინებლად, ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. უძველეს ეკლესიასთან ერთად ამ ადგილზე თავის დროზე მრავალი მნიშვნელოვანი ძეგლი ყოფილა, კერძოდ, ვახტანგ გორგასლის დროინდელი გალავნის ნაწილი, რომელიც ნარიყალიდან მტკვარზე ჩადიოდა და კეტავდა თბილისს. ეს ადგილი დედაქალაქის ცენტრი იყო და ცხადია, მტერი მიწასთან ასწორებდა. ნანგრევებზე შემდეგ სხვა შენდებოდა. ერთი შეხედვით ჭირს გარჩევა, სად მთავრდება ტაძრის კვალი და იწყება სამღებროს ან რომელიმე საამქროსი. აქვეა სამარხებისა და ჭების ნაშთებიც, თავშესაფრები, რომელთა ერთი ტოტი ლელვთახევისკენ მიდის, მეორე — დასავლეთისკენ.

ამ მცირე მონაკვეთზე 11 კულტურული ფენაა გამოვლენილი. ერთსა და იმავე ადგილას ჩნდება საეკლესიო ნივთები, საერო დანიშნულების საგნები — უმშვენიერესი თბილისური მინისა და კერამიკის ჭურჭელი, ჩიბუხები, სხვადასხვა საუკუნის მონეტები...

40 სებასტიელ მოწამეთა ეკლესია აშენებული უნდა იყოს VII ს-ის I ნახევარში, ჰერაკლე კეისრის დროს, როდესაც ბიზანტიაში მიმდინარეობდა ბრძოლა მონოფიზიტურ და დიოფიზიტურ სწავლებებს შორის. ტაძრის აგება ამ უკანასკნელის პრიორიტეტის ნიშნად გადაწყდა. იოანე საბანისძე გადმოგვცემს, რომ წმ. აბო თბილელს სწორედ აქ მოჰკვეთეს თავი...

მცირე ხნის წინ სომხურმა დიასპორამ ამ წმინდა ადგილის ხელში ჩაგდება მოინდომა, რადგან XIX ს-ის II ნახევარში ქართველებისგან უყურადღებოდ მიტოვებულ ტერიტორიაზე გრიგორიანული ეკლესია აუგიათ (დღეს ამ ძეგლის ნანგრევებიღაა შემორჩენილი). ადგილის ეგზოტიკურობის გამო გარკვეული წრეები რესტორნის თუ სასტუმროს აშენებასაც აპირებდნენ, მაგრამ საქართველოს საპატრიარქოს და არქეოლოგთა ჯგუფის მცდელობით ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდა. გათხრები თავდაპირველად დააფინანსა დეკანოზების — ბესარიონისა (მენაბდე) და ზურაბის (ანთაძის) მრევლმა. დღესდღეობით ამ საქმეს დიდ დახმარებას უწევს სააქციო საზოგადოება „ქართული შაქრის“ პრეზიდენტი გოჩა ძასუხოვი.

სულ მალე ამ ადგილას ახალი ორსართულიანი ტაძარი აიგება. პირველ სართულზე იქნება რესტავრირებული ისტორიული ნაწილი, მეორეზე — 40 სებასტიელ მოწამეთა სახელობის ეკლესია.

**ანა ჩხეიძე**

პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებულმა სტრუქტურულმა ინიციატივამ თვით მისი გუნდიც სახტად დატოვა. მინისტრთა კაბინეტის შექმნას მმართველი პარტია შარშან სიამოვნებით ემხრობოდა, მაგრამ ფაქტის წინაშე აღმოჩენამ მაინც დააბნია. ქვეყანაში კრიზისია, კრიზისია პოლიტიკაშიც და ხელისუფლების ზედა ეშელონებშიც. ამ კრიზისის შესანიღბად „ხანდაზმული პრეზიდენტი“ მოულოდნელ მანევრს აკეთებს და ამით ფაქტობრივად, მავანთ იმასაც ანიშნებს, რომ მის ხანდაზმულობაზე ლაპარაკი ნაადრევია. იმასაც ამბობენ, შევარდნაძეს ოპოზიციაზე მეტად „საკუთარი გუნდისა“ ეშინია და ამიტომაც მიუსაჯა მას ბეწვის ხიდზე გავლაო. პრეზიდენტს ალბათ ვახტანგ რჩეულიშვილის კალამბურიც ენიშნა, — შენივე გუნდის წევრები დაგიჭერენო.

რას აკეთებს ამ დროს ოპოზიცია? მინისტრთა კაბინეტის იდეა ტრადიციონალისტების ლიდერის საავტორო უფლებაა. შარშან სწორედ ტრადიციონალისტებმა შეძლეს პარლამენტის მნიშვნელოვანი ნაწილის მოხიბვლა ქართული პოლიტიკისათვის უკვე მივიწყებული სიახლით (მოგეხსენებათ, ახალი კარგად მივიწყებული ძველია!) — მინისტრთა კაბინეტით. დღეს აკაკი ასათიანი კმაყოფილია და არც ისე მრუმე მომავალს ჭვრეტს — არ ვიცი, გაამართლებს თუ არა მინისტრთა კაბინეტი, მაგრამ სტრუქტურას რომ გააძლიერებს, ფაქტიაო. ასათიანი არც ამჯერად ამბობს უარს წინასწარმეტყველებაზე და მმართველი პარტიისთვის სავალალო პროგნოზს აკეთებს: ახალი მინისტრთა კაბინეტი და ამჟამინდელი პარლამენტი დათხოვნილი იქნებაო.

კულუარებში ვერსიები უკვე მუშავდება, თუმც ხმამაღლა ლაპარაკს ჯერჯერობით ყველა ერიდება. „კვირის პალიტრა“ სამთავრობო წრეებთან მჭიდროდ დაკავშირებულ ინკოგნიტო რესპონდენტს ესაუბრა, რომელმაც ვფიქრობთ, მეტად საინტერესო მინიშნებები და პროგნოზები გააკეთა, — ზოგს პრეზიდენტისა და მისი გუნდის დაპირისპირების ამბავი ხალხისთვის მიჩეჩებული სატყუარა ეგონა, — ასე დაიწყო საუბარი ინტერვიუერმა, — სინამდვილეში ეს არც სანახაობა ყოფილა და არც ფუჭი ხმაური. კონფრონტაცია მართლაც არსებობს. ამ ახალგაზრდებს სერიოზული ამბიციები აქვთ და ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთვისაც შეუპოვრად იბრძვიან, რამაც შევარდნაძე საგონებელში ჩააგდო. მას ჯერჯერობით არც ხელისუფლების დათმობა სურს და არც თანამდებობის. ამისთვის გააკეთა ეს მარჯვე სვლა — მინისტრთა კაბინეტის იდეა მაშინ გააჟღერა, როდესაც საამისოდ მზად არც ჟვანია იყო და არც ძმანი მისნი.

მთავრობას საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პარტია დააკომპლექტებს. პრემიერ-მინისტრის პოსტი ზურაბ ჟვანიას აქვს გარანტირებული და ეს თანამდებობა პარლამენტის თავმჯდომარისთვის შეიძლება დამოკლეს მახვილადაც იქცეს! საშიშროებას თვითონ ჟვანიაც კარგად ხედავს, მაგრამ ის იძულებული იქნება, პრეზიდენტის ნებას დაჰყვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პასუხისმგებლობისაგან თავის არიდებას დააბრალებენ. ალბათ ამ სიტუაციის წინასწარ განჭვრეტამ და ახალი მთავრობის მოსალოდნელმა ფიასკომ ათქმევინა კობა დავითაშვილს — პრეზიდენტმა ამ ცვლილებით, ფაქტობრივად, ჟვანია განირაო. მართლა განირავს პრეზიდენტი „ზურაბს, რომელიც შვილივით უყვარს?..“ დასაშვებია, შევარდნაძეს ჟვანია მართლაც უყვარდეს, მაგრამ არა საკუთარ თავზე მეტად — პრეზიდენტი „პოლიტიკურად გაზრდილ“ ჟვანიას ველარ ენდობა და სავარაუდოა, რომ არც „ხეზე ასვლა“ ასწავლოს.

პოლიტიკურ კულუარებში „მოდელების“ დიდი არჩევანი ნამდვილად არა აქვთ. ამ შემთხვევაში რხევის ტრაექტორია მხოლოდ რუსულ-ფრანგულ მოდელთა შორის მერყეობს. რუსული მოდელის ვარიანტით მინისტრთა კაბინეტს პრეზიდენტი აკომპლექტებს, ფრანგული ვარიანტით კი — ეს საქმე პრემიერის ხელდასხმით მოხდება.

დღეს პარლამენტში ხმამაღლა და არცთუ მშვიდად საუბრობენ იმაზე, თუ ვისი პრეროგატივით დაინიშნებიან ძალოვანი მინისტრები. ბუნებრივია, პრეზიდენტს ძალიანაც ენდომება ახალი ძალოვნების გამინისტრება თავის აქტივში ჩაიწეროს, მაგრამ, იგი იძულებული იქნება, ეს უფლება რეფორმატორ-თანაგუნდელებს დაუტოვოს. ახალი პრემიერი და პრეზიდენტი ანუ შევარდნაძე და ჟვანია მოლაპარაკების შემდეგ ერთად განალაგებენ ფიგურებს საჭადრაკო დაფაზე.

პრეზიდენტი უშიშროების შეფის თანამდებობაზე დატოვებას შეეცდება. ქუთათელაძემ მისი გული რამდენიმე წლის წინ, ჯერ კიდევ დაცვის უფროსობის დროს მოიგო. უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელს შევარდნაძე ენდობა. მინისტრი ზომიერი და გაწონასწორებული ადამიანია, ემოციებს მარჯვედ უმკლავდება, რეფორმატორებთან და კონსერვატორებთანაც ნორმალურად ააწყო ურთიერთობები და ისიც მოახერხა, ძალოვანთა შორის ყველაზე ნაკლებად გალანძღულიყო. ქუთათელაძის კანდიდატურა ალბათ ის ბედნიერი გამონაკლისი იქნება, როცა პრეზიდენტი და მისი გუნდი ერთ პოზიციაზე იდგებიან. შინაგან საქმეთა მინისტრს კი, ალბათ უკვე ველარაფერი უშველის. რეფორმატორები მას მინისტრთა კაბინეტისკენ სავალ გზებს ყველანაირად მოუჭრიან. შს მინისტრის თანამდებობას, რომელიც არჩევნების კოზირს ფლობს, ახალგაზრდა „მოქალაქეები“ არ დათმობენ. თარგამაძის წინააღმდეგ კარგად ამუშავებენ პოლიციაში არსებულ ყბადაღებულ კორუფციას და დასავლეთში თარგამაძის არცთუ კარგ იმიჯს. შინაგან საქმეთა მინისტრს კიდევ ერთი მიზეზით არ გააკარებენ ახალ მთავრობას — ეშმაკი თარგამაძე მთელ მინისტრთა კაბინეტს თავის ჭკუაზე ათამაშებს, რაც ნამდვილად არ შედის მმართველი პარტიის ინტერესში. ამ შემთხვევაში შევარდნაძე იძულებული იქნება თარგამაძის სახით მსხვერპლი გაიღოს. სავარაუდოა, რომ თარგამაძის ადგილს მეფარიშვილის მსგავსი პიროვნება დაიკავებს, რომელიც უფრო ნეიტრალური იქნება. ამბობდნენ, შინაგან საქმეთა მინისტრობისთვის გია ბარამიძეს ამზადებენო, მაგრამ ბოლო ინფორმაციით, სავარაუდოა, მას თავდაცვის მინისტრის პოსტიც შესთავაზონ. თევზაძეს ამერიკული მხარდაჭერა ალბათ ვერ იხსნის. მოქალაქეებს თავდაცვის მინისტრის სავარძელიც თავისთვის უნდათ, შესაფერისი კანდიდატურაც ჰყავთ და ასეთ შანსს ხელიდან არ გაუშვებენ. მით უმეტეს, რომ ბარამიძეც „მისისიპდალეულია“ და ნატოში მიღებული კაცია. გაშვებული თავდაცვის მინისტრი თავისი ერთი წინამორბედი კოლეგისგან განსხვავებით, პრობლემებს არ შექმნის. თევზაძე ალბათ ისევე მდუმარედ წავა, როგორც მოვიდა. რაც შეეხება იუსტიციის მინისტრს, სააკაშვილი თანამდებობას შეინარჩუნებს, თუმც თვით სამინისტროში მოხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები... (ამაზე ცოტა მოგვიანებით).

ეკონომიკური ბლოკიდან, სავარაუდოა, ჩხარტიშვილი გაიწიროს. ამის თქმის საფუძველს ეკონომიკის მინისტრის ბოლოდროინდელ ფინანსურ სკანდალებში გარევაც იძლევა. მისი მენტალიტეტი და რეფორმატორების ხედვა იმდენად განსხვავდება ერთმანეთისგან, რომ გამორიცხულია, მათ ერთად იარსებონ.

რადგან მინისტრთა კაბინეტი ძირითადად ახალგაზრდა რეფორმატორებითა და მათი თანამოაზრეებით დაკომპლექტდება, პარალელურად პარლამენტში შესუსტდება მოქალაქეთა კავშირის პოზიციები. ძალაშერყეულ პარლამენტს კი სათავეში ალბათ ნიკო ლეკიშვილი ჩაუდგება, ლოიალური პიროვნება, რომელიც პრობლემებს ნაკლებად შეუქმნის პრეზიდენტსა და პრემიერს.

# სცენარის ავტორი და რეჟისორი ბატონი ედუარდ შევარდნაძე...



სტრუქტურული ცვლილებები მთავრობაში — ინკოგნიტო რესპონდენტის საინტერესო პროგნოზები

სავარაუდოა, რომ ერთი სახელმწიფო მინისტრის ნაცვლად, ამჯერად სამი მოგვევლინოს. ჯერ ვერ აკონკრეტებენ, რა თანამდებობას შესთავაზებენ გია არსენიშვილს, მაგრამ ფაქტია, მას კახეთში მედეა მეზვრიშვილთან დასაბრუნებლად ველარ გაიმეტებენ. უპრეტენზიო სახელმწიფო მინისტრი კეთილგანწყობასაც იწვევს და თან არც მისი ინტელექტია ხელწამოსაკრავი. ერთ-ერთი სახელმწიფო მინისტრი აჭარიდან იქნება. შესაძლოა ამ რეგიონისთვის ერთი ვიცე-პრემიერის ადგილიც გაიმეტონ. აჭარის ლიდერის ამბიციების დასაკმაყოფილებლად.

სტრუქტურული ცვლილებებისაგან სიახლეს ოპოზიციაც ელის, მაგრამ მას ოცნების კოშკების აგება ნამდვილად არ წაადგება. მისი ამბიცია უფრო ზომიერი უნდა იყოს. მათთვის შესაძლოა მხოლოდ მინისტრთა მოადგილეების თანამდებობები გაიმეტონ, — ამბობს ჩვენი ინფორმატორი.

აგრეთვე, მოსალოდნელია, რომ მინისტრთა კაბინეტის შეცვლას იმერეთის გუბერნატორის თანამდებობიდან წასვლა მოჰყვეს. პრეზიდენტს არ სჩვევია ძლიერი და არაპროგნოზირებადი ადამიანების მტრად მოკიდება. შაშიაშვილი კი ის კაცია, რომელიც პატარა წყენასაც არ ივიწყებს და პასუხის გაცემასაც საქმით თუ არა, სიტყვით მაინც ახერხებს. შევარდნაძე შაშიაშვილის განაწყენებას მოერიდება და ეცდება, ეს ეკლიანი ვარდი სხვისი ანუ პრემიერის ხელით მოკრიფოს.

რაც შეეხება იუსტიციის სამინისტროში მოსალოდნელ ცვლილებებს, ალბათ რამდენიმე დღეში სამინისტროს განსაკუთრებულ საქმეთა განყოფილებას ექსპრეზიდენტის დაცვის ყოფილი უფროსი კობა შარვაძე ჩაუდგება სათავეში. სააკაშვილი თავის ამერიკულ განათლებასაც აფასებს და სხვისასაც. გამსახურდიას დაცვის ყოფილი უფროსი კი ამერიკაში სტაჟირებაგავლილია. ჩვენი რესპონდენტის თქმით, თვე-ნახევარში სასჯელთაღსრულების დეპარტამენტსაც ახალი შეფი ეყოლება. მართალია, მსხვილიძე სააკაშვილის დანიშნულია, მაგრამ როგორც ამბობენ, იუსტიციის მინისტრი მას ბოლომდე ვერ ენდობა (თარგამაძის კაცად თვლის). ციხიდან გახშირებული გაქცევები დეპარტამენტის უფროსის წისქვილზე რომ არ ასხამს წყალს, ფაქტია და თანაც, როგორც ამბობენ, მსხვილიძეს ალღო და ტაქტიც ღალატობს. ვერ ხვდება, რომ უმეტეს შემთხვევაში, ფიზიკური წონა პოლიტიკური წონის ადეკვატური არ არის. მის საქმეს არც ნოღაიდელთან გართულებული ურთიერთობები წაადგება. ბაღდათის ყოფილი მაჟორიტარი ამას წინათ ფინანსთა მინისტრს დაემუქრა, — დაგიჭერო. საპასუხოდ ნოღაიდელმა სამსახურში მისი ყოფნის ვადა (უფრო სწორად კი ბოლო დღე) იწინასწარმეტყველა — 17 აპრილი. მართალია, ფინანსთა მინისტრი თვლაში ცოტა შეცდა, მაგრამ მისთვის უფრო დიდი შეცდომებიც უპატიებიათ.

ჩვენი რესპონდენტის თქმით, ვარაუდობენ თბილისის პოლიციის შეფის შეცვლასაც. ალავიძის და ნუგზარ შევარდნაძის სიამტკბილობა უკვე დასრულდა. პოლიციის შეფი ავთო (ჭუტა) წერეთელს „შეკრა“, რის გამოც თანამდებობიდან წასვლა მოუწევს.

რაგინდ უცნაურადაც არ უნდა ჩანდეს, პროგნოზი კეთდება მომავალი მინისტრთა კაბინეტის მუშაობაზეც. ის, პირველ ყოვლისა, ოლიგარქებს (დღეს უკვე მოდური სიტყვა გახდა) დაარტყამს. უპირველესად კი პრეზიდენტის საახლობლოს. შევარდნაძე ალბათ ყველაზე „შორებელს“ — ვანო ჩხარტიშვილს შეელევა.

მაგრამ უფრო საინტერესო ფინალია. ჩვენი ინკოგნიტო რესპონდენტის თქმით, ახალი მინისტრთა კაბინეტის ბედი, ზამთარში ქვეყანაში შექმნილი მძიმე ვითარების გამო, ექვს თვეში ფატალურად დასრულდება — სავარაუდოდ, მას პრეზიდენტი დაითხოვს...

რა იქნება შემდგომ?!

პროგნოზი სამომავლოდ გადავდოთ, თუმც, რალაცის წინასწარი განჭვრეტა ახლაც შეიძლება. მინისტრთა კაბინეტის დათხოვნის შემდეგ, მთავრობაში ისევ მობრუნებას მიხეილ სააკაშვილს უწინასწარმეტყველებენ, — იუსტიციის მინისტრს ხმას ოპოზიციაც კი მისცემსო.

P.S. პოლიტიკურ ავანსცენაზე როლები მალე განაწილდება. ამ შემთხვევაში ყველაზე მომგებიან პოზიციაში ბატონი ედუარდი (სურმანიძეში არ აგერიოთ) რჩება, რომელიც ამჯერად სცენარის ავტორიცაა და რეჟისორიც.

*იზო რაკაძე*

# „ჩემ უკან ჟვანია დგას... და ზეზიაჩემი კიდევ“

გასულ კვირას „მხედრიონის“ ლიდერმა ჯაბა იოსელიანმა კატეგორიულად დააფიქსირა, რომ გვერდში დაუდგება პარტიზანულ მოძრაობას, სადაც არ უნდა იყოს, როგორც არ უნდა იყოს. როგორ, რა გზებით, რა საშუალებებით — ამაზე „მხედრიონის“ ლიდერი გარკვეულ მინიშნებებს აკეთებს. თუმცა არც იმას მალავს, რომ პარტიზანი არ არის ის ძალა, რომელიც ქართველ ერს აფხაზეთს დაუბრუნებს.



რატომ არის დღეს ამ მიმართებით ასე კატეგორიული ჯაბა იოსელიანი და არ იყო „გუშინ“, როცა იმავ „ტყის ძმების“ მეთაური დათო შენგელია ციხეში იჯდა. ჯაბა იოსელიანი ჯერჯერობით თავის თავს არ ააშკარავებს, მაგრამ არც ფარავს, რომ დროა პარტიზანების „ბიზნესს“ შეღავათები დაუწესდეს.

იგი არ ეთანხმება სტრუქტურულ ცვლილებებს და მას ქვეყანაში დიქტატურის ოფიციალურ გაფორმებად აფასებს. „ძველ ტიკებში ახალი ღვინო არ ჩაისხმება“, — ირონიულად შენიშნავს ჯაბა და თვლის, რომ „ჩვენ უკვე უფსკრულში გადაჩეხილები ვართ და გვგონია, რომ წინ მივდივართ“.

*— ბატონო ჯაბა, გასულ კვირას თქვენ განაცხადეთ, რომ დათო შენგელიას გვერდში დაუდგებით და არავის დააჩაგვრინებთ. რატომ გააკეთეთ ეს განცხადება მაინცდამაინც ახლა და არა მაშინ, როცა ის დაპატიმრებული იყო?*

— მაშინაც გავაკეთე, მაგრამ თუ ასეთი კატეგორიული არ იყო, იმიტომ, რომ მას აბრალებდნენ სისხლის სამართლის დანაშაულს. ხოდა, სანამდე არ გაირკვეოდა, რა ვიცი, იქნებ მართლა რაღაცა იყო, რა ვიცი, ხალხი ვართ, შეიძლება ხვალ მე ვიღაცამ თავში ჩამარტყას რაღაცა, ყველაფერი ხდება ამ ცხოვრებაში... ახლა კი იმიტომ ვიყავი ასეთი კატეგორიული, რომ ხელისუფლება, ხალხი და ერი, რომელიც თავის მებრძოლს არ აფასებს, ის არც ერია, არც ხელისუფლება და არც არავინ არ არის. ამაშია საქმე... დათო შენგელიას რაღაცებს რომ აბრალებენ, მიხედონ იმას, ჩინეთის კედლები რომ აქვთ აშენებული. ეს თავის სიცოცხლეს სწირავს, ხუთჯერ დაჭრილია და ათასი უბედურება აქვს გადატანილი... გაუკვირდათ, იცით, ისა, „ჯიპით“ დადისო, პარტიზანი. აბა, პარტიზანი ვირით ხომ არ ივლის, ან ჯორით. აქ რომ მინისტრები დადიან „ჯიპით“, აი ის მაინტერესებს... ფინანსთა მინისტრი რომ დადიოდა „ჯიპით“, 72 ათასი დოლარი რომ ღირდა ჭკუასელის ჯიპი, შევარდნაძემ მხრები აიჩეჩა: აბა, რაო ველოსიპედით ხომ არ ივლის, მინისტრიაო... იცით, რამდენია 72 ათასი დოლარი?! 7 ათასი პენსიონერის ფულია. იმ ლანირაკს ფინანსთა სამინისტროდან კანცელარიამდე რომ მისულიყო, „ჯიპი“ უნდოდა და დათო შენგელიას არ უნდა — ტყე-ღრეში რომ დადის?! არავისი საქმე არ არის, მით უფრო, რომ შენგელიას ჯიპი ბიუჯეტის ფულით არ არის ნაყიდი.

*— აბა საიდან, კონტრაბანდით არის ბატონო ჯაბა ნაყიდი?*

— რასაც ის აკეთებს, მას ვიღაც-ვიღაცები გვერდში უდგანან. ისე არ არის, თქვენ რომ გგონიათ, ვიღაცებს რომ არ ახდევინებენ გადასახადს და კონტრაბანდა რომ შემოდის. საირმის ქუჩაზე რომ ხუჭავენ თვალს, შენგელია გამოჩნდა?! რა გაუკეთებიათ იმათ ქართველი ერისათვის?! ეს კაცი თავს დებს, სიცოცხლეს დებს. გესმით, თქვენ?!

*— ბატონო ჯაბა, როგორ ფიქრობთ, გამართლებულია, რომ კონტრაბანდული ფულით ვებრძოლოთ აფხაზებს?*

— კონტრაბანდა არ იქნება, შენ თუ გაათავისუფლებ გადასახადიდან. თუკი აქ რომელიღაცა ორგანიზაციები თავისუფლდება გადასახადებისაგან, რატომ ის არ უნდა გავათავისუფლოთ, ვინც ერის საქმეს აკეთებს?! ერის საქმეს როცა აკეთებ, ყველაფერი გამართლებულია. მაგრამ არ უნდათ და რატომ, იცით? იმიტომ, რომ თვითონ არიან იქ წილებში და არ უნდათ, კანონით იყოს ყველაფერი.

*— გამომდინარე იქიდან, რომ შემთხვევით არაფერს ამბობთ, იქნებ გაგვიმხილოთ, კონკრეტულად რას გულისხმობთ გვერდში დადგომაში?*

— რას ვგულისხმობ და, ვიღაც ჩინოვნიკ-მექრთამეებს. კარიერისტებს და სამშობლოს გამყიდველებს პარტიზანულ მოძრაობას არ დავაჩაგვრინებ და სახელს არ გავატეხინებ. აი, ამას, დიახ!

*— ბატონო ჯაბა, გვერდში დადგომაში ცოცხალი ძალით დახმარებაც ხომ არ გაქვთ ჩაფიქრებული?*

— პარტიზანების 80% „მხედრიონელია“, მეტს ვერაფერს გეტყვით.

*— როგორ ფიქრობთ, რამდენად ძლიერი ძალაა დღეისათვის?*

— პარტიზანის სიძლიერე მის თავდადებაში გამოიხატება. პარტიზანს მეტი არაფერი გააჩნია. მას აქვს გაბედულება, გადაწყვეტილების მიღების ნიჭი და თავის განირვა. ტანკი იმას არ აქვს და კიდევ... ხო... ჯიპი, რომ აუფეთქეს, რატომ მაშინ არ თქვეს არაფერი?!

*— მიცვალებულთა გადმოსვენებისა თუ ტყვეების გაცვლის ხელის შეშლაში სახელმწიფო კომისია დათო შენგელიას ადანაშაულებს, დათო შენგელია — სახელმწიფო კომისიას. როგორ ფიქრობთ, სახელმწიფო კომისია არ არის დაინტერესებული, რომ ეს ოპერაცია ნორმალურად ჩატარდეს?*

— სახელმწიფო კომისიას არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს პარტიზანებთან. პარტიზანმა თავისი საქმე უნდა გააკეთოს, სახელმწიფო კომისიამ — თავისი. ამ ბრალდებებს იწვევს ის, როცა საქმე ვერ კეთდება და განტევების ვაცს ეძებენ.

*— ბოლო ხანს გალში მოვლენები ისევ უკიდურესად დაიძაბა. ხომ არ ფიქრობთ, რომ შესაძლოა 1998 წლის გალის მოვლენები განმეორდეს, ან ახალ შეიარაღებულ კონფლიქტს გამორიცხავთ?*

— 1998 წელს მთავრობამ პარტიზანებიც მოატყუა და ყველა. თვითონ წამოიწყო და მერე განზე გადგა. ამ ამბავს ხელმძღვანელობდა შსს. გაცემული იყო მილიონები ამ ოპერაციისათვის. წააქეზეს პარტიზანები. მიდით! — აქეთ, იქით. შეკრებები და რა ვიცი, ყველაფერი იყო. საქმე საქმეზე რომ მიდგა, ჯარი არ შეიყვანეს... დღეს ეს აღარ განმეორდება. იმიტომ, რომ სახელმწიფო აცხადებს თავის პოზიციას, დამნაშავეები არიან პარტიზანებიც და დამნაშავეა აფხაზთა მხარეცო.

*(გაგრძელება იხ. გვ. 8)*

ცეკავშირისა და მისი ამჟამინდელი თავმჯდომარის გამო ატეხილი ხმაური მალე სასამართლო დარბაზში გადაინაცვლებს. გოგი ქათამაძე „60 წუთის" ავტორს უჩივის...

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ქათამაძეს ცეკავშირის აპარატის თანამშრომლები და მეპაიეები დაუპირისპირდნენ. ისინი თავმჯდომარეს ცეკავშირის ქონების განიავებაში, უკანონოდ გასხვისებასა და „კარგ მადაში" (დიდი ფულის შეჭმაში) ადანაშაულებენ. ამ დაპირისპირების საფუძველი გასაგებია და მასში თითქოს უცნაურიც არაფერია, მაგრამ მოულოდნელი იყო ამ საქმეში პარლამენტარის, ქათამაძის პარტიული კოლეგის, მოქკავშირის თავმჯდომარის მოადგილის გია ბარამიძის ჩარევა, რომელმაც ცეკავშირის შეფს წინ დაუდო რამდენიმე, არცთუ სასიამოვნო ფაქტი.

ცეკავშირის ამჟამინდელი სავალალო მდგომარეობის დასტურად ქათამაძის ოპონენტებს ერთი შედარება მოჰყავთ — რა იყო ეს სისტემა წარსულში და რად აქცია იგი ქათამაძემ.

# საკუთარი შენობის პირველ სართულზე სუპერმარკეტი ვერ უნდა გავაკეთო?..

## სხედან ბიუჯეტის ფულებით ნაყიდ „კრაისლერებში" და გამარჯობასაც არ კადრულობენ...



არადა ცეკავშირი ადრე მართლაც მდიდარი ყოფილა.

***კიტა შავიშვილი,*** საქართველოს სამომხმარებლო კორპორაციის ხელმძღვანელი, 1973-1989 წლებში: „ცეკავშირს 16 წელი ვხელმძღვანელობდი. ამ სისტემას ხშირად უწოდებდნენ სახელმწიფოს სახელმწიფოში. იგი მოსახლეობის 53%-ს უწევდა სავაჭრო-კვებით მომსახურებას. ჩვენი სისტემის წლიური საქონელბრუნვა 2 მილიარდ მანეთს (დაახლოებით მილიარდ ორასი ათასი დოლარი. დღეს კი წლიური ბრუნვა, ცეკავშირის ხელმძღვანელობის მონაცემებით, 10 მლნ ლარს შეადგენს(!)) აღემატებოდა. ჩემი მუშაობის ბოლოს, 1989 წლის 1 იანვრისთვის 10 ათასამდე მაღაზია და 4.600 საზკვების საწარმო გვქონდა. მათ შორის 1.100 პურის ქარხანა და საცხობი. ყოველწლიურად 300 მლნ მანეთამდე ღირებულების საქონელს ვაწარმოებდით და დაახლოებით 30 მილიონი მანეთის პროდუქცია საზღვარგარეთ გაგვქონდა.

მოსახლეობისაგან ნამატი პროდუქციის შესყიდვის გარდა, კორპორაცია დამამზადებელ წარმოებასაც ეწეოდა. გვქონდა ფერმები, საკონსერვო ქარხნები, ბაზები, სამშენებლო და სატრანსპორტო კოოპორგანიზაციები, დასასვენებელი სახლები, პანსიონატები, სასტუმროები და პიონერთა ბანაკები".

კიტა შავიშვილის შემდეგ ცეკავშირის თავმჯდომარედ რესან კონცელიძე მოვიდა და ამ თანამდებობაზე 4 წელი დარჩა. როგორც ამბობენ, 1991 წელი ცეკავშირისთვის პიკი იყო, ამის შემდგომ დაღმასვლა დაიწყო. 1993 წელს ცეკავშირს ახალი შეფი მოევლინა — „მხედრიონელი" ნუგზარ ჟღენტი...

ამ დროს უკვე კრიზისია დაწყებული.

***ნაირა ხუციშვილი,*** დოცენტი, ცეკავშირის რეფორმების სამმართველოს უფროსი:

— ჟღენტის დროს რამდენიმე ობიექტი გასხვისდა, მაგრამ მაშინდელი თავმჯდომარე მეპაიეთა ინტერესებს ასე თუ ისე ითვალისწინებდა. 1996 წელს გოგი ქათამაძე მოვიდა, რომელმაც შეცვალა ნორმატიული დოკუმენტები და ქონების გასხვისების წესები. ადრე გასხვისებული ობიექტების დადგენილებები ანუ ძველი ნასყიდობები გააუქმა და უმალვე დაიწყო ამ ქონების ხელმეორედ გაყიდვა, თანაც გაცილებით იაფად.

***— ცეკავშირის ინტერესში არ უნდა ყოფილიყო ძვირად გაყიდული ობიექტის ხელმეორედ, უფრო იაფად გაყიდვა.***

— საქმეც ეგ არის. რა ინტერესი ჰქონდა ქათამაძეს, რომ ობიექტის გასაყიდი ღირებულება შეემცირებინა? მაღაზია „შალომი" ჟღენტის დროს, თუ არ ვცდები, 50 ათას ლარად გაიყიდა. ქათამაძემ გააუქმა ნასყიდობა და „შალომი" ხელმეორედ 25 ათას ლარად გაყიდა. ვერ დავამტკიცებ, მაგრამ ალბათ გარიგება მოხდა. სხვაობა თავად ქათამაძემ ჩაიდო ჯიბეში. ღირებული ობიექტები გასხვისებულია. რაიკოოპერატივების თავმჯდომარეები ობიექტის ბედს ადგილზე წყვეტდნენ, აქ კი გადაწყვეტილების დამტკიცება ხდებოდა, ანუ იქაური და აქაური თავმჯდომარეები შეთანხმებულად მოქმედებდნენ და ასხვისებდნენ ცეკავშირის ქონებას. ნახევარ მილიარდამდე ქონებას ვფლობდით, დღეს კი 1656 ობიექტი ჩალის ფასადაა გაყიდული. ამას დაემატა ადმინისტრაციული შენობის ორი სართულის დაკარგვაც — VI-VII სართულებს უკვე პოლიცია იცავს. როგორც გავიგეთ, ეროვნული ბანკი კიდევ არიცხავს ცეკავშირს თანხებს ვალებად. რაღაც 1 მლნ 200 ათასი დოლარი გვმართებია და საუბარია IV-V სართულების დაკარგვაზეც. ჩვენ შევთავაზეთ ქათამაძეს ამ სართულების გამოსყიდვის გეგმა, მაგრამ არ მოინდომა. ჩანს, რომ აქაც ბინძური გარიგებაა, ვიღაც დაინტერესებულია ჩვენი შენობის ხელში ჩაგდებით და ქათამაძეც ხელს უწყობს. უფრო მეტიც — ეს ჯგუფი მისი მითითებით მოქმედებს.

ბუნებრივია, ასეთი ბრალდებების შემდეგ ადრესატს — ***გოგი ქათამაძეს*** მივაკითხეთ:

— რაიკავშირებთან და მეპაიეებთან პრობლემა არ მაქვს. აპარატის 4 თანამშრომელი და 8 წლის წინ პენსიაზე გაშვებული რამდენიმე ადამიანი მიპირისპირდება. რა ქონებას მედავებიან? სამოქალაქო ომის დროს ყველაფერი გაიქურდა და განადგურდა, როცა მოვედი, ერთ ბაზაზეც არ დამხვედრია ქონების ნაშთი, უნივერმაღების კედლებიღა იყო დარჩენილი. ჩემს მოსვლამდე აქ მუშაობდა კომისია, რომლის პასუხისმგებელი მდივანი სწორედ ნაირა ხუციშვილი იყო. ეს არალეგიტიმური კომისია ყიდდა ობიექტებს მეპაიეთა კრების გადაწყვეტილების გარეშე. აქ ადგილზე იყიდებოდა ქონება, მერე ჩადიოდნენ რაიონში და უცხადებდნენ, — თქვენი უნივერმაღი ვიყიდეთო, რომ გაიძახიან, ქათამაძემ გაყიდა ყველაფერიო... ამ ფაქტებში უნდა ვეძებოთ დაინტერესება და არა ჩემთან.

***— გაყიდული ობიექტები ხელმეორედ თანაც გაცილებით იაფად რატომ გაყიდეთ?***

— ეს ცილისწამებაა... ობიექტი იმდენი ღირს, რამდენადაც იყიდება. ზოგი ობიექტიდან დღეს საძირკველიღაა დარჩენილი და ბუღალტერიაში ძველ საბალანსო ღირებულებაშია გატარებული. გაიყიდება საძირკველი მოქმედი ობიექტის ფასად?

***— მაგრამ „შალომი" უკვე გაყიდული იყო და ხელმეორედ უფრო იაფად გაყიდეთ.***

— ... ?!

***— თავის დროზე ცეკავშირს ბევრი გადამამუშავებელი საწარმო ჰქონდა. არ გიფიქრიათ, ადგილობრივი წარმოება გაგევითარებინათ?***

— ადგილობრივი წარმოება იგნორირებულია საგადასახადო პოლიტიკის გამო. ყველაფერი იმისათვის კეთდება, რომ იმპორტი შემოვიდეს. თანაც გამწვავებული კონტრაბანდის პირობებში უცხოურ ნაწარმს კონკურენციას ვერ გავუწევთ. ვერც ერთი წარმოების ხელმძღვანელი ვერ დამიმტკიცებს, რომ მხოლოდ თეთრი ბიზნესი აქვს და „მარცხენა" პროდუქციას არ უშვებს. ხვალვე ავამუშავებდი ჩემს საწარმოებს, მაგრამ მერე რა? უკანონო თანხა გვექნებოდა. ნებისმიერ დროს დაგვიჭერდნენ. ამ პოლიტიკით სახელმწიფოს ნებისმიერი მეწარმე ხელში უჭირავს. არ შეიძლება მოგების 87% გადასახადებზე მიდიოდეს.

***— თუ სუფთა ხართ, თქვენივე კოლეგა რატომ დაგიპირისპირდათ? გია ბარამიძემ საკმაოდ მძიმე ბრალდებები წაგიყენათ.***

— გიას პასუხი უკვე გავეცი. ძნელია ყველაფრის თქმა... გიას, ვფიქრობ, არასწორი ინფორმაცია ჰქონდა. მწყინს მისგან. არაკოლეგიალობა გამოამჟღავნა. მისი არგუმენტები არარეალურია. მოსაწონი იყო, რომ შევარდნაძის ორი მოადგილე საქართველოს ტელევიზიით ვკამათობდით, ჩემი კაბინეტის უკან ტუალეტი ღირდა თუ არა 17 ათასი ლარი?! დაერქვა მაინც და ეთქვა, — შენზე ამას ამბობენო. აგერ არ არის ბუღალტერია? 17 ათასიან ტუალეტში ოქროს უნიტაზი უნდა იდგეს. როგორ გაკადროთ და როგორ გაჩვენოთ... ჩვეულებრივი ნიჟარაა და ხელსაბანი, შხაპიც კი არ მაქვს... მერე კიდევ — ქათამაძე მანქანებს იცვლისო. რა მანქანებს? სახელმწიფოს „ვაზ-31" მემსახურება, მანქანის ტარებაც არ ვიცი. თვითონ რომ „კრაისლერებით" დადიან, ეგონათ, „ვოლვო" ან „მერსედესი" მეყოლებოდა. ბიუჯეტის ფულით ნაყიდ „კრაისლერებში" გაჯგიმულები თავად არიან და გამარჯობასაც აღარ კადრულობენ. ეგენი მასწავლიან „მერსედესში" ჩაჯდომას? მაგრამ ამ გაჭირვებულ ქვეყანაში არ შეიძლება გაპრანჭული სიარული. ზოგს თბილისში ოთხი ბინა აქვს და მაინც ხელმოკლეობაზე წუწუნებს.

***— თქვენ რამდენი ბინა გაქვთ?***

— ჯერ ავლაბარში ვცხოვრობდი, მერე საირმის ქუჩაზე მომცეს ოროთახიანი ბინა. ზოგიერთებმა საირმეზე და წყნეთში ეძებეს ჩემი სასახლე, მაგრამ ვერ იპოვეს... ამჟამად დიდუბეში ვცხოვრობ. ოთხოთახიანი „დუპლექსის" ტიპის ბინაა. როცა აქ მოვედი სამუშაოდ, ყველა თანამშრომელი მივიწვიე შინ — ოჯახი გავაცანი. იმის მერე სახლისთვის არაფერი მიმიმატებია, განსაკუთრებული არაფერი მაქვს, ჩვეულებრივი, კარგა სარემონტო ბინაა. ისე, რომც შემემატებინა რამე, ვინ შემედავებოდა? კერძო ბიზნესი მაქვს. ადრე ნავთობის შემოტანაზე ვმუშაობდი, მერე თიანეთში გავხსენი ხორცის გადამამუშავებელი საწარმო. ახლა სათამაშოების ფაბრიკაში მაქვს ფირმა.

***— ისევ ცეკავშირს დავუბრუნდეთ, ეჭვობენ, რომ შენობის ორი სართული განგებ დაუთმეთ ეროვნულ ბანკს.***

— რაზეა ლაპარაკი?.. მაგის მთქმელს უნდა მოჰკიდო ხელი და სასამართლოში წაიყვანო. რომელ დაჯგუფებაზე ლაპარაკობენ?.. ე.ი. ეროვნული ბანკის თავმჯდომარე და მისი ჯგუფი... და ამ ჯგუფში მეც ვყოფილვარ, არა? ცილისწამებაა.

***— სუპერმარკეტი შენობის პირველ სართულზე ვისია?***

— ვერ გავიგე... საკუთარი შენობის პირველ სართულზე სუპერმარკეტი ველარ უნდა გავხსნა? ეს არის იუგოსლავიისა და მოსკოვის ფირმებთან ერთობლივი საწარმო, რომელშიც 20% აქვს ცეკავშირს. როცა მოვედი, სუპერმარკეტის საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო, ჩემს დროს უბრალოდ, გაფორმდა. შენობის ეს ნაწილი დანგრეული იყო, 300 ათასი დოლარი დაჯდა მისი მოწყობა, შიგ 120 ათასის მარტო დანადგარებია.

***— ალბათ, კაზინოც თქვენია, ანუ ცეკავშირის?***

— ადრე აქ სასადილო იყო, წელიწადში 5 ათას ლარს იძლეოდა. ერთი გენახათ, რას ჰგავდა. მთელ შენობაში „ხარჩოს" სუნი იდგა. 3 წლის მანძილზე ვეძებდი ინვესტორს. როცა ქალაქში კაზინოები შემოვიდა, მეგობრებმა მთხოვეს ეს ფართი იჯარით. ახლა თვეში მიხდიან 4 ათას დოლარს. რომელი სჯობს — 5 ათასი თუ 96 ათასი ლარი.

***— მერე ეს თანხა სად მიდის?***

— აქ მოდის, ბუღალტერიაში..

***— მაშინ თანამშრომლები ძალიან კმაყოფილები უნდა გყავდეთ.***

— ერთადერთი ორგანიზაცია ვართ, რომელსაც ვალი არ აქვს. წესით აქ 40 კაცი მჭირდება, მაგრამ 180 მყავს. აქ ხელფასიც მაღალია 70-80 ლარი. მერე სინათლის, მიწის გადასახადები... გასავალიც არის.

**P.S.** გოგი ქათამაძეს ალბათ დაავიწყდა ეროვნული ბანკის დავალიანება მილიონ 200 ათასი დოლარი, რომელსაც სავარაუდოდ, ცეკავშირის შენობის კიდევ ორი სართული შეეწირება და კიდევ ერთი ფაქტი — სასამართლოს დადგენილებით ცეკავშირის გამგეობას ობიექტების გაყიდვა აეკრძალა. ქათამაძეს სასამართლოს ობიექტურობაში ეპარება ეჭვი და ამ სარგებლიან პროცედურაზე ხელის აღებას ნამდვილად არ აპირებს, რაც ცეკავშირის გამგეობასა და მის რამდენიმე ურჩ თანამშრომელს შორის დავის გაგრძელების მიზეზი იქნება.

*იზო რიკაძე*

# „მაგთი" თუ „ჯეოსელი"

## სულ მალე ბრძოლის კიდევ უფრო გამწვავებას უნდა ველოდეთ...

ალბათ, საზოგადოებას კარგად ახსოვს, შარშან, რამდენიმე თვის მანძილზე, თბილისის ქუჩებში გამოფენილი სარეკლამო „ლაით-ბოქსები" და სხვადასხვა ტელეკომპანიის მიერ მრავალჯერ დატრიალებული სარეკლამო რგოლები, სათაურით „ვინ არის ეს?!" როგორც იქნა, ბოლოს გავიგეთ, რომ ეს იყო კიდევ ერთი ახალი მობილური სატელეფონო კავშირის კომპანია „ჯთ მობილური", მაგრამ ზოგიერთმა ცნობისმოყვარემ ისიც შეიტყო, რომ სინამდვილეში ახალი კომპანია იყო საქართველოში პირველი მობილური სატელეფონო კავშირის ოპერატორი კომპანიის „ჯეოსელის" დამატება. პირველად ეს ეჭვი იმიტომ გაჩნდა, რომ ზემოთ აღნიშნული ორივე კომპანია „თურქსელის" შვილობილი ფირმები იყვნენ და კომპანიის კადრებმა მომზადება თურქეთში გაიარეს. ეჭვი მას შემდეგ გაძლიერდა, რაც „ჯთ მობილურის" კუთვნილი აპარატურა „ჯეოსელის" მისამართზე და სახელზე მოვიდა. საბოლოოდ კი ამ კომპანიების ერთობლიობა თუ ახლობლობა მას შემდეგ დადასტურდა, რაც „ჯეოსელმა" თავის ე.წ. „კონკურენტს" თავისივე ანძები დაუთმო.

მაინც რაში დასჭირდა „ჯეოსელს" ამ კომედიის გათამაშება? ამის გასაგებად საჭიროა, გადავშალოთ 1995-1996 წლების საქართველოს საგადასახადო კოდექსი და გავიხსენოთ, იმავე წლების პრეზიდენტის განკარგულებები, რომლითაც საზღვარგარეთის ინვესტორ ფირმებს სხვადასხვა შეღავათი ეძლეოდა. „ჯეოსელი" საქართველოში 1996 წელს შემოვიდა და როგორც უცხოელმა ინვესტორმა, საგადასახადო შეღავათები მიიღო ხუთი წლის ვადით. მას მიეცა ლიცენზია 900 მეგაჰერც სიხშირეზე.

წლინახევრის დაგვიანებით ქართული კაპიტალით საქართველოში შეიქმნა და ჩამოყალიბდა მობილური სატელეფონო კავშირის ოპერატორი „მაგთიკომი", რომელმაც ლიცენზია 1800 მეგაჰერც სიხშირეზე მიიღო. ეს კი მას „ჯეოსელთან" შედარებით უპირატესობას აძლევდა, რადგან „მაგთიკომის" სატელეფონო საუბრები უფრო მყარია, სტაბილური და მას დაფარვის მეტი ზონა აქვს. თავის დროზე კომპანია „ჯეოსელმა" ეს არ გაითვალისწინა, რადგან მაშინ საქართველოში ღირსეული კონკურენტი არ ჰყავდა და უფრო ნაკლები სიხშირის კავშირს მიანიჭა უპირატესობა, რადგან მისი აპარატურა უფრო იაფი ღირდა და ნაკლებ კაპიტალდაბანდებებს მოითხოვდა.

ამ დროს „ჯეოსელს" ქართველმა პარტნიორებმაც უგანეს. არსებობს ვერსია, რომ ქართველი პარტნიორების ასეთი საქციელი „მაგთიკომის" მიერ იყო პროვოცირებული და ყოველივე ამის უკან „მაგთიკომის" ლობისტები — პრეზიდენტის ქალიშვილი და სიძე იდგნენ.

„ჯეოსელის" ქართველმა პარტნიორებმა სასამართლოში აბსურდული მოთხოვნით სარჩელი შეიტანეს. სასამართლო დავაში კი ძვირფასი დრო დაიკარგა და „ჯეოსელმა" ზრდა და განვითარება შეწყვიტა. ცოტა დააკლდა, რომ პროცესი არ წაეგო. როგორც ამბობენ, „ჯეოსელმა" სამართალს თურქეთის პრეზიდენტის ქართველ კოლეგასთან ზარის შემდეგ მიაგნო.

ამასობაში კი „მაგთიკომმა" ხელთ იგდო მობილური კავშირის ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი და როცა „ჯეოსელი" თავის საქმეს დაუბრუნდა, „მაგთიკომი" უკვე ლიდერი იყო.

„ჯეოსელს" შარშან, როგორც სპორტსმენები ამბობენ, „მეორე სუნთქვა" გაეხსნა და მან სოლიდური ინვესტიციები ჩადო დაკარგული პოზიციების აღსადგენად. მან მნიშვნელოვნად გააფართოვა კავშირის დამყარების ზონა, თითქმის ყველა რეგიონში გახსნა თავისი წარმომადგენლობა, შემოიღო სხვადასხვა სახის მომსახურება, მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა სასამართლოში შელახული იმიჯი სხვადასხვა კულტურული თუ საქველმოქმედო ღონისძიებით, აგრეთვე წამახალისებელი ლატარიით და დაკარგული პოზიციების დაბრუნებას შეუდგა. რა თქმა უნდა, „ჯეოსელის" აქტიურობა მხედველობიდან არ გამორჩენია მის მთავარ „მოსისხლე" კონკურენტს „მაგთიკომს", რომელიც იძულებული გახდა, რომ დაგეგმილზე სწრაფად მოეხდინა დაფარვის ზონის გაფართოება და ისიც კი შეძლო, რომ მისი სატელეფონო სიგნალი საქართველოდან მოწყვეტილ აფხაზეთშიც კი გაისმა. საქტელეკომიდან ისიც შევიტყვეთ, რომ ამ მოქმედებების პარალელურად „მაგთიკომი" „ჯეოსელთან" ბრძოლის არაპოპულარულ მეთოდებზეც არ ამბობდა უარს და კავშირგაბმულობის მარეგულირებელ კომისიაში „ჯეოსელს" ყოველ დარღვევაზე „მოურიდებლად უშვებდა". მაგალითად, არალიცენზირებულ ანძებთან დაკავშირებით.

„ჯეოსელმა" „მაგთიკომთან" საბრძოლველად ყველაზე ეფექტურ ხერხს მიაგნო და უარი თქვა თავისი აბონენტებისათვის ზედმეტი წუთების დაწერაზე, მაგრამ ერთი თავით მაღალი მეგაჰერცი სიხშირე „მაგთიკომს" კვლავ უპირატესობას ანიჭებდა. არადა „ჯეოსელი" ამ მაღალ 1800 მეგაჰერც სიხშირეზე რომ გადასულიყო, მით უმეტეს შარშან, როცა დამატებით რამდენიმე ათეული დოლარის ინვესტიცია განახორციელა, ხელს არ აძლევდა, რადგან საგადასახადო შეღავათებს კარგავდა. ამიტომ იძულებული იყო, კვლავ 900 მეგაჰერც სიხშირეზე დარჩენილიყო და 1800 მეგაჰერც სიხშირეზე მომუშავე ახალი კომპანია შემოეყვანა საქართველოში. ასეთი კომპანიაც შეიქმნა „ჯთ მობილურის" სახით. „ჯთ"-მ მიიღო ლიცენზია 1800 მეგაჰერცზე. ეს არის სწორედ ის შემთხვევა, რომელსაც მეწარმეები და ფინანსისტები უმაღლეს პილოტაჟს უწოდებენ.

„ჯთ მობილურმა" ცდა არ დააკლო, მაგრამ საქართველოს მობილური კავშირგაბმულობის ბაზარი ორი გიგანტის — „ჯეოსელისა" და „მაგთიკომის" მიერ ათვისებული დახვდა და მან აბონენტების მცირე რაოდენობის მოზიდვაღა შეძლო.

ამასობაში 2001 წელიც დადგა, წელი, როცა „ჯეოსელის" შეღავათები უქმდება. ეს სექტემბერში მოხდება. ამიტომ დარჩენილი შეღავათიანი რაღაც ოთხი თვის გულისთვის არ ღირდა აბონენტების დაკარგვა და რადგან „ჯთ მობილურმა" თავისი მისია ამოწურა, „ჯეოსელმა" ის შეიერთა და კანონიც არ დარღვეულა. ამიერიდან „ჯთ"-ს აბონენტებიც „ჯეოსელის" აბონენტები გახდნენ და ყველა იმ შეღავათებით ისარგებლებენ, რითაც „ჯეოსელის" აბონენტები სარგებლობენ. რა თქმა უნდა, „ჯეოსელმა" 1800 მეგაჰერცის ლიცენზია გადაიფორმა და სულ მალე ორ კონკურენტს შორის ბრძოლის კიდევ უფრო გამწვავებას უნდა ველოდოთ. რითაც, პირველ რიგში, ორივე კომპანიის აბონენტები მოიგებენ.

**P.S.** მე კი, თქვენი მონა-მორჩილი, თვალყურს ვადევნებ ორი სატელეფონო კომპანიის ბრძოლას ლიდერობისათვის და დროდადრო შემოგეხმაურებით სტატიებით, რომელშიც მაქსიმალურ ობიექტურობას დავიცავ, რადგან არც ერთი კომპანიის აბონენტი არ გახლავართ.

*ზვიად ჩაკვეტაძე*

საქართველო
SAKARTVELO

უნივერსიტეტ „საქართველოს" სამედიცინო კოლეჯი აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

1. ზოგადი პროფილის მედდა;
2. სამეანო საქმე;
3. ორთოპედიული სტომატოლოგია;
4. ფარმაცია.

კოლეჯის კურსდამთავრებულები ჩაირიცხებიან უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის III კურსზე.

მის: ბუდაპეშტის ქ. №1ᵇ. ტელ: 95-67-36; 38-40-72

# თურმე, ნახევარი საქართველო „მარილზე ყოფილა ნასული...“

— სხვაგვარად ვერ ავხსნით გასულ კვირაში ტრანსპორტის პოლიციის მიერ გავრცელებულ განცხადებას, ქუთაისში სუფრის მარილით დატვირთული ვაგონის დაკავების შესახებ.




როგორც ირკვევა, ტვირთი საბაჟო წესების დარღვევისთვის დააპატიმრეს, თუმცა, მოგვიანებით, ქუთაისის ეკოცენტრის ანალიზმა დაადგინა, რომ ტრანსპორტის პოლიციის მიერ დაკავებული 60 ტონა მარილი საშიშ რადიოაქტიურ ნივთიერებას, „სტრონციუმ 90“-ს შეიცავს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აღნიშნულ ნივთიერებას მოქმედების საკმაოდ დიდი, 30 წელზე მეტი ხანგრძლივობა გააჩნია და ამ ხნის განმავლობაში ადამიანის ორგანიზმში, კერძოდ კი სასუნთქ და მომნელებელ სისტემაში ჩაბუდებული იზოტოპები უჯრედების დაშლას იწვევს, გულუბრყვილო მკითხველმა შესაძლოა ისიც იფიქროს, „ჩვენი პოლიცია ჩვენ გვიცავსო...“ მაგრამ მთლად ასეც არ არის საქმე. კომერციული ფირმები, „მაგნუსი“ და „იმპერიალი“ უკრაინული მარილით 2000 წლის აგვისტოდან „გვამარაგებენ“ და იმავე სატრანსპორტო პოლიციის ცნობით, დღემდე დაახლოებით 1200 ტონა მარილის შემოტანა და რეალიზაცია მოასწრეს. ალბათ, ბევრ ჩვენგანს შეუძენია ტრადიციულ ლურჯ პაკეტში შეფუთული მარილი, ოღონდ უკრაინული წარწერებით...

რა გითხრათ. ისღა დაგვრჩენია, ქვეყნის მესვეურებს „დავეხმაროთ“ და რამდენიმე შეკითხვა მივაწოდოთ, რადგან დღემდე მსგავსი, სავსებით ლოგიკური და მარტივი შეკითხვები აზრადაც არ მოსვლიათ (თუმცა, ამ და სხვა მოვლენების შემხედვარეს, მესვეურების არსებობაში შეიძლება ვინმეს ეჭვიც შეეპაროს...)

რატომ დააპატიმრა სატრანსპორტო პოლიციამ მათივე განცხადებით, მაინცდამაინც 30-ე ვაგონი? ვითომ, მათმა მფლობელმა წინა 29 ვაგონი საბაჟოს წესების სრული დაცვით შემოიყვანა და 30-ეზე წასძლია სულმა?

გარემოს დაცვის სამინისტროს რადიაციული უსაფრთხოების თანამშრომელმა ეჭვი შეიტანა ქუთაისის ეკოცენტრის კომპეტენტურობაში და განაცხადა, რომ მსგავსი ანალიზი მხოლოდ რადიოლოგიის ინსტიტუტში უნდა ჩატარდეს. ეგებ, ეს მართალიც იყოს, მაგრამ როდესაც 29 ვაგონი მარილი უკვე შეჭმულია, ახლა უნდა ვდაობდეთ, 30-ე სად შემოწმდეს? ვითომ, მარილის ქსელში გასვლამდე არ უნდა გაკეთებულიყო ყველა ანალიზი? თუ პირად ცხოვრებაშიც, ჯერ საკვებს მივირთმევთ და მერე ვარკვევთ მის ვარგისიანობას?

როგორც ირკვევა, საქმე შესასწავლად უშიშროების საგამოძიებო სამსახურს გადაეცა. იქნებ, უშიშროების სისტემაში მართლაც ისე კარგად იყოს საქმე, რომ მის თანამშრომლებს მარილის ვარგისიანობის დადგენის მეტი ალარაფერი აწუხებდეთ. მაგრამ რამდენადაც ვიცით, ამისთვის სპეციალური სამსახური უნდა არსებობდეს, რომელიც ქსელში გასული საკვები პროდუქტების ვარგისიანობაზე იქნება პასუხისმგებელი. — უნდა არსებობდეს, თორემ არსებობს თუ არა, ამაზე ფაქტიდან გამომდინარე შეიძლება ვიმსჯელოთ — თურმე, ერთი წელი გვარიანად რადიაციული მარილი გვიჭამია...

ამ ლოგიკით, ხომ შეიძლება ვინმემ ქუჩაში ლურსმნებჩატენილი პური, ან დანაღმული კატლეტები გაყიდოს?

ჩამოთვლილ შეკითხვებზე პასუხს ისევ ჩვენ გეტყვით, რადგან მათი ადრესატების იმედი დიდი ხანია, რაც გარდაიცვალა...

— ეს ქვეყანა ჩალით დახურული ნუ გეგონებათ. ის, უბრალოდ, გადაუხურავია...

*დაჩი გრძელიშვილი*

# გალის მოვლენების განმეორება შესაძლოა პარტიზანებს დაბრალდეთ

გალის რაიონში ვითარება უკიდურესად დაიძაბა — დღეისათვის უკვე ხმამაღლა კეთდება განცხადებები იმის შესახებ, რომ ე.წ. „გალის მოვლენები“ შეიძლება განმეორდეს. ჭუბურხინჯის ოთხმხრივ მოლაპარაკებაზე სახელმწიფო მინისტრი გია არსენიშვილი, უშიშროების მინისტრი ვახტანგ ქუთათელაძე და შს მინისტრი კახა თარგამაძე ჩადიან. თუ ხელისუფლება პარტიზანების ქმედებას არ აღკვეთს, აფხაზური მხარე რაიონის მოსახლეობის აწიოკებით იმუქრება. ერთი სიტყვით, შესაძლოა შეტაკების საბაბად აფხაზებმა პარტიზანული მოძრაობა გამოიყენონ. თუმცა, საკითხავია, იყო თუ არა შესაძლებელი დღეს შექმნილი ვითარების თავიდან აცილება?! ანდა, არის თუ არა პარტიზანული მოძრაობა დაძაბულობის რეალური მიზეზი?!

ბოლო პერიოდის განმავლობაში საქართველოს მასმედია თუ პოლიტიკური წრეები აქტი-



ურად ატრიალებენ „ტყის ძმებისა“ თუ მათი მეთაურის თემას. მედიის ინტერესი კიდევ გასაგებია, მაგრამ რა შეიძლება ეწოდოს იმ ფაქტს, რომ პოლიტიკოსთა ნაწილი საკუთარი უკანონო ქმედებიდან თავის დაძვრენის თუ პოლიტიკური ქულების დაწერის მიზნით პარტიზანებს იშველიებს. ასეთი ქმედებების ამორალურობაზე უკვე ვწერდით. ტენდენცია, სამწუხაროდ, კი არ შესუსტდა, პირიქით, გაძლიერდა. ეს გასაგებიცაა — აფხაზეთი ის პრობლემაა, რომლის არათუ მოგვარება, არამედ მოგვარების მცდელობაც კი საზოგადოების მხრიდან ერთმნიშვნელოვან სიმპათიას იმსახურებს. ამ სიმპათიაზე მონადირეები კი მრავლად გვყავს. არადა, „ტყის ძმების“ გვერდით კიდევ არის ადგილი და ამ ადგილის დაკავების მსურველებიც მოიძებნებიან. მოკლედ, მიუხედავად იმისა, აგინებენ პარტიზანებს თუ ძმობას ეფიცებიან, შედეგი ერთია და ჩვენთვის უარყოფითი. როგორც ჩანს, არავინ ფიქრობს იმაზე, რომ პარტიზანული მოძრაობის გარშემო ამტყდარი ხმაური სოხუმშიც კარგად ისმის! არც ის არის მართებული, ასეთი მოძრაობის ლიდერი დედაქალაქში ხალხმრავალ პრესკონფერენციას ესწრებოდეს.

პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთი დაუწერელი კანონი ის გახლავთ, რომ ის არალეგალურად უნდა მოქმედებდეს — ჩვენ კი ლამის თითოეული მათგანი ტელეეკრანზე ვაჩვენეთ და მათი ქმედებების შესახებ საერთო-სახალხო მსჯელობა გავმართეთ. იმთავითვე ცხადი იყო, რომ შედეგი არ დააყოვნებდა. ულტიმატუმი წამოყენებულია და, ალბათ, ასე მოხდებოდა იმ შემთხვევაშიც, „ტყის ძმებს“ აფხაზი წვევამდელები რომ არ დაეტყვევებინათ... ამ ფაქტმა მხოლოდ დააჩქარა მოვლენები.

საზღვარი ზუგდიდსა და გალს შორის დენთის კასრს დაემგვანა. მიმოსვლა შეწყდა. გალის რაიონის მოსახლეობა დაზაფრულია. ოთხმხრივ მოლაპარაკებაზე აფხაზური მხარე ზემოთ მოტანილ ულტიმატუმს აყენებს — დავით შენგელია აცხადებს, რომ რაც არ უნდა მოხდეს, აფხაზ ტყვეებს (პარტიზანების) მძევლების განთავისუფლების გარეშე არ დააბრუნებს. შენგელია პოზიციის შეცვლას არ აპირებს. ის დარწმუნებულია, რომ გალის რაიონს აწიოკება არ ელის... თუმცა, სრულიად ამაოდ.

ამავდროულად შენგელია მოულოდნელ განცხადებას აკეთებს — მას ხელისუფალთაგან მხოლოდ კახა თარგამაძისა სჯერა!

ეს განცხადება ერთგვარ ეჭვს ბადებს. შინაგან საქმეთა მინისტრს იმიჯი შეერყა და ეს განცხადება მისი რეაბილიტაციის საშუალება ხომ არ არის? თუ რას მიიღებს ამ განცხადების სანაცვლოდ შენგელია, შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ — უსაფრთხოების გარანტიას? — ნაკლებად სავარაუდოა, გარანტირებულ წილს კონტრაბანდიდან? ვინ იცის... ყოველ შემთხვევაში აქაც პოლიტიკურ გარიგებასთან უნდა გვქონდეს საქმე.

ყველაფერი იქით მიდის, რომ ფართო თუ არა, მცირემასშტაბიანი აფეთქება უნდა მოხდეს. ჩვენს ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ეს დაძაბულობა ხელოვნურადაა შექმნილი — მისი დარეგულირება ტყვეების განთავისუფლებითაა შესაძლებელი. თუმცა არც ამის პერსპექტივა ჩანს საიდანმე. ამას ემატება მხედრიონელთა ხმამაღალი განცხადება პარტიზანული მოძრაობის თანადგომის შესახებ და ეს ხანძარს კიდევ უფრო რეალურს ხდის. ოთხმხრივი მოლაპარაკება რეალური შედეგის გარეშე მთავრდება, ანუ ჩიხში შედის. სადამდე მიგვიყვანს ეს ჩიხი, ვნახოთ.

*მაია გაბუნია*

# თბილისი სიბნელეს გადაურჩა, საკითხავია როდემდე?

გასულ კვირას თბილისი ეი-ი-ეს-თელასისგან ბლოკადას გადაურჩა. მაიკლ სქოულის მუქარა — თუ მეტრო, წყალკანალი და რკინიგზა დახარჯული ელენერგიის საფასურს არ გადაიხდიან, თბილისს უწყლოდ და მეტროს გარეშე დავტოვებო, არ აღსრულდა. აღნიშნული ორგანიზაციების ვალები ეი-იეს-თელასის მიმართ ნაწილობრივ დაიფარა. მაგრამ მაიკლ სქოულმა თითქმის ყველა სამინისტროს შეუწყვიტა ელენერგიის მიწოდება. რითაც არა მხოლოდ დაბნელებული საბიუჯეტო ორგანიზაციების, საქართველოს პრეზიდენტის გულისწყრომაც კი გამოიწვია. „როგორ შეიძლება, სამინისტროებსა და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს გამოუთიშო ელენერგია და ტელეფონები“? — მკაცრად იკითხა პრეზიდენტმა შევარდნაძემ შექმნილი სიტუაციის გამო სათათბირო შეხვედრაზე და ამერიკელი ინვესტორი ძალიან რომ არ გაეღიზიანებინა, ისევ საკუთარ ქვეშევრდომებს გამოუცხადა საყვედური და დაავალა — სასწრაფოდ გამოძებნეთ გამოსავალიო. ეი-ი-ეს-თელასის სადამსჯელო ოპერაცია დადებითად შეაფასა ენერგეტიკის მინისტრმა მირცხულავამ — საბაზრო ეკონომიკას თუ ვაშენებთ, ეი-ი-ეს-თელასის მოთხოვნა სრულიად ბუნებრივია, როცა მოსახლეობა მოხმარებული ელენერგიის 90-95%-ს იხდის, სირცხვილია, საბიუჯეტო ორგანიზაციებმა ვალის მხოლოდ 2-3% დაფარონ, — განაცხადა მინისტრმა და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ენერგოსისტემამ ჯერ კიდევ თებერვლის თვეში შეძლო თბილისის 24 საათიანი გაჩირაღდნება. თუმცა არ აღუნიშნავს, რომ ამ წარმატებას მხოლოდ მთელი საქართველოს დაბნელების ხარჯზე მიაღწიეს. ენერგეტიკის სამინისტრო და რიგი ენერგოკომპანიები სადამსჯელო ოპერაციებს თითქმის მთელი ზამთრის განმავლობაში ახორციელებდნენ საქართველოს მასშტაბით, მაგრამ მაშინ დასჯილთა შორის არ ყოფილან საბიუჯეტო ორგანიზაციები, რომელთა გამორთვაც მოსახლეობისგან განსხვავებით თურმე ხმაურს გამოიწვევდა. სანამ ხელისუფლება ენერგეტიკული ვალების დაფარვის საშუალებებს ეძებს, თბილისის მოსახლეობა ორ მნიშვნელოვან კითხვაზე ითხოვს პასუხს: ექნებათ თუ არა ზამთარში შუქი და გაძვირდება თუ არა ელენერგიის ტარიფი? რაზედაც საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებმა თავისი სათქმელი თქვეს — საქართველოს ენერგეტიკული სისტემების მიერ წლების განმავლობაში დაგროვილი ვალის — 550 მლნ $-ის დასაფარავად ივლისიდან ტარიფი გაიზრდება. თუმცა ბატონი მირცხულავა მიიჩნევს, რომ ვალი უიმედო და საიმედო ნაწილებად იყოფა, ანუ რაღაც ნაწილის გადახდის იმედი აქვს, რაღაცისა კი — არა. ბ-ნი მინისტრი ვალს ხელოვნურად გაბერილად მიიჩნევს. რაც შეეხება მისი გასტუმრების და ტარიფის გაზრდის საკითხს — მირცხულავა თვლის, რომ პარიზის კლუბის მიერ საქართველოს ვალების გადავადებამ დასაშვები გახადა



გარკვეული წინადადებებით მივმართოთ ჩვენს კრედიტორებს და დიდი ენერგეტიკული ვალების გადავადებაც შევძლოთ. მინისტრის აზრით, შესაძლებელია არსებულ ტარიფშივე მოიძებნოს რესურსები ვალების დაფარვის მიზნით. თუ ეი-ი-ეს-თელასს დღგ-ს შევუმცირებთ ან საინვესტიციო ვალს 4-დან 8 წლამდე გავუზრდით, შევძლებთ ტარიფის არსებული სახით შენარჩუნებას ან მინიმალურად მის გაზრდას, ენგურის წყალსაცავზე წყლის შენარჩუნებით კი შევძლებთ თბილისში არსებული 24 საათიანი ელექტროგრაფიკის შენარჩუნებასო — გვპირდება მინისტრი, მაშინ, როცა ენგურის წყალსაცავის დაზიანებული ჯებირებიდან წყალი იპარება და სიტუაცია ამის გამო საკმაოდ უიმედოა. მოკლედ, სიურპრიზებს ჩვენი ხელისუფლების მხრიდან უკვე მივეჩვიეთ და ნუ გაგიკვირდებათ, თუ ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე თეორიულად მზრუნველი ენერგომამები დაპირებებს ვერ შეასრულებენ. ასე რომ, თადარიგი დაიჭირეთ და ნუ დაიიმედებთ თავს, რომ თბილისი სიბნელეს გადაურჩა.

*ეკა ლომიძე*

# გუშინ ფისი გვწამლავდა... დღეს — სულაც არ ყოფილა საშიში



პიროლიზური ფისის მივიწყებულმა თემამ გასულ კვირას პარლამენტში კვლავ წამოიწია. კანონმდებლებმა ამჯერად პიროლიზურ ფისზე (1000 ტ) სააქციზო გადასახადი 400-დან 50 ლარამდე შეამცირეს. შეგახსენებთ: ეს ის ნივთიერება გახლავთ, რომელმაც საპარლამენტო უმრავლესობის ერთიანობას საკმაოდ დიდი ბზარი გაუჩინა. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე კახა ჩიტაია დაჟინებით ამტკიცებდა, პიროლიზური ფისი მომწამვლელია და მისი ქვეყანაში შემოტანა არ შეიძლებაო. მაშინ ჩიტაიას საკუთარი ფრაქციის წევრებმაც კი არ დაუჯერეს და თანაგუნდელების საქციელით გულგატეხილმა ფრაქცია დატოვა, უმრავლესობა კი არა. „მოქალაქეებმა“ აქტიური თანამოაზრე მარტოობისათვის გაწირეს, რადგან პიროლიზურ ფისს საკმაოდ დიდი მფარველი გამოუჩნდა — პრეზიდენტის მძახალი, გურამ ახვლედიანი.

მოგვიანებით, როცა ვნებათაღელვა ჩაცხრა და აღმოჩნდა, რომ „შეჩვენებული პიროლიზური ფისი“ სულაც არ ყოფილა ისეთი საშიში, როგორადაც ამას პარლამენტარები წარმოგვიდგენდნენ. გასული წლის ბოლოს პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმადაც პიროლიზურ ფისზე დაწესდა სააქციზო გადასახადი (400 ლარის ოდენობით) და ეს მაშინ, როდესაც ბენზინზე, რომლის დასამზადებლადაც გამოიყენება პიროლიზი, სააქციზო განაკვეთი მხოლოდ 200 ლარია. პარლამენტმა თავისი გადაწყვეტილება არაერთხელ შეცვალა, ამავე გადაწყვეტილებას დაეთანხმა თავად კახა ჩიტაიაც კი... მან რატომღაც უკან წაიღო თავისი სიტყვები და აღიარა, რომ პიროლიზური ფისი უკვე აღარ წარმოადგენს გარემოს დაბინძურების საშიშროებას.

ახლახან კანონმდებლებს 400 ლარის ოდენობის სააქციზო გადასახადი პიროლიზური ფისისათვის ეძვირათ და 50 ლარამდე ისე შეამცირეს, რომ აღარავის გახსენებია, ეს ფისი მომწამვლელიაო. მის უვნებლობას დეპუტატები ისეთივე პათოსით გვიმტკიცებდნენ, როგორც ადრე მის საშიშროებაზე ქადაგებდნენ. ჩიტაიამ ულაპარაკოდ დაუჭირა მხარი პიროლიზზე აქციზის შემცირებას: „მე პიროლიზური ფისის აკრძალვის მომხრე მაშინ ვიყავი, როდესაც ის გარემოს დაბინძურების საშიშროებას ქმნიდა. დღეს კი ჩვენ გვაქვს სათანადო დამადასტურებელი საბუთები, რომ პიროლიზის შემცველობა ევროპულ სტანდარტებს აკმაყოფილებს და საშიში აღარ არის. ამიტომ წლის ბოლოს ჩვენ გავეცით ამ ნივთიერების შემოტანის ნებართვა, ოღონდ დავაწესეთ აქციზის დიდი გადასახადი — 400 ლარი“.

ჩიტაიას მოსაზრება ადრინდებურად გაიზიარა მისმა მოადგილემ დავით საგანელიძემ. საგანელიძე, რომელიც შარშან პიროლიზურ ფისს ქვეყნის დამაქცეველ ნივთიერებას უწოდებდა, დღეს ამ ნივთიერებაზე აქციზის ნულოვანი ვარიანტის შემოღების მომხრეა.

პარლამენტმა პიროლიზურ ფისზე აქციზის გადასახადი 50 ლარამდე 2003 წლამდე შეამცირა. თუკი ამ ნივთიერების ირგვლივ განვითარებული მოვლენების მიხედვით ვიმსჯელებთ, შესაძლებელია 2003 წლის შემდეგ ეს ნედლეული აქციზისაგან სრულიად გათავისუფლდეს.

პრეზიდენტის მძახლის ინტერესები და გასულ კვირას ჟურნალისტთა კორპუსის მიწვევა ქარხანა „გაორში“, რომელიც ამ ნივთიერების აქტიური მომხმარებელია, პიროლიზური ფისის სახელის რეაბილიტაციისა და მისი „გაიაფების“ წინასწარმეტყველების საფუძველს აშკარად იძლეოდა. თუმცა, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ამ საკითხის მხარდაჭერას სწორედ ის პარლამენტარები იკისრებდნენ, რომლებიც მომწამვლელი ფისის შემოტანის კატეგორიული მოწინააღმდეგენი იყვნენ. „ფიცი გვწამს ბოლო გვაკვირვებსო“ — ამაზეა სწორედ ნათქვამი. ამგვარი გადაწყვეტილებები კი მოსახლეობის თვალში პარლამენტისადმი გაჩენილ ნიჰილიზმს უფრო გაამძაფრებს.

*ნათია გოგსაძე*

# აფხაზების ახალი „ფრთოსანი" იდეა — სამხრეთ კავკასიის შეერთებული შტატები(?)

[illegible]

ნაწილად გაყო, მერე ისევ გააერთიანო და სამხრეთ კავკასიის შეერთებული შტატები დააარსო.

აქვე მახსენდება „დიდების ზღაპრის" ერთ-ერთი საახალწლო სერია, სადაც ტელევიზიის მესვეურებმა, საკმაოდ შორსწასული ფანტაზიით, საქართველოს შეერთებული შტატები შექმნეს. ოღონდ მათ ჩვენი სამშობლოს შემადგენლობაში შეიყვანეს იაპონია და ამერიკა და ისინი საქართველოს შტატებად აქციეს. გაგიხარია, მაშინ კი ვიცინეთ გულიანად, მაგრამ დახეთ უბედურებას, აფხაზებმა იდეა მოგვტაცეს და მისი „მცირედ" შეცვლილი ვარიანტის დამუშავებას შეუდგნენ. ისინი, როგორც ვხედავთ, პატარ-პატარა „სახელმწიფოებით" აპირებენ შტატების დაარსებას, მათ შორის ჯერ კიდევ საქართველოს შემადგენლობაში მყოფ აჭარასაც მოიაზრებენ, ე.ი. ჩვენს სამშობლოს კიდევ ერთ კუთხეს ჩამოაშორებენ, რის შემდეგაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქვეყანა ოთხად გაიყოფა და მერე ისევ შეერთდება სხვა სახელით, სხვა კანონებით და სხვა უფლებამოსილებით...

ცოდვა გამხელილი სჯობს, უკვე თქვენც შეატყობდით წერილს, რომ გაგრძელება არ ღირს, რადგანაც რაც უფრო მეტს ვილაპარაკებთ, მით მეტი სისულელე შეიძლება გამოგვივიდეს, ამიტომ ამ თემაზე წერას ვწყვეტ. აფხაზთა ამ ფერად სიზმარს კი ქართველი ჩინოსნები, ალბათ, სათანადოდ ახსნიან.

## რას მოითხოვს „აფსნი" ქართველებისაგან?

აფხაზეთის დღევანდელ ხელისუფლებაში მყოფმა და მათ გარშემო დარაზმულმა პირებმა დააარსეს რესპუბლიკური პარტია სახელწოდებით, „აფსნი". „აფსნის" ხელმძღვანელებად დანიშნეს ორი თანათავმჯდომარე: დრამატურგი რუშნი ჯოკუა და დეპუტატი ბაია აგრბა (გუდაუთის საკალმახე მეურნეობის მთავარი იქთიოლოგი), აირჩიეს აღმასრულებელი მდივანი ნუგზარ აგრბა. თავისი მრწამსითა და იდეოლოგიით, ახალდაფუძნებული პარტია დაუპირისპირდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობას „ვოზროჟდენიე", რომელიც ოპოზიციური მიმართულების მატარებელია და შედარებით საღად მოაზროვნე ადამიანებს აერთიანებს.

როგორც ცნობილია, „ვოზროჟდენიეს" პოლიტიკური კრედო, რესპუბლიკის საშინაო, საგარეო და ეკონომიკური პოლიტიკის ყველა მიმართულებით, ალტერნატიული გზების ძიებაში მდგომარეობს. „აფსნის" დამფუძნებელ ყრილობაზე კი გადაჭრით მოითხოვეს ქართველების მიერ „ასიმილირებული" გალის რაიონის მოსახლეობის გააფხაზება და მათთვის „წინაპართა ნამდვილი გვარების დაბრუნება"(!). ეს მოთხოვნა დაპირისპირებულ მხარეებს შორის პოლემიკის საგნად იქცა და „ვოზროჟდენიეს" ლიდერები (ლეონიდ ლაკერბაია, ოლეგ დამენია, თამაზ ქეცბა და სხვ.) მიიჩნევენ, რომ გალის ქართულ მოსახლეობას აფხაზეთის მთავრობამ არჩევანის უფლება უნდა დაუტოვოს და მათ პრეროგატივაში დარჩეს იმ გვარის ტარება, რომელიც სურთ. ასევე უნდა მიუდგნენ ეროვნებისა და ენის საკითხს.

ამგვარად, თუ ვისი პრინციპი გაჭრის და რამდენად შეძლებს რესპუბლიკური პარტია თავისი კურსის გატარებას, მომავალი გვიჩვენებს...

*ირმა ბერიშვილი*

# ჯოჰარ დუდაევს გამაჰმადიანებული შატილიონი იცავდა...

ერთი წელია, რუსთავში ცხოვრობს ჩეჩენი *რახმან დემაშვილი*, რომელსაც ოდესღაც სამშობლოში მშვენიერი სამსახური ჰქონდა, ახლა კი რუსთავში მცხოვრებ ჩეჩენ ახალგაზრდებს მეთვალყურეობს, რათა „სიგარეტი არ მოწიონ, არ დალიონ, ისწავლონ და რაც მთავარია, ივარჯიშონ".

— მოსკოვისა და როსტოვის უნივერსიტეტების დამთავრების შემდეგ სხვადასხვა ადგილას ვმუშაობდი. 1991 წელს, სსრკ-ის დაშლის შემდეგ, დუდაევი ჩამოვიდა ლატვიიდან. მალე იგი ჩეჩნეთის პრეზიდენტად ავირჩიეთ. სწორედ მაშინ, ერთ დღეს, ჩემმა ხალხმა გაიღვიძა და საკუთარის სამუდამოდ დასაკუთრება მოინდომა. ამ იდეას ჩვენ არც დღეს ვღალატობთ. ჯერ გროზნოს მერის, კიური მუზაევის და შემდეგ — ჰაჯ-მუჰამედ ინარკაევის დაცვის უფროსი ვიყავი, მერე თავად პრეზიდენტ დუდაევის დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი. ომი 1994 წლის 26 სექტემბერს დაიწყო. რუსებს გვერდით ედგნენ მოღალატე ჩეჩნებიც. გვებრძოდნენ, საკუთარ მიწა-წყალს, თავისუფლებას გვართმევდნენ... დიდი საშინელება დეკემბერში დაიწყო — გამუდმებით გვესხმოდნენ თავს ზღვიდან, ხმელეთიდან, ჰაერიდან... 31 დეკემბერს გროზნოს 1200 ტანკი შემოეწყო პეტროპავლოვსკის გზატკეცილის მხრიდან. დილისთვის 250 ტანკიღა გადარჩა...

— **რა იარაღით ებრძოდით ტანკებს?**

— მუხებით, ყუმბარმტყორცნებით, ბენზინიანი ბოთლებით... იმ ღამეს 2800 ადამიანი დაიღუპა... შემდეგ დაიწყეს საპრეზიდენტო სასახლის დაბომბვა. ჯოჰარ დუდაევს არ უნდოდა ქალაქის დატოვება, მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, გავხიზნეთ მთებში.

— **გაიხსენეთ დუდაევი...**

— არაჩვეულებრივი, დიდებული ადამიანი იყო. ყველა ასაკის კაცთან შეეძლო ურთიერთობა. ძალიან თბილი იყო, მტკიცე და შეუვალი. მთელ ერს სჯეროდა მისი... 1995 წლის 21 აპრილს სოფელ გეხჩუში, ერთ სახლში ცხოვრობდნენ დუდაევი, რესპუბლიკის სამხედრო პროკურორი იუენივ მაჰომედი და პროფესორი რუსტამ ყურბანოვი. ჩვენ მაშინ გროზნოში ვიყავით. არავინ იცის, ვინ გასცა... აფეთქების ადგილზე მხოლოდ ორი გვამი ვიპოვეთ, პროკურორისა და პროფესორის, ჯოჰარისა კი მხოლოდ საათი.

— **ცოცხალი გგონიათ?**

— უფალმა ქნას, ცოცხალი და საღ-სალამათი დაგვიბრუნდეს. ყოველ შემთხვევაში, სანამ გვამს არ ვიპოვით, ის ჩვენთვის ცოცხალი იქნება.

— **გამსახურდიას იცნობდით?**

— კარგად... უაღრესად განათლებული, კეთილშობილი, ემოციური იყო. მთელი კავკასიის გაერთიანება სურდა. მისი ინიციატივით იქნა მოწვეული კავკასიის ხალხთა პირველი კონგრესი... მეორე კონგრესის დროს კი, ნალჩიკში, რუსების თავდასხმას ცოცხლები ძლივს გადავურჩით...

— **გამსახურდიას ჩეჩნეთში ყოფნის დროს, აქ აჩვენეს კადრები, რომ ზვიადი მეჩეთში ლოცულობდა...**

— განა სისულელე არ არის მტკიცება, რომ ზვიად გამსახურდია გამაჰმადიანდა? პირიქით, ის ღრმად მორწმუნე, მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო. მე თითქმის ყოველდღე მივდივარ მამა თეიმურაზთან ეკლესიაში, მაგრამ ეს არ ნიშნავს რწმენის ღალატს.

— **ახლა რა ამბები მოგდით ჩეჩნეთიდან?**

— მიმდინარეობს პერმანენტული პარტიზანული ომი. იქ ახლა ცხოვრობენ 20. 000 კაცამდე მოღალატე ჩეჩენი და რუსები, მაგრამ ყველას გავუსწორდებით. ჩვენ ვერ ავიტანთ რუსების ყურებას. 2-3 თვეში დავბრუნდებით, საამისოდ ძალაც გვაქვს და იარაღიც. რუსები მშვიდად ნუ იგრძნობენ იქ თავს, თუმცა, მათ სიმშვიდეზე პარტიზანებიც „ზრუნავენ" — ღამღამობით ვერც ერთი რუსი ცხვირს ვერ ყოფს გარეთ. ჩვენ, ჩეჩნებს, სხვისი მიწა





დუდაევის უკან მისი დაცვის უფროსი რახმან დემაშვილი

არ გვინდა, მაგრამ ჩვენი მიწის ერთ გოჯსაც არ დავუთმობთ სხვას!

— **იმ ჩეჩნებზე რას იტყვით, რომლებიც აფხაზეთში ქართველებს ხოცავდნენ?**

— ეს იყო უფს-ს დაჯგუფება, კრიმინალები. ჩემი აზრით, რუსეთის სპეცსამსახურების მიერ იყვნენ გადმობირებულნი. ისინი, უბრალოდ, დაიქირავეს და ეს იმიტომ გააკეთა რუსეთმა, რომ იცოდა, ჩეჩნეთშიც დაიწყებოდა ომი და მერე ჩვენ გასაქცევი გზა მოჭრილი გვექნებოდა, მაგრამ ღვთის წყალობით, საქართველომ შეგვიფარა, რისთვისაც მინდა ულრმესი მადლობა გადავუხადო მთელ ქართველ ერს. ხოლო, რაც შეეხება აფხაზეთში ნაბრძოლ მეომრებს, ვიცი, რომ ძალიან ნანობენ თავიანთ საქციელს და მზად არიან, თუ აფხაზეთში ისევ დაიწყება ომი, ქართველთა გვერდით დადგნენ.

— **რამდენი იყო ჩეჩნეთის მოსახლეობა ომამდე?**

— ომამდე 1.100.000 ვიყავით, ახლა ნახევარიღა დავრჩით. მაგრამ ბრძოლის უნარი და ჟინი არ დაგვიკარგავს. მინდა ერთი რამ განვაცხადო: ჩვენ რუსებს არ ვებრძვით, ჩვენ გვეომება რუსეთში გამეფებული სატანური, მასონური ძალა. მე რუსეთში ვსწავლობდი, ვცხოვრობდი და ახლაც ბევრი მეგობარი მყავს იქ. მეტიც, ჩემი ბიძაშვილი მაჰომედ ისმაილოვი წლების განმავლობაში ფირმა „ლოგოვაზის" პრეზიდენტის, ბორის ბერეზოვსკის მოადგილე იყო და არასოდეს არავისგან დევნა არ უგრძვნია.

— **არ გეხმარებოდათ ომის დროს იარაღით?**

— იარაღით არა, მაგრამ ახლახან 600 ათასი დოლარის პროდუქტები გაუგზავნა ჩეჩნეთის მცხოვრებთ.

— **დავუბრუნდეთ ჯოჰარ დუდაევს. ამბობენ, კარგი მეოჯახე იყო...**

— ჩეჩნეთში არსებობს ცნება ყუონახი, რაც გულისხმობს რწმენას, ვაჟკაცობას, ქალის პატივისცემას, ოჯახის, კერიის სიყვარულს და ა.შ. ჯოჰარი ნამდვილი ყუონახი იყო, რომელიც ოჯახის საქმიანობას გარეთ არ გაიტანდა. როცა ომში შვილი დაეღუპა, ძალიან დარდობდა, მაგრამ ხალხთან არაფერს იმჩნევდა, ძველებურად მტკიცედ და შეუპოვრად ეჭირა თავი.

— **ალა დუდაევა საქართველოში იყო. ნახეთ?**

— კი, შევხვდი. ახლა ინგლისშია შვილთან ერთად. ალა სუსტი ქალია, ინტელიგენტი, განათლებული, მხატვარი და პოეტი.

— **თქვენი ოჯახი სად არის ახლა?**

— ჩემი მეუღლე და 20 წლის ვაჟი შატილიდან 70 კმ-ის დაშორებით, ჩეჩნეთის ტერიტორიაზე არიან. იქ, მთებში ძველ კოშკში ცხოვრობენ. მიუხედავად იმისა, რომ მათ სახლი, ფაქტობრივად, არ აქვთ, თავიანთი მიწის დატოვება არ უნდათ...

— **თქვენ ქართული გვარი გაქვთ...**

— წარმოშობით შატილიონი ვარ, მაგრამ მე-15 საუკუნეში ჩემი წინაპარი გადასულა ჩეჩნეთში და გამაჰმადიანებულა. ასე რომ, ჩეჩენიც ვარ და ქართველიც...

— **საქართველოში პირველად ხართ?**

— არა, 22 წლის განმავლობაში ჩამოვდიოდი, ზაფხულობით ვისვენებდი ბორჯომში, ბაკურიანში, კახეთში...

— **რაზე ოცნებობთ?**

— ჩვენი ოცნებაა, ისევ ავაყვავოთ, ავაღორძინოთ ჩეჩნეთი, გროზნო ადრინდებურად ვაქციოთ ჯოჰარ-ღალად. და ვოცნებობ იმ ცხრაფეროვან შადრევანზე, რომელიც ჩვენს დედაქალაქში ჩქეფდა...

*მანოლი ლილუაშვილი*

# „ჩემ უკან ჟვანია დგას... და ბებიაჩემი კიდევ"

(დასაწყისი იხ გვ 5)

*— სხვათა შორის, „მხედრიონის" დახურულ სხდომაზე შენგელიამ უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების კომისიის წევრი ალიბაბა ჩადუნელი ქრთამის აღებაში დაადანაშაულა. რასაკვირველია, ამ სხდომას თქვენც ესწრებოდით. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?*

— ვესწრებოდი. მაგრამ არაფრის თქმას არ ვაპირებ, რადგან ეს არ არის საგაზეთო სალაპარაკო. ჯერ ამას დამტკიცება უნდა. ჭორებს ვერ გეტყვით, სანამ რამე არ გაირკვევა.

*— ბოლოს და ბოლოს, დაითანხმეთ სააკაშვილი თუ არა, რომ „მხედრიონი", როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია, დარეგისტრირდეს?*

— სააკაშვილთან არანაირი შეხება არ მქონია, გარდა იმისა, რომ წინა კვირის ბოლოს ვიყავით კომისიაში მისულები და ამ კვირას გვეტყვიან პასუხს. ისე, ჩვენთვის ეს დამტკიცება დიდ რამეს არ წარმოადგენს. დაგვამტკიცებენ — კარგია, არ დაგვამტკიცებენ — უკეთესი.

*— რატომ?*

— ჩვენ ვიჩივლებთ და ყველაფერს ამოვყრით. მთელი ხალხი გაიგებს — ვინ არიან ეგენი.

*— ანუ კომპრომატებს დააწყობთ?*

> რუსთაველის თეატრის დაწვას აპირებდნენ. თეატრს დაუწყეს სროლა და სახურავზე ჩვენმა ბიჭებმა ჩააქრეს ცეცხლი. მეხანძრეებსაც ესროდნენ. ვინ ჩამოიყვანა სნაიპერი ჩეჩნები აქ?! ვინ ააფეთქა ენგურზე ხიდი?! ვინ აიყვანა გაეროს ხალხი ტყვედ?! ჩიქოვანის ქუჩაზე ვინ მოახდინა აფეთქება, ბავშვები რომ დაიხოცნენ?! გაჩუმდნენ და ენა ჩაიგდონ.

— ჯერ ეს ერთი, პატრიოტულ ორგანიზაციას, რომელსაც არ ამტკიცებენ — ის არც სახელმწიფოა, არც ქვეყანა. რა სახელმწიფოა, რა ერია, რომელიც თავის მეომარს არ აფასებს. ამიხსენით, რა არის?! რისი იმედი აქვთ. ან თქვენ მასმედიას, ვისი იმედი გაქვთ?! მასმედია აყოლილი ხართ კორუმპირებული ჩინოვნიკების ინტრიგებს და იმას ბეჭდავთ... აი ისრაელი ავიღოთ. რატომაა ისრაელი მაგარი? (გარემოცულია მტრებით, შინაც მტრები ჰყავთ — იერუსალიმში ნახევარი პალესტინელები არიან). იმიტომ, რომ ყველაზე დიდი და ყველაზე დაფასებული იქ მეომარია. მაინცდამაინც სროლაზე კი არ არის საქმე. მეომარი სულით უნდა იყო. თავის განირვა უნდა შეგეძლოს... „მხედრიონს" რომ დააბრალეს ყველაფერი, ზუგდიდში მას არავინ მოუკლავს, ამ დროს მხედრიონელები დაწვეს, 14 მოკლეს. იგივე თბილისი ვინ დაარბია? ვინ და გამსახურდიას ზუგდიდის გვარდიამ და „ზვიადისტებმა". აბა, კიტოვანი, დებილი რომ არის, ხმას რომ არ იღებს, თავის თავს ესროლა სასტუმრო „თბილისში?!" ანდა მე ვესროდი ჩემს თავს „კგბ"-ს ციხეში? ეს სახლები ვინ დაწვა?

აი, ავიღოთ ფაქტი. იქ არის მხოლოდ მთავრობის სასახლე, — ეს კი, ეს ოპოზიციის მხრიდან მოხდა. მაგრამ დანარჩენი ის 300 სახლი რომ იყო მოსახლეობის, ფოსტა რუსთაველზე, ვინ დაწვა — ზვიადისტებმა. ის კი არა, „მხედრიონი" რომ არ ყოფილიყო, რუსთაველის თეატრის დაწვას აპირებდნენ. თეატრს დაუწყეს სროლა და სახურავზე ჩვენმა ბიჭებმა ჩააქრეს ცეცხლი. მეხანძრეებსაც ესროდნენ. ვინ ჩამოიყვანა სნაიპერი ჩეჩნები აქ?! ვინ ააფეთქა ენგურზე ხიდი?! ვინ აიყვანა გაეროს ხალხი ტყვედ?! ჩიქოვანის ქუჩაზე ვინ მოახდინა აფეთქება, ბავშვები რომ დაიხოცნენ?! ზვიადისტებმა. ხოდა, გაჩუმდნენ და ენა ჩაიგდონ.

*— ბატონო ჯაბა, მოდით, ისევ თქვენი ორგანიზაციის რეგისტრაციის საკითხს დავუბრუნდეთ. როგორ ფიქრობთ, რატომ არის სააკაშვილი „მხედრიონის" რეგისტრაციის წინააღმდეგი, იმიტომ ხომ არა, რომ ისევ შეიარაღებულ ფორმირებად მიაჩნიხართ?*

— ჩვენს პროგრამაში იარაღი არ შედის. სააკაშვილი წინააღმდეგი არ არის. მაგან ირინა სარიშვილს გაუგორა კოჭი. ალბათ, გახსოვთ, მე რომ ვთქვი, არჩევნებში უნდა მივიღო მონაწილეობა-მეთქი, თავი მოიკლა. როგორც მაშინ განაცხადა, თურმე ჩემ უკან დგას ჟვანია... და კიდევ ბებიაჩემი... ხოდა, ამანაც პოპულისტური განცხადებები დაიწყო და აზრი რომ გაემყარებინა, მოქკავშირი „მხედრიონის" უკან არ დგასო, იმიტომ წავიდა წინააღმდეგი. არ დაამტკიცებს და ნუ დაამტკიცებს. „გავაპაზორებთ" ისე, „ვაფშე" მთელი ქვეყანა გაიგებს, ვინ არის ეგა.

*— რას გვეტყვით მინისტრთა კაბინეტის შექმნასთან დაკავშირებით და ამ მიმართებით შევარდნაძის პოლიტიკურ ნაბიჯებზე?*

— მე რომ გამოვდიოდი და ვამბობდი: ძველ ტიკებში ახალი ღვინო არ ჩაისხმება, სტრუქტურებია შესაცვლელი-მეთქი, აღარ გახსოვთ? განა მე არ ვამბობდი, პროკურატურა უნდა დაიშალოს, შსს-ში სასწრაფო რეფორმაა გასატარებელი-მეთქი? ხოლო მინისტრთა კაბინეტის შემოღება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ გაუქმდება საპრეზიდენტო მმართველობა. ანდა, პრეზიდენტი გახდება წარმომადგენლობითი ათკაციანი კანცელარიით. თუ პრეზიდენტის ინსტიტუტი გადაიქცევა „ცეკად", რომელსაც არავითარი პასუხისმგებლობა არ ექნება და უამრავი უფლებები, ეს არის ნამდვილი დიქტატურის გაფორმება. ისე დიდი ხანია დიქტატურაში ვართ. ახლა თქვენ ხომ არ გგონიათ ჩვენ რომ ვლაპარაკობთ და გაზეთებში რომ იწერება რაღაცები, ამიტომ არ არის დიქტატურა?! როდესაც ერთი ადამიანი, ვინც არ უნდა იყოს, პრეზიდენტი იქნება ისა, პრემიერ-მინისტრი, დალაი ლამა, თუ ვინ იქნება (სხვათა შორის, თავის დროზე დალაი ლამა ვუწოდე), ნიშნავს ყველა გუბერნატორს, ყველა გამგებელს, მინისტრებს, მოადგილეებს და დეპარტამენტებშიც კი ერევა, ნორმალურმა ადამიანმა უნდა იკისროს ეს ამბავი?!. ახლა რომ ლაპარაკობს, მინდა „ძლიერი პრეზიდენტი, ძლიერი — პარლამენტი", როგორ შეიძლება?

*— სხვათა შორის, თქვენ განაცხადეთ, „ძლიერი პრეზიდენტი, ძლიერი პარლამენტი" — ორხელისუფლებიანობას ნიშნავსო, თქვენ გამორიცხავთ ნებისმიერ ქვეყანაში რომ ორივე ძლიერი იყოს?*

— გამოვრიცხავ. რას ნიშნავს ძლიერი? მე ვლაპარაკობ ხელისუფლებაზე. კვალიფიციური რომ უნდა იყოს და კარგად მუშაობდეს, ეს არ ნიშნავს ძლიერს. ვგულისხმობ ძალაუფლებას. ჩვენთან საპრეზიდენტო მმართველობაა.

*— ბატონო ჯაბა, როგორ ფიქრობთ, პრეზიდენტის სურვილი, — მიენიჭოს პარლამენტის დათხოვნის უფლება, საით არის გამიზნული?*

— არც არსაითკენ. ძველთაძველი ჭეშმარიტებაა. ძალაუფლება რყვნის ადამიანს. ვითომ შევარდნაძე რატომ იქნება გამონაკლისი? რატომ ის არ გაირყვნება?! მერე იწყება პარანოია და აღარაფერი აკმაყოფილებს. როგორიც არის მომხვეჭელობის ვნება, ასევეა ძალაუფლების ვნება. მარტო ისღა დარჩა: გაყაროს პარლამენტი, რომ დაწყნარდეს. რა უფლება აქვს? რომ მიედ-მოედებიან, საფრანგეთში, ამერიკაში შეიძლება პარლამენტის დათხოვნა. არავითარი მაგალითების მოყვანა არ არის საჭირო. ეს არის ანტიდემოკრატიული დებულება და ლონისძიება, როდესაც ხალხის არჩეულ ადამიანებს ვიღაც, თუ გინდა ისიც არჩეული პრეზიდენტი, გაყრის. ეს ხომ მთელი ხალხის დისკრიმინაციაა. როგორ, მე ავირჩიე დეპუტატი და შენ რომ მიგდებ, ვინ ხარ, რა უფლებით მიგდებ? მაშინ რაღაზე ამარჩევინე?! სხვა ქვეყნებს რომ გაიძახიან, იქ სხვა ბერკეტებია, რომელიც აწონასწორებს, რაც ჩვენში არ არის. ეს არის აღმოსავლური დესპოტიზმის ერთ-ერთი ფორმა.

*— როგორ შეაფასებთ ანტიკორუფციული სამსახურის შექმნას, ე.წ. თორმეტკაცას?*

— სუფთა კომუნისტური „პაკაზუხობაა". იქ შეიძლება კაი ბიჭებიც არიან, მაგრამ როგორ უნდა მოერიონ ამხელა მახინას? მაშინ 80 ათას პოლიციელს რომ „აგულავებ", კონტროლის პალატა რომ გყავს, პროკურატურა რომ გყავს, ისინი რას აკეთებენ?! ეს იმის აღიარებაა, რომ ესენი არ არიან წესიერები და გასაუქმებელნი არიან.

*— ბატონო ჯაბა, თქვენი მსჯელობიდან გამომდინარე, ისღა დამრჩენია რიტორიკული კითხვა დაგისვათ: საით მივდივართ?*

— არსად აღარ მივდივართ. ადგილზე ვდგავართ და ვყვირით, ვითომ მივდივართ. ჩავარდნილები ვართ უფსკრულში და ვყვირით — მივდივართო, მაგრამ სად — არ ვიცი.

*მარინა მამისაშვილი*

# ქართული არმია — 10 წელი უარესობისკენ?!

30 აპრილს საქართველო ოფიციალურად ალნიშნავს ეროვნული არმიის შექმნის ათ ნლისთავს.

ისტორიის თვალსაზრისით, ათი წელი მაინცდამაინც დიდი დრო არ არის, თუმცა არც ისე მცირეა კონკრეტული შედეგის მისალებად. სამწუხაროდ, ბრძოლისუნარიანი არმიის შექმნის საქმე ვერაა სახარბიელოდ და არც არის გასაკვირი — არმია ისეთივეა, როგორიც გახლავთ თავად ქვეყანა!

არმია ნებისმიერი, თავისი თავის პატივისმცემელი ქვეყნისთვის სახელმწიფოებრივი ძლიერების დამადასტურებელი აუცილებელი ატრიბუტია.

ქვის ხანიდან მოყოლებული — იმარჯვებს ძლიერი. მიუხედავად იმისა, რომ დღეს დასავლეთი ჩვენგან ტოლერანტობასა და სეპარატისტებისადმი შემწყნარებლობას მოითხოვს, თავად აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია (რომ ალარაფერი ვთქვათ დიდი იმპერიის აღდგენაზე მეოცნებე კრემლზე) თუ სხვა განვითარებული ქვეყნები სწორედ ძალისმიერი მეთოდებით არკვევენ ურთიერთობებს. ასე იყო კორეაში, ვიეტნამში, ავლანეთში, ალჟირში, ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულებზე, სპარსეთის ყურესა თუ ყოფილ იუგოსლავიაში.

საქართველოში ყველაფერი პირიქით ხდება — იქ, სადაც მართლა მოლაპარაკება სჯობს, ტანკებით შედიან, ხოლო როდესაც ძალის გამოყენებაა აუცილებელი, ხელისუფლებას ასე ძვირფასი დრო უშედეგო და, რაც მთავარია, უაზრო მოლაპარაკებებში გაჰყავს.

სრულფასოვანი და რეალურად ბრძოლისუნარიანი არმიის ჩამოყალიბებას კი საშველი არ დაადგა და ეტყობა, კარგა ხანს არაფერი ეშველება, რადგან ამის ნება და დიდი სურვილი დღევანდელ ხელისუფლებას არა აქვს. წარამარა იმის მტკიცება, — ქართული არმიის ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობსო, უკვე ამაზრზენი ხდება. მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დღევანდელი ქართული არმია უამრავი პარამეტრით ჩამოუვარდება 8-9 წლის წინანდელ ჩვენს ჯარსაც კი.

ამ პარამეტრებში უპირველესად იგულისხმება ჯარის სულიერი, საბრძოლო განწყობა და შეიარაღება.

დღეს დეზერტირობამ წალეკა არა მარტო არმია, არამედ მთლიანად სამხედრო ძალები. ათი წლის წინ კი ჭაბუკები ხალისით მიდიოდნენ ჯარში, ხოლო მამულის გრძნობაგალვიძებული ქართველი ოფიცრები საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან სამშობლოსკენ მოეშურებოდნენ. 1991-92 წლებში არსებობდა თითქმის ყველა პირობა, რომ საქართველოში მართლაც ძლიერი არმიის შექმნას ჩაჰყროდა საფუძველი, რის გარანტად ჯარისკაცთა პატრიოტიზმი და ქართველი კადრის ოფიცრების პროფესიონალიზმი უნდა ქცეულიყო.

მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, რაშიც ერთ-ერთი მთავარი უარყოფითი როლი ქვეყანაში შინაპოლიტიკურმა დაპირისპირებამ ითამაშა. — ეროვნული გვარდია ორად გაიყო, ხოლო უამრავმა საძმომ საქართველო დააქცია. ამას დაემატა კიდევ ერთი გარემოება — ხშირად, ხელისუფლებისადმი პირადი ერთგულების სანაცვლოდ, ყოფილი მებუფეტეები თუ „ცეხავიკები" ინიშნებოდნენ პროფესიონალი ოფიცრების მეთაურებად, რასაც ბრძოლის ველზე ბევრჯერ გაუმართლებელი მსხვერპლი მოჰყოლია.

მეორე პარამეტრი, რომელიც ბრძოლისუნარიანი არმიის შექმნის გარანტიას იძლეოდა, შეიარაღება გახლდათ. ბევრს შეიძლება ძალიანაც გაუკვირდეს, მაგრამ აფხაზეთის ომის დასაწყისში ქართული არმიის შეიარაღება ძალზე მნიშვნელოვანი იყო და საკმაოდ აღემატებოდა დღევანდელსაც კი.

1992 წლის ზაფხულში რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ ქართველ კოლეგებს გადასცა ახალციხის მე-10 კადრირებული მოტომსროლელი დივიზიის შეიარაღება — Т-55М ტიპის 108 ტანკი, БМП-1 ტიპის 125 ერთეული ქვეითთა საბრძოლო მანქანა და ოთხი ჯავშანტრანსპორტიორი БТР-70. ეს სრულიად საკმარისი იყო იმავე წელს ძლიერი ეროვნული არმიის ჩამოყალიბების ძირითადი ეტაპის დასამთავრებლად. ამის მაგივრად კი „მსოფლიო დონის" ქართველმა პოლიტიკოსებმა და „უძლიერესმა მხედართმთავრებმა" ამ ტექნიკის დიდი ნაწილი ეშელონებით სამტრედიისკენ გააქანეს და იქიდან — თავისი სვლით სოხუმისკენ.

ფაქტობრივად, სწორედ აფხაზეთის ომი გახლდათ ის მთავარი პრობლემა, რომელმაც ხელი შეუშალა არმიის ფორმირებას, რადგან ამ პროცესის პირველი ეტაპი უსათუოდ მშვიდობიან პირობებში უნდა განხორციელებულიყო, დახვეწილიყო ათეულების, ოცეულების, ასეულების, ბატალიონებისა და ბრიგადების ერთობლივი მართვის მეთოდები, მშვიდობიან პირობებში გახლდათ შესაძლებელი პირადი შემადგენლობის გაწვრთნა, საბრძოლო ტექნიკის მწყობრში მოყვანა (სამტრედიიდან თავისი სვლით წასული ტანკები და ჯავშანმანქანები აფხაზეთის გზებზე რჩებოდა) და ა.შ. სხვათა შორის, ახალციხის დივიზია მოსკოვს სულგრძელობის გამო არ გადმოუცია — კრემლმა საქართველოს ხელისუფლებაში არსებული თავისი გავლენის აგენტების საშუალებით ქვეყანა ომში ჩაითრია (სტატიის ავტორი ახალციხეში თავად იყო მოწმე, თუ როგორ ჩქარობდნენ რუსი გენერლები ქართველებისთვის იარაღის გადმოცემას; არადა ცოტა ხნით ადრე გორის სატანკო ნაწილში ტანკების მუხლუხოებით შეეგებნენ მათ).

ყოველივე ეს და, რაც მთავარია, უდისციპლინობა იყო მიზეზი, აფხაზეთის ომში ქართული არმიის პირადი შემადგენლობის დიდი მსხვერპლისა და შეიარაღების დაკარგვისა. ერთწლიან ბრძოლებში დაიკარგა არანაკლებ 43 ტანკი და 51 ჯავშანმანქანა (ეს ციფრები ქართულ პრესაში პირველად ქვეყნდება) — ზოგი ააფეთქეს, ზოგიც ხელში ჩაიგდეს აფხაზებმა, რამდენიმე აფხაზეთის სვანეთში ჩარჩა ან მდინარეში ჩავარდა — 7 მოიერიშე Су-25 ტიპის თვითმფრინავი (ბოლო — „ზვიადისტებმა" ჩამოაგდეს სენაკთან) და ათამდე შვეულმფრენი (მათ შორის 3 დამრტყმელი Ми-24 და სამი სამხედრო-სატრანსპორტო Ми-8МТ).


10 წლის წინ სამხედრო ფიცს ხალისით ღებულობდნენ... დღეს კი...

აფხაზეთის ომის შემდეგ ქართული არმია მორალურად გატეხილი აღმოჩნდა. არადა 1993 წლის გაზაფხულ-ზაფხულში სეპარატისტებისა და მათი დამხმარეების რამდენიმე ძლიერი შემოტევის მარჯვედ მოგერიების შემდეგ (განსაკუთრებით 14-16 მარტის თავდაცვითი ბრძოლების დროს, როდესაც ქართულმა არტილერიამ დიდად დააზარალა მტერი), ქართული არმია აღმავლობის გზაზე იდგა, რადგან უკვე ბრძოლებში გამოწრთობილი გახლდათ. თუმცა რად გინდათ! თბილისელი პოლიტიკოსების მორიგი სამშვიდობო მოლაპარაკებების შედეგად მოიშალა სოხუმის თავდაცვის ზღუდეები და გაინალმა სახიფათო მიმართულებები, ხოლო როგორც მოსალოდნელი იყო, არც გუდაუთამ და მით უმეტეს, მოსკოვმა, არაფრად ჩააგდეს საქართველოს ხელისუფლება და ეს უკანასკნელი კვლავ პირში ჩალაგამოვლებული დატოვეს.

ქართული არმიის ხელახლა შექმნის ახალ ეტაპად თავდაცვის მინისტრად გენერალ-მაიორ ვარდიკო ნადიბაიძის დანიშვნა იქცა. ნადიბაიძეს არასოდეს დაუმალავს, რომ მან მხოლოდ საბჭოთა ჯარის სტრუქტურა იცოდა და ქართულსაც იმგვარად აშენებდა. თუმცა ნადიბაიძე „კენჭებს" გადააყოლეს და დაუზარებლადაც განაქიქებდნენ ხოლმე, გარკვეულწილად, სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ქართული არმიის შეიარაღება შეივსო 30 ცალი, ჩვენთვის თანამედროვე Т-72 ტიპის ტანკით (ახალქალაქის რუსული 147-ე მოტომსროლელი დივიზიიდან) და 13 ერთეული 152 მმ-იანი შორსმსროლელი საარტილერიო სისტემით 2С19 МСТА-С, МСТА-Б და ГИАЦИНТ-Б-ებით. ამასთან, ნადიბაიძემ ГРВЗ-ს ერთი 203 მმ კალიბრის თვითმავალი საარტილერიო დანადგარი ПИОН-იც „წაართვა", რომელიც ატომურ ჭურვებს ისვრის, თუმცა ეს უკანასკნელნი, რა თქმა უნდა, ქართველებისთვის არავის გადმოუცია.

ამასთან, როგორც ამბობენ, ნადიბაიძემ მეტ-ნაკლებად მოახერხა ჯარის ყაზარმებში შეყვანა და გარკვეული დისციპლინის დამყარება სამხედრო ნაწილებში. თუმცა არათუ რუსული, არამედ საბჭოთა ყაიდაზე შექმნილი არმია საქართველოსთვის მიუღებელი იყო. ამასთან, გამეფებული იყო კორუფცია, მაგრამ იმ, შედარებით ნორმალური დაფინანსების დროს, ეს ნაკლებად იგრძნობოდა.

1998 წლის მაისში თავდაცვის მინისტრად დავით თევზაძის დანიშვნამ კარდინალურად შეცვალა ქართული არმიის შექმნის პროცესი, თუმცა თავდაპირველი დიდი იმედები, სამწუხაროდ, არ გამართლდა. ამაში, რა თქმა უნდა, ლომის წილი სამხედრო ბიუჯეტის შემცირებასა და დაუფინანსებლობასაც უდევს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ბევრი ის არასწორი გადაწყვეტილება, რაც თავდაცვის სამინისტროში იქნა მიღებული.

დღეს, არსებობის 10 წლისთავზე, ქართული არმია იმ გერს ჰგავს, რომელიც სამშობლომ მიაგდო და მეზობელი თუ მეგობარი სახელმწიფოები არჩენენ. თითქოსდა არ უნდა იყოს ცუდი, რომ თითქმის ყოველკვირეულად ვილაცა რაღაცას ჩუქნის ჩვენს არმიას (ისევე, როგორც მთელ ქვეყანას), მაგრამ დაგვერწმუნეთ, უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია. ქართული არმიის შემნახველს ადრე თუ გვიან მასზე დიდი გავლენის სურვილიც გაუჩნდება (ასეთები უკვე ჩანან, ოღონდ დიპლომატიურად შენიღბულნი).

საჭიროა მთლიანად საქართველოს სამხედრო ძალების კარდინალური შეცვლა, მმართველობითი სტრუქტურების შემცირება და მათ ხარჯზე საბრძოლო დანაყოფების შტატის გაძლიერება და ა.შ. მაგრამ ყველაზე მთავარია სახელმწიფოში — როგორც მის ხელისუფლებაში, ისე საზოგადოებაში — შეიცვალოს დამოკიდებულება მათივე დამცველის, ქართული არმიის მიმართ და იგი პრიორიტეტული გახდეს.

თუმცა არმიის მე-10 წლისთავზეც კი ამის არავითარი ნიშანი, სამწუხაროდ, არ ჩანს...

# „ვიდრები" — ქართული სამხედრო ფლოტის გასაძლიერებლად

საქართველოს სამხედრო-საზღვაო ფლოტი თავდაცვის სამინისტროს ჯარების თითქმის ერთადერთი სახეობაა, რომელიც აფხაზეთის ომის შემდეგ გაიზარდა და გაძლიერდა.

თუკი 1992-93 წლებში აფხაზეთის სანაპიროს გასწვრივ ქართველი მეზღვაურები მხოლოდ სამოქალაქო გემებით და კატარღებით (მათზე მხოლოდ მსუბუქი შეიარაღება იყო დაყენებული) უპირისპირდებოდნენ სეპარატისტებს (მაშინ აფხაზებს ხელთ ჰქონდათ არანაკლებ 23 ერთეულამდე მცურავი საშუალება, მათ შორის 6-მდე სწრაფმცურავი საპატრულო „გრიფი"), დღეს სიტუაცია მეტ-ნაკლებად შეიცვალა. ქართველი სამხედრო მეზღვაურები უკვე მესამე წელია, დაცურავენ საბრძოლო კატარღებით, რომელთა წარმომავლობა მრავალეროვნულია — უკრაინაში ნაყიდი 205П პროექტის კატარღა და 206МР პროექტის სარაკეტო კატარღა, ბერძნების ნაჩუქარი „ივერია" და „მესტია", თურქების მოძღვნილი კატარღები და სხვ.



მათ რიცხვს ორიოდე კვირაში კიდევ უნდა შეემატოს ახალი საჩუქარი — ამჯერად უკვე ბულგარელებისგან. ისინი ორი საშუალო სადესანტო კატარღის გადმოცემას აპირებენ.

საერთოდ, სადესანტო მცურავ საშუალებებს ყველა ქვეყნის ფლოტში უდიდესი ყურადღება ექცევა, რადგან მათი მეოხებით შეიძლება მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ სანაპიროზე სწრაფად გადაისხას საზღვაო დესანტი და თვით საბრძოლო, მძიმე ტექნიკაც კი.

საზღვაო დესანტის ეფექტიანობა აფხაზეთის ომში ორგზის თვალნათლივ გამოჩნდა:

პირველად — ჩვენთვის სასარგებლოდ, როდესაც ომის დასაწყისისთანავე მცირე სადესანტო კატარღით (МДК) განთიადში გადასხეს „შავნაბადას" ბატალიონისა და სხვა დანაყოფების დესანტი, ხოლო მეორედ ტრაგიკულად — 1993 წლის 2 ივლისის ღამეს სეპარატისტების საზღვაო დესანტი ბარჯებიდან ტამიშთან გადმოვიდა და გადაკეტა ოჩამჩირე-სოხუმის შემაერთებელი მაგისტრალი. იმის მიუხედავად, რომ ერთ კვირაში ქართველებმა გზა გახსნეს, სწორედ ეს დესანტი იქცა სოხუმის შემდგომი დაკარგვის წინაპირობად — ტამიშთან გაჩაღებული ბრძოლებით ისარგებლეს აფხაზებმა და აიღეს სოფ. შრომა, რომელსაც სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა სოხუმისათვის.

დავუბრუნდეთ ბულგარელების საჩუქარს, რომელსაც დასავლეთში რატომღაც „ვიდრას" ეძახიან.

**ჩვენი ცნობა:** 106K პროექტის საშუალო სადესანტო კატარღის (СДК) „ვიდრას" სრული წყალწყვა 550 ტ-ს აღწევს, სიგრძით 54,5 მ-ია, სიგანით — 7,7მ, ხოლო წყალჯდომა კი — 2,25მ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ კატარღის ტრიუმის გაბარიტები (30X4,5 ანუ სიგრძე 30 მ-ია, ხოლო სიგანე — 4,5მ), მასში სამი ტანკის მოთავსების საშუალებას იძლევა, ანდა შეუძლია მოახდინოს 176 საზღვაო ქვეითის დესანტირება, რისთვისაც „ვიდრა" პირდაპირ ნაპირზე ამოდის. ორი, თითოეული 600 ც.ძ.-ის სიმძლავრის დიზელის ძრავა „ვიდრას" 10,5 კვანძ სიჩქარეს ანიჭებს. მისი ეკიპაჟი 12 კაციანია. „ვიდრას" 60-იანი წლების ბოლოდან ამზადებდნენ საბჭოთა კავშირსა (ხერსონი) და გდრ-ში. სულ გამოშვებულია 40-მდე „ვიდრა".

ქართველებისთვის განკუთვნილი „ვიდრები" ბულგარელებს სამხედრო-საზღვაო ბაზა ბურგასში უყენიათ. კატარღები 70-იან წლებშია დამზადებული და დღეს კონსერვაციაზეა. ბულგარელ სამხედროებს, ჩვენი არ იყოს, ძალიან უჭირთ (ორიოდე წლის წინ სტატიის ავტორი თავად იყო მოწმე, თუ რა სავალალო დღეშია ვარნის სამხედრო-საზღვაო ბაზაში ბულგარული სამხედრო გემები, მათ შორის ორი დიზელისძრავიანი წყალქვეშა ნავი), ამიტომაც „ვიდრების" კონსერვაციიდან მოხსნა გარკვეულ თანხას (რაც დაახლოებით ერთი ჯიპის ფასის ტოლია) მოითხოვს, რომელშიც მათი შეღებვაც და გადმოსაცემად მომზადებაც შედის.

სამხედრო-საზღვაო ძალების ხელმძღვანელობას განზრახული აქვს, მაისის შუა რიცხვებში ეკიპაჟები გაგზავნოს ბურგასში, მიიღოს ორივე „ვიდრა" და ფოთის სამხედრო პორტში დროულად ჩამოიყვანოს, რათა ივნისის დასაწყისში ისინი მზად იყვნენ NATO-ს საერთაშორისო სამხედრო-საზღვაო სწავლებებში „COOPERATIVE PARTNER-2001"-ში მონაწილეობის მისაღებად.

P.S. ორიოდე წლის წინ რუმინეთიც გვთავაზობდა „ფოთის" პროექტის (NATO-ს კლასიფიკაციით) საესკადრო ნაღმოსანს (რომელიც ჩვენს ფლოტში უდიდესი იქნებოდა) საჩუქრად, თუმცა, მაშინ ვერ გამოინახა მისი კონსერვაციიდან მოხსნისთვის საჭირო თანხა. ეს შეიძლება კარგიც იყო, რადგან ამ დიდი და მოძველებული ხომალდის ექსპლუატაცია ჩვენს გაჭირვებულ ფლოტს ახალ პრობლემად გადაექცეოდა. სამაგიეროდ, სადესანტო გემები საქართველოსთვის, რომელსაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა სჭირდება, ჩვენი აზრით, ბევრად უფრო საჭიროა, რადგან მიმდინარეობს (მართალია, დიდი ფინანსური პრობლემებით) საზღვაო ქვეითთა ბრიგადის ჩამოყალიბება.

*გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

# საზღვრის დაცვა — უპილოტოდ



საქართველოში ამ ცოტა ხნის წინ ჩამოიტანეს უპილოტო სადაზვერვო თვითმფრინავი, რომლის სერიული წარმოებაც თბილისის საავიაციო ქარხანაში იგეგმება.

ისრაელის უპილოტო სადაზვერვო თვითმფრინავი „BLUE HORIZON-2" 150კგ-ს იწონის. „ცისფერ ჰორიზონტს" ერთი ორდგუშიანი, 25 ც.ძ.-იანი შიდაწვის ძრავა უყენია და ასაფრენ-დასაფრენად 300მ ყოფნის, თუმცა ავარიულ შემთხვევაში, პარაშუტით დაშვებაც ძალუძს.

„ცისფერ ჰორიზონტს" შეუძლია 17 საათი განუწყვეტლივ იფრინოს და სპეციალური ვიდეო-თბურელექტრონული მოწყობილობით დაზვეროს მოწინააღმდეგის პოზიციები. მისი მართვა მიწისზედა კონტეინერიდან ხდება. უპილოტო თვითმფრინავზე დაყენებული ტელეკამერიდან კონტეინერში მჯდომი ოპერატორი არა მარტო სადაზვერვო ვიდეოინფორმაციას იღებს დროის რეალურ მასშტაბში, არამედ მართავს თავად თვითმფრინავს. ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ გამოგვადგებოდა ასეთი საფრენი სადაზვერვო საშუალება ფრონტის ხაზის, მტრის ზურგის დასაზვერად ან სულაც საზღვრების მონიტორინგისთვის (18 აპრილს საავიაციო ქარხნის ტერიტორიაზე ტყუილად როდი უტრიალებდა გარშემო „ცისფერ ჰორიზონტს" სასაზღვრო ძალების სარდალი გენერალი ჩხეიძე). სხვათა შორის, რუსები ჩეჩნეთის ომებში აქტიურად იყენებენ ანალოგიურ უპილოტო სადაზვერვო თვითმფრინავებს „Пчела"-ებს. სტატიის ავტორს ნანახი აქვს ჩეჩნების მიერ ტყვიამფრქვევით ჩამოგდებული ერთ-ერთი ასეთი რუსული „ფუტკარი". რამდენიმე დღის წინ რუსებმა განახორციელეს მისი მოდიფიკაცია „Пчела-1ИК"-ი, რომელსაც ინფრაწითელი მოწყობილობით შეუძლია იმ პარტიზანების აღმოჩენა, რომლებსაც ეკუთვნით ღამის ჩეჩნეთი.

„ჩემ მიერ ქვემოთ მოთხრობილი ამბავი გამოგონილი არ არის. ესაა ტრაგიკული ისტორია ერთ-ერთი იმათგანისა, ვინც არცთუ იშვიათად შეგვხვედრია ცხოვრებაში. [illegible] ამ საკითხზე საკუთარი მოსაზრებები გამაჩნია და თუ ამ ამბის გმირის მიმართ ვინმეს განსაკუთრებული ინტერესი აღეძვრება, ჩემი პოზია ძალი არ იქნება... გვარ-სახელებით არც მათ მოიხსენებ, ვინც უდიდესი ცოდვები ჩაიდინა. ესენი იყვნენ იმ დროისთვის საზოგადოებაში მაღლებში, პატივცემული ადამიანები — მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს მაღალჩინოსნები. განვლილი 52 წლის მიუხედავად, მშვენივრად მახსოვს ჩემი ბედით მათი [illegible] თამაშები... დიდი ხანია, ამ ნაძირალებს [illegible] გამოუვლიათ, [illegible] ..."

*ასე იწყებს თავისი ფათერაკებ-ან ამბების თხრობას რუბრიკა „ვერსიის" დღევანდელი სტუმარი, 74 წლის თბილისელი, ვერის უბანში გაზრდილი მამაკაცი, რომელსაც მდგუკუუმართი ხუთისოფლის ჩარხის ტრიალმა ახალგაზრდობაშივე აგრძნობინა უსამართლობის სუსხი:*

„1949 წლის 15 მარტს, დილის 3 საათზე ბინაში თბილისის მილიციის თანამშრომლები მოგვადგნენ. არც ჩემთვის, არც ოჯახის სხვა წევრებისათვის არაფერი აუხსნიათ, ხელბორკილი დამადეს და ქალაქის სამართველოში წამიყვანეს. სიმართლე გითხრათ, მაინცდამაინც არ [illegible] — ვიცოდი, რაღაც გაუგებრობა იყო და მალევე გამათავისუფლებდნენ. შემიყვანეს სამმართველოს უფროსთან, პოლკოვნიკთან. ახმახი კაცი იყო, ვეებერთელა გომბეშოს ჰგავდა. ნელ-ნელა მომიახლოვდა. უცებ, ჰაერში შეხტა და ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, მუცელში წიხლი ჩამცხო... აქედან დაიწყო და დაიწყო... მას შემდეგ ჩვენში ძიების მეთოდები არ შეცვლილა — მუქარა, ცემა, შანტაჟი... [illegible] 1948 წლის ივლისში თბილისში ბუღალტერი ქალი მოეკლათ, [illegible] შენი ჩადენილია!

ამის გაგონებამ თავდაპირველად თავზარი დამცა. მკვლელობა?! თავი [illegible] სიზმარში მეგონა. შემდეგ დავმშვიდდი — 1948 წლის მთელი ივლისის თვე ხომ ქუთაისში მქონდა გატარებული! თბილისის [illegible] ფაბრიკიდან ის სანარმოო პრაქტიკაზე გამგზავნეს და უამრავი მოწმე დაადასტურებდა, რომ მაშინ, როდესაც დანაშაული მოხდა, ქუთაისიდან ფეხიც არ მომიცვლია.

როცა ყოველივე ამის შესახებ მილიციელებს ვაცნობე, [illegible]. ალბათ, ვარაუდობდნენ, — საცაა ჩვენთვის სასურველ სიტყვებს [illegible] და უცებ — ალიბი! რამდენიმე დღე აღარაფერს შემაწუხებიათ. ვიფიქრე, — ჩემს უდანაშაულობაში დარწმუნდნენ და მალე გამიშვებენ-მეთქი. თურმე ვცდებოდი...

საკანში, სადაც ამ ხნის მანძილზე მარტო ვიჯექი, ვიღაც ახალგაზრდა კაცი შემოიყვანეს. [illegible]

ჩემი თაობის თბილისელებს კარგად ეხსომებათ: [illegible] კრიმინალურ სამყაროს ხალხი რომანტიკულად მოიხსენიებოდა. სიტყვა „ქურდი" ლამის ვაჟკაცობის სინონიმად აღიქმებოდა. [illegible] ჩვენს ქუჩის ბოლოში ერთი ხანდაზმული ქალი ცხოვრობდა, მის ბინას „ბლატ-ხანას" ეძახდნენ. იქ იკრიბებოდნენ თბილისის ყველაზე ავტორიტეტული ქურდები. არჩევდნენ საქმეებს, ქეიფობდნენ. მოზარდები ვიყავით, მათი ყოფა გვაინტერესებდა და უბნის ბიჭებიც სულ იქ ვტრიალებდით. ქურდები კარგად გვიცნობდნენ და მიუხედავად იმისა, რომ მათსავით ცხოვრებას არ ვაპირებდი (ვსწავლობდი და ოჯახიც შევქმენი), ქალაქში „გამოსულ ბიჭად" ვითვლებოდი. და ამის შემდეგ ვიღაც გაუთლელი თანასაკნელი მარიგებდა, როგორ მოვქცეულიყავი... კონფლიქტზე მაინც არ წავედი და თავი ისე მოვაჩვენე, თითქოს მჯეროდა მისი. დავწერ წერილს, მაგრამ არც ქაღალდი მაქვს და არც ფანქარი-მეთქი. რამეს მოვიფიქრებთო, — მახარა. მერე ჯიბიდან „ყაზბეგის" კოლოფი ამოიღო, პაპიროსი შემომთავაზა და უცებ, თვალები გაუბრწყინდა — აი, ქაღალდიცო! კოლოფში ჩაწყობილ პაპიროსებს თხელი ქაღალდი ჰქონდა ჩაფენილი. ის ქაღალდი გამომიწოდა და ახლა ჯიბეების ჩხრეკას მოჰყვა. უცბადვე „იპოვა" ასანთის ღერის სიგრძე ფანქარიც და წერილის შინაარსის კარნახი დამიწყო. საქმე ისე მიყავდა, რომ მილიციას, ამ წერილის სახით, ჩემზე კომპრომატი გასჩენოდა. მე კი ის დავწერე, რაც ოჯახს მონატრებულს უნდა დამეწერა. წერილი არ წაუკითხავს. შევეხვეწე, — შენი ჭირიმე, არ გიპოვონ, თორემ დავიღუპები-მეთქი. ბიჭო, მე რა, მაგის ჩიტი ვარო? — განმიცხადა და ის ბარათი ფეხსაცმელში შეინახა.

საღამოს გამოუძახეს. დამემშვიდობა და წავიდა. მეტი აღარც გამოჩენილა. დილით, ტუალეტში რომ გამიყვანეს, ერთმა ხანდაზმულმა მილიციელმა ჩამჩურჩულა, — ის შენი თანასაკნელი წუხელ კინაღამ ცემით მოკლეს, ჩვენ რა გითხარით და შენ რა დააწერინეო...

აღშფოთებული ვიყავი — ე.ი. ჩემი შეუვალი ალიბისთვის მილიციას ყურადღებაც არ მიუქცევია და მაინც თავისას ცდილობდა... მას შემდეგ ნახევარი საუკუნე გავიდა. დღემდე არ

# „დღემდე არ ვიცი, რატომ მაბრალებდნენ საზარელ დანაშაულს"

## „ძიების მეთოდები დღესაც იგივეა — ცემა და შანტაჟი"



„ეს ფოტო 1955 წელს ტაიგაშია გადაღებული. ერთ-ერთი პატიმარი მე ვარ..."

ვიცი, რატომ შეაჩერეს არჩევანი მაინცდამაინც ჩემზე, რატომ მაბრალებდნენ მკვლელობას... ეგებ, მხოლოდ იმიტომ, რომ ქურდებს კარგად ვიცნობდი და ჩემში პოტენციურ დამნაშავეს ხედავდნენ? ვერ გახსნეს მკვლელობა და იფიქრეს, — მოდი, ამას დავაბრალოთო... მოგვიანებით, როცა მყარ ალიბს შეეჯახნენ, შესაძლოა, გაუჩნდათ კიდეც სურვილი, — ჩემთვის თავი დაენებებინათ, მაგრამ უკვე აღარ შეეძლოთ, ღრმად ჰქონდათ შეტოპილი. იმ აზარტულ მოთამაშეს დაემსგავსნენ, რომელმაც იცის, რომ წააგებს, მაგრამ რაღაცის იმედით მაინც აგრძელებს თამაშს...

ტანჯვა-წამებისა და გაურკვევლობის კიდევ ორმა თვემ განვლო. ერთხელ მორიგე მილიციელი მეუბნება, — ამდენი ხანია აქ ზიხარ, ქუჩაში გასეირნება არ გინდაო? მერე, ვინ მიშვებს-მეთქი? დაკავებულებისთვის საჭმელი ქალაქიდან მოგვაქვს, თან ორი პატიმარიც მიგვყავს ხოლმე და თუ გინდა, ერთ-ერთი შენ იყავიო. სიხარულით მეცხრე ცას ვეწიე — ალბათ, დარწმუნდნენ, რომ სრულიად უდანაშაულო ვარ და ამიტომ მთავაზობენ, თორემ ნამდვილ დამნაშავეს ქალაქში როგორ გამიშვებდნენ-მეთქი?

მილიციის შენობის დერეფანში ერთი ჩემი ხნის ბიჭი გვიცდიდა, ხელში თავსახურიანი „ვედრო" ეჭირა. მე ჩანთა მომცეს და გზას გავუყევით. ორი პატიმარი და ერთი მილიციელი...

ქალაქში ფეხით მივდიოდით! სანაპიროს გავლით, ჯერ ბარათაშვილის, შემდეგ ლუნაჩარსკის ქუჩაზე ავედით. ოპერასთან სტამბა იყო, მის ეზოში — სასადილო. იქ სადილი მოგვცეს და უკანვე გამოვბრუნდით. დღემდე საკმაოდ სწრაფად დავდივარ. ფიქრებსა და ოცნებებში გართულმა მაშინ ვერც კი შევამჩნიე, როგორ დავწინაურდი. ის ბიჭი და მილიციელი კარგა გვარიანად ჩამომრჩნენ. ბარათაშვილის ქუჩაზე მშენებლობა იყო გაჩაღებული. ჩავუარე, კუთხეს მოვეფარი და მესრის ძირას, ქვაზე ჩამოვჯექი. თანამგზავრები ამ დროს ჩემგან თითქმის ასი მეტრით იყვნენ დაშორებულნი. მალე მათაც შემოუხვიეს. მილიციელმა გაიკვირვა, — არ მეგონა, აქ თუ დამხვდებოდიო... რა მჭირს გასაქცევი, ისედაც მალე გამიშვებენ-მეთქი.

მოულოდნელად, ჩვენ წინ, თითქოს მიწიდან ამოძვრნენო, ორი ახოვანი მამაკაცის ფიგურა აღიმართა. ერთ-ერთი — ულვაშა —



მილიციელს მიუბრუნდა და რაღაც გადაულაპარაკა, შემდეგ ირონიული ღიმილით მეუბნება, — ნეტა, გაქცეულიყავი, ხახვივით შემრჩებოდიო... შოკირებული დავრჩი. მათ თურმე ჩემი მოკვლა ჰქონდათ გადაწყვეტილი! მერე იტყოდნენ, გარბოდა და იძულებული ვიყავით, გვესროლაო...

პატიმრობაში კიდევ სამი წელი გავატარე.

ამაოდ ვებრძოდი უსამართლობას. შემდეგ სასამართლომ ათი წელი მომისაჯა. ამას წინ უძღოდა ერთი გარემოება — ჩემი მწვალებლები ქუთაისში ჩასულიყვნენ, ეთქვათ, — თქვენი პრაქტიკანტი ბანდიტი და მკვლელიაო და იმათაც, ასეთი ცნობა გამოატანეს: „მართალია, მთელი თვე ჩვენთან იმყოფებოდა, მაგრამ გამორიცხული არ არის, ერთი დღით, ფარულად, თბილისში ჩასულიყო და მერე ისევ ქუთაისში დაბრუნებულიყო"... ჩემი ალიბი იძულებით დაამსხვრევინეს...

მილიციის სამმართველოს ერთადგილიანი საკნის შემდეგ, ორთაჭალის ციხე აგარაკად მომეჩვენა. რაც მთავარია, უკვე მარტო აღარ ვიყავი, რისიც ძალიან მეშინოდა. იმ პერიოდში ბევრი დიდებული ვაჟკაცი გავიცანი. ღირსეული ხალხი, სახელგანთქმული ქურდები: ვახტანგ ამილახვარი, კოლია ზანდუკელი, კაკო გოცირიძე, გივი ლახუტაშვილი, ილო დევდარიანი, ომარ სირაძე. მათი დახვეწილი მანერებით, მიხრა-მოხრით, ინტელექტითა და სიტყვა-პასუხით გაოცებული დავრჩი. ვინ იცის, რა შედეგი იქნებოდა, ამ ხალხის უზარმაზარი პოტენციალი სხვაგვარად რომ გამოყენებულიყო... ერთი ტანსრული და წითური ქურდი იყო, „თავზეგას" ეძახდნენ. მეტად ჭკვიანი და ნაკითხი კაცი ბრძანდებოდა. სულ ვფიქრობდი, — ამას ხელში „პორტფელი" რომ დააჭერინო, კაციშვილი ვერ წარმოიდგენს, აკადემიკოსი რომ არ არის-მეთქი... მაშინ ვერაზე, პლეხანოვზე, მთაწმინდასა და სოლოლაკში, ძირითადად, ასეთი ბიჭები იზრდებოდნენ. უბრალო „მუჟიკებსა" და „ნადზირატელებს" შორისაც მრავლად იყვნენ კეთილშობილი ადამიანები. რა დამავიწყებს ციხის რეჟიმის უფროსს გრიშა დავითულიანს, რომელიც პატიმრებს მუდამ ტაქტითა და გულისყურით გვეპყრობოდა...

შემიყვანეს სამმართველოს უფროსთან, პოლკოვნიკთან. ახმახი კაცი იყო, ვეებერთელა გომბეშოს ჰგავდა. ნელ-ნელა მომიახლოვდა. უცებ, ჰაერში შეხტა და ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, მუცელში წიხლი ჩამცხო... აქედან დაიწყო და დაიწყო... მას შემდეგ ჩვენში ძიების მეთოდები არ შეცვლილა — მუქარა, ცემა, შანტაჟი...

გავიდა ხანი და ჩემი საქმე ხელახალ ძიებაში დააბრუნეს. დიდუბეში, ფოთის ქუჩაზე მდებარე სასამართლოში მატარებდნენ. იქაურმა მოსამართლემ ორი დღე არჩია საქმე და მერე აცილება მომცა, ანუ საქმის გარჩევაზე უარი განაცხადა, მე კი ჩამჩურჩულა: „შვილო, სინდისი უფლებას არ მაძლევს, რომ დაგსაჯო, მაგრამ სამსახურის დაკარგვაც არ მინდა"... შემდეგ ბადრაგს მიუბრუნდა, — ეს ბიჭი უდანაშაულოა, ციხეში დახურული მანქანით ნუ წაიყვანთ, ფეხით გაატარეთო... დაუჯერეს და ციხემდე მართლაც ფეხით მიმაცილეს.

სამი თვის შემდეგ ჩემი საქმე ამჯერად პლეხანოვზე მდებარე სასამართლოში განიხილეს. მაშინ პირველად შევიტყვე, რის საფუძველზე მდებდნენ ბრალს. დარბაზში „მოწმე" შემოიყვანეს. მან ჩემკენ ხელი გამოიშვირა და თავჩაქინდრულმა განაცხადა, — ამ კაცმა სამი წლის წინ ვიღაცას უთხრა, ბუღალტერი ქალი მოვკალიო... პროცესზე ისიც თქვეს, იმავე ფაქტს მეორე „მოწმეც" ადასტურებდა, მაგრამ ეს უკანასკნელი ცოტა ხნის წინ გარდაიცვალაო... ამგვარად — თეთრი ძაფით იყო ნაკერი მთელი ბრალდება...

როდესაც დარბაზში მყოფ „მოწმეს" კითხვები დავუსვი, შეცბა, თვალის ცეცებას მოჰყვა და რაღაც სისულელეები მიკიბ-მოკიბა. საქმეში უმალ ჩაერთო მოსამართლე — შუახნის, დარბაისელი ქალბატონი. „მოწმე" დაითხოვა და გვარიანად გამლანძღა... ყველაფერი ნათელი იყო. ფეხზე წამოვდექი: „პატივცემულო მოსამართლევ, თქვენ განაჩენი კარგა ხნის წინ გქონიათ დაწერილი. მოდით, ნულარ მტანჯავთ და წაიკითხეთ!" გაცოფდა, მეორე დღეს კი განაჩენიც გამომიტანა: ათი წელი არ მაკმარა და ოცი მომისაჯა! მალევე გამიყენეს ციმბირის გზას.

იქ გატარებული საშინელი წლები ცალკე საუბრის თემაა, მე მხოლოდ ერთ ეპიზოდს გავიხსენებ: 1958 წლის ბოლოს, ანუ ჩემი დაპატიმრებიდან თითქმის ათი წლის შემდეგ, „ლაგერში" საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს მდივნის, გრიშანინის წერილი მოვიდა, — ესა და ეს კაცი გაათავისუფლეთ, უდანაშაულო ყოფილაო...

შინისკენ მომავალი ვფიქრობდი, როგორ გავუსწორდებოდი ზოგ-ზოგიერთებს, მაგრამ ოჯახში რომ მივედი და შვილი და მშობლები დავინახე, შურისძიებაზე ხელი ავიღე... ტკბილია ოჯახი...

ბოლოსთვის ერთი ამბავიც მინდა მოგითხროთ. 50-იანი წლების დასაწყისში ციხეებში სიახლე შემოიღეს. რამდენიმე დღეში ერთხელ საკნებში პატარა ურიკას შემოაგორებდნენ ხოლმე — ისეთს, რესტორნებში მაგიდებთან რომ მიაქვთ შეკვეთილი სანოვაგე. იქ კი, სანოვაგის ნაცვლად, წამლები ეწყო.

ერთ მშვენიერ დღეს იღება საკნის კარი და ვხედავთ ულამაზეს ქალიშვილს, რომელიც ასეთ ურიკას მოაგორებს. „აბა, წამოდექით, ქურდებო და ყაჩაღებო!" — იღიმება ის და წამლებს გვთავაზობს. იმერული აქცენტი ჰქონდა, მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ ქუთაისელი გახლდათ. უბრალო ექთანი იყო, თუმცა ყველა ექიმს ეძახდა. სულ მოკლე ხანში ამ ახალგაზრდა მანდილოსანმა პატიმართა შორის უდიდესი პატივისცემა დაიმსახურა. წლების შემდეგ, ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღები" რომ წავიკითხე, მაშინვე მივხვდი, რომ ნუნუ ექიმის პროტოტიპი სწორედ მერი იყო.

ერთხელაც შემოდის საკანში მერი ექიმი. „აბა, წამოხტით, ბანდიტებო, თაღლითებო და გამფლანგველებო!" — გვიღიმის, როგორც ყოველთვის. წინა დღით მისთვის წერილი გავამზადე. ვინმე ყორჩიბაშის (ფსევდონიმი იყო) მიერ დაწერილი საუცხო ლექსი ვიცოდი და ქაღალდზე სწორედ ის გადავიტანე. მერე ერთ ჩემს თანასაკნელს ვთხოვე, — ეს მერი ექიმს მიეცი, მაგრამ არ უთხრა, ვისგან არის-თქო. ასეც მოიქცა. მერიმ ბარათი გამოართვა და ხალათის ჯიბეში შეინახა. მორიგი შემოვლისას, შემოდგა თუ არა საკანში ფეხი, მაშინვე იკითხა, — ის ლექსი ვინ დამიწერაო. ხმა არავის ამოუღია. მერე იმ ბიჭს მიუბრუნდა, — გინდა თუ არა გამეცი პასუხიო. თანასაკნელმა არ გამთქვა...

მას შემდეგ ათი თუ თერთმეტი წელი გავიდა. ციმბირიდან ახალი ჩამოსული გახლდით და საავიაციო ქარხანაში ვმუშაობდი. მახსოვს, იქიდან შინისკენ №16 ავტობუსით მოვდივარ. ორთაჭალაში გვერდით მგზავრი მომიჯდა. მექანიკურად გავხედე და გავოცდი — ის მერი იყო, ჩვენი მერი ექიმი! „გამარჯობა, მერი ექიმო!" — მივესალმე. გამიღიმა, — გაგიმარჯოს, მაგრამ რომ ვერ გიცანიო? ავდექი და ხმამაღლა წავუკითხე ყორჩიბაშის ის დიდებული ლექსი.

კარგა ხანს გაოგნებული შემომცქეროდა და ხმას ვერ იღებდა. მაშ, შენ იყავი იმ ლექსის ავტორიო? — ხმის კანკალით მკითხა. „არა, ძვირფასო მერი ექიმო, მაგრამ ლექსი მეტად შეგეფერებოდა და იმიტომ დაგიწერე". თვალზე ცრემლი მოადგა. არც მე ვიყავი უკეთეს დღეში...

კოლმეურნეობის მოედანზე ჩამოვიდა. მას შემდეგ აღარ მინახავს, თუმცა სიკვდილამდე მემახსოვრება 50-იანი წლების ორთაჭალის ციხის ბინადართა ერთადერთი ნათელი წერტილი, ნუგეში, სითბო და სიყვარული — ჩვენი ლამაზი და კეთილი მერი ექიმი".

*გვერდი მოამზადა*
*მიხეილ ჩერქეზიამ*

# ცხოვრებისეული კურიოზები

## — სადაც შემსვლის...

კაცური კაცი იყო ჩოხატაურელი შოთა ქორიძე — იუმორითა და სიმაღლით განთქმული.

ერთმა ჩვენმა მოკეთემ სამტრედიელი ქალი შეირთო და ქორწილზე გურულების მაყრიონიდან შოთას მოუწია თამადობა. იმერლების მხრიდან თამადა ნიკიფორე იყო.



ნიკიფორე ისეთი ტანდაბალი კაცი გახლდათ, შოთას წელამდე (და ალბათ ცოტა ქვევითაც) ძლივს სწვდებოდა. შოთამ ისე ითამადა, იმერელი გულზე გახეთქა. ღვინო რომ მოეძალათ, ნიკიფორემ იფიქრა, ცეკვით მაინც დავჯაბნიო და საცეკვაოდ გამოიჭრა. მართლაც კარგი მოცეკვავე გამოდგა — ილეთებით გააოგნა შოთა. შოთა როგორ ჩამორჩებოდა და ისიც წამოიჭრა ადგილიდან, მაგრამ ნიკიფორეს ვერაფერი მოუხერხა.

ნიკიფორემ „გააშაყირა“:

— რა კარგი მოცეკვავე ყოფილხარ, შოთა ბატონო, ვერ აგსტვები, თვარა გაკოცებდი.

— არა უშავს, ჩემო ნიკიფორე, სადაც შემსტობი, იქინე მაკოცე — უპასუხა შოთამ.

*ალვერი პაიჭაძე, ჩოხატაური*

## ბიჭიკოშვილი ქიჭიკო...



სამედიცინო ინსტიტუტში ტოქსიკოლოგიის პრაქტიკულებს ახალგაზრდა პედაგოგი თამაზ მურთაზაშვილი გვიტარებდა. სტუდენტებს (და არა მარტო მათ) ხშირად გვეშლებოდა და ხან თამაზ და ხან მურთაზ მასწავლებელს ვეძახდით.

ერთხელაც, მე და ჩემი მეგობარი ქეთინო ბ. ინსტიტუტის ბიბლიოთეკიდან გამოვდიოდით, ვიღაც კაცი მოგვიახლოვდა და ხმადაბლა, მორიდებით გვკითხა:

— ერთ კაცს ვეძებ, აქ ასწავლის, მაგრამ ზუსტად არ მახსოვს. ჭიჭიკოშვილი ბიჭიკოა, თუ ბიჭიკოშვილი ჭიჭიკო...

ჩვენ ღიმილი ვერ შევიკავეთ და ერთხმად წამოვიძახეთ:

— ალბათ მურთაზაშვილი თამაზი გნებავდათ!

— დიახ, დიახ... მურთაზაშვილი თამაზი — დაგვეთანხმა გახარებული კაცი და ჩვენ მიერ მითითებული ოთახისაკენ გაეშურა.

*ქეთინო კ. თბილისი*

## არც შენ მოგწონს, ხომ, ძმა?!



კომუნისტების დროს, გურიის ერთ სოფელში, დღის თერთმეტ საათზე ბრიგადირმა ჩამოიარა და ხედავს, ერთი მისი კოლმეურნე პირს იბანს.

— რა დროა, ბიჭო, ახლა? — ხმაში რისხვა გაურია ბრიგადირმა.

— არც შენ მოგწონს, ძმა, ხომ ეს დრო?!

*უცნობი, ხაშური*

## გოგონას სახელი



ჩემი მეგობარი ნონა ინგლისურის სპეციალისტია და კერძოდაც ჰყავს მოსწავლეები. ერთხელ ერთმა ნაცნობმა ასპირანტი მათემატიკოსი მიუყვანა, რომელსაც საკანდიდატოს ჩასაბარებლად სასწრაფოდ უნდა შეესწავლა ინგლისური ენა. მშვენიერი ყმაწვილი კი იყო, მაგრამ დიფერენციალური განტოლებების ამოხსნას არაფერი ერჩივნა, ენისა კი არაფერი გაეგებოდა, არადა, საკანდიდატო მინიმუმისთვის გამოცდა ჰქონდა ჩასაბარებელი ინგლისურში. როცა წაკითხული ტექსტის გადმოქართულებას ცდილობდა, ისე წვალობდა, მისი საცოდაობა ქვასაც აატირებდა.

ერთხელ, მეცადინეობისას, ასეთი წინადადება შეხვდათ: „ჯეინი დგას დაფასთან“.

— ჯეინი რა არის? — დაბნეულად იკითხა ასპირანტმა.

— ჯეინი გოგონას სახელია — მშვიდად უპასუხა ნონამ.

ასპირანტს თვალები გაუბრწყინდა და სხაპასხუპით გადათარგმნა:

— გოგონას სახელი დგას დაფასთან!

*მარინე გიგოლაშვილი*
*თბილისი*

## ხბოთი „კატაობა“

ეს ამბავი რაჭაში, სოფელ ლიხეთში ჩვენს მეზობელს, ბაბუა ნიკოლოზს გადახდა თავს.

ნიკოლოზის სახლის მახლობლად საღამოობით უბნელები იკრიბებიან და იმართება სჯა-ბაასი. ნიკოლოზმაც, როგორც ყოველთვის, მისაღამოვდა თუ არა, თავშეყრის ადგილს მიაშურა. ჭიშკარში გამოვიდა და შეხედა, საქონელი დაწოლილიყო გზაში. სასურველ ადგილამდე რომ მიეღწია, მათთვის გარს უნდა შემოევლო. დაეზარა მოხუცს, თან მშვიდად მწოლიარე პირუტყვი შეეცოდა და გადაწყვიტა, გადაებიჯებინა მათთვის. ერთი შედარებით პატარა ხბო ამოარჩია და მარჯვენა ფეხი გადააბიჯა, მეორეც რომ უნდა მიეყოლებინა, ხბო წამოდგა და ნიკოლოზიც მის ზურგზე აღმოჩნდა, თანაც პირუკუღმა. ამ არაბუნებრივი მდგომარეობით გადარეული ხბო ბღავილით გაქენდა იქვე თავშეყრილი ხალხისკენ და „მხედარიც“ თან გაიტაცა, რომელიც გაფაციცებული ცდილობდა არ გადმოვარდნილიყო.



ცოტა ხანში ნიკოლოზი მაინც ჩამოაგდო ხბომ და ცხვირი გაუტყდა. საშველად მოსულთაგან ერთმა მოხუცმა გაკვირვებით ჰკითხა:

— შე კაცო, ხბოთი კატაობა თუ გინდოდა, ქვე მაინც წაღმა შემჯდარიყავი?!

*თინიკო და გია, თბილისი*

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

ამერიკელი სახინკლეში შევიდა, იქ მსხდომებს გადახედა და ხმამაღლა გამოაცხადა:

— ვინც კუჭებიანად ზედიზედ 50 ცალ ხინკალს შეჭამს, 200$-ს ვაჩუქებ.



წამოხტა იქვე მჯდომი კახელი და გარეთ გავარდა. 15 წუთის შემდეგ უკან შემოვარდა და იკითხა:

— ნიძლავი ძალაშია?

— ძალაშია — უპასუხა ამერიკელმა.

კახელმა ერთმანეთის მიყოლებით შესანსლა 50 ცალი ხინკალი კუჭებიანად და მიიღო დანაპირები 200$. ამერიკელმა ჰკითხა:

— ხომ მიიღე 200 დოლარი, კაცურად მითხარი, სად იყავი ის 15 წუთი?

კახელმა უპასუხა:

— გვერდზე რო კაფეა, ჯო, იქ შევედი, შევამოწმე, შევჭამდი თუ არა ამდენ ხინკალს თავი კუჭებიანად!!!

*თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი*

მიხო გაზეთს კითხულობდა, განცხადებებში თვალი მოჰკრა, გველების დამჭერი ბრიგადები ითხოვდნენ, — თუ სადმე ქვეწარმავალი შეამჩნიოთ, სასწრაფოდ დარეკეთო. მიხომ იქვე მოთამაშე შვილს გასძახა:

— ზაქროო, ამაი ხო ხედამ? — და გაზეთი გაუწოდა.

— ვხედამ.

— დაიხსომე?

— დავიხსომე.

— ხოდა, თუ დაიხსომე, ბებიაშენ როზას დაინახამ თუ არა, ეგრევე დარეკე!

*შალვა მშვიდობაძე*





მიტო სახლში ჩაფიქრებული მივიდა:

— ქალო, გაიგე?! ვისაც ხუთი შვილი ყამს, „ჟიგულს“ აძლევენ.

— მერე შენ რა, ოთხი გყამს.

— არ გეწყინოს და, უნდა გამოგიტყდე... ერთი შვილი წითელწყაროში მყამს, თუ არ გაჯავრდები, წავალ და მოვიყვან... „ჟიგული“ ალებაი ეხუმრები?

— წადი და მოიყვანე, ვინ გიშლის?!

ორი დღის შემდეგ მიტო დაბრუნდა და თან კარგა შეღერებული ბიჭი მოჰყვა, სახლში კი ერთი შვილი დახვდა.

— ქალო, დანარჩენები სად არიან?!

— მამებმა წაიყვანეს.

*დუტა გოჩიაშვილი,*
*თემურ მეგუთნიშვილი*



ოთხი ნარკომანი სოფელში ჩავიდა, ორღობეში, თავისი სახლის წინ მოხუცი ქალი იჯდა, ხელში დანა ეჭირა. ახალგაზრდები რომ დაინახა, სთხოვა:

— შვილებო, მარტოხელა ვარ, გოჭის დაკვლა მინდა და იქნებ დამიკლათ.

— რაზეა, ბებო, საუბარი, დავკლავთ, აბა, რას ვიზამთ...

გამოართვეს ბიჭებმა დანა და ოთხივე საღორეში შევიდა. კარგა ხანს იქიდან ყვირილი, ხმაური და გოჭის ჭყვიტინის ხმა ისმოდა. როგორც იქნა, გამოვიდნენ — ოთხივენი თავიდან ფეხებამდე ტალახსა და ათას სიბინძურეში არიან ამოსვრილები, ადამიანის ფერი აღარ ადევთ.

— რა ქენით, შვილებო! — მიეგება მოხუცი.

— ბებო, ბოდიში რა, კაროჩე, ვერ დავკალით, მაგრამ მაგრადა ვცემეთ!!!

*ჯიმშერ ხვადაგიანი, მუხრანი*

*ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს. გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.*

# „ილიჩის ნათურებიდან“ „შევარდნაძის სანთლებამდე“

ამერიკული გაზეთის „კრისჩენ საიენს მონიტორის“ კორესპონდენტი **სკოტ პეტერსონი** ამას წინათ საქართველოს სტუმრობდა. მან ასე აღწერა საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა: „კარლოს ღვინიაშვილი ყვავილებს ყიდის. მისი ნახევრად დამჭკნარი თაიგული ერთ-ერთი მეტყველი ფაქტია იმისა, რომ ქვეყანა ფსკერზე ეშვება. — სულაც არ მინდა, ყვავილებს ვყიდდე — ჭირვეულობს პენსიონერი, ყოფილი ვეტერინარი — მე მქონდა სამსახური, შემოსავალი... ახლა კი იძულებული ვარ, ყვავილებით ვივაჭრო, რათა ოჯახს პური ვაჭამო“. ასეთი სავალალო ხვედრი დამახასიათებელია საბჭოთა კავშირის ნანგრევებზე შექმნილი ახალი სახელმწიფოსთვის. მაგრამ ერთ დროს აყვავებული საბჭოთა რეგიონის — საქართველოს ცხოვრების დონის ასეთი დაცემა განსაკუთრებით ნიშანდობლივია. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე საქართველომ აშშ-საგან მილიარდი დოლარი დახმარება მიიღო. მას ერთ-ერთი პირველი ადგილი ეჭირა ერთ სულ მოსახლეზე მიღებული დახმარების თვალსაზრისით, მაგრამ ქართველები ამბობენ, რომ დასავლეთის ყურადღებამ დიდი შედეგი არ გამოიღო, პირიქით, კორუფციის უკიდეგანო მასშტაბებმა, ძველი სტილით ხელმძღვანელობამ და ე.წ. „სამართალდამრღვევმა მენტალიტეტმა“ საზოგადოების განვითარების გზაზე შემაფერხებელი როლი ითამაშა. ამჟამად საქართველო განიხილავს უკვე საკმაოდ დაგვიანებულ ანტიკორუფციულ ღონისძიებათა პროექტს, რომელიც წარმოადგინა ამერიკელების მიერ დაფინანსებულმა ქართულმა კომისიამ. თუ ედუარდ შევარდნაძე ანტიკორუფციულ ბრძანებულებას ხელს მოაწერს, მაშინ საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრება უფრო გამჭვირვალე გახდება და იგი თეორიულად მაინც შეუდგება კორუფციის ხელისშემწყობი პირობების ლიკვიდაციას. სამთავრობო ხარჯი სახალხოდ გამოქვეყნდება, ხოლო ინსპექტორებს საშუალება მიეცემათ, მოსთხოვონ ფეშენებელური მანქანების პატრონებს დოკუმენტი გადასახადის გადახდის შესახებ. პოლიციისათვის, ოფიციალური პირებისა და სხვა ელიტური დაჯგუფებებისთვის გაუქმდება სპეცნომრები, რაც აღიზიანებს ქართველ საზოგადოებას. ბოლო მოეღება საგზაო პოლიციის თავნებობას. „ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს“, — აცხადებს აშშ-ში განათლებამიღებული **ადვოკატი დავით უსუფაშვილი**. იგი ხელმძღვანელობს ფართომასშტაბიან ანტიკორუფციულ კომისიას (როგორც მოგეხსენებათ, საქართველოში ამჟამად არჩეულია, ახალი 12 კაციანი ანტიკორუფციული კომისია მირიან გოგიაშვილის ხელმძღვანელობით — რედ.). ამ რვათვიან პროგრამას იუსტიციის სამინისტრო, საერთაშორისო განვითარების სააგენტო და ამერიკის სხვა დონორები აფინანსებენ. ხოლო ევროპელები, როგორც მოსალოდნელია, ნაწილობრივ დაფარავენ დამკვირვებელი კომისიის მუდმივი მოღვაწეობის ხარჯებს.



„თუ პრეზიდენტი შევარდნაძე ხელს მოაწერს ამ ბრძანებულებას, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მთელი პროგრამის განხორციელებას აპირებს, ხოლო თუ გადადებს, სიტუაცია უფრო ცინიკური გახდება“ — აღნიშნავს უსუფაშვილი.

საქართველოს დღევანდელი პესიმიზმი ძალზე კონტრასტულია იმ ეიფორიასთან შედარებით, რაც დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ სუფევდა. დაეცა ცხოვრების დონე, დაძაბულობა კი გაიზარდა. ამ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ჩვენმა ნაცნობმა ყვავილების გამყიდველმა პენსია მხოლოდ ერთხელ მიიღო (6 დოლარის ეკვივალენტი). „ყველაფერში შევარდნაძეს ვადანაშაულებ. ეს ისევეა, როგორც ოჯახებში ხდება: თუ რამე ისე არ არის, მამას ვადანაშაულებთ ხოლმე“, — აცხადებს ღვინიაშვილი.

ანალიტიკოსების აზრით, ედუარდ შევარდნაძე იმ ორი ტენდენციის ნათლიაა, რომელმაც პოსტსაბჭოური საქართველოს განვითარება განსაზღვრა: დასავლეთის გულუხვობა და ეროვნული კორუფცია. საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრობისას შევარდნაძე ხელს უწყობდა საბჭოთა კავშირის მშვიდობიან დაშლას, რისთვისაც მოგვიანებით დასავლეთის მადლიერება დაიმსახურა (დოლარით მხარდაჭერა). საქართველო იქცა ამერიკის სტრატეგიის ნაწილად რუსეთის გავლენის წინააღმდეგ მიმართული ბუფერის შექმნაში. მაგრამ დამოუკიდებლობის პირველ წლებში, რომელიც ორი ჩამოშორებული რეგიონით და უკანონობით დაიჩრდილა, შევარდნაძე (რომელმაც ორი ტერაქტი გადაიტანა) იძულებული გახდა, წასულიყო ჩრდილოვან ელემენტებთან გარიგებაზე. გასული წლის გაზაფხულზე იგი ხელმეორედ აირჩიეს პრეზიდენტად, თუმცა არჩევნების შედეგებს ბევრი მიიჩნევდა ფალსიფიცირებულად, რამაც უფრო დაძაბა საზოგადოებრივი ატმოსფერო.

„შევარდნაძემ ნამდვილად გადაარჩინა საქართველოს სახელმწიფოებრიობა, მაგრამ ეს მხოლოდ ყოფილი საბჭოური და მთლიანად კორუმპირებული ელიტის ბაზაზე შეძლო“ — აცხადებს **ანატოლ ლიევენ**, ვაშინგტონში კარნეგის ფონდის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. საქართველოსათვის გაგზავნილი დახმარება მოხმარდა ყველაფერს — იურისტების მომზადებას თუ არმიის რეფორმებსა და სასაზღვრო ჯარების გაძლიერებას, უფასო კვებასა თუ დასავლეთის ძვირად ღირებულ კონსულტანტებს.

პროგრესის ნიშნები არის, მაგრამ ხარჯებთან შედარებით იგი ძალზე უმნიშვნელოა. ლიევენი აცხადებს, რომ „რაღაც კარგის მიღწევა მოხერხდა“, განსაკუთრებით სასაზღვრო ჯარების, სასამართლო სისტემის რეფორმებისა და აგრეთვე, სიღარიბესთან ბრძოლის სფეროში, მაგრამ არაფერი გაკეთებულა ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, ხოლო „არმიისათვის განკუთვნილი ფული, ეტყობა, მთლიანად გაიფლანგა“.

ქართველებსაც ისევე აოცებთ უმნიშვნელო შედეგები, როგორც თავად დონორებს. „ჩვენ, ყველანი, ოპტიმისტები ვიყავით, ვფიქრობდით, რომ ჰოლანდიასავით ვიქნებოდით და იქნებ დასავლეთზე უკეთესადაც გვეცხოვრა — ამბობს ცნობილი ქართველი კანონმდებელი **ვახტანგ შამილაძე** — პოლიტიკოსები ფიქრობდნენ, აი, მოაწერენ დოკუმენტს ხელს და მეორე დღესვე დემოკრატიაში აღმოჩნდებითო, მაგრამ ოცნებები არ ემთხვევა რეალობას. თქვენ, დასავლელებს, სწრაფი ინტეგრაცია გინდოდათ, ჩვენც ეს გვსურდა — განაგრძობს ის, — ეს თქვენი პრობლემაცაა: არ უნდა იძლეოდეთ ფულს მკაცრი კონტროლის გარეშე“.

ყოფილი საბჭოთა კავშირის უმეტესმა რესპუბლიკამ აღმოაჩინა, რომ სამოცდაათწლიანი ცენტრალიზებული მმართველობის გუნდური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ძალზე რთულია. დასავლეთის ოფიციალური პირები აღიარებენ, რომ მათაც ძალზე დიდი იმედები ჰქონდათ. დღეს კი, მათი ანგარიშით, პროექტებს უფრო ზუსტი მიმართულება აქვს.

„როცა საბჭოთა კავშირი დაინგრა, არავინ იცოდა, რა გაუგებრობას წარმოადგენდა იგი და რამდენად დეფორმირებული იყო ეკონომიკა. არც ის იცოდნენ, რას შეცვლიდა რეალურად გარედან მიღებული დახმარება. ქვეყნის წარმატების მისაღწევად, საკმარისი არ არის კანონის მიღება. რასაკვირველია, შეგიძლიათ გაგზავნოთ დასავლეთში თქვენი ხალხი შემეცნებითი პროგრამით და დემოკრატიული იდეები გადათარგმნოთ ლამაზ ქართულ ენაზე. მაგრამ ვილაცამ ხომ უნდა გაატაროს იგი ცხოვრებაში?!“ — ამბობს ერთ-ერთი დასავლელი დიპლომატი.

„საქართველოში კორუფციის აღმოსაფხვრელად აუცილებელია საბჭოური მენტალიტეტის შეცვლა.

კანონის დარღვევა ათწლეულების მანძილზე იყო მოსკოვის წინააღმდეგ გამოსვლის თავისებური ფორმა. საქართველოს, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი ეჭირა საბჭოთა ეკონომიკაში (ღვინოსა და ხილს აწვდიდა იმპერიის სხვადასხვა ნაწილს), ყველაზე კორუმპირებული რესპუბლიკის რეპუტაცია ჰქონდა და ვინც შორეულ მოსკოვში ბაზირებულ „სისტემას“, ატყუებდა, საქართველოში გმირებად მიაჩნდათ. დღეს საკუთარ საზოგადოებას ვაშენებთ, მაგრამ ხალხში შემორჩენილია ძველი მენტალიტეტი; მათ არ სჯერათ წესისა და კანონის. ვცდილობთ, შევქმნათ სამოქალაქო საზოგადოება, მაგრამ ეს ბევრს არც აღელვებს“, — აცხადებს საერთაშორისო ცენტრის დირექტორი კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების სფეროში **გიორგი კუციშვილი**. ამასთანავე, ადარებს რა თავის ქვეყანას სხვა ახალ სახელმწიფოებს, **გიორგი თარხან-მოურავი**, დამოუკიდებელი ცენტრის ხელმძღვანელი გეოპოლიტიკური და რეგიონული კვლევების სფეროში, საქართველოს „დემოკრატიულ ოაზისს“ უწოდებს. „აშშ-დან და დასავლეთის ქვეყნებიდან შემოსული ნაღდი ფული არ შეიძლება წარუმატებელ ინვესტიციად ჩაითვალოს. ამერიკის ფული რომ არა, ხალხი კიდევ დიდხანს იშიმშილებდა. თუ ჩვენში რაღაც ეკონომიკური სტაბილურობა არსებობს, ეს აშშ-ის წყალობით არის, რასაც პოლიტიკურ სტაბილურობამდე მივყავართ. ეს რომ არ იყოს, იძულებული ვიქნებოდით, რუსეთისათვის მიგვემართა“, — დასძენს თარხან-მოურავი.

ქართველებს მაინც უფრო მეტი უნდათ თავიანთი მმართველისგან და სურთ, დარწმუნდნენ იმაში, რომ მათი პრეზიდენტი სერიოზულად აპირებს კორუფციასთან ბრძოლას.

„მართალია, XXI საუკუნეში შევაბიჯეთ უშუქოდ, მაგრამ ვიცით, თუ როგორ ცხოვრობენ სხვა ქვეყნებში... ჩვენთვის აუცილებელია საკმაოდ მნიშვნელოვანი რესურსების ჯიბეებიდან ბიუჯეტში გადატანა და ჩვენი მენტალიტეტის გარდაქმნა. ჩვენ არა ვართ მიჩვეული იმას, რომ ჩვენი ქვეყანა ჩვენივე საკუთრებაა“ — აცხადებს ოპოზიციური, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი და ყოფილი დეპუტატი **ირინა სარიშვილი-ჭანტურია**.

*ეხო პლანეტი №17*

MBG
საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი
Microfinance Bank of Georgia

ყველაზე სწრაფად მზარდი ბანკი
ქართულ ფინანსურ ბაზარზე!

■ სრული საბანკო მომსახურება;
■ ფილიალები თბილისში, ქუთაისში და ახლა უკვე ბათუმში;
■ დამფუძნებელთა 75% საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები;

ბანკი იმართება გერმანული კომპანია IPC-ს ექსპერტების მიერ.

2001 წლის მაისში MBG - ს აქციონერი გახდება ევროპის ერთ-ერთი უდიდესი ბანკი „კომერცბანკი."

სტაბილურობა, საიმედოობა, პროფესიონალიზმი!

ნაბიჯი წარმატებისკენ!

საქართველო, 380012 თბილისი, თამარ მეფის გამზ. 18
ტელ: +(995 32) 92 16 16 ფაქსი: +(995 32) 25 05 80
e - mail: mbg@mbg.com.ge www.mbg.com.ge

# ქართული მოდა ყაზანის ვაგზალში

27-29 აპრილს მოსკოვის ყაზანის ვაგზლის დარბაზში ჩატარდა „მოდა-2001“ ავანგარდული მოდის ჩვენება. ევროპული მოდის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან — ვივიენ ვესტვუდსა და ასტურო ტაიამუსთან ერთად მასში მონაწილეობდა ახალგაზრდა ქართველი კუტიურე მაკა ასათიანი. ამ ნიჭიერი ხელოვანის თავბრუდამხვევ წარმატებაზე წერდნენ „თაიმსი“, „ნიუზუიქი“ და „ფიფლი“.

ასათიანი ძირძველი ქართული გვარია, მაკა კი ერთ-ერთი მოდელიერია პოსტსაბჭოურ სივრცეში, რომელმაც მაღაზიები გახსნა ტოკიოსა და კიოტოში, შარშან კი პარიზის ცნობილ ფობურსენ-ონორეს ქუჩაზე.

პარიზში მას უკვე მუდმივი მყიდველებიც ჰყავს, მათ შორის არიან ბერძენი პრინცესა მარი შანტალი, ვანესა პარადი და არაბი შეიხების ცოლები. რუსეთში მაკას ჟირინოვსკიმ გაუთქვა სახელი, რომელმაც პარიზში მის მაღაზიაში ცოლს 560 დოლარიანი ჩექმა უყიდა.

„ასათიანის სახლის“ ყველაზე უცნაური კლიენტია პარიზში მცხოვრები 87 წლის რუსი თავადის ასული — შახოვსკაია, რომელიც სამუდამოდ აპირებს მაკასთან ურთიერთობას და უკვე 25 ათას დოლარიანი კონტრაქტიც დაუდო. ქალბატონმა შახოვსკაიამ განაცხადა, — ჩემი გვარი ოდითგან მეგობრობდა ქართველ თავადებთანო.

*დენგი №16*

# კავკასია
# გროზნოს „თეთრი სახლი“

რუსეთის სამხრეთის ოლქისა და ჩეჩნეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მოლოდინში ადგილობრივი მოსახლეობა გროზნოში ახალი „თეთრი სახლის“ წინ ეროვნულ „ზიქის“ ცეკვავდა... გროზნო ჩეჩნეთის ოფიციალური დედაქალაქის სტატუსს იბრუნებს. რესპუბლიკის სამთავრობო სხდომა ჩატარდა არა გუდერმესში, არამედ გროზნოში. მოცეკვავეებს ახლომდებარე შენობების სახურავებიდან რუსი სნაიპერები უთვალთვალებდნენ. საპატიო სტუმრები სამი შვეულმფრენით დაეშვნენ „თეთრი სახლის“ წინ. აჟღერდა ჰიმნი. კადიროვი გენერალ-ლეიტენანტ ვალერი ბარანოვს გადაეხვია. პირველი სიტყვა სადღესასწაულო ცერემონიაზე ჩეჩნურ ენაზე წარმოთქვა ჩეჩნეთის მუფთიმ ახმად ხოჯა შამაევმა. კადიროვმა რუსულად ილაპარაკა, რომ ხელისუფლებისა და ადმინისტრაციის ცენტრის გროზნოში გადასვლა სერიოზული ნაბიჯია მშვიდობიანი ცხოვრების დასამყარებლად. რუსი გენერლები გროზნოს აღსადგენად ჩეჩნებს ფინანსებს დაჰპირდნენ. სხვათა შორის, მიტინგს არ ესწრებოდა გროზნოს მერი ბესლან განტემიროვი. როგორც განტემიროვის თანაშემწემ აღნიშნა, „იგი მოსკოვში გაემგზავრა გროზნოს აღსადგენი და ტერორიზმის აღმოსაფხვრელი ფულის საშოვნელად. გროზნო ყველაზე კრიმინალური ქალაქია არა მარტო რუსეთში, არამედ მთელ მსოფლიოში“. ამასობაში, გროზნოში ხმა გავრცელდა, ბოევიკები ქალაქის ხელში ჩაგდებას აპირებენ. ელოდებიან, როდის გადავა ყველა დაწესებულება რესპუბლიკის მეტროპოლიაშიო.

*იზვესტია №73*

# ჩეხეთში ჩეჩნები შეიფარეს

ჩეხეთის საელჩომ მოსკოვში გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ ჩეხეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ქვეყნიდან არ გაასახლოს ომს გამოქცეული 200 ჩეჩენი, რომლებიც პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვენ ქვეყნის ხელისუფლებისგან. ეს გადაწყვეტილება, ფაქტობრივად, აკანონებს ლტოლვილის სტატუსს; რუსეთის ხელისუფლება ჩეჩნეთში ამ თვალსაზრისით ძალზე უძლურად გამოიყურება, ზოგიერთის აზრით კი, რუსეთი ოკუპანტის როლში გამოდის.




ჩეჩნეთიდან გაქცეულები უკვე 6 წელიწადია, ცხოვრობენ ბოსნიისა და კოსოვოს ლტოლვილთა ბანაკებში. ამიერიდან ისინი კანონიერი მოსახლენი იქნებიან. ჩეხეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ამზადებს სამთავრობო დოკუმენტს, რომლის თანახმად, ჩეხეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ჩეჩნებისთვის გარანტირებულია დაცვა, სამედიცინო მომსახურება, მიეცემათ საცხოვრებელი ბინა, სამუშაო ადგილი და სწავლის უფლება. ჩეხეთი ლტოლვილ ჩეჩნებს დაიცავს შინ გამგზავრებამდე ანუ „მეორე ჩეჩნური ომის“ დამთავრებამდე. მსგავსი დახმარება ჩეხეთმა ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებიდან ჩასულ ლტოლვილებსაც აღმოუჩინა.

*კომერსანტი №71*

ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!
კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

## პატარები ბრძნობენ

***

ვუყურებთ ტელევიზორს მე და ჩემი მეზობელი, **4 წლის გიორგი სეხნიაშვილი**. კადრში ჩანს ქარიშხალი და გემი იძირება. გიორგი მეკითხება:
— ლია დეიდა, კინო რომ მორჩება, გემი ამოიძირება?

***

**პატარა გიგი** ნებიერიძეს ბებიამ კარაქი მოუტანა.
— რატომ არ იყიდე სხვანაირი კარაქი? — ეკითხება გიგი.
— ის ვადაგასული იყო, — უპასუხა ბებიამ.
— მერე ვადამოსული ვერ იყიდე? — გაუკვირდა გიგის.

***

**პატარა მაკას** წელში ქვალმა გაუარა და ამბობს:
— დედა, წელმა გამჭვარტლა — და დააყოლა, — თან ფეხის ილლიები და ყურის ნესტოებიც მეფხანება.

***

**5 წლის რომიკო ტაბიძე** აღდგომის დილას დედას ეკითხება:
— დედიკო, დღეს ქალაქში დიდ კვერცხს დადგამენ?
— არა, — სიცილით პასუხობს დედა.
— აბა, ახალ წელს ნაძვის ხე რომ დადგეს?

***

**პატარა მაკა** და დედა მიდიან ქარში. უცებ მაკა ამბობს: — დედა, იცი, თმები მაყალზე გიდგასო (უნდოდა ეთქვა თმები ყალყზე გიდგასო).

***

ზამთარია, ცივა. დედა **4 წლის ლუკა ხულელიძეს** დაძინების წინ, ლოგინში სათბურას უდებს. ლუკა ფეხებს ზედ აწყობს.
— ფეხები არ დაიწვა! — აფრთხილებს დედა.
— არა, დე, როცა დამეწვება, ფეხებს მოვმუხლავ ხოლმე! — პასუხობს ლუკა.

## გამაფერადეთ ფერადი ფანქრებით



გამოიცანით, რა შეცდომა დაუშვა მხატვარმა

### მოთხრობა-გამოცანა

## კრიმინალური ამბავი

საშუალო სკოლის მასწავლებელს საფულე დაეკარგა. მისი მოპარვა შეეძლო 5 მოსწავლიდან ერთ-ერთს: ლევანს, ჯიმის, დათოს, თენგიზს ან მერაბს. დაკითხვისას თითოეულმა მათგანმა მისცა სამ-სამი ჩვენება.

ლევანი: 1) მე არ ამიღია საფულე; 2) მე არასოდეს არაფერი მომიპარავს; 3) საფულე მოიპარა თენგიზმა.

ჯიმი: 1) მე არ მომიპარავს საფულე; 2) მამაჩემი საკმაოდ მდიდარია და მეც მაქვს დანაზოგი; 3) მერაბმა იცის, ვინ ჩაიდინა ეს.

დათო: 1) მე არ ამიღია საფულე; 2) სკოლაში შესვლამდე მერაბს საერთოდ არ ვიცნობდი; 3) საფულე მოიპარა თენგიზმა;

თენგიზი: 1) დამნაშავე არა ვარ; 2) საფულე მოიპარა მერაბმა; 3) ლევანი ცრუობს, თითქოს საფულე მე მომეპაროს.

მერაბი: 1) მე არ ამიღია მასწავლებლის საფულე; 2) დამნაშავეა ჯიმი; 3) დათო დამიდასტურებს, რადგან კარგად მიცნობს, ჩვენ ხომ დაბადებიდან ერთად ვიზრდებით.

შემდგომი დაკითხვისას თითოეულმა მოსწავლემ აღიარა, რომ მათ მიერ მიცემული სამ-სამი ჩვენებიდან ორი მართალია, ხოლო ერთ-ერთი — არასწორი.

გამოიცანით, რომელმა მოსწავლემ მოიპარა საფულე? *(პასუხი გამოგვიგზავნეთ წერილობით).*

***წინა ნომერში შემოთავაზებული მოთხრობა-გამოცანის სწორი პასუხები გამოგვიგზავნეს:*** თეონა ტუხაშვილმა, გვანცა და გიორგი გოგუაძეებმა, ავთანდილ დოლიძემ, ამირან და ია გვენცაძეებმა, ლიკა და მიშიკო ვაშაკიძეებმა, შოთა და მზიული ბარამიძეებმა, ბექა და ვაჩე მაკარიძეებმა, თეკლა და თიკო რურუებმა, ნინო დარსაველიძემ, სოფო და ნათია ჯაბაურებმა, გიორგი ბარამიძემ, ნინო ხატისაშვილმა, გიორგი ხახალეიშვილმა, სალომე და ზინიკო ხუჭუებმა, ანუკა ჭამიაშვილმა, ქრისტინე ჯანელიძემ, სანდრო და საბა ბენდელიანებმა, ლელა ოჩხიკიძემ, ლაშა და მარიკა ცხვარაძეებმა, გიო შანშიაშვილმა, თეონა ბაბუნაშვილმა, რიტა ტუკვაძემ, ქრისტინე დემეტრაძემ, ცოტნე და შოთიკო ქარქაშაძეებმა, ლანა ცინცაძემ, ნინო პატარაიამ, სალომე ქურდოვანიძემ, ფატიმა კვახაჯელიძემ, გიორგი და თეონა გელაშვილებმა, რეზიკო და თეონა გელაშვილებმა, ვასიკო და აჩიკო ლაბაძეებმა, ლიკა და დიტო კურტანიძეებმა, ვასიკო ტყემალაძემ, გიორგი მარგველაშვილმა, ვოვა ზურაბაშვილმა, დათო ქრისტესაშვილმა, თამარ და გიორგი მდინარაძეებმა, კახი გოჩიაშვილმა, შორენა და თიკო მანჯავიძეებმა, ვაჟა და ბექა ხელაშვილებმა, ანი ჭელიძემ, მარი და ანი ჩიქოვანებმა, გიორგი აბულაძემ, სოსო კუპრაშვილმა, ნინო და ნიკა წიკლაურებმა, ვახტანგ ელისაბედაშვილმა, თემურ, თამაზ და გიორგი დუდუჩავებმა, გიორგი და ვერიკო თედორაშვილებმა, ლაშა ართილაყვამ, თეკლე ფაცაციამ, ნინო კავკასიძემ, თამუნა ტედუნაშვილმა, მანანა ივანიშვილმა, ლუკა და ავთუკა კორკოტაძეებმა, მაია, გიაჩო, ინდირა, კვასა და გოგა გიგანებმა, ირმა ნოზაძემ, დათო სახლთხუციშვილმა, პოშო და დადალა ქალდანებმა, მარინა და ემზარ ყავრიშვილებმა, სანდრო ერგეშიძემ, ლაშა კუპატაძემ, ლაშა და ანა ჯოხაძეებმა, დათო და მაია ნადარეიშვილმა, თორნიკე ციხელაშვილმა, ვალერი და მაკა მესტიაშვილებმა, ეკა ბასილაშვილმა, გიორგი ოზბეთელაშვილმა, თორნიკე გაგნიძემ, ანა შინჯიკაშვილმა, გვანცა სალარიძემ, ერეკლე ქეშელაშვილმა, ბელა ქვარცხავამ.

***სწორი პასუხი კი ასეთი გახლავთ:*** გაიმარჯვა თბილისის დინამომ ანგარიშით 4:1.

## I ანდაზვორდი



**შვეულად:** 1. კარგი ცხენი .... არ დაირტყამსო; 3. ბებერი ხარის ... კი ენევიანო; 4. რასაც დასთეს, იმას ...; 5. დედის წინ მორბენალ ...., მგელი შეჭამსო; 6. ცერცვი კედელსაო, ... რეგვენსაო; 7. სახელის გატეხას, ... გატეხა სჯობიაო; 8. ტყუილს ... ფეხები აბიაო; 10. შეაყარე კედელს ....

**თარაზულად:** 2. ცუდად ჯდომას, ცუდად .... სჯობიაო; 5. დათვსა ხედავდნენ და .... ეძებდნენო; 9. მარტოხელა კაცი, .... ბრალიაო; 11. ქვეყანა ლონიერია, თუ კაცი ...; 12. შეჩვეული .... სჯობია, შეუჩვეველ ლხინსო; 13. ორი ... მადევარი, ვერც ერთს ვერ დაიჭერსო; 14. ხელმა .... დაბანა, ორივემ კი — პირიო; 15. .... გამხელილი სჯობსო.

## გამოიცანით გამოტოვებული ასოები და წაიკითხეთ ისრის მიმართულებით

II




## იპოვეთ 12 განსხვავება





გაიყვანეთ თაგვები ლაბირინთიდან ისე, რომ კატას არ ჩაუვარდნენ კლანჭებში



გამოიცანით, რომელი სახლი რომელ არსებას ეკუთვნის

## III რებუსი



## IV გამოცანები

ა
შინაური ფრინველია,
აქვს მას ერთი ჩვეულება:
წყლის ყოველი დალევის
დროს,
ზევით, ცისკენ იყურება.

ბ
ნაზი არის და
ჭრელფრთება
ვარდ-ყვავილებს თავს
ევლება.

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო"

პასუხები იხილეთ 25-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მზიკა ხუციშვილმა

სათნომყოფელნი უფლისა

## ერის ჭირის გამზიარებელი

(140 წელი ლეონიდე ოქროპირიძის დაბადებიდან)



ბევრი ისტორიკოსი ალბათ სიამოვნებით გაიხსენებს ეპიზოდს ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობიდან, როდესაც აუტანელი სიცხით გათანგულ სახელოვან სარდალს მუზარადით მიართვეს წყალი. მაკედონელმა მიიტანა ჭურჭელი პირთან ახლოს. შემდეგ დემონსტრაციულად მაღლა ასწია და მიწაზე დაღვარა: ეს წყალი ბევრია ალექსანდრე მაკედონელისთვის და ცოტაა მისი ლაშქრისთვისო.

მაკედონელის ეს რაინდული საქციელი საბედისწერო არ აღმოჩნდა იმპერატორისთვის, განსხვავებით კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდე ოქროპირიძისაგან. მისი მოღვაწეობა (1919-1921წ.წ.) დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც საქართველოში პირველობისთვის ერთმანეთს ებრძოდნენ სხვადასხვა პარტიები და დაჯგუფებები. თანდათან ფეხს იკიდებდა ბოლშევიზმი... ქვეყანა უმძიმეს გასაჭირში იყო. არ იშოვებოდა საჭმელი, არ იყო დასალევი წყალიც, ხალხს სასმელად წყალი მტკვრიდან ამოჰქონდა. მორჩილებმა კათოლიკოს-პატრიარქს შესთავაზეს, რომ მისთვის წყალს მოიტანდნენ თბილისიდან მოშორებით მდებარე წყაროდან. მაგრამ უწმინდესმა უარი განაცხადა და მორჩილებს ასე უპასუხა: „მეც იმავე წყლით ვისარგებლებ, რომლითაც ჩემი სულიერი შვილები სარგებლობენ“. ეს კი საბედისწერო გამოდგა კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდესთვის. დაემართა შავი ჭირი და გარდაიცვალა 1921 წლის 11 ივნისს. დაკრძალულია თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში.

ერი საზეპურო

## ივერიის ქვეყანაში ეშმაკი ვერ დაჯდება



*უკანასკნელ ჟამს, ქრისტეს მეორედ მოსვლის წინ, არაერთი წინასწარმეტყველების მიხედვით,* ***ივერია გაბრწყინდება*** *და ალბათ ეს იქნება ყველა იმ ქართველ წმინდანთა დასის ღვაწლის დაგვირგვინება, რომელთაც სხვადასხვა საუკუნესა და სხვადასხვა ვითარებაში გასწირეს თავი სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის, შემთხვევითი არ არის, რომ საქართველო თავისი სიწმინდით უცხოელთა თვალში ერთ დიდ მონასტრად აღიქმებოდა. საქართველოს დედაქალაქს — მცხეთას ჩვენი წინაპრები მეორე იერუსალიმად სახავდნენ და ცდილობდნენ სატაძრო ნაგებობათა კომპლექსი მიესადაგებინათ ამ იდეასთან. თუ საქართველოს პოლიტიკური გაბრწყინების ჟამს ქართველი ქრისტიანები ვაჟკაცობით, რაინდობითა და ერთგულებით იყვნენ მაგალითის მომცემნი, პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის დროს ქართველ ქრისტიანთა კრებული მოწამებრივი აღსასრულით უჩვენებდა მსოფლიოს ქრისტიანული სულისკვეთების მაგალითებს.*

*მკითხველს ამჯერად გვინდა მივაწოდოთ რამდენიმე (არაქართველი) წმინდა მამის წინასწარმეტყველება ივერიის გაბრწყინებაზე, რაშიც დიდი დახმარება გაგვიწია თბილისის პეტრე-პავლეს ეკლესიის მოძღვარმა, დეკანოზმა* **არჩილ მინდიაშვილმა.**

**წმ. *ლავრენტი ჩერნიგოველი:*** ივერიის ქვეყანაში ეშმაკი ვერ დაჯდება, დევნას გადაურჩება, ხოლო „სხვა დროს“ (უკანასკნელ დროს) დევნა იქნება უმნიშვნელო, რამეთუ დედა ღმრთისა იცავს ამ მხარეს... (წიგნიდან: რუსეთი მეორედ მოსვლის წინ).

...

ღირსი მამა — ***ნილოს მირონმდინარე*** საიქიო ცხოვრებიდან გამოეცხადა ერთ მთაწმინდელ ბერს თეოფანეს და მისი საშუალებით ამცნო ღმრთისმშობლის საფარველქვეშ მყოფ ბერებს, არ შეშფოთებულიყვნენ, არ დაეკარგათ ამ საფარველის რწმენა და არ გასცილებოდნენ ათონის მთას ივერიის ღვთისმშობლის ხატის მიერ წმ. მთის დატოვებამდე; ყოფილიყვნენ სინანულში, მდუმარებასა და მორჩილებაში. ცოდვილთა ბიწიერების გამო წმ. მთა ზღვაში ჩაიძირება. ეს მოხდება მაშინ, როდესაც ღვთისმშობელი საფარს მოაცილებს თავის წილხვედრ მიწას. უბიწო ბერებმა უნდა იჩქარონ ათონის დატოვება, როგორც კი ივერიის სასწაულთმოქმედი ხატი გასცილდება წმ. მთას.

...

***სერაფიმ საროველი*** (წინასწარმეტყველებათა მიხედვით მეორედ მოსვლის წინ მას მკვდრეთით აღადგენს უფალი) ხედავდა საიდუმლო კავშირს ივერიას, ათონსა და კიევს შორის, სადაც ქალაქი-სახელმწიფოს „კიევის რუსეთის“ აღმოცენება საქართველოდან კიევის მთებამდე მისულმა ანდრია პირველწოდებულმა იწინასწარმეტყველა.

...

***წმ. მამა ლავრენტი ჩერნიგოველი*** მოუწოდებდა თანამემამულეებს, რომ როცა ქრისტიანთა ხანგრძლივი დევნის შემდეგ რუსეთში ეკლესია-მონასტრების აღდგენა-რესტავრაცია, ჯვარ-გუმბათების მოოქროვება და ა.შ. დაიწყება, უწყოდეთ, მალე მოვა ანტიქრისტე და ილტვოდეთ ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოშიო.

...



გასული საუკუნის მოღვაწე რუსმა მამამ ბერმონაზონმა ***სერგი ვესნინმა*** რამდენიმე წელი დაყო ათონის წმინდა ნახევარკუნძულზე, რის შემდეგაც დაწერა წიგნი „მთაწმინდელის წერილები თავისი რუსი მეგობრებისადმი რუსეთში“. წიგნში იგი საუბრობს ათონის მთაზე გავრცელებული წინასწარმეტყველების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ივერიის ღვთისმშობლის ხატთან.

...

რუსეთში, წმ. სერგის ლავრაში, ამჟამადაც მოღვაწეობს წინასწარმეტყველური უნარით დაჯილდოებული ბერი ***მამა ნაუმი.*** მის მოსანახულებლად ქართველი მართლმადიდებლებიც ჩადიან ხოლმე ზაგორსკში. იგი ჯერ კიდევ 70-იან წლებში წინასწარმეტყველებდა საბჭოთა იმპერიის დაშლას და რუსეთის პირვანდელ საზღვრებში მოქცევას. მისივე თქმით, ბოლო ჟამს უამრავი წმინდა მამა ჩამოვა საქართველოში.

...

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ 1985 წელს საქართველოს ეკლესიამ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის გადაწყვეტილებით და წმინდა სინოდის განჩინებით საეკლესიო კალენდარში შეიტანა ქართული ენის დღესასწაული და აღნიშვნის დღედ განაჩინა ლაზარეს შაბათი. როგორც პატრიარქმა ბრძანა: „ჩვენი წინაპრები ზეიმობდნენ ქართული ენის დღესასწაულს ლაზარეს შაბათს, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ავბედითობამ, ჩვენი ქვეყნის მძიმე წარსულმა წაშალა ეს კურთხეული ტრადიცია“. ალბათ სიმბოლურია, რომ „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ ქართულ ენას სახარებასა შინა ლაზარედ მოიხსენიებს.

## რას გვეტყვი, მამაო?

**— დიდი მოკრძალებით ვბედავ შეკითხვას — შეიძლება თუ არა ჩემს სახელზე ნაკურთხი ხატის გასხვისება?**

— ხატის კურთხევა არ ხდება ვინმეს სახელზე და ყველას აქვს შესაძლებლობა, ილოცოს მის წინაშე. ასევე ხატის გასხვისებაც (ცხადია, მართლმორწმუნე ქრისტიანზე) დანაშაულად არ ჩაგეთვლებათ!

**— შეიძლება თუ არა 18 იანვარს — მძიმე მარხვაში დაბადებულ ბავშვს ამ დღეს აღვუნიშნოთ დაბადების დღე?**

— თუ „აღნიშვნაში“ სუფრის გაშლას გულისხმობთ, უმჯობესია ეს პროცედურა ოდნავ მოგვიანებით ჩაატაროთ — მით უფრო, რომ საბაბიც გეძლევათ — ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაულის სახით!

**— ჩემს ხუთი წლის ვაჟს ხელში შემოატყდა თვითნაკეთი ჯვარი, ხომ არაფერს ცუდს მიგვანიშნებს ეს ფაქტი? რა მოვუხერხოთ გატეხილ ჯვარს?**

— ეს ფაქტი მიგვანიშნებს მხოლოდ ბავშვის დაუდევრობასა და მშობლის უყურადღებობაზე. ჯვართან მოპყრობისას დიდსაც და პატარასაც მეტი სიფრთხილე გვმართებს.

გატეხილი ჯვარი შეგიძლიათ სუფთა ადგილას, მიწაში დაფლათ.

**— ახალი აღთქმიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ ქორწინება უფლის მიერ არის კურთხეული. მაგრამ ისიც გვსმენია, რომ ბერმონაზვნური მოღვაწეობა და ქალწულობა აღემატება საერო პირთა ოჯახურ ცხოვრებას. დასტურდება თუ არა ეს ქრისტიანული ეკლესიის გადმოცემაში?**

— თქვენს კითხვას პასუხს სცემს წმინდა ათანასე ალექსანდრიელის კანონიკური ეპისტოლე ამონ მონაზვნის მიმართ: „ნეტარია ის, ვინც ახალგაზრდობაში შეუღლდება და შვილთა გაჩენისათვის გამოიყენებს თავის ბუნებას. თუ მეძავთა და მრუშთა ბილწ ცხოვრებას შეიტკბობს, მას მოციქულის მიერ აღწერილი სატანჯველი ელის უცილობლად. ორი გზა არის ამ ცხოვრებაში: ერთი ზომიერი და საერო, ქორწინების გზას ვამბობ, ხოლო მეორე ანგელოზებრი და ზესთა სოფლისა, რომელიც არის ქალწულობა. ვინც ამქვეყნიურსა და ქორწინების გზას აირჩევს, იმდენი მადლით ვერ გამდიდრდება, მაგრამ მაინც მადლიანია, რადგან მიიღებს ნაყოფის ოცდამეათედ ნაწილს. თუ ვინმე უბიწო ცხოვრებას და ზესთა სოფელს შეიტკბობს, თუმცა ახალდამწყებისთვის რთულია და ძნელად წარსამართავი ეს გზა, მაგრამ ყოვლად საკვირველი მადლი აქვს, რადგან ასწილად ააყვავებს სრულ ნაყოფს“.

საქართველოს სიწმინდენი

## ბედიის ბარძიმი

ბედიის ტაძარი (რომელიც აფხაზეთში მდებარეობს) აშენებულია ბრწყინვალე ქართველი მეფის ბაგრატ III-ის (975—1014 წწ) მიერ. მასვე მოუხატვინებია ეს ტაძარი. შეუწირავს მისთვის ხატები, ჯვრები, ბარძიმ-ფეშხუმი, რაც ტაძრის სამკაულად ინოდებოდა. საეკლესიო სიწმინდეები, ამავე დროს, უზადო ხელოვნების ნიმუშებსაც წარმოადგენდა, სწორედ ამიტომაა, ალბათ, რომ „ქართლის ცხ-



ოვრების“ მემატიანე ბაგრატის მეფობის ბრწყინვალებას, სწორედ ამ ბედიის ტაძრის სამკაულებით განსაზღვრავს. „უკეთუ ვისმე ენებოს განცდად და გულისხმიერყოფად სიმაღლისათვის დიდებისა მეფობისა მისისა, პირველად განიცადოს სამკაულნი ბედიის ეკლესიისა“ (ცნობისათვის: ბაგრატ III ბედიის ტაძარშია დასაფლავებული). სამწუხაროდ, ამ სამკაულებიდან ჩვენამდე მხოლოდ ოქროს ბარძიმის ზედა ნაწილმა მოაღწია. ბარძიმის თავდაპირველი ფეხი XVI საუკუნემდე დაკარგულა. დიმიტრი ბაქრაძემ არქეოლოგიური მოგზაურობის დროს, ილორში ნახა ეს ბარძიმი ვერცხლის ფეხით, რომელიც წარწერის მიხედვით, XVI ს-ში განუახლებია სვიმეონ ჩხეტიძეს. ექვთიმე თაყაიშვილმა ეს ბარძიმი ფეხის გარეშე ნახა. ამჟამად ბედიის ბარძიმი დაცულია სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში. მის ერთ მხარეს გამოსახულია საყდარზე მჯდომი ღვთისმშობელი ყრმით, საწინააღმდეგო მხარეს კი საყდარზე მჯდომი მაცხოვარი. ამ ორ ფიგურას შორის, თაღებქვეშ, განაწილებულია 10 წმინდანის ფიგურა. ბარძიმის ზედა კიდეზე ვხვდებით საქტიტორო წარწერას, რომელშიც მოხსენიებულია ბაგრატ III და მისი დედა გურანდუხტ დედოფალი.

*ნინო ტარყაშვილი*

გულითადი განდობანი

## გვიანი ნათლობა

სამოცდახუთი წლის ქალი ვარ — ჭაღარა, სახედანაოჭებული, უკვე წელში მოხრილი. მძიმე ცხოვრება გავიარე. ადრე დამიობლდნენ შვილები. ნაადრევად გამტეხა საყვარელი ადამიანის დაკარგვამ და უმამოდ დარჩენილ ბავშვებზე ზრუნვამ. მოკლედ, რა გესწავლებათ, რამდენი დარდი და ბოლმა აწევს გულზე ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ ქალს. მაგრამ თქვენ ნაკლებად ან სულ არ გეცოდინებათ იმ ადამიანის ღელვა და წუხილი, რომელიც ამდენ ხანს მოუნათლავი დადის ღვთისგან შექმნილ დედამიწაზე. მშობლები ათეისტები მყავდნენ. ამაყობდნენ, შვილები არ მოვნათლეთო. მაშინ პატარა ვიყავი, არაფრად ვაგდებდი ჩემს მოუნათლაობას. მეტიც, ღმერთმა მაპატიოს, სხვებს დავცინოდი, რას სულელობთ, ნუთუ ვერ ხვდებით, ნათლობა და ყველაფერი საეკლესიო რომ არარაობაა? ვინმეს გინახავთ ღმერთი? (კიდევ ერთხელ ვთხოვ პატიებას მაცხოვარს), რას აღარ ვიძახდი მე სულელი! სამწუხაროდ, ასეთი ულმერთო ბევრია, მაგრამ მათ შორის, ცოტაა მოუნათლავი. ასე ვატარე ეს დიდი ცოდვა მანამ, სანამ შვილს უბედურება არ შეემთხვა. ოცდაათი წლის ვაჟკაცი ავარიაში მომიყვა. მძიმე მდგომარეობაში იყო. დიდი უბედურების მოლოდინში იყო ჩემი ოჯახი.

ერთხელ, საავადმყოფოში ჩემი რძალი დარჩა, მე ბავშვებთან ვიყავი სახლში, სკამზე ჩამოვჯექი და ფიქრებში გავირინდე. შვილების პატარაობა გამახსენდა: როგორ დარჩნენ უმამოდ, რა გაჭირვებაში გავზარდე, ყველაფერი აკლდათ — ჩემს გოგონას არასდროს ღირსებია ლამაზი კაბა, ჩემს ვაჟს ფეხბურთი უყვარდა, ისე გაიზარდა, ბურთი ერთხელაც ვერ ვუყიდე. სულ იმის შიშში ვიყავი, ვაითუ ბავშვებმა გაინაპირონ და აღარ ათამაშონ-მეთქი. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ეს არ მომხდარა... მადლობა ღმერთს?!

მაშინ პირველად ვახსენე ღმერთი!..

ღმერთი!.. ღმერთი!..

რამ გამაქვავა?! რამ დამიხშო გონება?! ღმერთი რომ არ არსებობდეს, ვინ შექმნიდა სამყაროს, ვინ მოიყვანდა დღემდე სიცოცხლეს? მე ვარ გიჟი და უმეცარი, რომ გაჭირვებაში მყოფი შვილი მოუნათლავი მყავს! მე ვარ უკეთური, რომ რა უვარგისი სიტყვა არ ამომსვლია პირიდან ღმერთის მისამართით! მე ვარ თვალდაბნელებული, რომ ოჯახს მფარველ ანგელოზს ვუფრთხობ! მუხლებზე დავეცი. ჩემი გულის და სულის ტკივილის ჩასახშობად იატაკს ვურტყამდი თავს და ვღრიალებდი:

— ღმერთო, მაპატიე, ყველაფერი მაპატიე! მაპატიე ჩემი ურწმუნოება, ავყიობა! მაპატიე, რომ არც შვილებს მივეცი მონათვლის უფლება და არც შვილიშვილებს! ჩემი ცოდვები მხოლოდ მე მომკითხე! ღმერთო, ყველა კარგად მიმყოფე!..

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი ამ მდგომარეობაში. მეზობლებმა გამომაფხიზლეს. ბავშვებს შეშინებოდათ და მათთან გაქცეულიყვნენ.

მაშინვე ეკლესიაში წავედი. შვილს საავადმყოფოში მივუყვანე მღვდელი. ყველას გაუკვირდა და გაუხარდა ჩემი საქციელი. ღვთის მადლით, ჩემი ვაჟი გამოჯანმრთელდა. რამდენიმე დღე ისევ მოუნათლავად ვიარე. ძალზე შევწუხდი. ეს რამდენიმე დღე საუკუნესავით ზოზინით გავიდა. ღმერთის წინაშე შერცხვენილად და თავლაფდასხმულად ვგრძნობდი თავს. ჩემს თავს სრულყოფილ ადამიანად არ ვთვლიდი. ვხვდებოდი, რომ ყველაზე დიდი სიმდიდრე ნათელ-მირონი ყოფილა. ნათლობის დროს ქალიშვილსა და შვილიშვილებს შორის ვიდექი. სმენადქცეული ვიყავი და ბეჯით მოწაფესავით ვიმეორებდი იმ სიტყვებს, რის გამეორებასაც მღვდელი გვთხოვდა. მეც ჩამომკიდეს ყელზე ნათლობის ჯვარი, მეც ამაჭრეს თმა...

მზიანი დღე იყო. მეგონა, საგანგებო შუქი იღვრებოდა ზეციდან. შევიგრძენი, რომ სწორედ მაშინ დავიბადე, მაშინ ამეხილა თვალი და მაშინ გავიგე ამქვეყნიური ხმაური... ეს იყო მეტად ამაღლებული გრძნობა! გრძნობა, რომელიც თქვენ, უმრავლესობას, არ გიგრძვნიათ, ან არ გახსოვთ, რადგან პატარები მოინათლეთ.

*მზია მექერიშვილი*

## შემთხვევა სამარშრუტო ტაქსიში

ბაზრობაზე მივდიოდი. ერთ-ერთი ტაძრის მღვდელმსახურმა თავისთვისაც დამაბარა საყიდლები და ოც დოლარიანი კუპიურა გამატანა. 92-ე სამარშრუტო ტაქსიში ჩავჯექი. ჩემ გვერდით ახალგაზრდა ბიჭი აღმოჩნდა. ვერ შევამჩნიე, ისე ამომაცალა ჯიბიდან ფული — ჩემდა უნებურად ჩავიყავი ხელი და აღარ დამხვდა. უხერხულად ვიგრძენი თავი — დარწმუნებული ვიყავი, რომ გვერდით მჯდარ ქურდი. ძალა მოვიკრიბე და ხმამაღლა მივმართე: — დამიბრუნე ფული! — თან ვკანკალებდი მღელვარებისგან. თავიდან უარი მითხრა და რომ გავუმეორე, მაშინ დამემუქრა:

— რა გაყვირებს, არ იცი, რომ ასეთ დროს არ უნდა იყვირო? იქნებ იარაღი მაქვს! იარაღის ხსენებაზე სულ გამაცია — დამიბრუნე, ეკლესიის ფულია! — ესღა ამოვილუღლუღე.

ღმერთმა მაპატიოს ამ მცირედი სიცრუისთვის, რადგან ფული ტაძრის მსახურს ეკუთვნოდა და არა თვით ტაძარს. მაგრამ ჩემი სიტყვების გაგონებისთანავე, გვერდზე მჯდომმა ჩუმად ჩამიდო ხელში ფული და მითხრა:

— გთხოვ, არ დამწყევლო, ისედაც დაწყევლილი არა ვარ? ამაზე მეტად რაღა უნდა დამწყევლო?! — თვალებში შემომხედა და მანქანიდან ჩავიდა.

მთელი დღე დამყვებოდა მისი თვალები. ის ბიჭი დაწყევლილი არ იყო, მჯერა, რომ აუცილებლად გადარჩება!

*ნინო მ. თბილისი*

ჩვენი გაზეთის მკითხველს შეუძლია „საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი გვერდის“ ნებისმიერი რუბრიკისთვის შემოგვთავაზოს მასალები. ჩვენი საფოსტო ყუთების ადგილმდებარეობა იხ. გვ. 32

*გვერდი მოამზადა ზურაბ ქართველიშვილმა*





## თარაზულად:

7



მცენარე, სოკო, ბაქტერია, რომელიც მცენარეთა და ცხოველთა ხრწნადი ნარჩენებით იკვებება



კითხვისა და ზეპირი მეტყველების თანდაყოლილი დარღვევა

10



მსოფლიოს ყველაზე წყალუხვი მდინარე



გერმანელი თოფ-მოდელი



1 — ტალკი; 2 — თაბაშირი; 9 — ლალი და საფირონი, 10 — ?



დაწესებულებაში მომუშავე მეცნიერი



ინდოეთის „წმინდა“ ცხოველი



ცოდნის წყარო

20

ჟირკვლოვანი ორგანოების კეთილთვისებიანი სიმსივნე



ერთი და იმავე მოძრაობის მრავალჯერადი გამეორება



რაჭულად — კვახი; გურულად — ხაპი, ჭანურად — კაიში; მეგრულად — კოპეშია



საშენი მასალა



დანიელი მეზღაპრე



სპორტული იარაღი



„ჯენტლმენი ისეთი პიროვნებაა, რომელთანაც ურთიერთობისას ყველა თავისდა უნებურად ხდება ჯენტლმენი“ (ინგლ. ფილოსოფოსი)



ხელის მკლავში გამოდება



ლინზათა სისტემა

36



ეროვნება, რომლის სიყვარული შინაური ცხოველებისადმი საყოველთაოდ არის აღიარებული

## შვეულად:



ძილის „ქურდი“

2

სისხლის გამცემი პიროვნება





ეთერზეთოვანი სამკურნალო მცენარე



ბგერის ნახევარი ტონით დადაბლების ნიშანი



მხატვარი

9



ქიმიური ელემენტის ნაირსახეობა



ინსტრუმენტი



ქმედება



ცხენზე მჯდომი

17



მსოფლიოში ერთ-ერთი უძვირფასესი ბეწვის პატრონი



სხეულის ნაწილების თავისუფალი მოძრაობა, რომელიც ასაკის მატებასთან ერთად იზღუდება (რაც არ ეტყობათ 60 წლის ქალიშვილსა და მის 87 წლის მშობელს)

23

მამაკაცის ძველებური, გრძელი, წელში გამოყვანილი ზედა სამოსი



სხვადასხვა ტკბილი საჭმელი



ოფლის წურწურით მოსვლა



სახელმწიფო ბალტიისპირეთში



პლასტიკურ და რიტმულ მოძრაობათა ერთობლიობა

32



სასმელი, რომლის წითელი ნაირსახეობის მირთმევა სადილზე ხანდაზმულ ასაკშიც კი უნარჩუნებს ადამიანს კარგ მხედველობას

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

„კვირის პალიტრა“ №17 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 7. სერფინგი; 9. სიხარული; 10. აკვნკვა; 11. მტრედი; 12. აივანი; 16. კარდინალი; 18. დიდრო; 19. არმია; 20. გუბერნია; 21. სპანიელი; 23. ოპალი; 25. ზლოტი; 27. ინტერიერი; 30. ბიბლია; 33. ლორთქო; 34. გაპუტვა; 35. ავტობანი; 36. ცილინდრი.

**შვეულად:** 1. ჰეპატიტი, 2. ნილადი; 3. ვისკი; 4. ქსოვა; 5. საჩაიე; 6. კლარნეტი; 8. პინგვინი; 13. ვალენტინო; 14. ალიგატორი; 15. არაბული; 17. გრდემლი; 22. პარაშუტი; 24. პოზიტივი; 26. ტრაქტორი; 28. ნინიბო; 29. გორდია; 31. ბაჭია; 32. კვიცი.

# იმერთა დედოფალი



შვილიშვილებთან ერთად

საოჯახო ალბომს ვათვალიერებთ. საუკუნის ფოტოებიდან არამიწიერად მშვიდი სახეები იყურებიან. მათი დახვეწილი ნაკვთები, გამორჩეული ჩაცმულობა მეტყველებს, რომ განსაკუთრებული ოჯახის ისტორიას ეხები. მართლაც ასეა. ჩემი მასპინძელი გახლავთ იმერეთის სამეფო ტახტის მემკვიდრის, დავით ბაგრატიონის ქალიშვილი, ქალბატონი **ნინო ბაგრატიონი**. მას შეიძლება უსასრულოდ უსმინო. ის ხომ ჩვენი უახლესი ისტორიის ცოცხალი მატიანეა და უტყუარი მაგალითი იმისა, რომ ნამდვილ ღირსებას ვერანაირი ტოტემი ვერ დათრგუნავს. ყოველმხრივ შევიწროებული და თანასწორობის გრიგალგამოვლილიც კი მაინც განსაკუთრებული რჩება...

ქალბატონი ნინო იხსენებს:

— ერთადერთი ზაფხული მახსოვს მამაპაპისეულ სახლში გატარებული, სოფელ ღვანკითში. მაშინ 6 წლისა ვიყავი. ეზოში 3 სახლი იდგა და უამრავი ხალხი ცხოვრობდა ერთად: ბებიის ბიძაშვილი, ბაბუის ბიძაშვილები, მკერავები, ალმზრდელი, გადია... ახლა, რა თქმა უნდა, არც ერთი სახლი აღარ გვაქვს. ზოგი იქაურ გლეხებს დარჩათ. მათ არც კი იციან, ვის აშენებულ სახლში ცხოვრობენ. ბაბუაჩემის მამის აშენებული სასახლე დაწვეს. იმ ადგილას, სადაც მას ერთკლასიანი სკოლა ჰქონდა გახსნილი, დღეს სოფლის სკოლაა. ყველაზე მეტად გული მწყდება საგვარეულო ეკლესიის გამო. ჯერ იქ საწყობი გახსნეს, შემდეგ კლუბად გადააკეთეს. იმ ეკლესიაშია დასაფლავებული ბაბუაჩემი, მისი მამა, თავიანთი მეუღლეებით, მამიდაჩემი — თამარი, რომელიც 5 წლისა გარდაიცვალა და რომლის საფლავის ქვასაც აკაკი წერეთლის ეპიტაფია ამშვენებდა. სცენა ზუსტად მამიდას საფლავზე გადიოდა, ამიტომ საფლავის ქვა შელახულია და გაფუჭებული... ეკლესიაში მარმარილოს კოლონები იდგა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეს სვეტები მოხერხეს, რადგან კინოს ყურებას უშლიდა თურმე ხელს. ის ველარ იფიქრეს, რომ უიმათოდ ეკლესია დაიქცეოდა. მართლაც, გუმბათი ჩამოწვა... ვის აღარ ვთხოვე, დამხმარებოდა და აღგვედგინა ეკლესია, ვერავინ დავაინტერესე...

**— თქვენი ოჯახი, მშობლები განუკითხაობის მსხვერპლად იქცნენ. ვგულისხმობ XX საუკუნის 30-იანი წლების საშინელებას — რეპრესიებს. როგორ გახსენდებათ ის დრო?**

— 1937 წელს 21 წლისა ვიყავი. ის იყო, მოვასწარი ინსტიტუტის დამთავრება და დიპლომის დაცვა, ზაფხულში მამა წაიყვანეს. „ტროცკისტობა" დააბრალეს... სულ 41 წლისა იყო, ძალიან ჯანმრთელი და ენერგიული კაცი გახლდათ... შინსახკომში დაკითხვაზე რომ გაჰყავდათ ხალხი და აწამებდნენ, 3-4-ჯერ გასვლას თუ გაუძლებდა კაცი, წამებისას კვდებოდა... მამაჩემი 17-ჯერ უწამებიათ...

ერთხელ, ახალგაზრდა კაცი მოვიდა ჩვენთან და დედას უთხრა: — მოდი შინსახკომში და დავითს (ე.ი. მეუღლეს) ლოგინი და თბილი საცვლები მოუტანეო. იმედი მოგვეცა: ალბათ, ცოცხალიაო. წავედით. დედამ რუსთაველზე შემაჩერა. თვითონ ავიდა იმ ქუჩაზე, სადაც შინსახკომი იყო. გამოვიდა შენობიდან ის ახალგაზრდა და შეიყვანა დედა... მალე ისევ გამოუშვეს... მერე გავიგეთ, თურმე მამისთვის უთქვამთ: როგორც შენ განამებთ, იმავეს დავმართებთ შენს მეუღლეს, თუ ამ ჩვენებაზე ხელს არ მოაწერო და ფანჯრიდან დედა დაუნახვებიათ. ოღონდ ქეთევანს არაფერი დაუშავოთო და გულშემოყრილ მამას ხელი უსიტყვოდ მოუწერია.

მოაწერა თუ არა ხელი, დახვრიტეს კიდეც.

დედაჩემი — ქეთევან მაჩაბელი მაინც ვერ ასცდა ამ უბედურებებს...

დედის სანახავად მიდიოდა. ჩიტაძის ქუჩაზე უნდა გაევლო. თურმე ბერიამ გამოიარა მანქანით. ვიდრე თავის „სამსახურში" შევიდოდა, მანქანა გააჩერებინა და დიდხანს აკვირდებოდა დედას... შინ რომ დაბრუნდა, მითხრა: შვილო, მე ალბათ დღეს წამიყვანენ და შენ არ შეგეშინდესო...

არ დავუჯერე. დეკემბერი იდგა. მიწყნარებული იყო თითქოს ყველაფერი: რალა დროს დაჭერაა, უკვე ყველაფერი უკან დარჩა-მეთქი. არა, ნამდვილად წამიყვანენო...

მართლაც მოაკითხეს ღამით. დედამ ბეჭედი მოიძრო ხელიდან და მე გამიკეთა... ჩემს პატარა ოთახშიც შევიდნენ, ყველაფერი გადმოყარეს — წერილები, წიგნები... სურათები და ხატები არც მაშინ წაუღიათ, რადგან წასაღები მამის დაპატიმრებისას წაიღეს... დედაჩემის ნიშნობის ბეჭედიც გადამირჩა. სხვა ყველაფერი გააყოლეს ხელს. იმ სახლში, საიდანაც დედა წაიყვანეს, დღესაც ვერ შევდივარ... გამოგვასახლეს, მაგრამ იქ მეგობრები დამრჩნენ. როცა მათთან ეზოდან შევდივარ, სადარბაზოს დანახვისას ისეთი მოგონებები ცოცხლდება, რომ...

საერთოდ, ცოდვა კი იყო ის ნივთები, ჩვენგან რომ წაიღეს... ეს ყველაფერი მუზეუმში რომ ყოფილიყო, კიდევ სხვაა... მაგრამ ყველაფერი ვილაც-ვილაცების ხელში მოხვდა. საკომისიოში მომუშავე ქალი მეუბნებოდა ხოლმე: შენი ჯვარი სომეხმა იყიდა, ერევანში წავიდაო... ეს იქ წაიღეს, ის — იქო... ერთ დღეს მეგობარმა ექიმმა დამირეკა, სასწრაფოდ მოდიო. მივედი. ხელში გულსაბნევი ეჭირა. აბა, დააკვირდი, ეს ბებიაშენის სამკაული არ არისო? მივამგვანე, მაგრამ, დაბეჯითებით ვერაფერი ვთქვი. მითხრა: აბა, კარგად გაიხსენეო... მეც გამახსენდა, ბებიის გულსაბნევს სამაგრი გაუტყდა და ხელოსანმა გააკეთა. ნაწიბურები კი ეტყობოდა. ვნახეთ, მართლაც ბებიისეული იყო... 200 მანეთად ვიყიდე... განა სამკაული რა არის, მაგრამ იმ ნივთებს სხვა ღირებულება აქვს: ამ გულსაბნევსაც თავისი თავგადასავალი ჰქონდა.

**— რა გადახდა თავს?**

— ალექსანდრე III ჩამოვიდა საქართველოში და ქუთაისსაც ეწვია. ბებია საგანგებოდ ემზადებოდა თურმე მასთან შესახვედრად. ამასობაში შეყოვნდა კიდეც. ბაბუას უთქვამს: გეხვეწები, ნუ ემზადები, ნუ ნახვალ, ბრძანებაა გამოსული, სადაც ალექსანდრე III შევა, იქ დაგვიანებულს არავის შეუშვებენო. ბებია მტკიცე და შეუპოვარი ხასიათის ქალი იყო. აღშფოთებულს უთქვამს, — ეგლა მაკლია, ჩემს ქუთაისში, სადაც მე მინდა, იქ ვერ შევიდეო! და წასულა. როგორლაც შესულა იმპერატორთან რამდენიმე გზად შეფერხებული ქალი. იმ მანდილოსნებისთვის ხელმწიფეს გულსაბნევები უჩუქებია...

**— თუ შეგიძლიათ, მიამბეთ დედის სანახავად როგორ წახვედით გადასახლებაში?**

— ზაფხულში წავედი დედასთან. მითხრეს, ნახვის უფლება არ გაქვს, უკანვე უნდა გაბრუნდეო. მხოლოდ ბანაკის უფროსს შეეძლო, შევეშვი დედაჩემთან. მე, რა თქმა უნდა, არაფრის იმედი არ მქონდა, მაგრამ მაინც მივედი ბანაკის უფროსთან. მაშინ პატარა გოგოს ვგავდი. განცვიფრებულმა შემომხედა: თქვენ აქ რა გინდათო? ამოვიღე ჩემი წითელი დიპლომი და ვუთხარი, — არქიტექტორი ვარ, თქვენთან მინდა მუშაობის დაწყება-მეთქი. გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა: ამხელა მანძილზე მართლა სამუშაოსთვის ჩამოხვედითო? გამოვუტყდი, — დედა მყავს აქ გადმოსახლებული და ნახვის ნებას არ მაძლევენ. თუ მუშაობას დამაწყებინებთ, ახლოს მაინც ვიქნები და საჭმელს მივაწვდი. დედაჩემი ძალიან სუსტია და ვერ შეძლებს თავის გატანას-მეთქი. მინდა გითხრათ, რომ რა ცუდ საქმეზეც არ უნდა მუშაობდეს ადამიანი, თუ ის კარგი პიროვნებაა, მაინც გამოჩნდება. ბანაკის უფროსი ებრაელი იყო. მომისმინა, შემომხედა და თვალებიდან ცრემლი ჩამოუგორდა. შემპირდა, საბუთებს ვნახავ, დახასიათებას მოვითხოვ და თუ შესაძლებელი იქნება, მშობელთან შეგახვედრებო. აქ მუშაობა რად გინდა, დამნაშავეების ცოლებს მალე გაათავისუფლებენ, შენ კი შეიძლება პოლიტპატიმართან კავშირისთვის მოგისაჯონო...

ის ღამე სიმწრით გავათენე. ერთ „განკულაკებულ" ოჯახს მივადექი. 10 სული ცხოვრობდა ერთ პატარა ოთახში. ლოგინს ვერ შემოგთავაზებთ და თუ გინდათ, დაჯექით თქვენს ჩემოდანზე და გაათენეთ ღამეო. მეტი რა ჩარა იყო.

მეორე დღეს უფლება მომცეს დედის ნახვისა, მაგრამ მისი ბანაკი 30 კმ-ით იყო დაშორებული ჩემი მაშინდელი სამყოფლიდან.. პატარა მატარებელი მიდიოდა, ისიც მხოლოდ 7 კმ-ზე და დღეგამოშვებით. იმ დღეს კი მატარებელი განრიგით არ მოძრაობდა. მეორე დღეს ველარ დაველოდებოდი. ავიღე ჩემი ჩემოდანი, რომელშიც დედისთვის ჩამოტანილი პროდუქტები მქონდა და ფეხით წავედი.



ქეთევან მაჩაბელი და დავით ბაგრატიონი

**— როგორ გაბედეთ 30 კმ-ის გავლა, თანაც სულ დასახლებული პუნქტები ხომ არ იქნებოდა გზად, ალბათ ტყეც იყო...**

— შიში არ ვიცოდი, რა იყო. ტყე-ტყე მივდიოდი. ისე ვნერვიულობდი, დაღლაც არ მიგრძვნია. ჯერ ლიანდაგს მივყვებოდი, მერე ფეხი მიწაში მეფლობოდა წვივებამდე. ისეთი ნიადაგი იყო, მიწა ცოტათი რომ გაგეჩიჩქნა, წყალი ამოდიოდა. ასე ამოსვრილი მივედი. დედასთან არ შემიშვეს, თვითონ ის გამოიყვანეს. მახსოვს, როგორ გამოჰყვა ვილაც თოფიანი სამხედრო. ცრემლები წამსკდა. დედამ მითხრა, — არ გრცხვენია, ამას აჩვენებ ცრემლებსო?! გავჩუმდი. იმ დროს უკვე დიეტდად მუშაობდა და ექიმმა უფლება მომცა, მის გვერდით ვყოფილიყავი მუშაობის დროს. იმ დღეს ერთად ვიყავით. მეორე დღეს 3 საათზე წამოვედი უკან.

**— დედა ძალიან დათრგუნვილი იყო?**

— თქვენ წარმოიდგინეთ, კარგად გამოიყურებოდა. მამაჩემი სულ უფრთხილდებოდა: დედა სუსტია, დედას არ შეუძლიაო... ამ ნაფერებმა ქალბატონმა ბევრი რამ შეძლო. პირველად რომ ნაჯახი მიუციათ ხელში, ვერ აუწევია, მერე უფიქრია, — სამხედროებს როგორ დავაცინინო თავიო და ყველაზე მარჯვედ მუშაობდა თურმე.

გადასახლებიდან რომ დაბრუნდა, 50 წლისაც არ იყო. მთლიანად გათეთრებული ჰქონდა თმა...

ქალბატონი ნინოს მოსმენა სიამაყეს ჩაგიღვრით სულში. მის ხმაში, სახის გამომეტყველებაში, აზროვნებაში მძაფრად იგრძნობა ის, რასაც დახვეწილი გენი ჰქვია. ქალბატონ ნინოს არ ახსოვს მოწუწუნე დედა, მიუხედავად იმისა, რომ ქეთევან მაჩაბელს უმძიმესი ცხოვრება შეუქმნეს... ქალბატონი ნინო უფრო შორი წარსულისკენაც იხედება და იხსენებს, როგორ მოდიოდა მათ ოჯახში ბანქოს სათამაშოდ ივანე რატიშვილი, წარმოსადეგი, დახვეწილი ქართველი, რომელმაც რუსეთს ზამთრის სასახლის კულტურული განძი გადაურჩინა...

ახსოვს ოჯახური გადმოცემა: თურმე, მისი დიდი პაპა, ალექსანდრე, საჩხერეში ქორწილში მიუწვევიათ. ამალით წასულა. საპატიო სუფრაზე დააბრძანეს, მაგრამ მხლებლები სხვაგან დასხეს. განრისხებულა ბრწყინვალე თავადი. ამდგარა და დაუტოვებია ქორწილი...

ასეთი მრწამსით, ასეთ გარემოცვაში იზრდებოდა...

მერე იყო ეპოქა, როცა შეგნებულად არიდებდა ნაცნობებს თვალს ქუჩაში, რომ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაეგდო ვინმე. ის ხომ ხალხის მტრის შვილი იყო... იყო სამსახურიდან უსასრულო დათხოვნა და მერე აღდგენა, იმიტომ რომ ქალბატონი ნინო საჭირო პროფესიონალი გახლდათ. იყო მფრინავ მეუღლესთან ერთად ომის „ცხელ წერტილებში" ყოფნა; იქაც კი, რიგაში, ობოლი ბიჭი შეიფარა და აღზარდა თავის ქალ-ვაჟთან ერთად. ერთხელაც არ გამოუხატავს თურმე შიში ქალბატონ ქეთევანს შვილის ომში ყოფნის გამო...

აფხაზეთის ომი რომ ატყდა, დაიწყო შემოწირულობების შეგროვება იარაღის შესაძენად. ქალბატონმა ნინომ უყოყმანოდ შესწირა მამის, დავით ბაგრატიონის სამახსოვრო წარწერით დამშვენებული დედისეული ნიშნობის ბეჭედი. საკმარისი რაოდენობის ოქრო ვერ შეგროვდა და დღეს ეს ნივთი, სხვა შეწირულ სამკაულთან ერთად, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.

ქალბატონ ნინო ბაგრატიონის ბიოგრაფია „მსოფლიო ინტერნაციონალური ბიოგრაფიების" ლექსიკონში შეიტანეს. ორდენი მიანიჭა კემბრიჯის უნივერსიტეტმა. დოკუმენტები ამის შესახებ გამოუგზავნეს, მაგრამ თვითონ ორდენი რომ მიიღოს, თურმე 300 დოლარი უნდა გადაიხადოს... არც ზემოხსენებული ლექსიკონი აქვს შინ. მის გამოსაგზავნადაც საკმაო თანხაა საჭირო...

ქალბატონი ნინო იღიმება, გაგრძნობინებთ, რომ ეს ყველაფერი დარდად არ ღირს... შემდეგ კი სევდაჩამდგარი თვალებით, დიდი ტკივილით წყნარად ამბობს: „ჩემი ერთადერთი დარდი წინაპრების საფლავებია ღვანკითში, ჩამონგრეულ ეკლესიაში..."

თუკი ვინმემ ამ ტკივილის გლობალურობა ვერ იგრძნო, ალბათ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ იმ ეპოქის შვილები ვართ, რომელშიც თითქმის სამი თაობა საფლავის ქვებზე მოწყობილ სცენაზე გამართულ ღონისძიებებზე გაიზარდა... იმ ეპოქისა, რომელშიც რამდენიმეგზის ამოუთხრიათ ბაგრატიონთა სამარეები განძის ძებნაში...

*ლელა ჯიყაშვილი*


## დამამშვიდებელი მცენარეული წვეთები

## „ფიტოსედი"




ორიგინალური კომბინირებული პრეპარატი, რომელიც დამზადებულია სამკურნალო მცენარეებისაგან. იგი არ შეიცავს საძილე და ნარკოტიკულ ნივთიერებებს, აქვს სასიამოვნო გემო, გამოიყენება პედიატრიულ პრაქტიკაშიც.

ფარმაკოლოგიური თვისებები განპირობებულია მასში შემავალი ბუნებრივი კომპონენტებით.

პრეპარატი ხასიათდება შეუდარებელი დამამშვიდებელი და სპაზმოლიტური მოქმედებით.

**გამოიყენება:**

- როგორც დამამშვიდებელი საშუალება მომატებული აღგზნებადობის, გადაღლის, უძილობის დროს;
- ეფექტურია კლიმაქტერიულ პერიოდში;
- კუჭ-ნაწლავის სპაზმების მოსახსნელად, სპაზმური კოლიტების და ენტეროკოლიტების დროს;
- აჩქარებული მაჯისცემის, ექსტრასისტოლიის, მომატებული არტერიული წნევის დროს, როგორც გულის კუნთის მატონიზირებელი და სისხლის მიმოქცევის მომწესრიგებელი საშუალება.

სამკურნალო მცენარეების უნიკალური შეხამებიდან გამომდინარე, „ფიტოსედი" სხვა ანალოგიური პრეპარატებისაგან გამოირჩევა მაღალი ეფექტურობით, უსაფრთხოებით (პრაქტიკულად არ გააჩნია გვერდითი მოვლენები), დასაშვებია მედიკამენტის გამოყენება სხვა სამკურნალო საშუალებებთან ერთად, კომპლექსური მკურნალობის დროს.

თბილისის ფარმაცევტული ქარხანა.
ტელ.: 39-78-95, 70-59-34.

# ყვავილობის დროა

ყველა ცნობილი პოეტი და მხატვარი საყვარელი ქალის სილამაზეს ყვავილს ადარებდა. დიდი ფერმწერების ტილოებზე გამოსახულ ქალებს ერთი ღირსება აერთიანებთ: ისინი ამოუცნობნი და მშვენიერნი არიან, თუმცა ერთმანეთისგან საოცრად განსხვავდებიან.

იცით თუ არა, რომ თქვენი დაბადების რიცხვს, რომელსაც ნუმეროლოგიაში ბედის რიცხვს უწოდებენ, განეკუთვნება მხოლოდ ამ ქალისთვის მიძღვნილი ყვავილი?

ბედის რიცხვის განსაზღვრა ძალიან იოლია. ამისთვის უნდა შეკრიბოთ თქვენი დაბადების დღის ყველა რიცხვი (დაიყვანეთ ერთნიშნა რიცხვამდე). მაგ. 1975 წლის 9 მარტი. მარტი ხომ მესამე თვეა, ე.ი. 1+9+7+5+9+3=34=3+4=7

თქვენი ბედის რიცხვია 7, ყვავილი კი ფურისულა.

## 1. იორდასალამი

იორდასალამი (პიონი) — მგზნებარე სიყვარულის სიმბოლოა. პლინიუს-უფროსის ცნობით, მან სახელი მიიღო ძველი ბერძენი ექიმის, ასკლეპიოსის მონაფის, პეონის წყალობით. პეონმა ყვავილი იორდასალამი გამოიყენა სამკურნალოდ და მოარჩინა ღმერთი პლუტონი, რომელიც ჰერკულესმა დაჭრა. ეს ამბავი ისე შეშურდა მასწავლებელს, რომ მან პეონის მოკვლა ბრძანა, მაგრამ პლუტონმა გადაარჩინა პეონი და ყვავილად გადააქცია.

ქალი-იორდასალამი ისეთივე ნათე-



ლი პიროვნებაა, როგორიც თავად ყვავილი: ენერგიული, პირდაპირი, დარწმუნებულია თავის ერთადერთობაში. ირჩევს საკუთარ გზას და გადახვევას არ აპირებს. შეუძლია ოცნებების განხორციელება, თანაც სხვის დაუხმარებლად. მან აუცილებლად უნდა ისწავლოს სურვილებისა და შესაძლებლობების განსაზღვრა და არ ჩაერიოს კონფლიქტებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა დარჩეს უმეგობროდ, ეშმაკი და ვერაგი ადამიანების გარემოცვაში.

## 2. შროშანი

მერყეობის სიმბოლოა. ძველ ხალხებს სწამდათ, რომ იგი ღვთიური წარმოშობისა იყო — თითქოს გაჩნდა გათხოვილი ქალების მფარველი ქალღმერთის, იუნონას რძისგან.

შროშანი სამოთხეში იზრდებოდა. მოსემ ბრძანა, მისი გამოსახულებით დაემშვენებინათ შვიდსანთლიანი შანდალი. შროშანის ფორმა ჰქონდა ემბაზსაც — მიიჩნეოდა, რომ ამით მლოცველების სულიერი მდგომარეობა გაღრმავდებოდა. როცა ჯვარცმის წინ ქრისტემ ბაღში გაიარა, ყველა ყვავილმა სევდის ნიშნად თავი დახარა, მხოლოდ შროშანი შეხვდა თავაწეული, რათა ძე უფლისა მისი სილამაზით დამტკბარიყო.

და მართლაც, ქრისტემ მზერა ამაყ



ყვავილზე შეაჩერა... შროშანი უცბად სინდისმა შეაწუხა და ფურცლებზე სირცხვილის ალმურმა გადაუარა. ასე გაჩნდა წითელი შროშანი.

ნუმეროლოგიაში შროშანი სიმბოლოა გაწონასწორებულობის, ტაქტის, კომპრომისის ძებნისა.

ზოგჯერ იგი ისეა გართული სხვისი პრობლემებით, რომ საკუთარი თავისთვის ვერ იცლის.

რიცხვი 2 — ანტითეზაა, კონტრასტი. შროშანის სული სინათლესა და წყვდიადს, სიმდიდრესა და სილატაკეს, სიცოცხლესა და სიკვდილს შორის დაეხეტება. შროშანმა ცხოვრება ისეთად უნდა მიიღოს, როგორიც არის, უნდა მოერიდოს უკიდურესობას. თავისი იდეებისა და სურვილების განსახორციელებლად შროშანს სჭირდება თანაავტორები, კომპანიონები და თანაშემწეები. მას მუდამ სჭირდება მორალური მხარდაჭერა.

## 3. იაქუქუნა

გერმანელები ამ ყვავილს დედინაცვალს უწოდებდნენ და აი, რატომ:



ყვავილის ფურცლებში ისინი ხედავდნენ სახეებს: ქვემოთ, ყველაზე მსხვილსა და მოკაზმულში — დედინაცვალს, ორ მომდევნოში — მის ორ ქალიშვილს, სულ ზემოთა, ღია და მონყენილ ფურცლებში — გერებს.

შუა საუკუნეების ქრისტიანები ყვავილის მოხატულობას ადარებდნენ ღმერთის ყოვლისმომცველ მზერას და იქიდან წამოსულ ნათებას. საფრანგეთში ეს ყვავილი ერთგულების სიმბოლოდ მიიჩნეოდა. პოლონეთში ქალიშვილები მას თავის საქმროებს ჩუქნიდნენ.

ინგლისში იაქუქუნა წმინდა ვალენტინის დღის სეფეყვავილია და მას „გულის სიხარულს" უწოდებენ.

ამ ყვავილის მფარველობის ქვეშ დაბადებული ქალი ცხოვრებაში პეპელასავით დაფარფატებს. ძალიან სწრაფად ამჟღავნებს თავის თვისებებს — ნიჭს, ჭკუას, ინტუიციას. ის დღეის დღით ცხოვრობს, უყვარს გმირობა და საინტერესო ადამიანების საზოგადოება. მთავარია, სწორად აირჩიოს ცხოვრების გზა, მაგრამ შესაძლოა იოლი ცხოვრებისკენ მიდრეკილებამ სწორ გზას ააცდინოს და ყველაფერი, რისი გაკეთებაც სურდა, მხოლოდ ოცნებად დარჩეს.

## 4. ზიზილა

ამბობენ: ერთხელ, ღვთისმშობელმა



გადაწყვიტა, პატარა იესო გაეხარებინა და ყვითელი და თეთრი აბრეშუმის ძაფებით ციცქნა ყვავილები მოუქარგა. ქარგვის დროს რამდენჯერმე თითზე ნემსი იჩხვლიტა, ყვავილები ალაგ-ალაგ ვარდისფრად შეიღება. ამიტომ გვხვდება ვარდისფერი და წითელი ფერის ზიზილები. ყვავილები იესოს ისე მოეწონა, რომ ნაზარეთში დარგო, საიდანაც მთელ მსოფლიოში გავრცელდაო.

ქალი-ზიზილა გაწონასწორებული და შრომისმოყვარეა. ის ძალიან ფრთხილია, მოფიქრალი. თავს არიდებს სარისკო წამოწყებებს. მისი დევიზია — ნდობა და ერთგულება. არ უყვარს თხოვნა, სხვების შეწუხება, ცდილობს, თავისი საქმეები თავადვე მოაგვაროს. არავის აპატიებს სიცრუესა და უსინდისობას. რიცხვი „4" გარანტიაა მისი სრულყოფისა და საქმეებში წარმატებისა.

ზედმეტი თავმდაბლობა და უპრეტენზიობა ხშირად ვნებს და მისი ოცნებები განუხორციელებელი რჩება. კარგია, თუკი მის გვერდით აღმოჩნდებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც მხარში ამოუდგებიან, მაგრამ უმჯობესია, თუ თავად იქნება თავისი ბედის ბატონ-პატრონი.

## 5. ღიღილო

ღიღილო ევროპაში ჭვავთან ერთად შემოიტანეს და გვირგვინების დასაწნავ საუკეთესო ყვავილად მიიჩნეოდა. ამის გამო ის თითქოს ჩაეწნა გერმანიისა და რუსეთის ისტორიას.

ნაპოლეონის ომების დროს, გერმანიისათვის უმძიმეს პერიოდში, დედოფალმა ლუიზამ შვილებთან ერთად თავი კენიგსბერგს შეაფარა. ერთხელ, ბავშვებთან ერთად სეირნობდა და ერთი გლეხის გოგონასგან ღიღილოების თაიგული შეიძინა. სუსტმა, ავადმყოფმა პრინცესა შარლოტემ ღიღილოების გვირგვინი თავზე დაიდგა და ლოყები მაშინვე აუვარდისფრდა. ღიღილო დედოფლისთვის ბედნიერების მაცნედ იქცა.

ამბობენ, ნაპოლეონის პატივსაცემად გამართულ იძულებით მეჯლისზე დედოფალი ლუიზა გამოჩნდა უსამკაულოდ, მხოლოდ თავს უმშვენებდა ღიღილოების გვირგვინი. ფრანგების ირონიულ ღიმილს დედოფალმა ასე უპასუხა: სამშვენისები გავყიდე, რომ დანგრეულ ქვეყანას დავხმარებოდი, მინდვრები კი ისეა გადათელილი, რომ ღიღილოებიც კი აღარ არისო. გამარჯვებულებმა ვერაფერი თქვეს...

ძალიან მალე მონარქია აღადგინეს, ხოლო პრინცესა შარლოტე ცოლად გაჰყვა რუსეთის იმპერატორს, ნიკოლაი I-ს და გახდა რუსეთის დედოფალი ალექსან-



დრა ფეოდოროვნა.

ქალი-ღიღილო — რისკიანია, იგი ენერგიულია, უყვარს თავგადასავლები და უჩვეულო სიტუაციები, იტაცებს მოგზაურობა და თავს ყველგან შინაურულად გრძნობს. იოლად ითვისებს უცხო ენებს, ძალიან ცოცხალია და იუმორის გრძნობა აქვს. ეს თვისებები მას ცხოვრებაში ძალიან ეხმარება.

## 6. ვარდი

ვარდი ყვავილთა მეფეა. ის სიყვარულისა და მოთმინების სიმბოლოა. ინდური მითები გვამცნობენ: ვარდის კვირტისაგან გაჩნდა ღმერთქალი ლაქშმი, რომელიც სამყაროს მფარველმა ვიშნუმ კოცნით გამოაღვიძა. იმ წუთიდან ლაქშმი ვიშნუს მეუღლე გახდა და იქცა სილამაზისა და ნაყოფიერების ქალღმერთად.

ანაკრეონტი წერდა, რომ ვარდი წარმოიშვა იმ ქაფისაგან, რომლითაც აფროდიტეს სხეული იყო დაფარული, როცა ის ზღვიდან გამოვიდა, ყვავილის არაჩვეულებრივი სურნელი ჰქონდა. ვარდი მანამდე ინარჩუნებდა თეთრ ფერს, სანამ აფროდიტეს მიჯნური ადონისი ნადირობისას მხეცმა არ დაჭრა. აფროდიტე ადონისის საშველად გარბოდა და ყურადღებას არ აქცევდა ეკლებს, რომლებიც მას ფეხებს უკაწრავდა, მისი სისხლის რამდენიმე წვეთი ყვავილს დაეპკურა.

ქალი-ვარდი პატიოსანი, სანდო, გულღია და პროგრესულად მოაზროვნეა. სარგებლობს პატივისცემითა და სიყვარულით. კეთილმოსურნეა და ყოველთვის პირნათლად ასრულებს



ყველა დავალებას.

ამ ტიპის ქალები კარიერას არ მიელტვიან, მიღწეულიც აკმაყოფილებთ. წინ ჯიქურ არ მიიწევენ. ვარდისთვის უმთავრესია ღირსეულის სახელის შენარჩუნება, მას სრულებითაც არ იზიდავს იაფფასიანი პოპულარობა.

ის იმდენად მორიდებულია, რომ შესაძლოა უპატიოსნო და ეშმაკი ადამიანების ხელში სათამაშოდ იქცეს.

## 7. ფურისულა

ბევრ ხალხში ამ ყვავილს „გასაღებს"



უწოდებენ, რადგან ძალიან წააგავს გასაღებების აცმას.

შუა საუკუნეებში ასეთი ლეგენდა არსებობდა: ერთხელ, სამოთხის გასაღების მცველს, მოციქულ პეტრეს, აცნობეს, რომ ვიღაცამ ყალბი გასაღები იშოვა, რათა ციურ სამყაროში შეეღწია. ამ ამბით გაოგნებულ პეტრეს ხელიდან გასაღებების აცმა გაუვარდა და მიწაზე დაეცა, ანგელოზმა აიტაცა იგი, მაგრამ მიწაზე მისი ანაბეჭდებისაგან ყვავილები გაჩნდა. ფურისულები ადრე გაზაფხულზე ყვავიან და თბილი ამინდის მომასწავებელნი არიან.

ინგლისში ფურისულის ფოთლებს სალათში ხმარობენ, ხოლო გამხმარ ფოთლებს ჩაისთვის იყენებენ. შვეიცარიაში ნორჩი ფურისულის ნახარშისა და თაფლისგან ამზადებენ გამაგრილებელ სასმელს. მიიჩნევა, რომ ფურისულა ამაგრებს ნერვულ სისტემას.

ქალი-ფურისულა იდუმალებისა და ცოდნის სიმბოლოა, თან წინააღმდეგობრივი ნატურაცაა. მასში გაერთიანებულია მონდომება და პოეტურობა, ანალიტიკური ჭკუა და ძლიერი ინტუიცია. ფურისულები იბადებიან მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულნი მხატვრები, ასევე ენერგიული და ფილოსოფიურად მოაზროვნე ქალბატონებიც. სუსტი ადამიანები პესიმისტები ხდებიან, ხოლო ძლიერები — მთელ მსოფლიოში არიან ცნობილნი.

## 8. ია

სინაზის, ერთგულების, სიყვარულის, გამძლეობის სიმბოლო. ქალი-



ია მეოცნებე, მგრძნობიარე, რომანტიკული პიროვნებაა. უყვარს პოეზია, წარმატებას აღწევს ხელოვნების სფეროში. მისი მხარდაჭერა და ერთგულება ხიბლავს მამაკაცს. ქალი-ია მიმნდობია, გულახდილი, კეთილი, მაგრამ არ აპატიებს ღალატს, სიცრუეს. სიყვარულში ხელმოცარულია.

## 9. ნარგიზი

ვარდის შემდეგ პოეტებს ყველაზე მეტად ყვავილებიდან ნარგიზი იზიდავთ.

მუჰამედს მიაკუთვნებენ შემდეგ სიტყვებს: „ვისაც ორი პური აქვს, ერთი უნდა გაყიდოს, რათა ნარგიზი შეიძინოს. რადგან პური — სხეულის საკვებია, ხოლო ნარგიზი — სულისა".

ძველბერძნული თქმულება კი მოგვითხრობს: ბავშვის დაბადების დროს ინინასწარმეტყველეს, რომ ის ღრმა სიბერემდე იცოცხლებდა, თუკი საკუთარ სახეს არ დაინახავდა. ბიჭი ძალიან ლამაზი გაიზარდა. ბევრ ქალიშვილს უყვარდა, მაგრამ ის ყველას მიმართ გულგრილი იყო.

მშვენიერი ნიმფას სიყვარულიც უარყო მომხიბლავმა, მაგრამ გოროზმა ჭაბუკმა ნარცისმა. ღმერთებმა დაწყევლეს ვაჟი — საკუთარი თავი



შეგყვარებოდესო. ერთხელ, ყმაწვილი ნადირობიდან ბრუნდებოდა. წყლის დასალევად წყაროსკენ დაიხარა, თავისი სახე დაინახა და თვალი ვერ მოსწყვიტა. დნებოდა წყაროს ზედაპირზე არეკლილი მშვენიერი სახის ტრფიალით, ცრემლს აწვიმებდა უცხო სილამაზეს. ანაზდად მიხვდა, რა უბედურებაც დასტყდომოდა თავს და დარდისაგან დაილია, გათავდა. მწუხარე ნიმფებმა მღვიმეში დაკრძალეს ნარცისი. ხოლო იმ ადგილას, სადაც იგი გარდაიცვალა, ამოვიდა მაღალი, მოოქროსფრო-თეთრი ყვავილი.

ქალი-ნარგიზი ინტელექტუალურია, მიდრეკილებას იჩენს ხელოვნებისა და შემოქმედებისაკენ. მას ძლიერი ნებისყოფა აქვს. ამ ნიშნით იბადებიან პირველაღმომჩენები, მეცნიერები. ქალმა-ნარგიზმა თავი უნდა აარიდოს კომერციულ საქმიანობას. მას შესაძლოა გაუჭირდეს სწორი გზის არჩევა. ბედნიერებისათვის აუცილებელია საკუთარი ადგილის პოვნა და ამ არჩეული გზის ერთგულება.

ყვავილოვანი მაგია — ადამიანის პიროვნების სრული დახასიათება როდია, არამედ მხოლოდ ერთი რგოლია იმ გრძელი ჯაჭვისა, რომელიც დასავლური და აღმოსავლური ჰოროსკოპებისაგან, ასევე დრუიდების და სხვათა კალენდრებისაგან შედგება.

ნებისმიერ ქალს ყოველთვის აინტერესებს, თუ ყვავილნარში რომელ ყვავილს ასახიერებს და როგორ გადალახოს სიძნელეები ისე, რომ მუდამ გაფურჩქნილი იყოს და არასდროს დაჭკნეს მისი ნარმტაცი ფურცლები.




# „Черт побери!"

## ანუ, მართლაც ეშმაკს წაუღია ასეთი ეკონომიკა...

ბოლო ხანს, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოსვლისა, 1998 წელს დაფიქსირდა (401 მლნ ლარი), რომელიც მოხმარდა ბაქო-სუფსის მილსადენისა და სუფსის ტერმინალის მშენებლობას. 1999 წელს ეს მაჩვენებელი მკვეთრად დავარდა — 169 მლნ ლარამდე, ხოლო 2000 წელს 119 მლნ ლარამდე შემცირდა. არადა ინვესტიციების რაოდენობაზე არის დამოკიდებული ახალი სამუშაო ადგილები, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა და, საბოლოოდ, ქვეყნის მთლიანი დოვლათის შექმნა. თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა, მაშინ შეიძლება ქვეყნის შემოსავლის დიდი ნაწილი ნავთობის მილსადენით ტრანსპორტირებისას ტრანზიტის გადასახადით განისაზღვროს, რაც ნამდვილად შორს ვერ წაგვიყვანს. საინტერესოა, რა არის ამის მიზეზი? აი, როგორ აფასებს „კვირის პალიტრასთან" საუბარში საქართველოში შექმნილ ეკონომიკურ კატასტროფას **ემი დენმანი,** აშშ-ის სავაჭრო პალატის საქართველოს ოფისის გენერალური დირექტორი (აშშ-ის სავაჭრო პალატა საქართველოში ამერიკული ინვესტიციებით შექმნილ 60 კომპანიასა და 30 ინდივიდუალურ წევრს აერთიანებს).

— ალარ მოელო ბოლო ამერიკული კომპანიების ლოდინს, ცოტაც და საქართველოში ბიზნესისთვის შესაფერისი გარემო შეიქმნებაო. წელიწად-ნახევრის განმავლობაში მხოლოდ გაუთავებელი დაპირებები ისმოდა, არჩევნების შემდეგ ყველაფერი მოგვარდებაო. ჯერჯერობით, არაფერი შეცვლილა. ახლა კვლავ არჩევნები მოდის და ნაკლებად არის მოსალოდნელი რაიმეს შეცვლა.

ამ ქვეყანაში ბიზნესს კანონმდებლობა არანაირად არ უჭერს მხარს. მაღალია დამნაშავეობის დონე. პოტენციურად დიდი რისკი არსებობს საბანკო სექტორშიც, რის გამოც ინვესტორები არ ჩქარობენ საქართველოში ფულის ჩადებას.

რაც მთავარია, კონტრაბანდული საქონლის სიუხვის გამო წარმოებაში ფულის ჩადებასაც არა აქვს აზრი, რადგან საქონლის წარმოება ისე ძვირი ჯდება, რომ ვერ უწევს კონკურენციას საბაჟოს გვერდის ავლით შემოტანილ იაფ პროდუქციას. ამის შედეგად საქართველოში დამზადებული ნაწარმი არაკონკურენტუნარიანია — აცხადებს ემი დენმანი.

არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოში შემოტანილი პროდუქციის 80% კონტრაბანდას შეიცავს. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ბოლო პერიოდში, საქართველოში ერთმანეთის მიყოლებით ხურავენ ოფისებს ცნობილი საზღვარგარეთული კომპანიები. მათ ადგილს კი, ბაზარზე, კონტრაბანდული საქონლის უსახელო საწყობები იკავებს. კონტრაბანდის მაღალი დონის შესახებ აღნიშნა თავის ბოლო ინტერვიუში „კვირის პალიტრასთან" საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე მყოფმა ბ-ნმა გიორგი გაჩეჩილაძემ. მან საქართველოში ერგნეთის მხრიდან კონტრაბანდის შემოსვლის საკმაოდ ორიგინალური სქემა დაგვიხატა. საქონლის დიდი ნაწილის შემოტანა (ძირითადად ბენზინი, დიზელის საწვავი, თხევადი გაზი, სიგარეტი, ხორბალი, საკვები პროდუქტები და ა.შ.) ცხინვალის მხრიდან, როკის გვირაბით ხდება. საინტერესოა, ვის უფრო აძლევს ხელს ამ გზით შემოტანილი პროდუქტის დაბეგვრის ამჟამინდელი სქემა. რუსეთის მხარე ამ პროდუქციას ბეგრავს, როგორც ექსპორტს. ამ სქემის შემდეგი მონაწილე, ოსეთის მხარე, ტვირთს აფორმებს როგორც ტრანზიტს საქართველოში და თავის ბიუჯეტში შეაქვს შესაბამისი გადასახადები. სქემის ბოლო მონაწილეა საქართველო. აღნიშნული პროდუქცია მისთვის მთლიანად კონტრაბანდაა, ვინაიდან ვერ ან არ ხერხდება მისი დაბეგვრა. ამრიგად, საქართველოს საბაჟოს კონტროლირებად ტერიტორიამდე ლეგალურად მოძრავი ტვირთი ჩვენთან შემოსვლისას უკვე არალეგალური ხდება. სწორედ ამ „კანონიერ-უკანონო" ტვირთბრუნვის გამო მიენიჭა ერგნეთის ბაზრობას „ოფ-შორის" (დაუბეგრავი ზონის) არაოფიციალური სტატუსი.

დღევანდელი გაანგარიშებით, ერგნეთის ბაზრობა მნიშვნელოვნად აზარალებს ქვეყნის ბიუჯეტს. გარდა იმისა, რომ იქ მბრუნავი საქონელი მთლიანად კონტრაბანდაა, საზღვარგარეთიდან იაფი საქონლის შემოდინებით ყოველგვარი სტიმული ეკარგება საქართველოში წარმოების დაწყებას, რაც, თავის მხრივ, სამუშაო ადგილების შექმნასთან არის დაკავშირებული. სწორედ ამის შედეგია ის, რომ ქვეყნის მთავარ ექსპორტს დღეს შავი და ფერადი ლითონების ჯართი წარმოადგენს და გაცილებით ნაკლებია იმპორტზე, რომელიც თითქმის ყველა დასახელების პროდუქციას შეიცავს. ისეთი დაბეგვრის სისტემა, როგორიც საქართველოშია, კარგია სტაბილური სახელმწიფოსთვის, სადაც აწყობილია მექანიზმი და ქვეყანას უფრო მეტი შემოსავალი აქვს, ვიდრე ხარჯავს. ჩვენთან ყველაფერი თავიდან არის დასაწყები წარმოებისთვის შეღავათიანი პირობების არარსებობის გამო, დაბეგვრის არსებული სისტემა საქართველოს ძირითადად მომხმარებელ რეგიონად გადააქცევს. ამგვარივე მდგომარეობაა სხვა სფეროებშიც; ამის დასტური გახლავთ შემდეგი ფაქტი: გასულ კვირას ლაგოდეხის რაიონში გაიფიცა ადგილობრივი მოსახლეობა, რადგან აზერბაიჯანიდან საბაჟოს გვერდის ავლით შემოსული კონტრაბანდული სოფლის მეურნეობის პროდუქცია აუფასურებს ლაგოდეხში, ტრადიციულად მაღალმოსავლიან მიწებზე ბოსტნეულის მოყვანას. ანუ აქაც სახეზეა საქართველოში თუნდაც რაიმეს წარმოების შევიწროების ტენდენცია.



— „მუკუზანიც" უყვარს, ქართული სიმღერაც და მისი შემქმნელიც — ქართულ კანონმდებლობას რაც შეეხება...

საბაჟოებიდან შემოსული კონტრაბანდული საქონლის გამო საქართველოს ეკონომიკა სულს ლაფავს. ჩვენს სინამდვილესა და მასშტაბებში მარტო კონტრაბანდისტების პაროლად აღარ აღიქმება კინოფილმ „ბრილიანტის ხელიდან" წამოსული ცნობილი ფრაზა — „Черт побери!", მართლაც ეშმაკს წაუღია ასეთი ეკონომიკა.

საქართველოში აშშ-ის სავაჭრო პალატის გენერალური დირექტორი ემი დენმანი უკვე 4,5 წელია, ჩვენთან იმყოფება. მან შეისწავლა ქართული ენა. ძალიან უყვარს ქართული ღვინო „მუკუზანი", რომელსაც, სხვათა შორის, ხშირად მიირთმევს თბილისში, რესტორან „კონტრაბანდისტში" (არ გაგიკვირდეთ, ასეთი სახელწოდების რესტორანი მართლაც არსებობს თბილისში და მას Smuggler ჰქვია, რაც ქართულად „კონტრაბანდისტს" ნიშნავს), ყველაზე უფრო მას დიდი კულტურის მქონე და უნიკალური ქართული სიმღერების შემქმნელი ხალხი მოსწონს, რომელსაც ახლა ძალიან უჭირს...

*ზაზა გრიგალაშვილი*

## ყოფნა-არყოფნა...

ბრიტანეთის ეკონომისტებმა გამოიანგარიშეს, თუ რა მოგებას ნახავს ქვეყნის ბიუჯეტი პროსტიტუციის ლეგალიზაციით.

ლონდონელმა სპეციალისტებმა მეძავი კლიენტებისთვის სპეციალური ინტერნეტ-საიტი შექმნეს და საჭირო ინფორმაციაც მიიღეს სექსბიზნესის პროფესიონალთა მომსახურების სიხშირესა და საშუალო ფასების თაობაზე.

აღმოჩნდა, რომ ბრიტანეთში ეკონომიკის ამ სფეროში წლიური ბრუნვა დაახლოებით 1 მლრდ 400 მლნ დოლარი გახლავთ. ასე რომ, გადაუხდელი გადასახადი წელიწადში 500 მლნ დოლარს შეადგენს. ამასთანავე, სპეციალისტებმა აღმოაჩინეს, რომ ეკონომიკური წარმატების პიკს საშუალო მეძავი 19,5 წლის ასაკში აღწევს; შემდეგ კი მისი შემოსავალი თანდათან კლებულობს.

ამ მონაცემების გამოქვეყნების შემდეგ უძველესი პროფესიის ლეგალიზების მომხრეები კანონმდებლებზე ზემოქმედების ძლიერ არგუმენტს მოიპოვებენ. გასულ წელს მსგავსმა არგუმენტებმა აიძულა კანონმდებლები, დაეშვათ პორნოგრაფიული ვიდეოკასეტების გაყიდვა, რამაც მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო ეკონომიკის ამ სექტორში. ქალაქის მერის თანაშემწემ განაცხადა, რომ ლონდონის საზოგადოებრივი ადგილები ისევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს მეძავებისთვის, როგორც ქუჩის მუსიკოსებისა და მათხოვრებისთვის. „ყოველივე ეს ჩვენი ცხოვრების ნაწილია და საზოგადოებრივი ადგილები სწორედ ამ საზოგადოებრივი აქტივობისთვისაა შექმნილი", — თქვა მან.

*კომერსანტი №65*

## „კვირის პალიტრის" რედაქციას

**თუ ხელი მიგიწვდებათ, იქნებ გვითხრათ, როგორია მინიმალური პენსიები სხვა ქვეყნებში?**

*რ. ჯულაყიძე, თბილისი*

### სად ცხოვრობს ყველაზე მდიდარი პენსიონერი

(ყოველთვიური პენსია დოლარით)

| | | | |
|---|---|---|---|
| დანია | — 883 | ჩეხეთი | — 200 |
| იაპონია | — 883 | თურქეთი | — 150 |
| შვედეთი | — 800 | რუსეთი | — 21 |
| ისრაელი | — 800 | უკრაინა | — 15,5 |
| აშშ | — 667 | სომხეთი | — 15 |
| საფრანგეთი | — 667 | საქართველო | — 6 |
| ინგლისი | — 633 | | |

## ელექტრონული კომერციის ფლაგმანი

პომპეზური შენობის სადარბაზო, სადაც AMASON.COM-ის შტაბბინაა მოთავსებული, რამდენიმე ხანია, დაკეტილია. სიეტლის მიწისძვრას უკვალოდ არ ჩაუვლია. შენობა თითქმის ავარიულია, მაგრამ AMAZON.COM-ისთვის უფრო საშიშია NASDAQ-ის ბირჟაზე მომხდარი მიწისძვრა, რის გამოც, მსოფლიოში აღიარებული ელექტრონული ვაჭრობის აქციების ფასი საშინლად დაეცა.

AMAZON.COM-ის აქციების დაცემა არა მარტო აქციონერებისა და თანამშრომლების ინტერესებს შეეხო, არამედ სერიოზული გავლენა მოახდინა უზარმაზარ ინვესტიციებზე, რომლებიც AMAZON.COM-მა შეიტანა ონლაინის სხვა კომპანიებში.

ზოგიერთმა აქციონერმა უკვე უჩივლა AMAZON.COM-ს. კომპანიამ დაითხოვა 1300 თანამშრომელი. კომპანიის საქმეები აშკარად უკან მიდის, მაგრამ მისი ჯიუტი თავკაცი ბეზოსი იხტიბარს არ იტეხს — ჩემი ბიზნესი დასახული გეგმის მიხედვით ვითარდებაო.

*იტოგი №14*

## კითხვა-პასუხი

**— 2000 წლის 28 თებერვალს გარდამეცვალა დედა. სოფლის გამგებელმა გამიუქმა კომლი, სადაც დედაჩემი მარტო იყო ჩაწერილი და უარს მეუბნება ამ კომლში ჩემი მეუღლის ჩაწერაზე. აქვს თუ არა გაუქმების უფლება და რამდენად სამართლიანია ჩემ მიმართ გამგებლის პროტესტი.**

*ზ. შუბითიძე*

— მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, კომლი შეიძლება გაუქმდეს მისი ბოლო წევრის გარდაცვალებისას. თუ კომლის წევრად დედათქვენის გარდა არავინ იყო ფიქსირებული, მაშინ მისი, როგორც კომლის ერთადერთი წევრის გარდაცვალება იძლევა კომლის გაუქმების საფუძველს. უკანონოა ერთ-ერთი მეუღლის ჩაწერაზე უარის თქმა თუ მეორე ჩაწერილია კომლში.

**— ეკუთვნის თუ არა გაყიდვის შემთხვევაში ქმარშვილიან ქალს დედმამისეული ოჯახიდან წილი, როცა ოჯახში ცხოვრობს უმცროსი ძმა. მშობლები ცოცხალი აღარ არიან და სახლი ისევ მათ სახელზეა.**

*გიორგი გურგენაძე*

— სამოქალაქო კოდექსის 1452 მუხლის თანახმად, ეს საკითხი გაირკვევა კანონისა და ანდერძის თანახმად. საერთოდ კი, ქალბატონს ეკუთვნის სავალდებულო სამემკვიდრეო წილი.

**— გარდამეცვალა მამა. კომლში არ ვეწერეთ შვილები. მემკვიდრეობის აღდგენაზე უარს მეუბნებიან, მთხოვენ ძმის თანხმობას, რომელიც მუშაობდა დაღესტანში, გამოიცვალა მისამართი და მისი ადგილსამყოფელი დღეისთვის უცნობია. აქვთ თუ არა უფლება გააუქმონ კომლი?**

*ჯ. კაპანაძე*

— დღეისათვის არსებული კანონების თანახმად, თუ კომლის მეპატრონეს გააჩნია მემკვიდრე, კომლის გაუქმება დაუშვებელია. ექვსი თვის გასვლის შემდეგ, თქვენი ძმა შეიძლება გამოცხადდეს უგზო-უკვლოდ დაკარგულად და სოფლის გამგებელმა უნდა გააფორმოს კომლი მემკვიდრის სახელზე.

**— კოოპერატიულ ბინას სჭირდება თუ არა პრივატიზება და გაყიდვის შემთხვევაში რა თანხა არის გადასახდელი.**

*მყიდველი*

— კოოპერატიულ ბინას სჭირდება პრივატიზება ნოტარიული გაფორმებით. საჭიროა პრივატიზაციის აუცილებელი სახელმწიფო გადასახადის გადახდა. ასევე ბინაში ჩაწერილი ყველა სრულწლოვანი ოჯახის წევრის თანხმობა.

*იურიდიული ფირმა „იმედი-M"-ის დირექტორი მედეა დემეტრაშვილი*

**— ვარ 78 წლის მარტოხელა პენსიონერი. მაქვს 0,5ჰა მიწის ნაკვეთი. მეკუთვნის თუ არა მიწის გადასახადი?**

*მ. ძიძიგური*

— თუ თქვენ არ ხართ ომის ინვალიდი ან მათთან გათანაბრებული პირი, ან თქვენ არ ცხოვრობთ ქურთის და ერედვის თემში (სამაჩაბლო), თქვენ გეკუთვნით გადასახადის გადახდა.

*მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიწის რეფორმისა და საადგილმამულო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი ანზორ მესხიშვილი*

**— გარდამეცვალა მეუღლე. დამრჩა ქალ-ვაჟი. გოგო გათხოვილია გორის რაიონშივე და ჰყავს ცერებრალური დამბლით დაავადებული 4 წლის შვილი. პირადად მე ვარ II ჯგუფის ინვალიდი პენსიონერი. ჩემი ვაჟიშვილი საქორწინოა. ეკუთვნის თუ არა მას სამხედრო გაწვევა.**

— რადგან თქვენ II ჯგუფის ინვალიდი ბრძანდებით, ხოლო თქვენი ქალიშვილი გათხოვილია და ჰყავს ცალკე ოჯახი, თქვენი ვაჟიშვილი არ ექვემდებარება სამხედრო გაწვევას.

*ისან-სამგორის რაიონის სამხედრო კომისარიატი*

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 28 აპრილიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | | |
|---|---|---|
| აშშ დოლარი | | 2,0600 |
| გერმანული მარკა | | 0,9526 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | | 2,9695 |
| ევრო | | 1,8631 |
| რუსული რუბლი | | 0,0713 |
| თურქული ლირა | (10.000) | 0,0170 |

შპს „გეოკორი"

აწარმოებს
ბურღვით
სამუშაოებს
სასმელი და
ტექნიკური წყლის
მისაღებად
მის: აკურის ქ. №8
(სპორტის სასახლის უკან),
ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

ბეჭდები, შტამპები, ლუქი.
პლომბირატორი.
ფლექსოგრაფიული
ფორმა.
სავიზიტო ბარათები.
ბლანკები, მოსაწვევი.
მწებავი ეტიკეტი.
აპლიკაცია.
გამსახურდიას 17 (შესასვლელი საბურთალოს ქუჩიდან)
☎ 23 26 25; 38 34 17;
(99) 50 20 31; (99) 50 27 26

მიღებულია მაღალი ხარისხის
ბელგიური წარმოების
ყველანაირი ავეჯი

მის: ავეჯის სახლი
მარშალ გელოვანის 36
☎ 52-33-54

# ჯარა-ექიმის რჩევები

**მეტეორიზმს (გაზების დაგროვება) შველის:** ა) 3-4 გ დაქუცმაცებულ პიტნის ფესვებს დაასხით 250 გ მდუღარე წყალი და აადუღეთ. გააჩერეთ 1 საათი. გაწურეთ და მიიღეთ თბილად დღეში 3-4 ჭიქა ჭამამდე, 30 წუთით ადრე;

ბ) 20 გ დაფქვილ ოხრახუშის თესლს დაასხით 1 ჩ/ჭ გაცივებული ანადუღარი წყალი, გააჩერეთ წყლის ორთქლზე 30 წუთი. გააცივეთ და გაწურეთ მარლაში. მიიღეთ 1 ს/კ ნაყენი 5-ჯერ დღეში.

გ) 1/2 ჩ/კ დაფქულ ოხრახუშის თესლს დაასხით 2 ჩ/ჭ ანადუღარი და გაცივებული წყალი, გააჩერეთ 8 საათი. ნაყენი მიიღეთ მთელი დღის განმავლობაში. მკურნალობის კურსია 1-3 კვირა. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გაიმეოროთ 1 კვირის შემდეგ.

**ანგინას შველის:** 6-8 გ ტუხტის დაქუცმაცებულ ფესვებს დაასხით 1 ჩ/ჭ ცივი წყალი, გააჩერეთ 1 საათი. გაწურეთ და დაუმატეთ შაქარი ან თაფლი გემოვნებით და მიიღეთ 20-20გ ან გამოივლეთ ყელში 3-ჯერ დღეში.

**ართრიტის** დროს დაგეხმარებათ არყის, ბერგამოტის, ლავანდის, როზმარინის, მაიორანის, იმბირისა და ილის ზეთები. ერთ-ერთი ამ ზეთთაგანი ჩააწვეთეთ თბილ აბაზანაში და შეურიეთ დასაზელ საცხებს.

შინაგანი მიღებისათვის სჯობს რეპანის ზეთის 2-3 წვეთიც დაუმატოთ თაფლს და მიიღოთ 3-ჯერ დღეში. გახსოვდეთ, რომ ყოველდღე უნდა იკვებოთ კალციუმით (რძე, მწვანე ბოსტნეული) და ვიტამინებით მდიდარი (ღვიძლი, პური, ცხიმოვანი თევზი, კვერცხი) პროდუქტებით.

**შარდმდენი საშუალებები:** 1. შეურიეთ ერთმანეთს 10გ კრაზანა და 15გ ნეგო. 2ს/კ ნარევს დაასხით 1 ლ ცივი წყალი და გააჩერეთ 12 საათი. შემდეგ 5 წუთი ადუღეთ და გაწურეთ. მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ 4-ჯერ დღეში, ჭამიდან 1 სთ-ის შემდეგ.

2. შეურიეთ ერთმანეთს 10-10 გ წყლის სამყურას, პიტნისა და აბზინდას ფოთლები. 2 ს/კ ნარევს დაასხით მდუღარე წყალი, გააჩერეთ 30 წუთი მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში. შემდეგ გაწურეთ და მიიღეთ 3 ს/კ ჭამამდე, ნახევარი საათით ადრე.

3. შეურიეთ ერთმანეთს 30-30 გ კონახურის, ვარდკაჭაჭასა და ბაბუაწვერას ფესვები, 15 გ ხეჭრელის ქერქი. 1 ს/კ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ ცივი წყალი. აადუღეთ 30 წუთი. გააცივეთ და გაწურეთ. მიიღეთ 1 ჩ/ჭ ღამით.

**ამოსახველებელი საშუალებები:** 1. შეურიეთ ერთმანეთს 15-15 გ ძიძოს ყვავილი, მრავალძარღვა, ძირტკბილასა და ტუხტის ფესვები, 10-10 გ ბეგქონდარა, პიტნა და დიდი კამის თესლი, 20 გ ვირისტერფა. 2 ს/კ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ ქაფქაფა მდუღარე წყალი და გააჩერეთ 15 წუთი წყლის ორთქლზე. გააცივეთ. 45 წუთის შემდეგ გაწურეთ და მიიღეთ ნაყენი თბილად 1/4 — 1/3 ჩ/ჭ რამდენჯერმე დღეში.

2. 1 ჩ/კ დაქუცმაცებულ უსუპს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 2 საათი და გაწურეთ. მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ ნაყენი 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 20 წუთით ადრე.

2. 2 ს/კ ჟოლოს ფოთოლს დაასხით 2 ჩ/ჭ ქაფქაფა მდუღარე წყალი და ადუღეთ კიდევ 10 წუთი. გაწურეთ და მიიღეთ ცხელივე.

**ჰიპერტონიას შველის:** შეურიეთ ერთმანეთს 25 გ მაყვლის ფოთოლი, 20 გ ტყის ჩიტისკვალა, 15 გ თეთრი ფითრი, 20 გ შავბალახა და 15 გ ბერულა. 1 ს/კ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ ქაფქაფა მდუღარე წყალი, გააჩერეთ 1 საათი, გაწურეთ და მიიღეთ 3-4 ჭიქა, როგორც ჩაი.

**ხელებზე ლაქების მოსაცილებლად და ფრჩხილების გასამაგრებლად** კვირის განმავლობაში წაისვით ხელებსა და ფრჩხილებზე ლიმონის წვენი. ასევე კარგია მჟავე რძე.

**როგორ მოვუაროთ დახეთქილ ქუსლებს:** თუ ფეხის ქუსლები გაგიუხეშდათ, გაიკეთეთ კვირაში არანაკლებ 2-ჯერ წყლის აბაზანები საჭმელი სოდითა და ნიშადურის სპირტით. გაუხეშებული ადგილი შეიძლება დაარბილოთ სალიცილის საცხით.

თუ კანი მაინც გასკდა და ჭრილობა გაჩნდა, 3-4 კვირის მანძილზე გაიკეთეთ თბილი აბაზანები (1ლ წყალში გახსენით 1 ჩ/კ სოდა), შემდეგ კი გადაივლეთ ღია ფერის მანგანუმის ხსნარი და დამსკდარ კანზე 2-3 საათით დაიფინეთ სინტომიცინის ემულსიის საფენები.

# ძირს დაღლილობა!



საიდან ჩნდება გაზაფხულის დაღლილობა?

ამის მიზეზია მივიწყებული შვებულება, ამინდის ცვალებადობა, მზის უკმარისობა, ავიტამინოზი და კიდევ ზაფხულის დროზე გადასვლა, როცა ორგანიზმი ორი კვირის მანძილზე ვერ იგებს, რატომ მოექცნენ ასე. შედეგად, სამსახურიდან შინ დაბრუნებული ხვდები, რომ არაქათი არ გაქვს და უმწეობით კიდევ უფრო იღლები და ღიზიანდები. ყველაფერმა ამან შეიძლება სტრესიც კი გამოიწვიოს. მაგრამ არ უნდა შეშინდეთ და ნურც ექიმთან გაიქცევით. გთავაზობთ რამდენიმე მარტივ საშუალებას დაღლილობასთან საბრძოლველად:

გაიხადეთ სამუშაო ტანსაცმელი, რომ განთავისუფლდეთ მთელი დღის პრობლემებისაგან. ნავახშმევს მოიცილეთ მაკიაჟი და წაისვით მკვებავი კრემი. მანამ სამზარეულოს დალაგებას შეუდგებით, 15 წუთი ან ნახევარი საათი ჩაჯექით სავარძელში, თავი საზურგეს მიაყრდენით, სხეული და კიდურები მოადუნეთ. თვალები დახუჭეთ და არაფერზე იფიქროთ — გაეთიშეთ რეალობას. კარგია თუ 15 წუთით ჩათვლემთ. თუ ოთხფეხა მეგობარი გყავთ, კალთაში ჩაისვით და ბეწვზე მოეფერეთ — განუმეორებელი საშუალებაა ნორმალური წნევის აღსადგენად და დაძაბულობის მოსახსნელად. როდესაც დრო გაივლის და სავარძლიდან ადგომა მოგინდებათ, უეცრად არ წამოხტეთ, ჯერ გასწორდით და რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქეთ.

თუ გონებრივად გადაიღალეთ, ორი კვირის მანძილზე ვახშმობისას მიირთვით 1-2 კბილი ახალი ნიორი თუ გადაღლის შედეგად თავი აგტკივდათ, მიირთვით რამე მარილიანი. მაგალითად: ქაშაყის ერთი ნაჭერი — სისხლის მიმოქცევას უწყობს ხელს. მინის თხილი, ნუში, თევზი, კვერცხის გული, რძე შესანიშნავია მათთვის, ვინც დიდ გონებრივ ენერგიას ხარჯავს.

შესანიშნავი საშუალებაა დაღლილობის მოსახსნელად: 1-2 ჩ/კ ჩაი ჩაყარეთ თერმოსში და დაასხით 0,5 ლიტრი ახალადუღებული რძე. დატოვეთ მთელი ღამით. მიიღეთ 0,5 ჭიქა 2-ჯერ დღეში ერთი თვის მანძილზე.

საღამოს, ძილის წინ აუცილებელია ფეხის ცხელი აბაზანა — 40-42 გრადუსიანი. გაზაფხულზე, დილით, გაღვიძებისთანავე ბევრს უკვე დაღლის შეგრძნება აქვს. სამსახურში წასვლამდე მიიღეთ ცივი შხაპი ან სხეული დაიზილეთ ცივ წყალში დასველებული პირსახოცით. არც პოლივიტამინები დაივიწყოთ. ნუ მიეძალებით მაგარ ყავას და ჩაის. და გახსოვდეთ, დაღლილობას პირველ რიგში შესანიშნავად ებრძვის ღრმა და ნორმალური ძილი.

*ტვ პარკი №15*

# თუიმე სინდისის ავადმყოფობაც არსებობს!

„ორი რამ აღელვებს სულს ძლიერად: ვარსკვლავებიანი ცა ჩვენს ზემოთ და ზნეობრივი კანონი ჩვენს შიგნით!"

კანტის ეს პოეტური ნათქვამი ბევრს თუ არ აღელვებს, მცირე ხნით მაინც დააფიქრებს ზნეობაზე!



ცინიკოსებს დაუჯერიათ, ადამიანი ცხოველური ყოფისთვის არის განწირული. საკმარისია მოაკლდეს საკვები და სხვა ფიზიოლოგიური ინსტინქტების დაკმაყოფილების შესაძლებლობა, რომ ადამიანურ სახეს კარგავს და პირუტყვს ემსგავსებაო. მართალია! და რაც მთავარია, ცინიკოსთა მტკიცების გაბათილებაა ძნელი, მით უფრო დღეს, როცა ყოველ ნაბიჯზე სიმდაბლესა და უსინდისობას ვხვდებით!

ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ სულში არსებობს რაღაც საოცარი მექანიზმი, რომელსაც სინდისი ეწოდება. იგი ადამიანის ფსიქიკის ერთ-ერთი მთავარი გამოცანაა. სინდისი ბიოლოგიური წინაპირობებისა და სოციალური ზემოქმედების შედეგად ყალიბდება. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება აღზრდას, რწმენას, ადამიანში ზნეობრივი ცნებების განვითარებას. სინდისის კატეგორიათა უმრავლესობა მემკვიდრეობითობის აპარატშია დაპროგრამებული. მრავალსაუკუნოვანი ევოლუციის პროცესში კაცობრიობა ქვეცნობიერად თითქოს მიხვდა, რომ უფრო ხელსაყრელია ჰქონდეს სინდისი, ვიდრე არ ჰქონდეს... ყველა ადამიანმა შეუმცდარად იცის, ვის აქვს იგი და ვის — არა! ადამიანმა კიდევაც რომ მოინდომოს სინდისის ჩაკვლა ან უარყოფა, იგი მაინც ყოველთვის შეახსენებს თავს!

მკითხველთა დიდი ნაწილი შეიძლება არ დაეთანხმოს ზემოთ ნათქვამს და სხვადასხვა მაგალითის მოშველიებით საპირისპირო მტკიცებასაც შეეცადოს, მაგრამ მხოლოდ ერთს მოვახსენებ მათ, სინდისი რომ არ არსებობდეს, არ იარსებებდა სინდისის ავადმყოფობაც!

დიახ, ბევრმა შეიძლება არ იცოდეს, რომ არსებობს სინდისის ავადმყოფობა, ადამიანთა ფსიქიკური დეპრესიის საკმაოდ რთული ფორმა. ზოგჯერ მრავალი წლის მანძილზე, ადამიანს ქენჯნის სინდისი, ვერ მოუსვენია, ზნეობრივი კონფლიქტების გამო ბევრი ლოთობს და მერე თავსაც იკლავს. მიზეზი კი ხშირად სწორედ სინდისის ავადმყოფობაა! ბევრმა შეიძლება არც ის იცოდეს, რომ ამ სენმა იმსხვერპლა კლოდ იზერლი — ადამიანი, რომელმაც ჰიროსიმაში ატომური ბომბი ჩამოაგდო. ეს ამბავი, გარკვეული აზრით, ქრესტომათიულია. დანაშაულის ჩადენის შემდეგ იზერლი მალე მძიმედ დაავადდა. ამაზრზენი საქციელის გამო სასჯელს ეძებდა, შეგნებულად არღვევდა კანონს, რომ ყურადღება მიექციათ. აშშ-ის საუკეთესო ფსიქიატრიული საავადმყოფოები მოიარა, მაგრამ ვერაფერი უშველეს.

ასე იქცა იგი დედამიწის ავადმყოფ სინდისად. სასჯელს მოითხოვდა ტრაგედიისათვის, რომელშიც ბრალი მიუძღოდა. ჰიროსიმისა და ნაგასაკის ტრაგედიაზე მარტო იაპონიაში 1971 წლისათვის 235 დასახელების წიგნი გამოიცა. ცნობილმა მწერალმა ოტა უკომ, ერთ-ერთმა პირველმა აღწერა ჰიროსიმის დაბომბვის დროს 62 ათასი დაღუპულისა და განსაკუთრებით ცოცხლად გადარჩენილთა მძიმე ხვედრი, თვითონ მწერალმა აფეთქების ყველა საშინელება განიცადა და ერთთავად სიკვდილის მოლოდინში იყო. 1948 წელს გამოქვეყნებულ რომანში, „გვამების ქალაქი", ძირითადად, დაღუპულებზე მოგვითხრობს, ხოლო მეორე, „ადამიანთა ნაფლეთები", დაწვრილებითაა აღწერილი გადარჩენილთა, ე.წ. ჰიბაკუსების განცდები. საეჭვოა, ისინი დაღუპულებზე ბედნიერნი იყვნენ. ხალხში თავი იჩინა თვითბრალდების იდეამ: ბევრი ადამიანი თავს დამნაშავედ გრძნობდა იმის გამო, რომ გადარჩა.

ეს ფსიქიკური მომენტები შესანიშნავად არის აღწერილი იელის უნივერსიტეტის 39 წლის პროფესორის რობერტ ჯეი ლიფტონის მონოგრაფიაში. იგი გაოცებული აღნიშნავს, რომ შესწავლილთა და გამოკვლეულთა 70%-ში გადარჩენის ფაქტი გაიგივებული იყო თვითბრალდებასთან, 30% კი — თვეობით მკურნალობდა ფსიქიატრიულ კლინიკებში. ყოველ მათგანს დამნაშავედ მიაჩნდა თავი და უზომოდ იტანჯებოდა იმის გამო, რომ სწორედ თვითონ გადარჩა და სხვა კი მოკვდა.

ცნობილია, რომ ყველა ფსიქოთერაპევტს ჰყავს ისეთი პაციენტები, რომლებიც უღირსი საქციელის გამო იტანჯებიან. ხალხის დასანახად გმირებივით იქცევიან, ექიმის კაბინეტში კი ყველაზე უბედური არსებები არიან.

კოცებუს (აშშ) ციხეში ყველა პატიმარს პირადი ფსიქოთერაპევტი ჰყავს. ზოგადი ჯანმრთელობის გარდა განსაკუთრებით კონტროლდება დასჯილთა ფსიქიკური მდგომარეობაც. ყოველი წლის დასასრულს ხდება დაკვირვებათა შეჯამება-ანალიზი და სტატისტიკური დამუშავება. 1988 წელს აღნიშნულ ციხეში 41-მა პატიმარმა მოიკლა თავი. მათი პირადი ფსიქოთერაპევტების დასკვნით, 84%-ის სიკვდილის მიზეზი სინდისის ავადმყოფობაა.

ექიმის პროფესია ადამიანის ჭეშმარიტი სახის დანახვის შესაძლებლობას იძლევა. ეს სამედიცინო მოღვაწეობის ერთ-ერთი უსიამოვნო მხარეა. მაგრამ რაოდენ სასიხარულოა, რომ ექიმი — თუმცა ავადმყოფური ფორმით — ხედავს ადამიანში მაღალ მოწოდებას და ამ მოწოდების უარყოფით გამოწვეულ სასჯელსაც.

ამ მაღალი მოწოდებით გამოირჩევიან ჩინელებიც. თურმე, ქალაქ ჩენდუში, ცენტრალურ მოედანზე დამონტაჟებულია საგანგებო ყუთი, რომლითაც მოსახლეობის სულიერი მდგომარეობის შეფასება-შესწავლა ხდება. მერიის მტკიცებით, ამ ყუთის მონაცემთა დამუშავება სოციოლოგებისთვისაც მეტად მნიშვნელოვანია და ნათელს ჰფენს არა მხოლოდ ფსიქიკურ და ზნეობრივ, არამედ ბევრ სოციალურ-ყოფით პრობლემას. საქმე ის არის, რომ თითოეული მოქალაქე უფლებამოსილია წელიწადში ორჯერ ყუთში ჩაუშვას ბარათი, რომელშიც აღნიშნულია, რა აწუხებს მას, წლის განმავლობაში ჩადენილი საქციელი თუ რომელი ნაბიჯი ტანჯავს მის სულს ყველაზე მეტად, რას ნანობს და რის გამო განიცდის სინდისის ქენჯნას. ეს ერთგვარად, ჩვენში ახლა უკვე ფართოდ გავრცელებული „აღსარების" ანალოგიურია. იქნებ მოძღვართა ერთგულება და ნდობა არ არის საკმარისი და ჩვენც დაგვედგა მსგავსი ყუთი თავისუფლების მოედანზე, ან იქნებ აჯობებდა პარლამენტის შენობის წინ?!

სამწუხაროდ, ფსიქიატრიულ კლინიკაში როდი ხვდება ყველა, ვისაც ბოროტება ჩაუდენია, და რაც მთავარია, ყველა დამნაშავეს როდი ტანჯავს სინდისი. ზოგ ადამიანს სულაც არ აღარდებს ჩადენილი „ცოდვანი", ვერ უძლებენ მხოლოდ ისინი, ვისაც მცირეოდენი სინდისი მაინც გააჩნია და მხოლოდ გარემოებამ აიძულა, უზნეო საქციელი ჩაედინა. ცხადია, ვისაც სინდისი არა აქვს, არც უსინდისობით გამოწვეული დაავადება შეეყრება. ერთი კი ნათელია, რომ ჩვენს თანამედროვე ყოფას აუცილებლად სჭირდება დღეისათვის ყველაზე დეფიციტური რამ — ს ი ნ დ ი ს ი!

*თინათინ გოგსაძე*

# სახის ნიღბები



## ნორმალური კანისათვის

კარგად ათქვეფილ 1კვერცხის გულს დაუმატეთ 1ჩ/კ ხილის ან ბოსტნეულის წვენი, 1ჩ/კ მცენარეული ზეთი და 1 ჩ/კ არაჟანი. კარგად შეურიეთ ერთმანეთს, სისქისთვის დაუმატეთ ქერის ფქვილი ან შავი პური. ნიღაბი სახეზე გაიჩერეთ 15-20 წუთი და ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

## ცხიმიანი კანისათვის

შეურიეთ ერთმანეთს შვრიის ქატო, მაწონი და არაჟანი ისეთი რაოდენობით, რომ სქელი ფაფა მიიღოთ. ნიღაბი გაიჩერეთ სახეზე 15-20 წუთი და ჩამოიბანეთ ჯერ თბილი წყლით, შემდეგ სახეზე შეისხით ცივი წყალი.

თუ კანი ძალიან ცხიმიანი გაქვთ: 2 ს/კ შვრიის ქატოს შეურიეთ 1 ჩ/კ საჭმელი სოდა და ცოტა წყალი. სასურველი შედეგის მისაღებად, საჭიროა ნიღაბი გაიკეთოთ თავდაპირველად დღეგამოშვებით, შემდეგ კი კვირაში 1-2 ჯერ.

**ეს ნიღბები სასარგებლოა არა მარტო სახის კანისთვის, არამედ ხელებისთვისაც:**

1. შეურიეთ ერთმანეთს 2 ს/კ ხაჭო, ერთი კვერცხის ცილა და 5 წვეთი ზეითუნის ზეთი. ნიღაბი წაისვით ხელებზე, ჩაიცვით ბამბის ქსოვილის ხელთათმანები და მთელი ღამე დაიტოვეთ.

2. შეურიეთ ერთმანეთს 1/4 ჩ/ჭ ღვინის ძმარი, ორი ლიმონის წვენი, 1 ს/კ არაყი, 3 ს/კ წყალბადის ზეჟანგი და 1 ს/კ გლიცერინი. ამ ნარევით გაიწმინდეთ ხელები 3-4-ჯერ დღეში.

3. სახის კანი გლუვი და ხავერდოვანი რომ გაგიხდეთ, სახეზე წაისვით 2 ს/კ არაჟანისა და 2 ს/კ მაიონეზის ნარევი და გაიჩერეთ 15 წუთი, შემდეგ ჩამოიბანეთ.

*ლიზა №14*





„ჰერბალ ვი" — „ვიაგრის" მცენარეული ალტერნატივა

სექსუალური აქტივობის გაუმჯობესების 100%-ით უსაფრთხო, მაღალეფექტური მცენარეული საშუალება

**HERBAL V Y — მამაკაცებისათვის.** — აბსოლუტურად უსაფრთხო მათთვისაც კი, ვინც დაავადებულია მაღალი წნევით, გულის ან სხვა დაავადებით; — აუმჯობესებს ლიბიდოს, ასტიმულირებს ნევრო-სექსუალურ ფუნქციას, როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ ასპექტში; — წარმატებით ხსნის სექსუალური დარღვევებით გამოწვეულ ტკივილებს წელისა და მუცლის არეში, მატებს ენერგიას და სიცოცხლის ხალისს; — რთული, ორგანული მიზეზებით განვითარებული იმპოტენციის დროს, აუცილებელი სერიოზული მედიკამენტოზური სამკურნალო კურსის განსაზღვრულ ეტაპზე „ჰერბალ ვი" ქმნის შესანიშნავ ფონს და ახანგრძლივებს მათ ეფექტს; — „ჰერბალ ვი"-ს უკომპლექსოდ იყენებენ აბსოლუტურად ჯანმრთელი მამაკაცებიც, რომლებსაც ნერვული დაძაბულობისა და გადაღლილობის გამო დროდადრო დაქვეითებული აქვთ სექსუალური აქტიურობა, აგრეთვე სპორტსმენები, საუკეთესო შედეგების მისაღწევად!

**HERBAL VX — ქალებისათვის.** — სექსუალური პრობლემები მავნე ზემოქმედებას ახდენს როგორც მამაკაცის, ასევე ქალის მთელ ორგანიზმზეც და იწვევს ნევროზებს. რიგ სერიოზულ დაავადებებს. „ჰერბალ ვი"-ს ქალების ვარიანტი აძლიერებს სექსუალურ ლტოლვას, ააქტიურებს სასიცოცხლო ძალებს, ამცირებს წინამენსტრუალურ და პრეკლიმაქსურ დაძაბულობას და მატებს ენერგიას.

**HERBAL VY** და **HERBAL VX** — მამაკაცებისა და ქალებისათვის — „ვიაგრას" უაღრესად პოპულარული უსაფრთხო მცენარეული ალტერნატივა მსოფლიოს ელიტურ საზოგადოებაში! ინგლისურ-შვეიცარული კომპანია „სვისჰელსის" ნაწარმი.

აიღეთ ცხოვრებისგან საუკეთესო!

მოიკითხეთ სააფთიაქო ბაზებსა და აფთიაქებში.

„სვისჰელსის" ექსკლუზიური დისტრიბუტორი კომპანია „ფლორენი" ტ: 99-37-37

## ფუგა და სონატა გაგაჯანსაღებთ!

მშვიდი კლასიკური მუსიკა აძლიერებს ინტელექტუალური მოღვაწეობის უნარს, ააქტიურებს ორგანიზმის იმუნურ სისტემას, — ასეთი დასკვნა გააკეთა ახალ გამოკვლევათა საფუძველზე მეცნიერმა დონ ქემბელმა. იგი დაჟინებით გვირჩევს, ყოველდღიურად 15 წუთის განმავლობაში მოვუსმინოთ კლასიკურ მუსიკას, თუ სამსახურში ხშირად გვექნება სტრესული სიტუაციები. პირველ რიგში, ეს ეხება პოლიტიკოსებს, ბიზნესმენებს, იურისტებს, ქირურგებსა და ჟურნალისტებს. ფუგებისა და სონატების მოსმენით სისხლში მკვეთრად კლებულობს იმ ჰორმონების რაოდენობა, რომელიც ნერვული სისტემის გადაძაბვას მოწმობს. იმავდროულად, იზრდება ცილოვანი ბუნების მქონე განსაკუთრებული ნივთიერების ინტერლეიკინ-1-ის კონცენტრაცია, რაც ორგანიზმის იმუნური დაცვის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტია.

*იტოგი №14*

## ფორთოხალი – ნაბახუსევს



ხილის, ფრუქტოზიანი სასმელები ნაბახუსევს გამოგიყვანთ, — ამტკიცებენ ტოკიოს კვების ცენტრის სპეციალისტები. ფრუქტოზა ნივთიერებათა ცვლას აჩქარებს, რომელიც ნელდება მაშინ, როცა ორგანიზმი ზედმეტი ალკოჰოლის გადამუშავებას ცდილობს. შედეგად, ადამიანი სწრაფად მოვა გონზე გადამეტებული ალკოჰოლის მიღების შემდეგ. ნაბახუსევის „სამკურნალოდ" იაპონელები ძველთაგანვე იყენებდნენ ხურმასაც — მასში ალკოჰოლთან მებრძოლი ფრუქტოზა, ვიტამინები **A** და **C** კარგად ერწყმის ერთმანეთს. კარგია თუ ხურმას დავუმატებთ ნახევარ ლიმონს ან ფორთოხალს. აი, ასპირინის და სხვა ტკივილგამაყუჩებლების მიღება როცა ნასვამი ხართ, მიზანშეწონილი არ ყოფილა. თუმცა, ბევრს სჯერა, რომ ამით ნაბახუსევს აიცილებს თავიდან. ასეთი კოქტეილი საჭმლის მომნელებელ ორგანოებს გაგიღიზიანებთ და შესაძლოა, კუჭის დაავადების შემთხვევაში, სისხლდენაც გამოიწვიოს.

*ეხო პლანეტი №15*

## სასწაულმოქმედი არტიშოკი



ეს ბოსტნეული ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში იყო ცნობილი. მისი რბილობის 70%-ს წყალი შეადგენს, შეიცავს 4% ცილას და 14% ნახშირწყლებს, **C** და **B** ვიტამინებს, კაროტინს, რკინას, ფოსფორს, ფლავონოიდებს, ცენარინს, რომლებიც ამცირებენ ორგანიზმში ქოლესტერინს, ხელს უშლიან ათეროსკლეროზის განვითარებას, უნარჩუნებენ სისხლძარღვებს ელასტიკურობას, აუმჯობესებენ გულის მუშაობას (შარდმდენი თვისების გამო). არტიშოკი აძლიერებს ორგანიზმის იმუნურ სისტემას, რაც ხელს უშლის ალერგიის განვითარებას.

*ოქდოხნი №14*

## ვიტამინების თაიგული მთელი ოჯახისათვის

გაზაფხულისთვის დამახასიათებელ ავიტამინოზს, სტრესსა და მოთენთილობას რომ მოერიოთ, დიეტოლოგები გირჩევენ, მოამზადოთ ასეთი სახის სასწაულმოქმედი ნარევი: შეურიეთ ერთმანეთს კარგად დაქუცმაცებული (და არა ხორცსაკეპში გატარებული) 200-200 გრამი ჭერმის, შავი ქლიავისა და ლეღვის ჩირი, ქიშმიში და 25 გრამი კაკალი. უფროსებმა უნდა მიიღოთ 1 ს/კ ნარევი მოზარდებმა კი (3 წლის ზევით) 1 ჩ/კ დღეში. აუცილებლად უნდა დააყოლოთ მაწონი. ვიტამინების ეს ნატურალური თაიგული უნდა მიიღოთ ერთი თვის განმავლობაში.

ნარევი შეინახეთ მაცივარში.

*ლიზა №15*

ექიმი ჰომეოპათი
განგკურნავთ ნებისმიერი დაავადებისგან სწრაფად და იაფად, გარანტიით!
აკადემიის პოლიკლინიკა (სპორტის სასახლესთან) კაბ. №16. 10–15 სთ–მდე

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ენდოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან). 10-14 სთ.

მკურნალობა უახლესი აპარატურით
ალერგიის კომპიუტერული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, ჰიპერტონიის (წნევა), ნევროზის, ლოგონევროზის (ენაბლუობა) მკურნალობა უახლესი აპარატურით.
მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №1ტ, რეაბილიტაციის ცენტრი, მე-6 სართ. ბიორეზონანსული თერაპიის კაბინეტი.
ექიმი ზურაბ ხაჩიაშვილი
☎ 39-01-12 (სამს.) 10-15სთ. 39-58-77 (ბინა)

SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS - აბსოლუტური ანონიმურობა
ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!
ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.
1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის" პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.
ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლენკომბინატი"), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე



„კვირის პალიტრის" რედაქციას

*გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია სისხლის ჯგუფების თავისებურებებისა და მასთან დაკავშირებული დაავადებების შესახებ. რას წარმოადგენს რეზუს-ფაქტორი?*

*ნ. თავაძე*

## რა არის რეზუს ფაქტორი!

სისხლი ოდითგანვე მრავალი საიდუმლოს მატარებლად ითვლებოდა. რელიგიური თვალსაზრისით, იგი სიწმინდის შარავანდედით იყო მოსილი და მისი მაგიური თვისებებისაც ყოველთვის სწამდათ. ჰიპოკრატე ადამიანის ორგანიზმში უმთავრესად სწორედ სისხლს მიიჩნევდა. დღეისათვის სიცოცხლის ამ სუბსტანციის უდიდესი ფუნქციები საყოველთაოდ აღიარებულია. სისხლი ორგანიზმის [illegible] თოეულ უჯრედამდე სისხლძარღვთა საშუალებით აღწევს და ჟანგბადით, მარილებით, ვიტამინებით ამარაგებს, მათგან გამოაქვს ცხოველმყოფელი პროდუქტები, მონაწილეობს ორგანიზმის თავდაცვით რეაქციებში. სისხლის საშუალებით ენდოკრინული ჯირკვლები მათ მიერ გამოყოფილი ბიოქიმიურად აქტიური ნივთიერებებით — ჰორმონებით — საკმაოდ შორს მდებარე ორგანოებზე მოქმედებენ და ა.შ.

XX საუკუნის დასაწყისამდე სისხლის გადასხმის პროცედურა რთული ამოცანა გახლდათ. ახლა ეს უკვე პრობლემას აღარ წარმოადგენს. დამტკიცებულია, რომ არსებობს სისხლის ოთხი ჯგუფი, რომელთა შეთავსების წესი კარგადაა ცნობილი. იგი ინდივიდისთვის გენეტიკურად განპირობებული ნიშანია, ანუ ყოველ ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე სისხლის ერთი ჯგუფი აქვს. თითოეული ჯგუფი, რეზუს-ფაქტორის არსებობის მიხედვით, კიდევ ორად იყოფა. თუ სხვა პარამეტრებსაც გავითვალისწინებთ, მაშინ შეიძლება 200 ჯგუფზე მეტი მივიღოთ, მაგრამ ძირითადი აქცენტი ოთხ ჯგუფსა და მათ რეზუს-ფაქტორზეა გადატანილი. გარკვეულწილად, სისხლის ჯგუფები გეოგრაფიულ ადგილმდებარეობასა და ეროვნებასთანაც არის დაკავშირებული: ევროპელთა უმეტესობა II ჯგუფის მატარებელია, აღმოსავლეთის მცხოვრებნი — III ჯგუფის, იაპონელებსა და ჩინელებში რეზუს-უარყოფითი სისხლი თითქმის არ გვხვდება. ჩვენთან, საქართველოში კი I ჯგუფის სისხლი ჭარბობს. დაკვირვებების შედეგად ექიმებმა დაადგინეს, რომ ყოველი ჯგუფის სისხლი განსაზღვრული დაავადებებისკენ არის მიდრეკილი. მაგ. კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, უმეტესად, I ჯგუფის სისხლის მქონე ადამიანებს უვითარდებათ. II ჯგუფის მქონენი, ძირითადად, პნევმონიით (ფილტვების ანთებით) ავადდებიან, მათში მეტია სიმსივნური პროცესების განვითარების ალბათობაც. ხოლო IV ჯგუფის მატარებლებს ძალზე ადვილად ერევა გრიპი და ანგინა. რაც შეეხება აუტოიმუნურ დაავადებებს, იგი უფრო მე-8 ლეიკოციტური ჯგუფის ადამიანებს ემუქრებათ. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ იაპონელებმა სისხლის ჯგუფების მიხედვით ადამიანთა ტიპაჟები გამოყვეს და მისი გათვალისწინებით ფსიქოლოგიური პორტრეტები შექმნეს. იმედია, საკუთარი „სისხლისმიერი" ხასიათი თქვენც დაგაინტერესებთ.

მაშ ასე, *I ჯგუფის* მქონე ადამიანები ცდილობენ ყველგან პირველები იყვნენ. ისინი ლიდერებად იბადებიან, ყოველგვარი დაბრკოლებების მიუხედავად, დასახულ მიზანს აუცილებლად აღწევენ. მოუსვენარნი, ეჭვიანები და ავადმყოფურად ამბიციურნი არიან.

*I ჯგუფის* სისხლი ჰარმონიასთან, სიმშვიდესთან ასოცირდება. ასეთებს ადამიანებთან საუკეთესო ურთიერთობა აქვთ, გამოირჩევიან მგრძნობიარე ბუნებით. დაძაბულობის დროს უჭირთ მოდუნება, განტვირთვა.

*III ჯგუფის* წარმომადგენლები ინდივიდუალისტები არიან. ყოველთვის ისე იქცევიან, როგორც მოესურვებათ.

რაც შეეხება *IY ჯგუფის* ადამიანებს, ისინი გაწონასწორებულნი, მშვიდი არსებანი არიან. უჭირთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, ბევრს ყოყმანობენ.

აუცილებელი არ არის, იაპონელების მიერ შემოთავაზებული ტიპაჟი თქვენი ზუსტი პროტოტიპი აღმოჩნდეს ან თქვენი ჯგუფისთვის დამახასიათებელი დაავადება უეჭველად ჩამოგიყალიბდეთ. ჯგუფურობა ხომ მხოლოდ და მხოლოდ ალბათობას ზრდის.

**რეზუს-ფაქტორი.** რეზუს-ფაქტორს ერითროციტებში (სისხლის წითელი ბურთულები) მოთავსებული განსაკუთრებული ცილა განსაზღვრავს. თუკი ასეთი ცილა არსებობს, სისხლი რეზუს-დადებითია (ადამიანთა 85%), თუ არა — რეზუს-უარყოფითი (15%). რეზუს-ფაქტორთან დაკავშირებული პრობლემები, როგორც წესი, ფეხმძიმობის დროს იჩენს თავს, როდესაც დედას რეზუს-უარყოფითი სისხლი აქვს, მამასა და ნაყოფს რეზუს-დადებითი. ორსულობის მიმდინარეობისას დედისა და ნაყოფის სისხლის ერთმანეთში აღრევა არ ხდება. მათ შორის მხოლოდ ნივთიერებათა ცვლის პროდუქტების, ასევე ცალკეული უჯრედების გაცვლა მიმდინარეობს, რაც პლაცენტის საშუალებით ხორციელდება. დედის სისხლში ნაყოფის ერითროციტების (ცილასთან ერთად) მოხვედრის შემდეგ ქალის ორგანიზმი მის საწინააღმდეგო ე.წ. ანტისხეულებს გამოიმუშავებს. ეს ანტისხეულები ორგანიზმის საბრძოლო იარაღია უცხო ცილის (ნაყოფის) წინააღმდეგ. ფეხმძიმობის პერიოდის გახანგრძლივებას დედის სისხლში ნაყოფის ერითროციტების რაოდენობის მზარდი დაგროვება სდევს თან. თანდათან მატულობს ანტისხეულებიც. პლაცენტის საშუალებით ეს ანტისხეულები ნაყოფის სისხლში ხვდება. ისინი კი რეზუს შემცველი ერითროციტების დაშლისკენ არიან მიდრეკილნი, რის შედეგადაც ნაყოფის ერითროციტები აქტიურად იღუპებიან. ამის საფუძველზე ნაყოფის სისხლში დაშლის ტოქსიკური პროდუქტები გროვდება, მათ შორის, ბილირუბინი, რომელსაც ორგანიზმზე, განსაკუთრებით ტვინზე, უარყოფითი ზემოქმედების მოხდენა შეუძლია. სწორედ ამ ბილირუბინის „წყალობაა" რომ ორსულობის ბოლო პერიოდში ნაყოფის კანი ყვითელ ელფერს იძენს, რისი ინტენსივობის მიხედვითაც, ექიმები აუცილებელი გამოკვლევების გარეშე ვარაუდობენ ახალშობილში ჰემოლიზური (ჰემოლიზი — დაშლა, რღვევა) დაავადების არსებობას. ამ დროს საჭირო ხდება სისხლის გადასხმა. რეზუს-ფაქტორი გენეტიკურად განისაზღვრება. თუკი დედა-მამა ორივე რეზუს-უარყოფითია, მაშინ ბავშვიც აუცილებლად რეზუს-უარყოფითი იქნება. ხოლო თუკი მშობლები განსხვავებული რეზუს კუთვნილების არიან, ანდა ორივე რეზუს-დადებითია, არსებობს შესაძლებლობა, რომ მათ როგორც რეზუს-დადებითი, ასევე რეზუს-უარყოფითი ბავშვები შეეძინოთ. ქორწინებათა 10-13% რეზუს განსხვავებულ ადამიანთა შორის მყარდება. თუმცაღა ჰემოლიტური დაავადება ახალშობილთა 0,3-0,7%-ს აღენიშნება. ეს იმაზე მიუთითებს, რომ საპასუხო რეაქცია ყველა რეზუს-უარყოფით ქალს არ აღენიშნება. **გაითვალისწინეთ!** ქალის ორგანიზმში ანტისხეულების გამომუშავებას ხელს უწყობს წინა ორსულობები, აბორტები (თუკი ნაყოფი რეზუს-დადებითი იყო) ან რეზუს-დადებითი სისხლის გადასხმა. ბავშვის ჰემოლიზური დაავადების თავიდან ასაცილებლად დედამ ადრეულად უნდა მიაკითხოს გინეკოლოგს (ქალთა კონსულტაციას), სადაც ანტისხეულების ტიტრი უნდა გაკონტროლდეს და საჭიროების შემთხვევაში პროფილაქტიკური ღონისძიებები მიიღონ.

*მაია მუხიგული*

დისტანციური ლითოტრიპსია – შარდკენჭოვანი დაავადების თანამედროვე მკურნალობა!



80-იან წლებში გერმანულმა კომპანია „Dornie"-მ პირველმა შექმნა კენჭების დამშლელი აპარატი ლითოტრიფტორი. დღეს ამ ფირმის ახალი თაობის აპარატი გამოიყენება უროლოგიის ინსტიტუტში. ლითოტრიფსიის მეთოდის დანერგვამ საშუალება მოგვცა:

ამბულატორიულ პირობებში უმტკივნეულოდ, დისტანციურად დავშალოთ კენჭი თირკმელში და შარდსაწვეთში ქირურგიული ჩარევის გარეშე.

მ. „300 არაგველი", ქალაქის 1 საავადმყოფო უროლოგიის ინსტიტუტი
ტელ: 93-91-36

MEDI
მედი



პერმანენტული მაკიაჟი
თვალებზე, ტუჩებზე, წარბებზე
სახის კანის გაახალგაზრდავება, ნაოჭების გასწორება
ოქროს ძაფებით, ბოტოქსის ინექციებით, ისრაელის ნიღბით
ფიგურის კორექცია ულტრაბგერითი ლიპოსაქციით
ტუჩების, მკერდის, ყურების ფორმის კორექცია
უკონტაქტო ეპილაცია ალექსანდრიტის ლაზერით
ჭარბთმიანობისაგან განკურნების ყველაზე ეფექტური საშუალება
ი. ჭავჭავაძის გამზ. №70 25-02-02 22-42-73

# ღმერთის შვილები

## გოდერძი ჩოხელი

ამ მოთხრობას ეს სახელი იმიტომ დავარქვი, რომ ოდესლაც, დიდი ხნის წინათ, ამ სოფელში ღმერთს ღამე გაუთენებია და რო წასულა, ასე დაურიგებია ხალხი:

— შვილებო, აბა, თქვენ იცით, როგორ კარგად იცხოვრებთ. იცოდეთ, ყოველ თქვენგანში ჩემი სული დგას და ეშმაკი ცდილობს, შეგირყვნათ სულები; რაც უფრო მეტად აჰყვებით მაცდურს და წაიბილწავთ სულს, მით მეტი ძალა დააკლდება ჩემს სულს, სატანას კი ძალა მიემატება.

აბა, წავედი, დალოცვილი იყავით, შვილებო, სულებს გაუფრთხილდით. ნუ შეშინდებით, სულ არა გტოვებთ, ჩემი თვალი ყოველთვის თქვენკენ იქნება...

ღმერთი წასულა და იმ დღის მერე, ამ სოფლის შვილები ღმერთის შვილებად იწოდება. ამ მოთხრობის მთავარი გმირებიც, რალა თქმა უნდა, ღმერთის შვილები არიან. ანდა რა ვიცი, იქნებ არც კი არის ეს სოფელი, იქნებ მთელ დედამიწას ერქვა მაშინ სოფელი, როცა ღმერთი აქ ბრძანდებოდა — ჩვენ ყველანი ხომ ღმერთის შვილები ვართ.

ის სოფელიც, სადაც ჩვენი გმირები — ღმერთის შვილები ცხოვრობენ, — სიკეთითა და სიყვარულით განთქმული სოფელია. წინაპრები შვილებს გადასცემენ, ღმერთმა ჩვენს სოფელში გაათენა ღამე და დაგვიბარა: შვილებო, ყველა თქვენგანში ჩემი სული დგას, ეშმაკი კი ცდილობს თქვენი თავი წამართვას და ასე ლამობს ჩემს დაუძლურებას, კეთილად მოიქეცით, ნუ მიეყიდებით ეშმაკსო.

ასრულებდა კიდეც მთელი სოფელი ღმერთის დანაბარებს, მაგრამ იმძლავრა სატანამ, იმისი ხელი ამ სოფელსაც მოსწვდა.

მაინც ცდილობდნენ ღმერთის გზით სიარულს და რას არ იგონებდნენ, რომ შვილები კეთილი კაცები გამოსვლოდათ.

ვილაცამ ურჩია: ჩვილს რო ჭიპლარს მოვაჭრით, გავაშროთ მზეზე და როგორ კაცსაც ჩავუდებთ ჯიბეში, შვილებიც ისეთები დაიზრდებიანო...

მოეწონათ.

ძალიან მოეწონათ.

რალაცით ხო უნდა დაამარცხონ ეშმაკი!

როგორლაც ხო უნდა გაზარდონ კარგი შვილები!

აჩენენ შვილებს, აჭრიან ჭიპებს, აშრობენ მზეზე და მერე: ზოგი მღვდელს უდებს ჩუმად ამ ჭიპს ჯიბეში (სანამ სუ დახოცავდნენ და გაკრეჭდნენ მღვდლებს), ზოგი თავადიშვილებს (სანამ სუ დახოცავდნენ და გადაასახლებდნენ თავადებს).

ზოგიც შეძლებულ ხალხს უდებს ჩუმად ჯიბეში ჩვილის ჭიპს (სანამ სუ დახოცავდნენ და გააკულაკებდნენ შეძლებულ ხალხს).

ზოგი პოეტებს, მწერლებს და ხელოვან ხალხს უდებს ჩვილის ჭიპს ჩუმად ჯიბეში (სანამ სუ არ დახოცავდნენ და არ გადაასახლებდნენ ხელოვან ხალხს).

ალარავინ დარჩა კაცური კაცი, ვის ჯიბეშიც შვილის ჭიპი უნდა ჩადო, რო შემდეგ შენი შვილიც იმას დაემსგავსოს, იმასავით კარგი ქართველი გაიზარდოს.

იმ სოფელში, სადაც გადმოცემით ღმერთს ღამე გაუთენებია, სწორედ იმ დროს გაჩნდა ორი ვაჟი, როცა ქვეყანაზე სატანა ბობოქრობდა.

დასხდნენ მამები, დალიეს ვაჟების სადღეგრძელო.

ერთს ბაყდარი დაარქვეს, მეორეს — საპყარი.

იმათი მოჭრილი ჭიპებიც გამოაშრეს მზეზე.

სხედან და ფიქრობენ, ვის ჯიბეში ჩააწყონ თავიანთი ვაჟების ჭიპები.

იფიქრეს, იფიქრეს და მოიფიქრეს:

ქვეყანას დევივით ბიჭები სჭირდება, დევი ძლიერია და თანაც კეთილი. დევივით ბიჭები თუ გვეყოლება, კეთილებიც იქნებიან და მტერსაც ადვილად მოერევიან. თანაც ღმერთმა ხო დაგვიბარა, არ შეგეშინდეთ, თვალებით თქვენკენ ვიყურებიო, იმ ჩვენს დევივით ბიჭებს ღმერთი თავის სულსაც ჩაჰბერავს და ღმერთის სულის მატარებელი დევივით ბიჭი, როგორი სანახავია, ჰა? მოდი, მტერო, მერე ჩვენზედა, აქ დაგხვდება ჩვენი ქვეყანა და აქ დაგხვდებიან ჩვენი ბიჭები!

ბაყდარის და საპყარის მამები შეთანხმდნენ, რომ დევი იპოვონ სადმე, თანაც დაძინებული, აბა, გაღვიძებულ დევს მტერმა ჩაუყო ჯიბეში ხელი.

საშიში საქმეა ძალიან, დევი ხო კეთილია და ისედაც გაბრაზებულია, ეშმაკებმა რო ჩაიგდეს ხელში ქვეყანა, იშვიათადლა ჩნდება აქა-იქ. ცოტანილა დარჩნენ, მაგათაც რა ქნან, თორე დედას უტირებდნენ ეშმაკებს, თანაც ეშმაკური ხრიკებისა არაფერი გაეგებათ და ერიდებიან მაგათთან შეხვედრას. ეშინიათ, კაცოო, თავს ზემოთ ალარც მაგათა აქვთ ძალა, ეშმაკების დროა. კეთილი კია, მაგრამ მაინც საშიშია მასთან შეხვედრა; დავუშვათ, იპოვე დაძინებული და ჭიპს უდებ ჯიბეში, გაიღვიძა, არ გაგიჟდება? არ გადაირევა? რა იცის იმან, კაცი ხარ თუ ეშმაკი ხარ? ახლა ხო ეშმაკებმა კაცების სახე მიიღეს და ისე დადიან. რა ქნას იმ საწყალმა დევმა, ველარ გაიგო, ვინ ეშმაკია, ვინ კაცი.

— რა ვქნათ, კაცო, ჰა, — ბჭობენ ბიჭების მამები. — რო გაიღვიძოს, არ გეტყვის: შე შობელძაღლო, რაზე მქურდავ, დედამიწაზე სამართალი სუ გამაილია, დაძინებულ დევს რო ჯიბეში ხელებს მიფათურებო, ჰა! რას ეტყვი მერე?

— დევიდედიშენისამა-მეთქი.

— გეტყვის, მქურდავ და კიდევა მლანძლავო?

— გქურდავ, თორე ჯიბეში სუ ოქროს თუმნიანები გიჩხრიალებს-მეთქი.

— მა რასა შვრებიო? — გკითხავს.

— ამასა და ამას ვშვრები-მეთქი, დევი ხარ და უნდა გაგვიგო-მეთქი.

— გაგვიგებს?

— გაგვიგებს, მა რას იზამს, დევი ისეთი კეთილია როო!

წავიდნენ ჩვენი ბიჭების მამები, წაიღეს ჭიპები, იპოვეს დაძინებული დევი, ბაყდარის მამამ მარჯვენა ჯიბეში ჩაუდო ჭიპი, საპყარის მამამ მარცხენაში. დევს არც არაფერი გაუგია, ისე მშვიდად ეძინა, ისე კეთილად ხვრინავდა, თანაც მთვარის შუქი ეფინა სახეზე.

წამოვიდნენ ვაჟის მამები გულმშვიდად.

დაიწყეს ბალღებმა გაზრდა, მაგრამ...

ბაყდარი მართლა დევივით ბიჭი გაიზარდა, საპყარი კიდე ნაცარქექიასავით.

ბაყდარი, როგორც დევს შეეფერება, ისე დადის.

საპყარი ვერა, პატარა არის და ვერ დადის ისე. გული დიდი აქვს საპყარს, მაგრამ რას აჯობებს ბაყდარს. საპყარს სუ ბაყდართან ჩხუბი სწადია, ის კი ამის მიზეზს არ აძლევს.

ერთხელაც ადგა და ისეთ ადგილას დაწვა



საპყარი, რომელ გზაზეც ბაყდარს უნდა გამოევლო. ისეთი ადგილი შეარჩია, აქეთ-იქით კლდე იყო, ბაყდარს რო გზა გაეგრძელებინა, საპყარისთვის უნდა გადაებიჯებინა ზემოდან; შენ ვის გაუბედე გადაბიჯებაო და ხანჯლის გაყრას აპირებდა საპყარი.

წევს საპყარი, ვითომ მთვრალია და სძინავს.

ელოდება, როდის გამოივლის და გადააბიჯებს ბაყდარი.

აჰა, გამოჩნდა კიდეც.

მოვიდა, დახედა.

ჩაიმუხლა:

— აქ სად დაგძინებია, შენი ბაყდარი გენაცვალოს! — ჩაილაპარაკა, ბალღივით აიყვანა და სახლში მიიყვანა „მძინარე" საპყარი.

...

სხედან საფიხვნოში მზის გულზე საპყარისა და ბაყდარის მამები და ბჭობენ.

არა, ჯერ დიდხანს ფიქრობენ, მერე ბჭობენ:

— ნამდვილად გახვრეტილი ჰქონდა დევს ჯიბე. — ამბობს საპყარის მამა.

— რომელი ჯიბე?

— რომელშიც მე ჩავუდევ ჭიპი.

— შენც ამბობ რა, რა იცი, რომ გახვრეტილი ჰქონდა?

— ვერა ხედავ საპყარს, ბაყდარივით დიდი გაიზარდა?

— იქნებ მარცხენა ჯიბეს არა აქვს ძალა.

— გახვრეტილი ჰქონდა და ეგ არის, თავიდანვე უნდა მეფიქრა და მეც მარჯვენაში ჩამედო, მაგათ მარცხენა ჯიბეები ყოველთვის გახვრეტილი აქვთ.

— ეგ საიდანლა იცი, კაცო?!

— იქიდან ვიცი, რო თხილი უყვართ.

— თხილი რა შუაშია?

— იმ შუაშია, რომ მარცხენა ჯიბეში იყრიან, „პრივიჩკა" აქვთ ეგეთი, სუ იმ ჯიბეში უდევთ ხელი. ამოივსებენ ჯიბეს თხილით და წარამარა, აბა, ჩაიყავ ხელი როგორია, გაიხევა, მა რა იქნება.

— მარჯვენაშიც რო ჩაიყარონ, ვითომ რა მოხდება, ალარც მარცხენას დაადგება ისე ძალა.

— საქმეც მაგაშია, ორივე ხელი თუ ჯიბეში ჩაიყო, შეხვდება ვინმე ჩვენნაირი, ან უფრო უარესი და სანამ ის ჯიბეებიდან ხელებს ამოიღებს, ამოუნაყავს ცხვირ-პირს, ფრთხილობს, რა ქნას, ღალატიანია ეს ქვეყანა. თხილის ჭამა კი უყვარს და მარცხენაში იყრის, რო მარჯვენა მზად ჰქონდეს.

— ჰოდა, იაროს ეგრე ჯიბეგამოხეულმა.

— შენ რა გენაღვლება რა, გაგიმართლა! აბა, შენ ჩაგედო ბაყდარის ჭიპი მარცხენა ჯიბეში, თუ ეგრე გულდამშვიდებული ილაპარაკებდი.

გაჩუმდნენ.

მზემ დააცხუნა, მაგრამ ამ დროს ბაყდარი წამოადგათ თავს და თავისი მხარბეჭით მზეც დაუჩრდილა.

ბაყდარი რო წავიდა, საპყარის მამამ მეგობარს საიდუმლოდ გადაულაპარაკა:

— შენ ეჭვი ნუ გაქვს, ის ჯიბე ნამდვილად გახვრეტილი ჰქონდა დევს, გზაში ჩემი ბალღის ჭიპლარი გაუვარდა, უკან ამ დროს ნაცარქექია მისდევდა, აილო, ატრიალა, ატრიალა, ჯერ გადაგდება დააპირა, ეს რალა ჯანდაბა არიო, მერე იფიქრა: რა ვიცი, როდის რაში გამამადგეს, დევს ჭიპლარი გააგდებინე, ისიც მადლიაო, ჩაიდო ჯიბეში და ანდე, რალა ნაცარქექია და რალა საპყარი.

— მაიცა, მაიცა, თუ მაგას ნაცარქექიას გული გამოჰყვა, მერე ნახე მაგის ვაჟკაცობა.

— არა, გული, იცოცხლე, მაგარი აქვს, დუნია ხალხი რო დაეცეს საჩხუბრად, არ შაუშინდება.

ჰოდა, აგაშენა ღმერთმა, თუ ჩემი ბაყდარი და შენი საპყარი დამეგობრდებიან, ვერც მტერი მოერევა ჩვენს ქვეყანას და ვერც ეშმაკი.

მთავარია, ღმერთმაც გადმოგვხედოს.

— ღმერთი ყოველთვისაც გვიყურებს. აკი უთქვამს კიდეც, ჩვენს სოფელში რო ღამე გაუთენებია: ხალხო, მე მივდივარ, მაგრამ შიში ნუ გექნებათ, თვალი ყოველთვის თქვენზე მექნებაო.

— ეგრე უთქვამს, ეგრე — დაუდასტურა საპყარის მამამ და ორივემ კმაყოფილი სახით გახედა ბაყდარს და საპყარს, რომლებიც რალაცას უყვებოდნენ ერთურთს და გულიანად იცინოდნენ.

...

ომი დაიწყო.

აირია სატანის მოდგმა.

ჯერ შუაგულ ერთმანეთში გააჩაღეს სიკვდილის კალო, შეყარეს იმ კალოზე ღმერთის რჩეული ერის შვილები, ებრაელები და ლეწეს და ლეწეს. ებრაელების ხოცვა-ჟლეტა, სწორედ იმისი ნიშანი იყო, რომ სატანა უხდიდა ღმერთს სამაგიეროს. ადამიანს გულით ვინც ძალიან უყვარს, ის უნდა მოუკლა, თუ გინდა გული დასწყვიტო. სატანაც ჟლეტდა ებრაელებს, ღმერთის გულის მოსაკლავად. მერე, რაკი ერთი სატანა სიკვდილის კალოს გააჩაღებს, ალარც მეორე ჩამორჩება და ლეწავენ და ლეწავენ.

იმ ჩვენი სოფლიდანაც, სადაც გადმოცემით ოდესლაც ღმერთს ერთი ღამე გაუთენებია, კაცი არ დატოვეს, ვისაც თოფის ხელში დაჭერა შეეძლო.

ბაყდარიც წაიყვანეს.

საპყარიც.

მაგრამ ბაყდარი მეორე დღეს გზიდან მობრუნდა და სახლში დაიმალა.

— დიაცი ხო არა ხარ, ყველა წავიდა და შენ რას იმალები, — გაუწყრა მოხუცი მამა. — რისი გეშინია, სხვა თუ მოკვდება, შენც მოკვდი, სირცხვილიანის ყოფნას, სიკვდილი სჯობია.

— სიკვდილისა არც მშინებია და არც მეშინია... — ჩაიბუზღუნა ბაყდარმა.

— აბა, მა რა ღმერთი გიწყრება, რო სახლიდან ფეხს ალარ ადგამ?

— მე რო იქ წავიდე, ჯერ ერთი, ხალხი სიცილით დაიხოცება, ჰიტლერის სამიზნე გამააგზავნა სტალინმაო და ეგრეც იქნება, ძალიანაც რო უნდოდეს ტყვიას რო ამცდეს, აბა, შამამხედე, საით ამცდება? აქ დამცინით, მზეს უჩრდილავ სოფელსო და გერმანელები ხო სიცილით დაიხოცებიან, მე რო დამინახავენ. არ მეშინია-მეთქი სიკვდილისა, ხალხის დაცინვისა მეშინია.

ბაყდარი გაჩუმდა.

მამამისმა თუთუნი შეახვია გაზეთში და გააბოლა.

ერთი თვე არ გამოსულა ბაყდარი სახლიდან გარეთ, რომ სოფელსაც არ დაეცინა, მშიშარა ყოფილა, ომში არ წავიდაო.

საპყარის წერილები მოდიოდა, იწერებოდა, ხომ არ იცით, ბაყდარი რომელ მხარეს იბრძვის, მისამართი გამომიგზავნეთ, რო წერილი მივწეროო.

აქედან სწერდნენ, არ ვიცითო.

მერე მძიმედ დაჭრილი და გახეიბრებული მაიყვანეს საპყარი სახლში.

ბაყდარისა ვერაფერი შევიტყვეო, წუხდა.

ღამე ინახულა ბაყდარმა საპყარი.

— შენც დაჭრილი ხარ! — გაუკვირდა საპყარს და შეათვალიერა, სად იყო, ხელში თუ ფეხში გახეიბრებული ბაყდარი.

— არ წავსულვარ. — მოკლედ მოჭრა ბაყდარმა.

— როგორ თუ არ წასულხარ?!

— დასაცილს დამიწყებდნენ და იმადა.

— დასაცილს რაზედლა დაგიწყებდნენ?!

— აბა, შამამხედე, რას ვგავარ.

— რას ჰგავხარ და ღმერთის ნათლულს. — უთხრა საპყარმა.

ორივე გაჩუმდა.

— აბა, მშვიდობით იყავ, — წამოდგა ბაყდარი.

— მაიცა, ვისაუბროთ, რა გეჩქარება.

— მეჩქარება.

— სად გეჩქარება?!

— ვინც შენ ეგრე დაგჭრა და სისხლი გადინა, იმის დედა უნდა ვატირო! — თქვა და წავიდა.

წავიდა და წავიდა.

ღამე გაიპარა სოფლიდან.

...

ომის კალო გახურდა და გახურდა, ეშმაკებმა გალეწეს და გალეწეს ახალ-ახალი ძნები. სოფლებში მოდიოდა მონატრების წერილები, მოდიოდა და გარდაცვალების დეპეშები, მოდიოდნენ ხეიბრები, ზოგი უფეხოდ, ზოგი უხელოდ, ზოგი როგორ და ზოგი როგორ. ცოცხალი კაცის მოსვლა მაინც დიდი სიხარული იყო სახლში, მაგრამ ბევრი თუ გამოჯანსალდა, ბევრმა დეპეშის ნაცვლად შინ სიკვდილით აატირა ცოლ-შვილი და დედ-მამა.

ღვთის ნებით საპყარი წამომჯობინდა.

ხარ-გუთანიც გამართა.

მოხნა.

დათესა.

მომკო ყანა.

გალეწა ღვთისგან ბოძებული პურის ძნა.

კაცურად გალეწა და არა ისე, როგორც სატანებმა გალეწეს მილიონები ეშმაკის კალოზე.

საპყარმა პურის ძნა გალეწა, ბზე გაანიავა, ხორბალი მზეზე გაფინა, წისქვილის ბორბალი დაატრიალა, ხვიმრიდან ფქვილი ამოილო, შინ მიიტანა, დაჯდა და თუთუნი გაახვია გაზეთში.

გააბოლა...

და ვილაცამ იკივლა: ძია საპყარ, ბაყდარის წერილი მოგივიდა!

ახლა ბაყდარი იწერება:

მოგიკითხავ ძმაო. უშენობა მომენატრა. წერილის წერისათვის დიდი დრო არა მაქვს, ხო იცი მეომარი კაცის ამბავი, ამბების მოსაყოლად ვინ დაგაცდის. ვჩქარობ, მაგრამ ერთი ამბავი როგორმე მაინც უნდა მოგწერო, სანამ სანგარში ვზივარ. წელან ჩამთვლიმა და ის დევი არ მესიზმრა, შენ რომ ფრონტიდან მწერდი ხოლმე.

მოვიდა და მეკითხება:

— კაცს ვეძებ და ხო არ დაგინახავსო?

მე ჯერ კაცი მეგონა და არც შამშინებია, გაბრაზებულმა შევუმრიზე:

— ვერა ხედავ ამ ბრძოლის ველს, საითაც გაიხედავ, ზოგან ცოცხალ კაცს დაინახავ და ზოგან მკვდარს.

— არაო, — მითხრა, — ერთ თვეზე მეტია, აქ დავეხეტები და იმ კაცს ვერც ცოცხალს წავაწყდი და ვერც მკვდარსაო.

— რა კაცი იყო ეგეთი, რო მთელი ბრძოლის ველი მოგივლია იმის გულისათვის?

— ერთი დაბეჩავებული ჩია კაცი იყოო.

— მერე რალა მე მომადექი იმის საძებნელად, ხო ხედავ, დღეს რო ამ სანგარში ვწევარ, ხვალ სად მომხვდება ბრმა ტყვია, აბა, რა ვიცი, წადი, ძმაო, თავი დამანებე, შენნაირი ნახე-მეთქი.

— ჩემნაირობას რო გატყობ, იმიტომაც გეკითხები შენო.

— შენნაირობა რა შემატყვე-მეთქი?! — აქ კი გული მომივიდა და თოფი შევაყენე.

— გაიხედ-გამოიხედე, თუ ამ ბრძოლის ველზე შენნაირი დევკაცი იყოსო.

აქ კი გულმა რეჩხი მიყო.

— შენნაირები მაშინ იზრდებიან, როცა იმათ მოჭრილ ჭიპლარს დევს ჩაუდებენ ჯიბეში.

გავჩუმდი, აბა, რალა უნდა მეთქვა, განა არ ვიცოდი ჩემი და შენი ჭიპების ამბავი.

— ჰიტლერის დედა ვატირე, ეს ომი რომ გამართა და ხალხს მოსვენებას ალარ აძლევს, თორე ახლა მე და შენ, ერთ კაი მდინარის პირას არ უნდა ვისხდეთ, დიდი ხე გვიჩრდილავდეს სუფრას, გვერდზე პატარა კოცონი გვენთოს, მდინარიდან თვითონ ამოხტებოდნენ თევზები, იმ კოცონის ლადარში გადაგორდ-გადმოგორდებოდნენ და პირის დალების მეტიც ალარაფერია საჭირო, თანაც წითელი ღვინოებიც გვედგეს იქაიქა დოქებით, სხვა, აბა, რა გვინდა მეტი, ჰა?!

— გვინდა, როგორ არ გვინდა! — შევუმრიზე.

დევი, ცოტა არ იყოს, შეცბა ჩემს შებღვერვაზე, ეტყობა, იწყინა, ამ დალოცვილიშვილს, ამ გაგანია ტყვიების სროლაში, კაცმა რო არ იცის ფეხზე მდგარს მოხვდება თუ მინდორზე დაწოლილს იმ ჩემი მოსისხლე ჰიტლერის ტყვია, ხედავ რა სუფრების სარჩევში შევიდა, ნახე, დევოო, ნახე, დევოო, როგორ შემომიბღვირა! — ეს ალბათ გაიფიქრა, ისე კი ჩემი გულის მოსალბობად დაამატა:

— კაი ირმის მწვადებიც!

— არც ეგ!

— მწყრები და ხოხბები!

— არც ეგ!

— მეტი რალა, შე კაი კაცო, დევი ვარ, ამ გაგანია ჰიტლერის ომში მეტი რა ვქნა?!

— რა ქნა და წელან რო კაცი ინატრე, ისა. აბა, საპყარის გარეშე ჩვენ ქეიფს რა ეშხი ექნება, თანაც შენი მოსისხლე ჰიტლერის ტყვიით დაჭრილია კაცი და სახლში წევს.

— ვაი შენ, ჩემო დევის თავო! — წაიშინა და წაიშინა დევმა უშველებელ თავში ხელები. გაიქცა-გამაიქცა, მინდორში რალაც ბალახს ეძებდა. ამის დანახვაზე გაუხსნეს გერმანელებმა იქიდან ცეცხლი.

— დევო, დაწექი, დაწექი! — გავძახი სანგრიდან. როგორც შენ არ გესმოდა იმ წუთში ჩემი ნათქვამი, ისე იმას. მანამდე ირბინა, მანამ რალაც ბალახი არ მომირბენინა სანგარში.

— ეს ბალახი საპყარს გაუგზავნე კონვერტით, მე იმასთან ვალში ვარ, ცუდი ჩვევა მქონდა, წარამარა მარცხენა ჯიბეში ვიყრიდი თხილს და ხელის ჩაყოფა-ამოყოფით გავიხვრიტე კიდეც. გავიხვრიტე და გამვარდა სადღაც საპყარის ჭიპი. იმის მერე კი დავეძებ ნემსსა და ძაფს, მაგრამ საპყარი რო შენსავით დევგარეული ვერ გაიზარდა? ვინ იცის, როგორ დარდობს გულში. ისე, ერთი კი მინდა გაგიმხილო — კაცის საზომი სული და გულია... ეეე, ძალიან დევურად ავლაპარაკდი, აი. გაუგზავნე ეს წამალბალახა, დალიოს ამის ნახარში და ნულარაფრისა შეეშინდება, სანამ ცოცხალია, არ მოკვდება...

ამ დროს ატყდა დიდი განგაში, სროლა, ერთი უშველებული და გაუთავებელი წივილ-კივილი. ვინ სად გავრბოდით, ალარ ვიცოდით. ის დევიც სადღაც დამეკარგა. ბრძოლა რომ მიწყნარდა, ჯერ ცოტა სული მოვითქვი, მერე თავ-პირსა და ტანზე დავიწყე ხელების სმა, დაჭრილი ხო არა ვარ, სისხლი ხო არცა მაცხია-მეთქი, ლოყის ქვემოთ იმ დევის მოტანილი წამალბალახა არა მაქვს შემხმარი?! ღმერთო დიდებულო, რა ქარცეცხლში არ ვიკოტრიალე და ეს ერთი ბეწო ბალახი მე ჩამხუტებია, რომ არ დამკარგოდა. ხოდა, წერილთან ერთად გიგზავნი. ოღონდ წამლობის წესი არ დაგავიწყდეს, რაც დევმა მითხრა, სიტყვასიტყვით გიწერ:

— ეს ბალახი მოადუღოს საპყარმა, იმის ნახარში დალიოს და ნულარაფრისა შეეშინდება, სანამ ცოცხალია, არ მოკვდებაო.

აბა, შენ იცი...

ერთი კი გავიფიქრე, მოდი, ამ წამალს არ გავუგზავნი-მეთქი, მაგრამ ეტყობა, შენ უფრო გიშველის.

მე რა?

ბრძოლის ველზე როა კაცი გასული, მანამ ცოცხალია, ხო იცი არ მოკვდება...

ეგ არის ჩვენი წამალი!

ფრონტის ხაზი

შენი ბაყდარი

1944 წელი

(გაგრძელება იქნება)

## მკურნალი და შავარდენი



ოდითგან საქართველოში ყველა სოფელს თავისი მკურნალი — ექიმბაში ჰყავდა. იშვიათად შეხვდებოდით ექიმბაშს, რომელსაც შემლოცველობაც შეეძლო. სწორედ ასეთი ექიმბაში ცხოვრობდა სოფელ რუისში, მარიამ ლომიძე, ნალიიანთ მარო, მას ქართლში ბაბო მაროს სახელით უფრო იცნობდნენ. მასთან ხმამაღალ ლაპარაკსაც კი ვერ ბედავდნენ. მტყუანნი ითრგუნებოდნენ მის ახლოს. ყოფილა შემთხვევა, როცა ექიმბაშის დასატუქსად (საბჭოთა პერიოდში ეს ხელობა იკრძალებოდა) რაიონიდან მისულთათვის თოხები მიუცია ხელში და სიმინდი გაუმარგვლინებია. იგი იყო სოფლის პატრონი და გამკითხავი და, რაც მთავარია, „სასწაული ხელის" მკურნალი. ურმით მიყვანილი დავრდომილი ავადმყოფები მისი ხელდების შემდეგ თავიანთი ფეხით ბრუნდებოდნენ შინ.

ბაბო მარო საქონელსაც არჩენდა. ერთხელ რამდენიმე კაცმა ძლივს მიათრია მის კართან პირზე დუჟმომდგარი, თვალებგადმოკარკლული ძროხა. მკურნალმა თავზე ხელი დაადო ცხოველს, შეულოცა. ძროხა უმალ ფეხზე დადგა.

6-7 წლის ვიქნებოდი, ცელქობისას ხელი ისე მოვიტეხე, რომ მოსაკვეთი გახდა. მამაჩემმა რუისში, ბაბო მაროსთან გამაქანა... მალე ამ მოსაჭრელი ხელით ვისწავლე წერა.

ბაბო მარო მალამოსთვის იყენებდა ნაირნაირ ბალახეულს, ცხოველის ნაღველს, შარდს, ბზუკს, ანკარას და სხვ. ჰქონდა აგრეთვე ხელნაწერი კარაბადინი. შეელიდა შაკიკს, ყოველნაირ ძირმაგარას, ჩირქოვან გამონაყარს, განგრენას, ქრილობებს, ბუასილს, ეგზემას, მასტიტს, მოტეხილობას, წითელ ქარს... ასევე სულიერად შეცბუნებულთ, თვალნაცემთ, შეშინებულთ...

მახსოვს, ურმით მიუყვანეს ფეხმძიმე ქალი, რომელსაც „ბავშვი მუცელში განყალებოდა". მან რაღაც ბალახების ნახარში ასვა და მესამე დღეს საღ-სალამათი ქალი თავისი ფეხით წავიდა შინ. გაკვირვებულმა ვკითხე, — რა წამალი იხმარემეთქი. მიპასუხა, — გორიჯვრის წმინდა გიორგის ვთხოვე დახმარება და სიზმარში მითხრა, როგორ უნდა მოვქცეულიყავიო.

II მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო. უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი და ბაბო მაროს ვეწვიე. მაღალი ვახშმობა იყო. ყველანი ვისხედით ლამპით განათებულ ოთახში და ვსაუბრობდით. უცებ ფანჯარას გარედან რაღაც მიასკდა... ყურები ვცქვიტეთ — ამ გვიან ღამით რა უნდა ყოფილიყოო! ბაბო მარომ გვითხრა — გაიხედეთ, ფრინველი იქნებაო (თურმე, ასეთი შემთხვევა ადრეც ხშირად ჰქონია). გარეთ გავვარდი და ჰოი, საკვირველებავ! ფანჯრის ქვეშ მოზრდილი ჩიტი ეგდო. მკვდარი მეგონა, მაგრამ როცა ხელით შევეხე, გაიფართხალა. ავიყვანე, მაგრამ არ დამნებდა, ძლივს ვაკავებდი. შინ შევიყვანე — შავარდენი აღმოჩნდა.

თუმცა შავარდენი მტაცებელ ფრინველთაგან შედარებით მომცრო ტანისაა, ყველა მათგანზე ამაყი და ლამაზია.

ბაბო მარომ მანიშნა, — მომიყვანეო. შავარდენი კალთაში ჩავუსვი. ფრინველი გაყუჩდა. მკურნალმა მითხრა, — ფრთხილად აიყვანე ხელში და კარგად დაათვალიერე, დაჭრილი ხომ არ არისო. შავარდენს ჩიჩახვთან სისხლი ჰქონდა შემხმარი. ბაბომ თავისი მალამო მომატანინა და ჭრილობაზე შემაზელინა. შემდგომ შავარდენი კალათაში ჩავსვი და ჭერის კოჭზე ჩამოვკიდე. დილაადრიან კალათა ჩამომაღებინა. შავარდენს ფეხზე კანაფი შევაბით. ჰაერში შევაფრთხიალეთ. თუ ფრენას შეძლებს, ბავშვებს თავზე შემოავლეთ და გაუშვითო, — გვითხრა ბაბო მარომ. ასე მოვიქეცით. ფრინველი ისარივით აიჭრა მაღლა, სახლს წრე შემოავლო და ზეცაში გაუჩინარდა...

სოფელში დღესაც კარგად ახსოვთ ბაბო მაროს ექიმობის ამბები და დიდი მოკრძალებით მოიხსენიებენ ხოლმე.

იგი გარდაიცვალა 1956 წელს, 116 წლისა.

*ნოდარ კოჭლაშვილი*

## ჩვენ გვწერენ

### სოფლელი ასტროლოგი გვაფრთხილებს

ათი აპრილი რომ თენდებოდა, სამშაბათი, ვიხილე აპოკალიფსი. შიშისაგან გამომეღვიძა. 4 საათი იყო. სიზმარი ჩავიწერე და როცა სიზმრის ახსნის წიგნში ჩავიხედე, აღმოჩნდა, რომ ამ რიცხვში ნანახი სრულდება. მე კი მესიზმრა, რომ პრეზიდენტზე მორიგი ტერაქტი მზადდება. გვარიც მითხრეს იმისი, ვინც ამ ტერაქტის განხორციელებას შეეცდება — მონიავა. შეიძლება ეს გვარი არც არსებობდეს (ჩვენმა რესპონდენტმა, ეტყობა, არ იცის, რომ მონიავა რეალური გვარია, — რედ.). სამჯერ გამიმეორეს ეს გვარი.

ბ-ნ პრეზიდენტს წერილით აღარ მივმართავ. შეიძლება ჩემზე იფიქრონ, — ვინ ეშმაკია ეს სოფლელი ასტროლოგი, ამ ტერაქტებით რომ აღარ მეშვებაო. არადა, 9 თებერვლის ტერაქტამდე სამი კვირით ადრე გავაფრთხილე.

ასე რომ, ახლა მაინც დამიჯერეთ...

*ოტია ხეკეპილიძე*
*ნათელმხილველი-ასტროლოგი*

### პირუტყვი იხოცება, მე კი გადარჩენა შემიძლია...

პირუტყვი იხოცება დიდ ბრიტანეთში, მალე რუსეთშიც გადავა ეს დაავადება, მერე საქართველოშიც იფეთქებს ეპიდემია. უცხოელმა მეცნიერებმა ვერ გამოიგონეს დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინა. მე კი მაქვს ასეთი ვაქცინა და არ მინდა ცუდ დღეში ჩავარდეს ისედაც გასაცოდავებული ქვეყანა. იქნებ საზღვარგარეთ გაუშვათ ეს ინფორმაცია — დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ამ ეპიდემიას შევაჩერებ ერთხელ და სამუდამოდ.

თუ არ დამიჯერებთ, მაშინ შორიდან მომიწევს თვალყურის დევნება...

*ნათელმხილველი გიგი*

### „საზალოო–სალაღო" გვერდის პასუხები

I. **ანდაზვორდი**

**შვეულად:** 1. მათრახს; 3. რქანიც; 4. მოიმკიო; 5. კვიცს; 6. სწავლა; 7. თავის; 8. მოკლე; 10; ცერცვი.

**თარაზულად:** 2. შრომა; 5. კვალს; 9. ჭამაშიაც; 11. გონიერია; 12. ჭირი; 13. კურდღლის; 14. ხელი; 15. ცოდვა.

II. იასამანი;

III. **რებუსი**

სადაც მიხვიდე, იქაური ქუდი დაიხურეო.

IV. **გამოცანები**

ა) ქათამი; ბ) პეპელა.

## კალენდარი კოსმოსური რიტმების მიხედვით



### (30 აპრილიდან — 28 მაისამდე)

### ვნახოთ, როგორ ვიცხოვროთ, როგორ მოვუაროთ მიწას და პირუტყვს, როგორ მივხედოთ თავს მაისის თვეში...

**ლომი.** 30-1. ნიადაგის დამუშავება, გაფხვიერება. ხეხილის რგვა, მყნობა, პომიდვრის რგვა, ბალახისა და გაზონის თესვა. გულის სამკურნალო მცენარეების შეგროვება. ერიდეთ ნერვიულობას, ფიზიკურ დატვირთვას, გაუფრთხილდით გულს, ვინაიდან მაღალია ჰაერის უკმარისობა. მოერიდეთ თმის შეჭრას. საკვები მიიღეთ მცირე ოდენობით.

**ქალწული.** 2-3. ფუტკრისა და მცენარეების მკურნალობა ინფექციურ დაავადებაზე 14 მაისამდე. ჩაატარეთ ნებისმიერი სამუშაო. გაუფრთხილდით კუჭ-ნაწლავს, ნუ მიიღებთ მძიმე, მსუყე საკვებს. ეფექტიანია კანისა და ღვიძლის პროფილაქტიკა, სისხლის გასაწმენდად სვით ჭინჭრის ჩაი.

**სასწორი.** 4-5-6. ხეხილის, სამკურნალო და დეკორატიულ მცენარეთა რგვა. მარცვლეული, პარკოსანი კულტურებისა და კომბოსტოს თესვა. მცენარეებს ნუ მორწყავთ. სასურველია ბინისა და ლოგინის განიავება. გაუფრთხილდით თირკმლებს და საშარდე ბუშტს. სასურველია წელისა და ბარძაყების ვარჯიში ბრუნვითი მოძრაობით.

**ღრიანკალი.** 7-8. სამკურნალო მცენარეების თესვა, რგვა, შეგროვება. ბოსტნეულის თესვა, ოთახის ყვავილების რწყვა. ნიადაგის განოყიერება. ოთახი გაანიავეთ. ფარსმანდუკის აბაზანები მიზანშეწონილია ქალური დაავადებებისათვის. ფეხმძიმეებმა თავი აარიდონ ფიზიკურ დატვირთვას. სექსუალური ურთიერთობისგან სასურველია თავის შეკავება.

**მშვილდოსანი.** 9-10. ხეხილის რგვა, მარცვლეული და პარკოსანი კულტურების თესვა, ნიადაგის განოყიერება. ვაზის შეწამვლა. მიუღებელია ნიადაგის მარგვლა. აუცილებელია ოთახის განიავება, ლოგინის გამზეურება. სასურველია მასაჟი, განსაკუთრებით წელს ქვემოთ. თავი შეიკავეთ დონორობისგან.

**თხის რქა.** 11-12-13. მარგვლა, კულტივაცია, განოყიერება, კომპოსტის მომზადება, ძირნაყოფა ბოსტნეულის თესვა, რგვა. ამ დღეებში ძვალი მყიფეა, ამიტომ ეცადეთ, არ გადაიტვირთოთ, ფრთხილად იმოძრავეთ. შედეგიანია მასაჟი კიდურებზე.

**მერწყული.** 14-15. ნიადაგის დამუშავება, მარგვლა, კულტივაცია, ხეხილის სხვლა, დეკორატიული მცენარეების განოყიერება. არ შეიძლება რგვა, ვინაიდან არ ვითარდება ფესვები. კარგია განიავება, გამზეურება. ორგანიზმი მზად არის წყლის პროცედურებით წრთობისათვის, ფიზიკური და სულიერი სიჯანსაღისათვის.

**თევზები.** 16-17-18. ნიადაგის განოყიერება, მწვანილეულის თესვა, კარტოფილის რგვა, მცენარეებისა და ნათესების რწყვა. დაუშვებელია ხეხილის სხვლა. შესანიშნავი პერიოდია აბაზანებისათვის, მეჭეჭებისა და ბებერების მოსაშორებლად. ადამიანზე ინტენსიურად მოქმედებს ალკოჰოლი, თამბაქო, ყავა. ნუ გადაღლით ტერფებს.

**ვერძი.** 19-20. ფუტკრის, ხეხილისა და ვაზის შეწამვლა პარაზიტულ დაავადებებზე — 25 მაისამდე. ნიადაგის განოყიერება, გაფხვიერება. აუცილებელია განიავება, გამზეურება. გაუფრთხილდით თავის არეს, ნუ გადაღლით თვალებს. მიიღეთ ცილოვანი საკვები, მეტი რაოდენობით ბოსტნეული და ხილი.

**კურო.** 21-22. ძირნაყოფა ბოსტნეულის რგვა, ხეხილზე ზედმეტი ტოტების შეჭრა, კომპოსტის მომზადება, ნიადაგის განოყიერება. განიავება მცირე ხნით. გამზეურება არ შეიძლება. ერიდეთ გაცივებას, განსაკუთრებით კისრის არეში. მიზანშეწონილია სამკურნალო პროცედურები სასქესო ორგანოებზე. მიუღებელია შიმშილი.



**მარჩბივი.** 23-24. მარგვლა, კულტივაცია, ნიადაგის განოყიერება, რწყვა არ შეიძლება. ოთახი გაანიავეთ, ლოგინი გაამზეურეთ, დაასუფთავეთ ბინა. აუცილებელია სუნთქვითი ვარჯიშები. ეცადეთ, ეს დღეები სუფთა ჰაერზე გაატაროთ, რასაც ითხოვს ორგანიზმი. კარგია ორთქლის აბაზანა. სითხე მიიღეთ მცირე ოდენობით.

**კირჩხიბი.** 25-26. პომიდვრის, პარკოსნების, მწვანილისა და ბაღჩეულის რგვა, თესვა. მავნებლებთან ბრძოლა. ოთახის ყვავილების რწყვა, განოყიერება. მიუღებელია ხეხილის სხვლა. მოერიდეთ გაცივებას, ოთახი გაანიავეთ მცირე ხნით. ეფექტურია ორგანიზმის განმენდა წიდებისაგან. მიიღეთ მხოლოდ მსუბუქი საკვები. მავნებელია თამბაქო და ალკოჰოლი.

**ლომი.** 27-28. ნიადაგის გაფხვიერება, მარგვლა. ხეხილის მყნობა. ბოსტნეულისა და ბაღჩეულის თესვა, რგვა. ნიადაგს ნუ გაანოყიერებთ. კარგად გაანიავეთ ოთახი, გაამზეურეთ ლოგინი. ნუ გადატვირთავთ გულს. შეაგროვეთ გულის გასამაგრებელი სამკურნალო მცენარეები. უარყოფითად მოქმედებს თამბაქო, ალკოჰოლი, ყავა და ზედმეტი საკვების მიღება.

*დურმიშხან ყიფიანი*
*მთვარის ასტროლოგიური კალენდრის ავტორი*

## ვაშლს წრიპინა ხმა ჰქონია...



ნებისმიერი ხილი და ბოსტნეული თურმე ხმას გამოსცემს. მეცნიერებმა ზოგიერთი მათგანის ხმა ჩაიწერეს.

ვაშლი საცოდავად წრიპინებს, კიტრის ხმა იმედიანი და მხიარულია. ამ „ენის" გაშიფვრა მომავლის საქმეა, დღეისთვის კი ნათელია — ნებისმიერი საგნის გახმოვანება შესაძლებელია. ამისათვის საკმარისია კიტრი მოვათავსოთ ფოტონების (ელექტრომაგნიტური გამოსხივების ნაწილი) დამჭერ ბადეში. ყველა მაჩვენებელი ძალიან მგრძნობიარე ხელსაწყოებით იწერება, ყოველ ტალღას განსაზღვრული ბგერა, ნოტი შეესაბამება. ასე შეიძლება იდუმალი ხმის მოსმენა.

რა საჭიროა ეს ყველაფერი? — ისმის კითხვა.

— ჩვენ კიტრებს და ვაშლებს ეგზოტიკისათვის კი არ ვახმოვანებთ, — ამბობენ მეცნიერები, — არამედ იმიტომ, რომ ადამიანი დაფიქრდეს: მის გარშემო ცოცხალი გარემოა. ყველაფერი კავშირშია ერთმანეთთან. ჩვენ ადამიანებს საშუალებას ვაძლევთ, მოუსმინონ ვაშლის ან კიტრის ნაჭერს.

ბევრი, ვინც მოისმინა ხილ-ბოსტნეულის ხმა, ამბობს, — საჭმლის გემო უკეთ შევიგრძენითო.

*მეგაპოლის-ექსპრესი №12*



## ლაზერული ეპილაცია – ახალი ტექნოლოგიები

არასასურველი თმების გამოჩენა და მათი ჭარბი რაოდენობა ყველასთვის დიდი პრობლემაა და ადამიანის ფსიქიკას საკმაო ტრავმას აყენებს.

ჯერ კიდევ ახლო წარსულში, მეთოდი, რომელიც შედარებით ეფექტურად აგვარებდა ამ პრობლემას, იყო ელექტროეპილაცია და ელექტროთერმოლიზი. ამ მეთოდის გამოყენების დროს თმის ძირი ზიანდება დაბალი სიმძლავრის და მაღალი სიხშირის დენით. პროცედურა საკმაოდ ხანგრძლივია და მტკივნეული. ხშირად, პროცედურის შემდეგ, კანზე ნაწიბურებიც ჩნდება. შესაძლოა განვითარდეს პიგმენტური ლაქებიც. ამან მკვლევარები აიძულა, ეძებნათ უფრო ეფექტური, კომფორტული და უვნებელი ტექნოლოგიები.

როგორც სხვა მრავალი ინოვაცია, ლაზერის გამოყენება ეპილაციის საშუალებად, შემთხვევით იქნა აღმოჩენილი 10 წლის წინ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად, 1996-98წწ. შეიქმნა რიგი ახალი ლაზერული და სინათლის ტექნოლოგიები ეპილაციისათვის.

სადღეისოდ არსებული ლაზერული საეპილაციო დანადგარებიდან, საყოველთაო აღიარება მხოლოდ რამდენიმემ მოიპოვა. ლაზერული ეპილაცია განსაკუთრებით მოხერხებულია პაციენტებისა და სამედიცინო პერსონალისათვის. იგი ტარდება უკონტაქტოდ და ერთდროულად სხეულის შედარებით დიდი მონაკვეთი მუშავდება. ლაზერული საეპილაციო დანადგარებისთვის მთავარი მოთხოვნაა, თმის მოცილების დროს გარშემომყოფი კანი არ დაზიანდეს.

იმის მიხედვით, თუ რა აპარატით იქნა ჩატარებული ეპილაცია, შედეგიც სხვადასხვაა. დიდ როლს თამაშობს აპარატის მიერ გამოსხივებული ლაზერის სხივის კანში შეღწევის სიღრმე და სითბური ენერგიის ოდენობა.

ლალის ლაზერი, 0,694 მიკრონის ტალღის სიგრძის, წითელ სხივს გამოასხივებს, რომელსაც საკმაოდ დიდი ენერგია გააჩნია. ამის გამო კანი, პროცედურამდე, წინასწარ უნდა გაცივდეს, რათა არ მოხდეს მისი თერმული დაზიანება და დალაქავება. გაცივების პროცესი საკმაო დროს მოითხოვს, რაც პროცედურის მიმდინარეობას ახანგრძლივებს. გარდა ამისა, ლალის ლაზერს ერთ წამში მხოლოდ ერთი იმპულსის გამოცემა შეუძლია, რის გამოც ის „ნელი" ლაზერების რიგს მიეკუთვნება.

იგივე პრობლემები ჩნდება სინათლის სხივით ჩატარებული ეპილაციის დროსაც, როდესაც კანის გაცხელების თავიდან აცილება პრაქტიკულად შეუძლებელია.

ნეოდიმური და დიოდური ლაზერების ბაზაზე საკმაოდ ეფექტური, ახალტექნოლოგიური საეპილაციო აპარატებია შექმნილი. ამ აპარატებით ეპილაცია უმტკივნეულოდ ტარდება, მაგრამ ერთდროულად შეიძლება მხოლოდ 0.5 კვადრატული სანტიმეტრის ფართის დამუშავება, რაც პროცედურას ახანგრძლივებს. კანის თერმული დაზიანება და პიგმენტაცია ამ აპარატებით ჩატარებული ეპილაციის შემდეგ პრაქტიკულად არ ვითარდება.

სადღეისოდ, ყველაზე ფართო აღიარება მოიპოვა ალექსანდრიტის გრძელმა იმპულსურმა ლაზერმა, რომელიც 0,755 მიკრონის ტალღის სიგრძის მქონე სხივს ასხივებს. იგი ყველაზე კომპაქტურ და „სწრაფ" ლაზერად ითვლება მსოფლიოში (5 იმპულსი 1 წამში). ეპილაციის დროს არ არის საჭირო კანის დამატებითი გაცივება, ვინაიდან დანადგარში დამონტაჟებულია გაცივების დინამიკური სისტემა და გამორიცხულია კანის დამწვრობა და დალაქავება.

ლაზერული მახასიათებლების დიდ რაოდენობას, ლამაზად გაფორმებულ სარეკლამო მასალას, ხშირად არაცნობიერ სუბიექტივიზმამდე მივყავართ. ყველაზე მთავარი კი ობიექტური, კლინიკური შედეგებია, რომელთაც ქმედნობიან მსოფლიოს წამყვანი სამედიცინო-კოსმეტიკური კლინიკები, რომლებიც ეპილაციისთვის უვნებელ, ალექსანდრიტის ლაზერს იყენებენ.

სამედიცინო ცენტრი „მედი"
ი. ჭავჭავაძის გამზ. №70
ტელ: 25-02-02; 22-42-73

# გორბაჩოვმა ბუშს პუტინის მოკითხვა გადასცა



ფორმალურად მიხაილ გორბაჩოვი ვაშინგტონის თეთრ სახლს აშშ-ის სახელმწიფო მდივანთან კ. პაუელთან და პრეზიდენტის თანაშემწე კონდოლიზა რაისთან შესახვედრად ეწვია, მაგრამ როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, იმ მომენტში კაბინეტში „შემთხვევით" შეიხედა ჯორჯ ბუშმა. რა თქმა უნდა, ისინი გაესაუბრნენ ერთმანეთს. საუბარი ძირითადად რუსეთ-ამერიკის ურთიერთობას ეხებოდა. სსრკ-ის ექსპრეზიდენტმა „კომერსანტის" კორესპონდენტს განუცხადა — პატარა დიპლომატიური გამარჯვება მოვიპოვე, ბატონმა ბუშმა პუტინთან მალე შეხვედრის სურვილი გამოთქვა, თუმცა ივლისში გენუის სამიტამდე მასთან შეხვედრას არ ფიქრობდაო. გორბაჩოვმა ისიც დასძინა, — მართალია, „კლინტონ-ელცინის პერიოდთან შედარებით დღეს რუსეთ-ამერიკის ურთიერთობა ცოტა შეცვლილია, მაგრამ შესაშფოთებელი არაფერია, უბრალოდ, თეთრ სახლში დემოკრატები რესპუბლიკელებმა შეცვალესო.

კ. პაუელმა გორბაჩოვთან 45 წუთიანი საუბრის დროს სსრკ-ის ექსპრეზიდენტი დაარწმუნა — პრეზიდენტ ბუშს და მის ადმინისტრაციას სურს კარგი, მყარი ურთიერთობა ჰქონდეს რუსეთთანო.

ამერიკაში ათდღიანი ვიზიტის დროს გორბაჩოვი შეხვდა მამა-ბუშსაც და მისგან მიიღო პრემია — „საზოგადოების წინაშე დამსახურებისათვის". თავად გორბაჩოვი პირველად გამოვიდა ჟურნალისტის როლში, თავის ყოფილ პარტნიორს ინტერვიუ ჩამოართვა, რომელიც შევა ფილმში ამერიკის 41-ე პრეზიდენტზე. ფილმს ერქმევა „ხელისუფლების საიდუმლოებანი". ვიზიტის დროს გორბაჩოვმა შეაგროვა სახსრები ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად და რაისა გორბაჩოვას ფონდისათვის.

გორბაჩოვმა, რომელიც ნტვ-ს საზოგადოებრივ საბჭოს ხელმძღვანელობდა, ამერიკაში ვიზიტის წინ განაცხადა, რომ აუცილებლად ისაუბრებდა ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ტელეკომპანიის მომავალზე. ძნელი სათქმელია, განახორციელა თუ არა მან ეს განზრახვა, მაგრამ კრემლის დავალება კი ნამდვილად შეასრულა — პრეზიდენტ ბუშს პუტინის მოკითხვა და, როგორც თვითონ ბრძანა, „კიდევ რაღაც გადასცა". ექსპრეზიდენტმა გადაჭრით იუარა, დაეკონკრეტებინა, — კერძოდ რა.

*კომერსანტი №74*

# რუსეთი — რადიოაქტიური ნარჩენების სასაფლაო

რამზის ფაიზულინს ბედმა არ გაუღიმა, როდესაც 16 წლის წინ ურალის ღარიბ სოფელ ნოვაია კურმანოვაში დაიბადა. მეზობელი სოფლის მაიაკის ახლოს მდებარე ქარხანაში რადიაციული საწვავის გადამუშავება ხდებოდა. დაბადებიდან რამზისს ძვლების სისუსტე, სისხლნაკლებობა, ნერვული აშლილობა დაჰყვა და ყოველივე ეს ექიმების თქმით, ქარხნის „დამსახურებაა". ყველამ იცის, რას ნიშნავს „რადიოაქტიური ნარჩენები" ადამიანისთვის. ხალხი შეაშფოთა რუსეთის ატომური სამინისტროს გადაწყვეტილებამ — ქვეყნის სხვადასხვა ადგილი უცხოური რადიოაქტიური ნარჩენების სასაფლაოდ უნდა იქცესო.

დეკემბერში ფაიზულინმა პრეზიდენტ პუტინს მისწერა: კმარა, მოსკოვში დამარხეთ ეს ნარჩენები. აღარ გვსურს ავადმყოფი შვილები გაგვიჩნდესო. დღეისათვის რუსული კანონმდებლობა კრძალავს უცხოური რადიოაქტიური ნარჩენების ქვეყანაში შეტანას, თუმცა ამის დამშვები ახალი კანონი ატომის სამინისტრომ უკვე წარუდგინა სახელმწიფო დუმას. თუკი ეს კანონი მიიღეს, მაშინ რუსეთი რადიაციულ სასაფლაოდ იქცევა. რადიაციის პრობლემებზე მომუშავე ექსპერტები წლების მანძილზე ეძებდნენ ისეთ ქვეყანას, რომელიც რადიოაქტიურ ნარჩენებს მიიღებდა. საამისოდ შესაფერისი იყო ავსტრალიის მდგრადი ტექტონიკური გარემო, დიდი ფართობის სწორი, დაუსახლებელი ტერიტორიები, მაგრამ ამ იდეას კონტინენტის მთელი მოსახლეობა აღუდგა წინ. რუსები, კი რა საოცარიც არ უნდა იყოს, 20 მილიარდი დოლარის საფასურად სიხარულით დათანხმდნენ (აქედან 30% ნარჩენების დამარხვას მოხმარდება). ამასთან, კრემლის რწმუნებით, უამრავი სამუშაო ადგილიც შეიქმნება. დღემდე 150 000 ტ რადიაციული საწვავია წარმოებული. ხოლო ყოველ წელიწადს მას ემატება ამ რაოდენობის 10%. ნარჩენების განადგურება პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ საჭირო ხდება მისი დამარხვა, მაგრამ ისეთი კონტეინერებით, რომ 10 ათასი წლის მანძილზე ვერ მოერიოს ვერანაირი მიწისძვრა, ხანძარი, წყალდიდობა თუ სხვა ბუნებრივი ან ხელოვნური კატაკლიზმები.

ჯერჯერობით, ასეთი კონტეინერების შექმნა წარმოუდგენელია. რუსები აცხადებენ, ჩვენ შეგვიძლია იმდენ ხანს შევინახოთ ნარჩენები, რამდენიც საჭიროაო.

1949 წელს საბჭოთა კავშირში აშენდა რადიოაქტიური ნარჩენების პირველი გადამამუშავებელი (კონტეინერებში ჩამტვირთველი) ქარხანა. მაშინ კონტეინერებს ქარხანასთან ჩამომდინარე ტეჩაში ძირავდნენ. რამდენიმე წელიწადში რადიოაქტიურმა ნარჩენებმა კონტეინერებიდან ჟონვა იწყო და მდინარის ნაპირებზე, სოფლებში გახშირდა ლეიკემია და სხვა „რადიაციული" დაავადებები. კრემლში „ბრძნული გადაწყვეტილება" მიიღეს — ტეჩა, იმ ადგილას, სადაც რადიაციული კონტეინერები ჩაძირეს, დააგუბეს და მას ყარაჩაის ტბა უწოდეს. 1967 წელს ამ ადგილებში ძალზე ცხელი ზაფხული იდგა და ყარაჩაის ტბაც დაშრა, ხოლო რადიოაქტიური მტვერი შორეულ სოფლებსა და ტყეებს მოეფინა.

ექსპერტების აზრით, „ნარჩენების შენახვის საშიშროებაზე" არანაკლებ სახიფათოა მისი ტრანსპორტირებაც. რუსეთში ნარჩენებს რკინიგზით გადაიტანენ, ეს კი არცთუ მდგრადი ინფრასტრუქტურაა. ლიანდაგის უმეტესობა მოძველებულია და სასწრაფოდ შესაკეთებელი. რუსეთში გახშირებულია ყაჩაღობა. შესაძლოა ბანდიტებმა რადიოაქტიური მატარებელიც გაიტაცონ. ასე რომ, საშიშროება, რომელიც რუსეთში უცხოური რადიოაქტიური ნარჩენების შენახვას მოსდევს — შეიძლება არა მარტო რუსულ, არამედ მსოფლიო საფრთხედაც იქცეს.

*ნიუ ზუიქი*

## კვირის ფრაზა

ადამიანის ჭკუაზე, პასუხზე მეტად, მის მიერ დასმული კითხვა მეტყველებს

*ალფრედ კოხი*

# ჩინეთში ერთ დღეში 100-ზე მეტი ადამიანი დასაჯეს



ჩინეთის პრესა, რადიო და ტელევიზია აღფრთოვანებით იუწყება იმ კამპანიის შედეგებზე, რომელიც მთავრობამ და კომპარტიამ დაიწყო აპრილის შუა რიცხვებში. მისი მიზანია ორგანიზებული დანაშაულის ზრდის შეჩერება. „გამანადგურებელი დარტყმა" მიაყენეს არა მარტო ბანდიტურ დაჯგუფებებს, კორუმპირებულ მაღალჩინოსნებს, არამედ წვრილმან ქურდებს, რომლებსაც საჩვენებელი დამსჯელი კამპანიების დროს ხშირად სიკვდილით სჯიან.

ორი კვირის წინ ყველაზე სისხლიანი ფურცელი ჩაიწერა ჩინეთის სიკვდილის დასჯის ისტორიაში. მარტო ერთ დღეში სიკვდილით დასაჯეს 113 დამნაშავე, კორუმპირებული ჩინოვნიკი, ქურდი. 11 აპრილის შემდეგ, როცა ყველა პროვინციის სასამართლომ მიიღო სიკვდილით დასჯის ბრძანება, 260 ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს, კიდევ 72 ელის სასჯელს.

სისხლიანი კვირის რეკორდსმენი გახდა ქალაქი ჩუნცინი, აქ ქალაქის სტადიონზე საჯაროდ დახვრიტეს 55 ადამიანი. დასჯას ტელევიზიით გადასცემდნენ. რამდენიმე დღით ადრე კი იმავე სტადიონზე დახვრიტეს 28 ნარკოვაჭარი. ამას თვალყურს ადევნებდა იქ მყოფი 30 ათასი ადამიანი და 10 მლნ ტელემაყურებელი.

სასიკვდილოდ განწირულებს თვალახვეულებს აჩოქებენ და კეფაში ესვრიან. თუ მათი ნათესავები ცხედრის წაღებას მოინდომებენ, უნდა გადაიხადონ სასიკვდილო განაჩენის აღსრულების ხარჯები. ამას ითვალისწინებს კომუნისტური ჩინეთის კანონი.

*ლა რეპუბლიკა*

# ამჟამად რომელ ღილაკს დააჭერთ თითს?

*მას შემდეგ, რაც მეოთხე არხზე გუნდი შეიცვალა, ტელევიზიაში ორი ნტვ გაჩნდა — ძველის ნარჩენი და ტვ-6-ზე ჯერ კიდევ მშენებარე ახალი.*

**ევგენი მატვეევი,** რეჟისორი, მსახიობი: — ადრე ნტვ საინტერესო იყო, მაგრამ ახლა კისელიოვის გუნდს აღარ ვუყურებ. ამ გონიერმა ხალხმა თავი იმგვარად წარმოაჩინა, რისი დანახვაც მე არ მინდოდა. ყველაზე დიდი საშინელება კი ისაა, რომ დემოკრატიის მოშველიებით ისინი მუჯლუგუნებით მიერეკებიან ტვ-6-ის გუნდს. ძალიან გამიცრუეს იმედები.

**მიხეილ მამიაშვილი,** რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს არმიის სპორტული კლუბის უფროსი: — იმ ღილაკს, სადაც ნაკლები ანტირუსული პროგრამაა... არ ვნახავ ფილმს, რომელშიც უსახური სტალონე ავღანეთში ჩვენი არმიის ნახევარს ანადგურებს შიშველი დანით, არც შვილებს ვანახვებ. ვინც ამგვარ ფილმებს უშვებს — სამშობლოს მოღალატეა. რუსეთს დახმარება სჭირდება და არა ლაფში ამოსვრა.

**ვლადიმირ პლატონოვი,** მოსკოვის საქალაქო დუმის თავმჯდომარე: — იმას, რომელზეც იქნებიან ნტვ-ს ძველი გუნდის წევრები. სამწუხაროა, რომ ახლა მაღალხარისხიანი ახალი ამბების ნაცვლად ძველ ფილმებს და მულტფილმებს გვთავაზობენ.

*ვლასტ №16*

# შეუძლია დიდ ბრიტანეთს პლანეტის მესამედის მოწამვლა?

თურქულმა დიდ საფიქრალში ჩააგდო ბრიტანეთის პრემიერი ტონი ბლერი. მისი კაბინეტის ყველა გადაწყვეტილებას, რაც კი თურქულთან ბრძოლასთანაა დაკავშირებული, საზოგადოება მტკივნეულად განიცდის. ბლერის პოპულარობამ ძალიან იკლო.

ბრიტანულმა გაზეთმა „ინდეფენდენტ ოვ სანდიმ" მეცნიერ-ეკოლოგთა სენსაციური განცხადება გამოაქვეყნა იმ ზიანთან დაკავშირებით, რომელსაც გარემოს აყენებს თურქულით დაავადებულ ცხოველთა დაწვა. „კრიზისის პირველი 6 კვირის განმავლობაში, როდესაც დაწვეს 500 000 პირუტყვი, ატმოსფეროში 63გ დიოქსინი გამოიყო. გარემოსა და ადამიანზე ზემოქმედების თვალსაზრისით, ეს უთანაბრდება 88გ განსაკუთრებით ტოქსიკურსა და საშიშ ნივთიერებებს, რომლებსაც წლის მანძილზე გამოჰყოფენ ქვეყნის ყველაზე მსხვილი სამრეწველო ცენტრები.

ეს იმას ნიშნავს, რომ დიდ ბრიტანეთში პირუტყვთა დაწვის შედეგად ატმოსფეროში გამოყოფილი დიოქსინი საშიშია პლანეტის მოსახლეობის ნახევრისთვის.

ახლა ბლერის მთავრობას აკრიტიკებს ყველა, ვისაც კი არ ეზარება. ფერმერებსა და ტურისტული ინდუსტრიის მუშაკებს, რომლებმაც მილიონები იზარალეს და მთავრობისაგან კომპენსაციას ითხოვენ, ცხოველთა დამცველები შეუერთდნენ. მათ დაუნინგ



სტრითზე, ინგლისის პარლამენტის შენობის წინ მოაწყვეს დემონსტრაცია მოთხოვნით — შერბილდეს თურქულთან ბრძოლის პოლიტიკა, რომელსაც ეწირება როგორც ავადმყოფი, ასევე ჯანმრთელი პირუტყვი.

ნისლიანი ალბიონის მცხოვრებლებს ფსიქოლოგებიც კი ვერ ამშვიდებენ, დღედაღამ მუშაობს სატელეფონო ფსიქოლოგიური დახმარება დეპრესიაში ჩავარდნილთა ნუგეშის საცემად, ასე რომ, ლეიბორისტებს მომავალ არჩევნებში გამარჯვება ძალიან გაუჭირდებათ.

*ნოვიე იზვესტია №75*

# კვებეკის სამიტი თითქმის ჩაიშალა



კანადის ქალაქ კვებეკის ხელისუფალნი შიშით ელოდნენ ამერიკის სახელმწიფოთა 34 ლიდერის შეხვედრას, რომელზეც უნდა გადაწყვეტილიყო თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნა დასავლეთ ნახევარსფეროს ორი კონტინენტის მასშტაბებში. შიშით იმიტომ ელოდნენ, რომ ამ იდეას არ იზიარებენ ვაჭრობისა და ეკონომიკის გლობალიზაციის მოწინააღმდეგეები, რომელთა აზრით, ეს აზარალებს ღარიბ ქვეყნებს.

სასახლეს, სადაც სამიტი ტარდებოდა, 30 ათასზე მეტი დემონსტრანტი შემოერტყა, სამჯერ მეტი, ვიდრე სპეცსამსახურები ვარაუდობდნენ. როცა მათი აგრესიულობა ყოველგვარ ზღვარს გასცდა, პოლიცია იძულებული გახდა, ცენტრალურ ქუჩებში კვამლი გაეშვა. 150 ადამიანი დააპატიმრეს, საავადმყოფოში წაიყვანეს 54 დემონსტრანტი და 34 პოლიციელი.

დემონსტრანტებს სურდათ სამიტის მონაწილეთა ყურადღება გაემახვილებინათ იმაზე, რომ ამ სუპერპროექტით მხოლოდ მდიდრები მოიგებენ, რომლებსაც არც ისე აკლიათ სიმდიდრე. როგორც ჩანს, მათმა ხმამ მექსიკის პრეზიდენტამდეც მიაღწია. „თავისუფალი ვაჭრობა ვერ უშველის ჩვენი კონტინენტის სიღარიბეს," — თქვა მან. პრეზიდენტს მხარი აუბა ჯორჯ ბუშმაც... „აქ იმიტომ ვარ, რომ დარბაზში მსხდომებსაც მოვუსმინო და ქუჩაში მყოფ დემონსტრანტებსაც, მოდით დავიწყოთ კონსტრუქციული დიალოგი და ერთად ვიზრუნოთ ამერიკის აყვავებისათვის".

კანადის პრემიერ-მინისტრი ჟან კრეტიენი შეეცადა დაძაბულობის შენელებას — ყველა ქვეყნისთვის სასურველი გადაწყვეტილების მიღებამდე დიდი დრო გვაქვს, ორივე ამერიკის თავისუფალი სავაჭრო ზონის შესაქმნელი დოკუმენტები 2005 წლისთვის უნდა იყოს მზადო — თქვა მან. ევროკავშირის მსგავსად ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის გაერთიანების სუპერპროექტის რეალიზაციამდე დიდი დროა, მაგრამ დემონსტრანტები არ ცხრებიან და აცხადებენ, რომ არაფრით არ დაუშვებენ სუპერპროექტის განხორციელებას.

*იზვესტია №72*

# ფხენიანს ატომური ბომბი აქვს...

ვაშინგტონში გამოქვეყნდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მოხსენება, რომელსაც დიდი ალიაქოთი მოჰყვა. დირექტორის მოადგილე ჯ. მაკლაფლინი ირწმუნება: „ჩრდილოეთ კორეას აქვს ერთი ან ორი ბომბი, აგრეთვე ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღი". ცხადია, ოპერაციის დეტალებს, რომლის მიხედვითაც გამოიტანეს ეს დასკვნები, მაკლაფლინი არ ამჟღავნებს. ისიც ცხადია, რომ მსგავს განცხადებას ცსს-ის დირექტორის მოადგილე უსაფუძვლოდ არ გააკეთებდა.

მაკლაფლინის თქმით, ნათქვამის დასადასტურებლად ის ფაქტიც გამოდგება, რომ ჩრდილოეთ კორეა დღემდე დახურულ ქვეყნად რჩება. სახელმწიფო, რომელიც მტკიცე ნაბიჯებით მიემართება ნათელი მომავლისაკენ, წინ მშიერი მიიწევს. ოფიციალური ხელისუფლება უარყოფს, რომ ჩრდილოეთ კორეას აქვს ატომური ბომბი. ახლაც კი, ქვეყანაში საერთო შიმშილის პირობებში, ჩრდილოეთ კორეის ხელმძღვანელობა განაგრძობს იმის მტკიცებას, რომ იგი ალმავლობის გზაზეა. ამასთან, ფხენიანი სულ „იმპერიალისტი თავდამსხმელების" მოლოდინშია და ბუნებრივია, კარგად უნდა შეიარაღდეს, რის უფლებასაც თავს მხოლოდ ზესახელმწიფოები აძლევენ. სპეციალისტების აზრით, რომლებსაც ჩრდილოეთ კორეაში ყოფნის საშუალება ჰქონდათ, იქ უკვე ათეულობით წელია მოიპოვებენ ურანს. სპეციალისტებს ბევრს არაფერს უხდიან, ბომბის შესაქმნელად



...მაგრამ სურსათზე რიგი მაინც არ თავდება

საჭირო სქემები და ნახაზები ინტერნეტშიც კი არის.

მაკლაფლინის მტკიცებით, იმის მიუხედავად, რომ ბალისტიკური რაკეტების წარმოებაზე მორატორიუმია გამოცხადებული, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა განაგრძობს კვლევით სამუშაოებს ამ დარგში. კორეელი ინჟინრების მიერ შექმნილი რაკეტა „ნოდონი" დროდადრო ჩნდება პაკისტანსა და ირანში. მაკლაფლინის თქმით, ჩრდილოკორეელი მეცნიერები ახლა რაკეტის მატარებლებზე მუშაობენ, რომელთაც აშშ-ის ტერიტორიამდე მიღწევა შეეძლებათ.

სენსაციურ მოხსენებას ჯერჯერობით არ გამოხმაურებიან ჩრდილოკორეელები.

*კომსომოლსკაია პრავდა №79*

## მოკლედ

**აშშ-ის პრეზიდენტმა** ჯორჯ ბუშმა მიიღო გადაწყვეტილება ტაივანისთვის იარაღის მსხვილი პარტიის მიყიდვის თაობაზე. პრეზიდენტის გადაწყვეტილება ამერიკის პოლიტიკაში სერიოზულ ცვლილებებს გამოიწვევს.

**უკრაინის** უმაღლესმა რადამ განიხილა მთავრობის ნდობის საკითხი. პრემიერ-მინისტრი ვ. იუშჩენკო გადაყენებულია, უკრაინა ელის ახალ პრემიერს, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობის 10 წლის განმავლობაში, რიგით მეთერთმეტე იქნება.

**მძიმე როკის** მოყვარული ძიუნიტირო კოიძუმი იაპონიის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე შეცვლის იოსირო მორის. 59 წლის კოიძუმი ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი იყო.

**მოსახლეობის** უკანასკნელი აღწერის თანახმად, ინდოეთში 1 მლრდ ადამიანი ცხოვრობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქვეყანა, რომელსაც ჰქვია „მაგრამ“...



უზარმაზარ რეზინის ყვითელ ბურთზე წამოსკუპებული კეთილი „სპილო“ სიცილით მიმტკიცებს — ბურთზე კი არა, უცხოეთიდან მეგობრების მიერ გამოგზავნილ სკამზე ვზივარო. მე კი არ მჯერა...

არც ზღაპარს მოგითხრობთ და არც რეპორტაჟს გთავაზობთ ზოოპარკიდან. „სპილო“ — ბევრისთვის საყვარელი კომპოზიტორი და მომღერალი **რომან რცხილაძეა**.

პატარაობიდანვე პიანინოს თეთრ კლავიშებზე გადაგებულ „მოცარტასა“ და „ბეთხოვენას“ საკმაოდ არამუსიკალური მეტსახელი შემორჩენია და მის მუსიკალურ ალბომსაც გოლიათი და უწყინარი სპილოს გამოსახულებიანი ემბლემა ამშვენებს. 1968 წლის შემდეგ „მისი აღმატებულება მუსიკის“ მსახური, ორი მშვენიერი ალბომის პატრონი თავის შემოქმედებას უვერტიურას უწოდებს და სნავლას თურმე ანი ინყებს. მომავლისთვის ძალიან საინტერესო რამეს გვპირდება, თუმცა, ჩანაფიქრს ჯერ არ გვიმხელს. მის ძალიან ლამაზ და თბილ ოჯახში სტუმრობისას კეთილმა გოლიათმა გამანდო:

— სხვა სპილოთა შორის ბედნიერი გამონაკლისი ვარ, თაგვების არ მეშინია (იცინის). ღმერთმა დიდი წყალობა მოიღო ჩემზე, ცხოვრების ძვირფას თანამგზავრს შემახვედრა და დღემდე მე და ნინოს სიყვარული გვმფარველობს... და ბედნიერი ვარ იმითაც, რომ ვაკეთებ საქმეს, რომელიც ვიცი და ძალიან მიყვარსო.

*გონებაში გახმიანდა: „სიყვარული რომ არ ყოფილიყო, რა იქნებოდა ცხოვრება ჩვენი...“ და ამ სტრიქონებითვე მივმართე ბატონ რომანს.*

— სამწუხაროდ, დღეს სიყვარული თითქოს სადღაც დაიკარგა და ცხოვრებაც მძიმე გახდა. საქართველოში ყველაფერი უსიყვარულოდ კეთდება... იგრძნობა, როგორ მივავიწყდათ სამშობლო... სამწუხაროა, მაგრამ სუხიშვილებიც კი უმუშევრები სხედან. ადამიანი მაშინაა შემოქმედი, როცა ქმნის. ჩვენთან შემოქმედი უმოქმედობით კვდება. როცა სიყვარულზეა ლაპარაკი, ამით თითქოს სიძულვილზე ვმაღლდები და მწამს, სიყვარული ჰაერივითაა, ყველას რომ გვჭირდება...

***— როგორც თქვენი მომღერალი კოლეგები გვარწმუნებენ, „სიყვარული დაფრინავს“. თქვენც ასე ფიქრობთ?***

— დაფრინავს, მაგრამ ყველასათვის არა. ზოგიერთი ცივი და სასტიკია, ხელს რასაც შეახებს, თითქოს სიცოცხლეს ართმევს. მათ გვერდით სიყვარულით სავსე ადამიანები იტანჯებიან. ამ უკანასკნელთა შორის მეც მიწევს ყოფნა. ძნელია პროფესიონალ დილეტანტთა გარემოცვაში ყოფნა. თუმცა მწამს, რომ საბოლოოდ ყველაფერი კარგად იქნება და სიყვარული მართლა აგვამაღლებს.

***— პროფესიონალ დილეტანტებს მხოლოდ თქვენს სფეროში გულისხმობთ?***

— არა, ყველგან... თუნდაც ჩვენი ფეხბურთის ეროვნული ნაკრების მატჩი გავიხსენოთ. დამთავრდა თამაში და თითქოს არაფერი მომხდარა. არადა, ტრაგედიაა. ბიჭებს ცალ-ცალკე არ ვამტყუნებ, მაგრამ გუნდი არ თამაშობდა სტადიონზე. ყველა თავისთვის დარბოდა... ჩვენთანაც, მუსიკაში და ყველა სხვა სფეროშიც ასეა, ყველანი ცალ-ცალკე ვარსებობთ და არა ერთად, ერთმანეთისთვის. ახლახან გია გაჩეჩილაძე („უცნობი“) ჩამოვიდა ამერიკიდან. ჰოლივუდში გადაღებული ბრწყინვალე კლიპი ჩამოიტანა. მითხრა, ლას-ვეგასში 100-მდე ქართული ოჯახი ცხოვრობს მეზობლად და ერთმანეთს ძირს უთხრიანო... აქაც ხომ ასეა.

დიდი ხანია ცუდი ზნე გვჭირს და სანამ არ გავთავისუფლდებით ბოღმისა და ღვარძლისაგან, არაფერი გვეშველება. ეს მუსიკასაც ეხება და მედიცინასაც. როგორ შეიძლება ექიმმა, თუ ფულს ვერ მისცემ, გაგწიროს... უნდა ვირწმუნოთ, რომ უერთმანეთოდ ვერ გავიხარებთ. თუ რაღაც არ მოგვწონს, მიზეზი ისევ საკუთარ თავში ვეძებოთ და სხვას ნურაფერს დავაბრალებთ. თუმცა, ჩვენ ირგვლივ პროფესიონალი დილეტანტები ისე სწრაფად მოღონიერდებიან ხოლმე, თითქოს ვიღაც საგანგებოდ ზრუნავს მათზე, რადგან ნაღდ პროფესიონალებს თითის დაქნევით ვერაფერს აიძულებენ.

***— არადა დამღუპველია მუსიკაში დილეტანტიზმი...***

— ფაქტია, ასეა. მუსიკა სულების სასაუბრო ენაა. კომპოზიტორიცა და შემსრულებელიც ამ საოცარი ენით ესაუბრება მსმენელს და არა მარტო ესაუბრება, ახალი ენერგიით მუხტავს და ავსებს მათ. თაობები ირყვნებიან. ცნობიერების დაბინძურებაზე აღარაფერს ვამბობ. თუმცა, მუსიკაში ახალმა თაობებმა წარმატებასაც მიაღწიეს — უნდათ, თავიანთი სიტყვა თქვან. მაგრამ მათ მოქმედებას სწორი მიმართულება უნდა მიეცეს... მე და ჩემი მეგობრები, კოლეგები „ომს ვუცხადებთ“ ყველანაირ ჩანაწერს, მინუსს და პლუსს, რისი წყალობითაც გვიტოლდებიან უნიჭო მომღერლები და კონცერტებსაც მართავენ. ყველამ უნდა იმღეროს პირდაპირ სცენაზევე და მაშინ გამოჩნდება, ვინ ვინ არის...

***— ქართული რადიოარხების შესახებ რას იტყვით... ზოგჯერ ეგენიც ხომ არ უწევენ დილეტანტებს რეკლამას...***

— ქართული რადიოარხები ძალიან დიდ საქმეს აკეთებენ. გულდასაწყვეტია, რომ „ფორტუნას“ გარდა მთელი საქართველო ვერ უსმენს სხვა არხებს. მართალია, რეპერტუარში მოიკოჭლებენ, მაგრამ რა ქნან, რაც აქვთ, იმას უშვებენ. როცა ყველაფერი მოწესრიგდება, ეს პრობლემაც შეუმჩნევლად გაქრება. მთავარია, საქმის კეთება გვიყვარდეს, თორემ უსიყვარულოდ არც ნაყოფი იქნება და ვერც სიამოვნებას მივიღებთ.

***— თქვენს „ნატვრის ხეს“ ხშირად ღიღინებენ თქვენი თაყვანისმცემლები და მეც. ეს სიმღერა მგონი, მშვენიერ ამბავს უკავშირდება...***

— არა მარტო „ნატვრის ხე“, სხვა სიმღერებიც რაღაც განსაკუთრებულ მოვლენას უკავშირდება. მერე, სანამ ღრმად არ დავრწმუნდები, რომ სიმღერა გავლენას მოახდენს მსმენელზე და გაძლებს, მანამ არ გამომაქვს სამზეოზე. „ნატვრის ხე“ სიზმარში დაიწერა. ვნახე დაბერებული და ნატვრებით დაღლილი ნატვრის ხე, რომლის უკანაც საოცარი ხასხასა მწვანე მოლი იყო. „ნოსტალგია“ 9 აპრილის შემდეგ, სულ მალე, 15 აპრილს დაიწერა. ასე გამოვხატე მაშინ ჩვენი ტკივილი. „ნატვრის ხე“ მარტო მე არ მეკუთვნის, ყველას ეკუთვნის. ამიტომაც არის ჩემთანაც და სხვის რეპერტუარშიც კონკურსგარეშე.

***— თავად რას შეევედრებით „ნატვრის ხეს“?***

— ჩემი ახლობლების 90% საქართველოდან წავიდა. ნორმალურ საქართველოში მარტო ჩემმა შვილებმა კი არა, მეც მინდა მოვესწრო ცხოვრებას. მაგრამ ისე კი არ მინდა, რომ მარტო ვიოცნებო, გულზე ხელები დავიკრიბო და ველოდო სხვა როდის ინვალებს და შეძლებს რაღაცის გაკეთებას. მეც ვმუშაობ, ვქმნი... ამიტომაც მინდა აქ დაფასდეს ჩემი მუსიკა და არ მინდა, არაერთი დიდებული ქართველივით, იმქვეყნად წასვლის შემდეგ მომაგონ პატივი. ვიცი, ტყუილად არ ვარ მოსული ქვეყნად, ჩემს სათქმელს მუსიკის ენით ვამბობ... ჰოდა, ჩემი შემოქმედების სულ მცირე დაფასებას ვითხოვ...

***— დაფასებაში კერძოდ რას გულისხმობთ?***



„ნატვრის ხე“ სიზმარში დაიწერა. ვნახე დაბერებული და ნატვრებით დაღლილი ნატვრის ხე, რომლის უკანაც საოცარი ხასხასა მწვანე მოლი იყო. „ნატვრის ხე“ მარტო მე არ მეკუთვნის, ყველას ეკუთვნის.

— ფული ეშმაკეულია, მაგრამ უმთავრესი ფაქტორია ცხოვრებისათვის და, მით უმეტეს, შემოქმედების გასავითარებლად. იმის პირობები უნდა შეგვექმნას, რომ სამართლიანი გზით, საკუთარი ნიჭისა და გარჯის წყალობით ბევრი მდიდარი ადამიანი იყოს ამ ქვეყანაში. ორი ალბომი გამოვუშვი, ორივეს უმაღლესი შეფასება მიეცა... წესიერ ქვეყანაში თითოეული 10 მილიონ დოლარს მარტო მოგებას მომიტანდა, მაგრამ...

***— მე კი თქვენთან ინტერვიუსთვის 2 ათასი დოლარის გადახდა მაინც დამჭირდებოდა...***

— (იცინის). ალბომშიც არაფერია შემოსავალი, ინტერვიუებსაც უფასოდ ვაძლევ და რა გამოდის? 1968 წელს, როცა ანსამბლ „ციცინათელაში“ მივედი, პირველად ურთიერთობა ვახტანგ კუციასთან მომიწია. აგერ ახლა, ნაადრევად წავიდა ეს დიდებული კაცი და მასაც ისეთივე ტკივილი გაჰყვა, როგორიც ბევრ სხვას. მეც ასე უნდა დამემართოს?..

***— „რადიო-2-ში“ ხშირად იმეორებენ თქვენს „საფირმო“ ფრაზას — „დროს არ უნდა გაუსწრო, დროს უნდა დახვდე“. ერთი ხანობა თქვენი მეტოქეობაც გადავწყვიტე, მეც ვაფრქვევდი ჩემს აზრებს ამ არხზე ტელეფონის საშუალებით. უთუოდ ფილოსოფოსობაც გიზიდავთ.***

— სულ ვფიქრობ, გამუდმებით ვფილოსოფოსობ... ინტუიციით ვახერხებ ადამიანის შინაგანი ბუნების ამოცნობას მისი თვალებით, სიარულით, ფრჩხილებით და სუნით...

***— ამ თქვენს განსაკუთრებულ თვისებებს მხოლოდ ადამიანების ამოსაცნობად იყენებთ?***

— არა, კატასტროფასაც გადავურჩი, სხვათა შორის, ჩემი აბსოლუტური სმენის წყალობით. ვარშავიდან მოსკოვში მოვფრინავდი, თვითმფრინავის ძრავა რომ ჩაირთო, ხმები არ მომეწონა და ცუდი წინათგრძნობაც გამიჩნდა. ავტეხე ერთი ამბავი აფრენამდე. მართლაც, ავარიულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ძრავა. მერე მფრინავებმა მადლობის ნიშნად შამპანურიც გამომიგზავნეს.

***— კარგა ხანია გაკვირდებით, კისერზე ქვა გაქვთ ჩამოკიდებული თუ მედალიონია?***

— ეს ამერიკიდან ჩამომიტანა თემურ თათარაშვილმა. არ ვიცი, რა ჰქვია, მაგრამ იშვიათი ქვაა, ადამიანს იცავს... თუმცა, მე სიყვარულზე დიდი მფარველი არასდროს მყოლია.

***— წინათ ანსამბლებში მღეროდით. ახლა — არა. როგორ ირჩევთ პარტნიორს?***

— მე დიდ ხელოვანთა გვერდით ვიზრდებოდი. ჯანო ბაგრატიონის, ნოდარ დუმბაძის, თვით დიდი სერგო ზაქარიაძისა და ეროსი მანჯგალაძის გვერდით ყოფნა უდიდეს ბედნიერებას მანიჭებდა. საკმაოდ დაახლოებული ვიყავი მირონოვთან, ვისოცკისთან (ერთ სტუდიაშიც ვმუშაობდით და „პახმელიაზეც“ ერთად გამოვდიოდით).. მაშინ მე ვსწავლობდი, ახლა ჩემი პარტნიორები სწავლობენ ჩემ გვერდით. გვინდა თუ არა, ეს ასეა: მე ვირჩევ მათ. არ მიყვარს არანაირი დისკომფორტი...

***— ამბობენ, საერთაშორისო ბაზარზე ქართულენოვანი მუსიკა არ სჭირდებათო. თქვენ როგორ ფიქრობთ?***

— აღმოსავლური მუსიკა თუ მიიღეს, რა, ქართულზე უკეთესია მათი ენა? იმ ქვეყნებში საქმეს პრაქტიკულად უდგებიან. უამრავ ფულს ხარჯავენ ორმაგი მოგების სანახავად. ჩვენთან ამაზე არ ფიქრობენ, სიგარეტის ბიზნესი ურჩევნიათ. საქართველოში პირველ რიგში ყველაფერი თავის ადგილზე უნდა დალაგდეს. არ შეიძლება ყველაფრის ერთ თაროზე შემოლაგება, ყველას ერთნაირად შეფასება. როცა ეს პრობლემა მოგვარდება, მერე უკვე იმას, ვინც ღირსია, უნდა ჩააცვა, დაახურო, ჩაუწერო, გადაუღო, ვარსკვლავი შექმნა და მერე უზარმაზარ მოგებას მოგიტანს...

***— ჰო, მაგრამ...***

— აი, მაგ „მაგრამს“ უნდა გამოვუცხადოთ ომი. საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც ჰქვია „მაგრამ“. ასე არ შეიძლება გაგრძელდეს. მე არ მივდივარ და არ ვრჩები სხვაგან იმის გამო, რომ ჩემი შრომის შედეგის იმედი მაქვს საქართველოში. ჩავდივარ სხვაგან, კონცერტებს ვატარებ, მაგრამ იქ დარჩენას რა აზრი აქვს? ჩემი და ჩემისთანების აქ ყოფნა აუცილებელია — ყველაფერი ჩამოსაყალიბებელია: ინსტიტუტი, პრინციპები, სისტემა, როგორც ყველა სფეროში, ისე მუსიკაში. სანამ ვაკუუმი იქნება, არაფერს ჩვენ მიერ შექმნილს ფასი არ ექნება საერთაშორისო ბაზარზე...

*ეკა ლომიძე*


## ანთებითი დაავადებები გინეკოლოგიაში

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სტატისტიკის თანახმად, მცირე მენჯის ორგანოების ანთებით პროცესებთან დაკავშირებით დაავადებები ქალებში, პათოლოგიების საერთო რიცხვის 37%-ს შეადგენენ.

გინეკოლოგიაში ანთებითი პროცესების რამდენიმე მიზეზი არსებობს. 83%-ს მიკროორგანიზმებით გამოწვეული ინფექციები შეადგენენ. 12%-ს კი – ჰიპოთერმია და 5%-ს საშვილოსნოს შიდა ინფექციები იწვევს.

სადღეისოდ, უახლესი აპარატურისა და მეთოდიკის წყალობით, დიაგნოსტიკა სირთულეს აღარ წარმოადგენს. პრობლემა თვითონ ქალის დამოკიდებულებაა საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ. ხშირად, დაავადების პირველი სტადია უსიმპტომოდ მიმდინარეობს. თუკი მწვავე ფაზაში ადგილი აქვს დამახასიათებელ გამონადენს, ტკივილებს საკვერცხეებისა და გავა-წელის არეში, ფარულ პერიოდში და ქრონიკულ ფაზაში ჩამოთვლილი სიმპტომები პრაქტიკულად არ აწუხებს პაციენტს. სამწუხაროდ, მათი შედეგები მეტად არასასიამოვნოა; ქრონიკული ანთებითი პროცესები, მათ შორის ენდომეტრიტი, ადნექსიტი (სალპინგიტი), პარამეტრიტი და სხვა, საბოლოოდ უნაყოფობის ძირითადი მიზეზი ხდება. ამ გზით გამოწვეული უშვილობა საერთო რიცხვის 67%-ს შეადგენს.

დროული დიაგნოსტიკა და მკურნალობა ამგვარი პათოლოგიების უმთავრესი პროფილაქტიკაა.

სამედიცინო ცენტრში „ექიმი გილი“ დანერგილია და შემუშავებულია გინეკოლოგიური დაავადებების, უმთავრესად ანთებითი პროცესების მკურნალობის მსოფლიოში წამყვანი მეთოდიკა.

ამ მეთოდიკის მთავარი უპირატესობა, სხვა მეთოდებისაგან განსხვავებით, მდგომარეობს პრობლემის კომპლექსურ გადაწყვეტაში. მკურნალობა მიმართულია არა მარტო მოცემული პათოგენური აგენტის გამოვლენისაკენ, არამედ მთლიანად ორგანიზმის გაჯანსაღებისაკენ, იმუნიტეტის აღდგენისაკენ იმუნური მექანიზმების მობილიზაციის საშუალებით.

სამედიცინო ცენტრში „ექიმი გილი“ ფართოდ გამოიყენება მაგნიტო-ლაზერული, კვანტური თერაპია, ელექტროფორეზი, აგრეთვე სისხლის ლაზერული დასხივება უახლესი აპარატურის მეშვეობით. მკურნალობის ეფექტს აძლიერებს მკვდარი ზღვის უნიკალური პრეპარატების გამოყენება, რომელთაც ანალოგი არ გააჩნიათ მსოფლიოში. ამ პრეპარატების საფუძველია ბიოორგანომინერალური კომპლექსი, რომელიც შეიცავს ორგანულ და არაორგანულ ნივთიერებათა ოპტიმალურ სინთეზს, აუცილებელს ადამიანის ორგანიზმისათვის.

სამედიცინო ცენტრში „ექიმი გილი“ ყოველი პაციენტისათვის მკურნალობის სქემას არჩევენ ინდივიდუალურად. მკურნალობის ვადა 2-4 კვირაა. ამ მეთოდიკის საშუალებით, მკვეთრად კლებულობს ანტიბიოტიკების მოხმარების აუცილებლობა და მათგან გამოწვეული მრავალი გართულება, მათ შორის დისბაქტერიოზი, ცვლილებები ღვიძლის, თირკმლებისა და სისხლის მხრიდან, ქოლეცისტიტის გამწვავება, კოლიტი და სხვა.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციის თანახმად, ყოველმა ქალმა, წლის განმავლობაში, 1-2-ჯერ, აუცილებლად უნდა ჩაიტაროს გამოკვლევა ანთებითი დაავადებების გამოვლენის მიზნით. დროული დიაგნოსტიკა მეტად მნიშვნელოვანია შემდგომი ეფექტური მკურნალობისათვის.

სამედიცინო ცენტრი „ექიმი გილი“ არის მსოფლიო წამყვანი კლინიკების სტანდარტი, სადაც თქვენი წარმატებული მკურნალობის გარანტი უმაღლესი კატეგორიის ქართველი და უცხოელი სპეციალისტები იქნებიან. აქ თქვენ აუცილებლად დაიბრუნებთ დაკარგულ ჯანმრთელობას და სიმშვიდეს.

სამედიცინო ცენტრი

**„ექიმი გილი“**

ტ: 29-05-25 25-27-09

ზ. ფალიაშვილის ქ. 44/5

# ბლატერს თბილისში არ ჩამოესვლება!

23 აპრილს თბილისს უნდა სწვეოდა ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი.

ეს ვიზიტი გაურკვეველი მიზეზებით გადაიდო, თუმცა მოგვიანებით გაჩნდა ცნობა, რომ ბლატერს იაპონიაში გამოსჩენია უფრო მნიშვნელოვანი საქმე. მანამდე კი — 17 აპრილს საფეხბურთო კლუბ „მრეტების" პრეზიდენტმა ვაჟა ჩხაიძემ პრესკონფერენცია გამართა, რომლის შემდეგაც ქართულ, და არა მარტო ქართულ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ითქვა, რომ ფიფას პრეზიდენტის ვიზიტის გადადების მიზეზი იყო სწორედ ვაჟა ჩხაიძე და არა საფეხბურთო კლუბი „მრეტები", უფრო ზუსტად ის, — რომ მას შემდეგ, რაც ჩხაიძემ „დინამოსაგან" 7 წლიანი ეპოპეის შემდეგ, თავისი კუთვნილი 300 ათასი დოლარი მიიღო, ახლა ბლატერს „მიადგა" და მას უჩივისო.



ბევრმა არასერიოზულად ჩათვალა ეს განმარტება — აბა, სად მსოფლიო ფეხბურთის ოფიციალური თავკაცი და სად საქართველოს მესამე ლიგაში მოასპარეზე საფეხბურთო კლუბის პრეტენზიებიო.

მაგრამ, ღვთის მადლით, დღევანდელ „ინფორმაციულ" ეპოქაში თითქმის ყველაფრის დადგენა შეიძლება: ფიფას პრეზიდენტი „პატარა კაცი" არ არის და როგორც სხვა ძლიერთა ამა ქვეყნისა, მასაც რამდენიმე თვით წინასწარ აქვს დაგეგმილი თავისი პროგრამა. აქედან გამომდინარე, მივყვეთ ფაქტებს:

2001 წლის 11 თებერვალს — მას შემდეგ, რაც საფეხბურთო კლუბმა „მრეტებმა", ბოლოს და ბოლოს, მიიღო თბილისის „დინამოსაგან" თავისი კუთვნილი 300 ათასი ამერიკული დოლარი, მისმა პრეზიდენტმა ვაჟა ჩხაიძემ წერილით მიმართა იოზეფ ბლატერს, სადაც ნათქვამია, რომ კლუბმა კი მიიღო „დინამოსაგან" თავისი თანხა ფიფას გადაწყვეტილების შესაბამისად, მაგრამ ამით ეს საქმე მხოლოდ ფიფას გენერალური სამართლის ფარგლებში დასრულდა. ვაჟა ჩხაიძეს სხვა პრეტენზიებიც აქვს — კონკრეტულად კი თვით ფიფასა და მისი მმართველების წინააღმდეგ. მოვიყვანთ ციტატას აღნიშნული წერილიდან: „ვინ აგებს პასუხს ფკ მრეტებისათვის მიყენებული ზარალისათვის, იმ დაკარგული პოზიციებისათვის, რომლის გამოც ქართულ ფეხბურთს ძლიერი შენაკადი დააკლდა.... ქართული ფეხბურთი ხომ ყოველთვის მრეტებისნაირი შენაკადებით საზრდოობდა..." და კიდევ: „მრეტებმა თქვენ... ბრალი დაგდოთ შემდეგში: ჯერ, როგორც ფიფას გენერალური მდივანი, შემდეგ, როგორც ფიფას პრეზიდენტი და ალმასკომის თავმჯდომარე, 1997-2001 წლებში ფიფას წესდებისა და შვეიცარიის კანონების დარღვევით, წინასწარი განზრახვით, ანგარებით (ფიფას და სსფ-ს პრეზიდენტების 1998 წლის არჩევნების ფაქტიური მოტივაცია), ბოროტად იყენებდით სამსახურებრივ უფლებამოსილებას, რასაც მოჰყვა ფკ მრეტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა, კლუბის ფაქტობრივი განადგურება..."

როგორც აღვნიშნეთ, ეს წერილი 11 თებერვალს იქნა გაგზავნილი. ფიფას პრეზიდენტის, რამდენიმე თვით ადრე შედგენილ პროგრამაში, 23 აპრილს თბილისში ვიზიტიც იყო განსაზღვრული, მაგრამ... 17 აპრილს ვაჟა ჩხაიძის პრესსამსახურმა გაავრცელა განცხადება, რომ მეორე დღეს პრესკონფერენციას იწვევდა, სადაც მთავარი თემა სწორედ ფიფასადმი მისი პრეტენზია იქნებოდა და „საოცარი დამთხვევა" მოხდა: ფიფადან ცნობა მოვიდა, რომ ბლატერმა ვიზიტი გადადო, თუმცა მიზეზი არ მოიხსენიებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ კი „გაახსენდათ", რომ ბლატერი იაპონიაში იყო წასასვლელი.

შეიძლება ამ წინაისტორიის შემდეგაც კი ძნელად დასაჯერებელი იყოს მკითხველისთვის, რომ ბლატერს ვაჟა ჩხაიძისა „შეეშინდა", მაგრამ ფაქტები სხვა რამეზე მეტყველებს — იმ პროგრამაში, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, არსად არ არის ნახსენები აპრილში ბლატერის ვიზიტი იაპონიაში. მხოლოდ ნათქვამია, რომ რადგან მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი კორეა-იაპონიაში ტარდება და იქ გამალებული მზადებაა ამ დიდი ფორუმისთვის, „საგანგებო" შემთხვევაში შესაძლოა ფიფას პრეზიდენტმა შეცვალოს პროგრამა და კორეაში ან იაპონიაში გაემგზავროს. მაგრამ ფაქტია, რომ ამომავალი მზის ქვეყანაში მათთვის ჩვეული მუყაითობით მუშაობენ და არავითარი „საგანგებო" მდგომარეობა ჯერ არ შექმნიათ — ასე რომ, მიზეზი, რის გამოც ბლატერი აღმოსავლეთში გაემგზავრა, მთლად დამაჯერებლად არ ჩანს. ხოლო ის, რომ „მრეტების" პრეტენზიები სერიოზულია და მათი დაკმაყოფილებაც არ არის ფანტაზიის ნაყოფი, იქიდანაც ნათელია, რომ 300 ათასი დოლარი „სიხარულით" გადაიხადა თბილისის „დინამომ", მიუხედავად მრეტების მესამელიგელობისა, მეტიც, — ეს იყო პირველი საქმე, რაც „დინამოს" ახალმა ხელმძღვანელობამ (ქართველ ძალოვანთა სახით) გააკეთა. სხვათა შორის, ვაჟა ჩხაიძის თქმით, მას არ აინტერესებს და დანამდვილებით არც იცის, ვისი ანგარიშიდან გადმოირიცხა ის 300 ათასი დოლარი. მისთვის მთავარია, რომ „მისალები" მიიღო.

რაც შეეხება მომავალ სასამართლო პროცესს, შეიძლება ითქვას, რომ ის ერთ-ერთი ყველაზე ხმამაღალი იქნება ფიფას წინააღმდეგ გამართულ აქციათაგან. ამის შესახებ (და არა მარტო ამ თემაზე) ჩვენ დიდხანს ვესაუბრეთ ბატონ ვაჟა ჩხაიძეს. ჩვენი დღევანდელი საგაზეთო ფართი არ მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ყველა დეტალი ვახსენოთ, მაგრამ რამდენიმე კითხვა-პასუხს, რომელიც უშუალოდ „მრეტები-ფიფას" დაპირისპირებას ეხება, მაინც გაგაცნობთ:

**— ბატონო ვაჟა, როდის აპირებთ ფიფას წინააღმდეგ სარჩელის შეტანას?**

*— როცა საჭიროდ ჩავთვლი. აქ იმას კი არ ვგულისხმობ, რომ მაშინ შევიტან სარჩელს, როდესაც „ხასიათზე" ვიქნები, არამედ იმას, რომ შეგნებული მაქვს, რამხელა მონსტრს შევეჭიდე და ამ ყველაფერს სათანადო მომზადება სჭირდება. როდესაც ყველანაირად მზად ვიქნები, როდესაც გადავწყვეტ, თუ სად — რომელ ქვეყანაში შევიტანო სარჩელი, მაშინ შევუდგები „გენერალურ" შეტევას.*

**— რომელ ქვეყანაშიო — ბრძანეთ. სხვადასხვა ვარიანტი არსებობს?**

*— „ვარიანტი" რამდენიმეა: შემიძლია საქართველოს სასამართლოს მივანდო ეს საქმე (ამას ახსნა არ სჭირდება), შემიძლია — გერმანიისას, რადგან „მრეტების" სათავო ოფისი გერმანიაშია რეგისტრირებული. შესაძლოა შვეიცარიის, როგორც ფიფას შტაბბინის ქვეყნის,*



*ანდა ბელგიისა თუ საფრანგეთის — როგორც ევროკომისიისა და ევროსაბჭოს შტაბბინების ქვეყნების ვარიანტებიც — საქართველო და გერმანია ამ ორგანიზაციის წევრები არიან. აშშ-საც არ გამოვრიცხავ. გამოვრიცხავ კი არა, ყველაზე მეტად ამ ვარიანტზე ვფიქრობ.*

**— აშშ რაღა შუაშია?**

*— საქმე ის არის, რომ მე ამერიკის საგამოძიებო და სასამართლო ინსტიტუტებს ყველაზე მეტად ვენდობი და უფლებაც მაქვს, რომ სწორედ რომელიმე ამ ინსტიტუტთაგანს ვთხოვო საქმის გამოძიება და შემდგომ შესაბამისად სასამართლო პროცესის მისსავე ქვეყანაში დაწყება.*

**— რას „ედავებით" ბლატერს?**

*— მე მინდა, რომ შეიცვალოს ბლატერისა და მისი გარემოცვის (კონკრეტულად გენერალური მდივნის მიშელ ცენ-რუფინენისა და იურიდიული სამსახურის უფროსის ჯან-პაოლო მონტენერის) დამოკიდებულება საფეხბურთო პოლიტიკისადმი. სწორედ ამ დამოკიდებულებას შეეწირა „მრეტები" და ამის გამოა, რომ კლუბი, რომელმაც პირველმა გაჭრა „საფეხბურთო ფანჯარა" ევროპისაკენ (გიორგი ქინქლაძის ტრანსფერით), დღეს საქართველოს პირველობის მესამე ლიგაში თამაშობს.*

*რაც შეეხება კონკრეტულ მოთხოვნებს, იგი სწორედ აქედან გამომდინარეობს: ბლატერმა პირადად უნდა აგოს პასუხი, რომ მისი ასეთი პოლიტიკის წყალობით განადგურდა მრეტები.*

*გარდა ამისა, ფიფამ უნდა აგვინაზღაუროს ზარალი — კონკრეტულ თანხას ჯერ არ ვასახელებ, მაგრამ „მრეტებს" ქინქლაძის ტრანსფერში 300 ათასი კი არა, 2,5 მლნ დოლარი ეკუთვნოდა. 300 ათასი მხოლოდ სატელეფონო ზარებსა და ფაქსების გაგზავნა-მიღებაში მაქვს დახარჯული. ამის შესახებ ადრეც მითქვამს და იმ 2,5 მლნ-ის გარდა, რომელიც ისედაც გვეკუთვნის, ერთ მაგდენს ზარალის ანაზღაურებისთვის ვითხოვდით. ცხადია, ჩვენი შეხედულება დღესაც არ შეგვიცვლია.*



FC MRETEBI

ერთი სიტყვით, რამდენად პარადოქსულადაც არ უნდა გვეჩვენოს და რამდენადაც არ უნდა იყოს ქართულ სინამდვილეში გაბატონებული „მგლისა და კრავის" პრინციპი — „დიდ კაცთან პატარა კაცსა, როდის გასვლია მართალი", ფაქტი ერთია: „პატარა მრეტები" სარჩელის შეტანას აპირებს „დიდი ფიფას" წინააღმდეგ და როგორც ფაქტები ადასტურებენ, „დიდი ფიფა" საკმაოდ შეფიქრიანებულია — ამის მიზეზიც აქვს, რადგანაც „პატარა მრეტები" სარჩელის შეტანას „ჩალით დახურულ" საქართველოში კი არა, იმ ქვეყანაში აპირებს, სადაც მთავარი სამართალია და არა „დიდ-პატარობა".

P.S. როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ბატონ ვაჟა ჩხაიძესთან ვრცელი საუბარი გვქონდა, რომლის მთლიანად გადმოცემის საშუალება ახლა არა გვაქვს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ „კვირის პალიტრის" დამატების, ჟურნალ „გზის" ერთ-ერთ უახლეს ნომერში უფრო დაწვრილებით მოგითხრობთ ჩვენი შეხვედრის შესახებ.

# ახალგაზრდობა – იმედი ხვალის




*საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წარმატების შესახებ ჩილეში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ყველამ გაიგო და მისი გამარჯვებით მთელმა საქართველომ გაიხარა. რაც მთავარია, ჩვენი ქვეყნის პირველ ნაკრებს საიმედო ცვლა ეზრდება. ამ წარმატებას განმტკიცება სჭირდება — რა კეთდება ამ მხრივ, არის თუ არა დაგეგმილი რაიმე ტურნირი, ექცევა თუ არა ამ ჭაბუკებს სათანადო ყურადღება, თუ ისევე, როგორც სხვა სახეობებში, მათი წარმატება პირველად და უკანასკნელად დარჩება? ამ კითხვებით მივმართეთ საქართველოს რაგბის კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს ბ-ნ* **ალექსანდრე ძურღუბაძეს**:

— საქმე ის არის, რომ ამ გუნდიდან გაისად ალბათ სულ სამი-ოთხი კაცი დარჩება. ეს ხომ ყველა ახალგაზრდული ნაკრების ხვედრია — ასაკის მატებასთან ერთად ისინი უფლებას კარგავენ ამა თუ იმ შეჯიბრებაში განმეორებით მონაწილეობაზე. ამიტომ, ბიჭები რომ უპრაქტიკოდ არ დარჩნენ, ასეთი გადაწყვეტილება მივიღეთ: გაისად 21 წლამდე ასაკის მორაგბეთა შორის მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი უნდა ჩატარდეს, რომლის შესარჩევი თამაშებიც მიმდინარე წლის მაისის ბოლოს არის დაგეგმილი ბუქარესტში. ამ ქვეჯგუფში საქართველოსა და მასპინძელთა გუნდების გარდა უკრაინისა და იუგოსლავიის ნაკრებებიც ითამაშებენ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენები მხოლოდ ცხრამეტი წლისანი არიან და მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მოპოვების შემთხვევაშიც, მის მონაწილეებზე ერთი წლით უმცროსები იქნებიან, გადავწყვიტეთ მაინც ჩილეში გამარჯვებული გუნდი გავუშვათ რუმინეთში. ვნახოთ, ყოველ შემთხვევაში იქ წაგება დიდი ტრაგედია არ იქნება — ამ ასაკში ხომ ორწლიანი სხვაობა არც ისე მცირეა.

**— დაფინანსების საქმე როგორ არის? თუნდაც ჩილეში რა სახსრებით გაემგზავრებოდით?**

— ხარჯების 33%-ს, როგორც წესი, IRB ფარავს ხოლმე, დანარჩენი კი მთლიანად ჩვენი რაგბის კავშირზე მოდის. ეს სახსრები ან კერძო მეცენატთა შემოწირულობებია, ანაც ის თანხები, რომელიც კავშირის ანგარიშზე იმ გუნდებიდან გადმოირიცხა, სადაც ქართველი ლეგიონერები თამაშობენ.

**— ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც ქართულ რაგბს აწუხებს, შესაფერისი ბაზების უქონლობაა. რაიმე სიახლე ხომ არ არის დაგეგმილი?**

— ყველას გახსოვთ ვაკის სტუდქალაქის ტერიტორიაზე არსებული სტადიონი. რამდენიმე წლის წინ დიდი ბრძოლა გადაგვხდა, რომ ეს სტადიონი არ გაეუქმებინათ, მაგრამ წავაგეთ — ვიღაც ბობოლებმა იქ საცხოვრებელი კორპუსი წამოჭიმეს. თუმცა, ამ ბრძოლას შედეგი მაინც ჰქონდა — მერიამ ბავშვთა ქალაქ „მზიურის" ტერიტორიაზე გამოგვიყო ტერიტორია, ხოლო რაგბის საერთაშორისო ფედერაციამ უპრეცედენტო შეღავათი გაგვიწია: იქ 5-7 ათასიანი წმინდა სარაგბო სტადიონი შენდება, რომელსაც მთლიანად ეს ორგანიზაცია აფინანსებს. ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა — წარმოიდგინეთ, ფიფამ რომ რომელიმე ქვეყანაში იმ ქვეყნის ნაკრებს საფეხბურთო სტადიონი აუშენოს.

**— რეზერვების მხრივ რა მდგომარეობაა?**

— ცხადია, ქართული რაგბის მომავალი სწორედ ამაზეა დამოკიდებული და ძალიან გვეიმედება ამ საქმისა, რადგან საქართველოში, განსაკუთრებით კი პროვინციებში, დიდი ენთუზიაზმით მოეკიდნენ ქართული რაგბის მომავალი თაობის აღზრდას: ფოთში ძალიან კარგი სკოლა შეიქმნა, ვეტერანმა მორაგბემ დავით კილასონიამ სენაკის რაიონის სოფელ ნოქალაქევში ოთხი მშვენიერი მოედანი მოაწყო, სადაც უამრავი ბავშვი ვარჯიშობს. ჩოხატაურში ამ რაიონის გამგებელი, გია ცინცაძე, უახლოეს ხანში დაიწყებს წმინდა სარაგბო სტადიონის მშენებლობას, მან იქაური ბავშვებისათვის უკვე მწვრთნელებიც მიიწვია ქუთაისიდან, რომელთაც სოლიდური ხელფასები დაუნიშნა. აჭარაშიც ძალიან კარგად არის საქმე — ხუცუბანში დიდებული პირობებია შექმნილი ვარჯიშისათვის. ასე რომ, მომავალს იმედიანად ვუყურებთ.

**— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ნაკრების სათამაშო მოედანი ყოველთვის პრობლემაა ხოლმე.**

— ერთს ვიტყვი მხოლოდ: ის სიტუაცია, რაც წელს იყო, აღარ განმეორდება. საქართველოში მორაგბეთა ნაკრებმა უკვე დაიმსახურა, რომ მან ქვეყნის საუკეთესო სტადიონებზე მიიღოს მეტოქეები. 26 მაისს ყოფილი „ლოკომოტივის" სტადიონიც გაიხსნება და ვფიქრობ, არც იქ შეშვებაზე გვეტყვიან უარს. სხვათა შორის, პირველი, ვინც იქ შეიძლება მივიღოთ, საფრანგეთის ნაკრები იქნება — იგი ამხანაგური მატჩის გასამართავად გვეწვევა სექტემბერში. დამეთანხმებით — რომ არა ჩვენი გაზრდილი ავტორიტეტი, ასეთი გუნდი აქ არ ჩამოვიდოდა.

*ერთი სიტყვით, საქართველოს რაგბის კავშირში დიდი ენთუზიაზმია და იმ საქმიანი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, რომელიც აშკარად იგრძნობა, დარწმუნებული ვართ, რომ რაგბი საქართველოში ისეთივე სიყვარულისა და სიამაყის საგანი გახდება, როგორიც ერთ დროს ფეხბურთი იყო.*

ზვიად გურული

**გაისად ერთა თასის გათამაშება იმავდროულად მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირის მეორე წრეც იქნება. მკითხველთა თხოვნით აქვე გთავაზობთ ამ ტურნირის საკმაოდ რთულ ცხრილს, რომელზეც ნაჩვენებია ეროვნული ნაკრები გუნდების გასავლელი გზა, ავსტრალია-ახალ ზელანდიაში 2003 წელს გასამართ მსოფლიო ჩემპიონატამდე.**



# «ძველმა გვარდიამ» ისრაელს მოუგო

## საქართველო-ისრაელი 3:2

გასულ სამშაბათს თბილისში მორიგი მატჩი გამართა საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა, ამჯერად ამხანაგური, სპარინგ-პარტნიორობა ჩვენებს ისრაელის ეროვნულმა გუნდმა გაუწია, რომელიც თბილისს ფრიად შესუსტებული შემადგენლობით ეწვია. არც ყიფიანისა და ძოძუაშვილის გუნდი დახვედრია, მწვრთნელების სიტყვებითვე რომ ვთქვათ, ოპტიმალური შემადგენლობით. რუმინეთთან შეხვედრის შემდეგ მწვრთნელებზე განაწყენებულმა რამდენიმე ფეხბურთელმა მაშინვე განაცხადა უარი ეროვნულ გუნდში თამაშზე და აზრი აღარ შეუცვლია — იაშვილმა და ჯამარაულმა — რუმინეთთან ძირითად შემადგენლობაში უთამაშებლობა იწყინეს და ნაკრებში ჩამოსვლა იუარეს, ჯანაშიამ კი მოსკოვიდან სამედიცინო ცნობა აფრინა — აქაოდა ავად ვარ და ვერ დაგეხმარებითო. ჯანაშიასათვის ეს არც პირველი შემთხვევაა, არც მეორე, მისგან ასეთ ხრიკებს მიჩვეულნი ვართ და საკვირველი ის უფრო იქნებოდა, ისრაელთან ამხანაგური მატჩის სათამაშოდ რომ ეკადრა თბილისში ჩამოსვლა. რაც შეეხება იაშვილსა და ჯამარაულს, ალბათ უმჯობესი იქნებოდა თავდაპირველი გადაწყვეტილება შეეცვალათ. ჯერ ერთი არავინ იცის, მოუტანდა თუ არა გუნდს რაიმე სიკეთეს მათი ძირითად შემადგენლობაში თამაში რუმინელებთან, მეორე და მთავარი — ეროვნული ნაკრები არც ყიფიანის საკუთრებაა, არც ძოძუაშვილის და მით უმეტეს არც ფეხბურთელების. ნაკრების ინტერესების გამო მწვრთნელიც და ფეხბურთელიც ვალდებულია პიროვნული წყენა დაივიწყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაკრები წარმატებას ვერასდროს მიაღწევს, მართლა ვარსკვლავებითაც რომ იყოს დაკომპლექტებული. ოპტიმალურ შემადგენლობას რასაც ეძახიან, რუმინეთთანაც გამოჩნდა, ისიც თუ ვერ შეიკრიბა, რაღა დარჩება, თავადაც მიხვდებით. მოკლედ, გუნდში კონფლიქტი მწვრთნელის მოსაგვარებელია, ეს ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრი წმინდა საფეხბურთო საკითხი, თუ არ მოგვარდა, მწვრთნელებმა ქუდი უნდა დაიხურონ და უნდა წავიდნენ.

რაც შეეხება ისრაელთან მატჩს — იგი ალბათ სტუმართათვის უფრო იყო ამხანაგური, ვიდრე ჩვენთვის. ყოველ შემთხვევაში თამაშიდან ასე ჩანდა. ტრიბუნაზე იმასაც მოჰკრავდით ყურს — ასე რუმინელებთანაც რომ მოენდომებინათ, იქნება აღარც წაეგოთო. მონდომება ერთია, შესაძლებლობა მეორე. მიუხედავად იმისა, რომ სამშაბათს თბილისში მასპ ,სძლებმა გაიმარჯვეს, ერთხელაც გამოჩნდა, რომ ამ ნაკრებით მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრაზე ფიქრი ილუზიაა. საქართველოს ნაკრები მეტად „მოძველებულ" ფეხბურთს თამაშობს და ეს, თუ ისრაელმა გვაპატია, ისიც ამხანაგურ მატჩში, ოფიციალურ შეხვედრაში აღარავინ გვაპატიებს.

თამაში ქართველთა შეტევებით დაიწყო და მეცხრე წუთზე ანგარიშიც გაიხსნა. ქეცბაიამ ქინქლაძის გამოზომილი პასი მიიღო, ერთი შეხებით ჩამოიშორა მცველი და სტუმართა მეკარე ალიმელეხს შორეულ კუთხეში აუღებლად დაურტყა. ანგარიში შვიდიოდე წუთში გათანაბრდა, მიზრახმა ჩვენს საჯარიმოში მცველთა დაბნეულობით ისარგებლა და არცთუ ძლიერად დაარტყა. ლომაიამ, რომელიც იმ დღეს ნაკრების კარს იცავდა, გუნდს ვერ უშველა, ისევე როგორც მეორე



გოლის დროს, როცა ებრაელთა ჩაკიდებულ ბურთზე შეცდომით გამოვიდა, სტუმართა თავით დარტყმული ჯერ ძელს მოხვდა, უკან დაბრუნებულ ბურთს კი ისევ მიზრახმა მიუსწრო და გაიტანა. ყოველივე თამაშის დასრულებამდე 17 წუთით ადრე მოხდა, მანამდე ჩვენები ისევ ქეცბაიამ დააწინაურა, პირველი ტაიმის მიწურულს სტუმრებს შორეული დარტყმით გაუტანა. საფინალო სასტვენამდე სამიოდე წუთით ადრე კი შოთა და არჩილ არველაძეების კომბინაცია ამ უკანასკნელის ზუსტი თავურით დასრულდა. ეს იყო და ეს.

ძნელია ამხანაგური მატჩის მიხედვით მსჯელობა, მაგრამ, რაც ნათლად გამოჩნდა, ის იყო, რომ მცველებმა კალაძისა და კობიაშვილის არყოფნაში რამდენიმე ისეთი შეცდომა დაუშვეს, ბავშვსაც რომ შერცხვებოდა. რაც შეეხება მეკარეს, ჩვენს მეკარეებზე უკვე იმდენი ითქვა და დაიწერა, ლაპარაკს აზრი აღარა აქვს. ორი მთავარი მწვრთნელის ყოლას, ალბათ „აჯობებდა" ორი მეკარე ჩაგვეყენებინა კარში.

სხვა დიდად საინტერესო ამ მატჩში არაფერი მომხდარა, ჩვენების შექმნილ რამდენიმე მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტს თუ არ ჩავთვლით, პრაქტიკულად უშეცდომოდ და ძალიან საიმედოდ ითამაშა რეხვიაშვილმა. რაც შეეხება „ძველ გვარდიას" — ქინქლაძეს, არველაძეებსა და ქეცბაიას, ამაზე კარგადაც ხშირად უთამაშიათ და მარტო მათ იმედად ყოფნა არაფერს მოგვიტანს. კიდევ ერთი — ისრაელთან მატჩი ქართველ მსაჯთა ბრიგადამ იმსაჯა სერგო კვარაცხელიას „თამადობით", მართალია აშკარა მიკერძოებას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ „ავი ენები" ალბათ იტყოდნენ, სადავო სიტუაციებში მსაჯები ჩვენს სასარგებლოდ „ცდებოდნენო", შეიძლება ისიც გაიხსენონ, რომ ისრაელთან მატჩი მესამე იყო საქართველოს ნაკრებისათვის, როდესაც ქართველები მსაჯობდნენ. ისე სამივე მათგანი ჩვენების გამარჯვებით დასრულდა. საინტერესო სტატისტიკაა. ჯერჯერობით, სულ ეს იყო. დანარჩენი იტალიასთან გამოჩნდება, 2 ივნისს თბილისში.

გაგაცნობთ შემადგენლობას, რომლითაც საქართველოს ნაკრებმა ისრაელთან ითამაშა:

**ლომაია, სილაგაძე, აბრამიძე, ქემოკლიძე, ხიზანიშვილი (ჭანკოტაძე 64), რეხვიაშვილი, ქეცბაია, გახოკიძე (ასათიანი 68), ქინქლაძე (ალექსიძე 46), შ. არველაძე, ა. არველაძე (მელქაძე 89).**

# გიორგი ასანიძე ევროპის ჩემპიონია!




სლოვაკეთში მიმდინარე ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე დიდ წარმატებას მიაღწია გიორგი ასანიძემ — იგი კონტინენტის ჩემპიონია. ქართველი ათლეტის გამარჯვებებს ისედაც ნაჩვევნი ვართ და ეს ტრიუმფიც სასიხარულოა, მით უმეტეს, რომ გიორგიმ ჯერაც ვერ მოიშუშა ძველი ტრავმა — მტკივანი ხელით გაემგზავრა სლოვაკეთში. თუმცა, როგორც ადრე გაუწყებდით, ჩვენთან საუბარში ახსენა, — ალბათ ევროპის ჩემპიონატზე მაინც წავალ, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი სპონსორები არ გავანბილოო. მართლაც, იმ უანგარო ბიზნესმენებმა, რომლებმაც 2004 წლამდე — ათენის ოლიმპიადის ჩათვლით, ყოველთვიური 300 ლარიანი სტიპენდია დაუნიშნეს ქართველ ძალოსანს, ნამდვილად ეროვნული საქმე გააკეთეს — მათი დამსახურებაც არის, რომ ევროპულ ფიცარნაგთან კიდევ ერთხელ აღიმართა საქართველოს დროშა. გიორგი ასანიძემ ორჭიდის ჯამში 380 კგ დააგროვა და დიდი სხვაობით — 7,5 კგ-ით აჯობა მეორე ადგილზე გასულ ბულგარელ გარდევს.

ვულოცავთ გიორგი ასანიძესაც და მის მეცენატებსაც!



# ედგარ დავიდსი. დოპინგკონტროლის მომდევნო მსხვერპლი

მოგეხსენებათ, წინა კვირაში „ლაციოს" პორტუგალიელ ლეგიონერს ფერნანდო კოუტუს დოპინგის მიღება დაუმტკიცდა და სავარაუდოა, რომ დამნაშავეს ორწლიან დისკვალიფიკაციას მიუსჯიან. გასულ სამშაბათს იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა კიდევ ერთი სენსაციური განცხადება გაავრცელა. „იუვენტუსის" ჰოლანდიელ ლეგიონერს ედგარ დავიდსს პირველადმა ანალიზმა სისხლში ნანდროლინის შემცველობა აღმოუჩინა. მალე მეორე ანალიზსაც ჩაატარებენ, და თუ დოპინგტესტმა კვლავ დადებითი შედეგი აჩვენა, დავიდსს 16 თვით დისკვალიფიკაციას მიუსჯიან. დავიდსი ჯერჯერობით თავს იმართლებს, სპეციალური პრესკონფერენციაც კი მოაწყო და განაცხადა მსგავსი ხერხისათვის არასდროს მიმიმართავსო. ყველაფერი უახლოეს მომავალში გაირკვევა და შესაძლებელია „იუვენტუსი" გუნდის ერთ-ერთი ლიდერის გარეშე დარჩეს.


საიმედოობა — ახალი ქართული შემართება

სერვისი — ახალი ქართული სტილი

პუნქტუალურობა — ახალი ქართული სიტყვა

კომფორტი — თანამედროვე სტრანდარტების ახალი ქართული სახე

ჩვენ არ ვესწრაფვით ვიყოთ ყველაზე დიდი ავიაკომპანია მსოფლიოში, მაგრამ გვაქვს ოთხი მიზეზი, რათა ვიფრინოთ ერთად.

თქვენი არჩევანის ოთხი მიზეზი. ვიფრინოთ ერთად...




ბილეთების დაჯავშნა
ტელ.: 941 268, 387 103, 947 014
სატვირთო და საფოსტო გადაზიდვები
ტელ.: 94 77 82, (899) 57 22 57
ფაქსი: 940 782
www.airzena.com
E-mail:info@airzena.com

და ამ ქალაქების გავლით მსოფლიოს 200 ქალაქში

AIRZENA GEORGIAN AIRLINES

## ავსტრალიის უსიამოვნებანი



1839 წელს ახალ სამხრეთ უელსში (ავსტრალია) რომელიღაც ახალმოსახლემ ჩამოიტანა ერთადერთი ძირი კაქტუსი „ოპუნცია“. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ XIX ს-ის მიწურულისთვის ოპუნცია მოდებულიყო 4 მლნ ჰექტარზე, 1920 წლისთვის კი მან 24 მლნ ჰექტარი „მიიტაცა“. კაქტუსი ელვისებურად ვრცელდებოდა, ანადგურებდა პლანტაციებსა და საძოვრებს. ავსტრალიელებმა სცადეს მისი ამოძირკვა, მაგრამ უშედეგოდ. 1925 წელს არგენტინიდან შემოიყვანეს კაქტუსის მტერი პეპელა, რომელმაც ათ წელიწადში მოსპო ოპუნცია. მადლიერმა ავსტრალიელებმა პეპელას ძეგლი დაუდგეს.

1859 წელს იმავე ახალ სამხრეთ უელსში გემით ინგლისიდან 24 ბოცვერი ჩამოიყვანეს, რომელთაც მოსახლეობა დიდი აღტაცებით შეხვდა. სახელმწიფომ ჯარიმაც კი დააწესა მათი დახოცვისათვის. პატარა ცხოველები ძალიან მადიანები აღმოჩნდნენ. 5 ბოცვერი ერთ დღეში ჭამდა იმდენს, რამდენსაც ერთი ცხვარი, ამიტომაც ავსტრალიის საძოვრები სულ მალე უდაბნოს დაემსგავსა. XX საუკუნის დასაწყისისათვის ავსტრალიაში ბოცვერთა რაოდენობამ მილიარდს მიაღწია. ამ, ოდესღაც უწყინარმა ცხოველებმა თანდათან ზნე შეიცვალეს: გახდნენ უფრო აგრესიულები, იკანრებოდნენ და იკბინებოდნენ. გრძელი კლანჭებით ხეებზეც დაცოცავდნენ და ბასრი კბილებით ქერქს აცლიდნენ, ღრღნიდნენ ხის ფესვებსა და ღეროებს.

ბევრს ეცადნენ, მაგრამ ბოცვრებს ვერაფერი დააკლეს. 1901 წელს 200 ათასი კმ სიგრძის მავთულის ღობეც კი გაავლეს. ცხოველებმა იეშმაკეს და გვირაბებით გაღმა გააღწიეს. ბოცვრების გასანადგურებლად არ დაუშურებიათ შხამები, მომწამვლელი გაზები, დინამიტებით აფეთქებდნენ მათ სოროებს, ბომბავდნენ სამხედრო ავიაციით. უშედეგოდ. XX ს-ში ბოცვრებმა კონტინენტი მთლიანად დაიპყრეს.

1950 წელს სახელმწიფომ, დიდი რისკის ფასად, ბოცვრების წინააღმდეგ გამოიყენა ბაქტერიოლოგიური იარაღი. თითქოს ამოისუნთქა ხალხმა, მაგრამ ახალი უბედურება დაატყდათ თავს. 1954 წელს კონტინენტს შეესია ხოჭოები და შაქრის ლერწამი ძირფესვიანად გადაჭამა. მათ წინააღმდეგ მოსახლეობამ გამოიყენა გომბეშო აგუ. მათ ხოჭოები კი მოსპეს, მაგრამ სამაგიეროდ სხვა მწერებს, პატარა ჩიტებსა და ცხოველებსაც მისდგნენ. „საშუალო“ სიდიდის გომბეშო იწონიდა 1,5 კგ-ს და შესაშური მადითა და ნაყოფიერებით გამოირჩეოდა. ზოგიერთ ქალაქში აგუ ისე მომრავლდა, რომ ტრანსპორტის მოძრაობაც კი შეაფერხა.

ძალიან მალე ახალი პრობლემაც გაჩნდა: ხილის პლანტაციებს შეესივნენ მფრინავი მელიები, რომლებიც არა მარტო ანადგურებდნენ მოსავალს, არამედ სპობდნენ ხეებსაც, ჭამდნენ ფოთლებსა და ქერქს. მოსახლეობა იძულებული შეიქნა, ხეებზე დაემაგრებინა ასაფეთქებელი მოწყობილობა, რითაც ძალიან მოკლე დროში მოსპეს 100.000 ფრთოსანი მელია.

*ნლო №14*

## სენსაცია

## თოვლის კაცი — კგბ-ს აგენტი ყოფილა...

არც არასოდეს უნახავს ვინმეს და არც არსებობს ბუნებაში...

თოვლის კაცი რუსეთის ძველი „კაგებეშნიკების“ მოგონილი ყოფილა და ამით ქვეყნის პოლიტიკური სვლა განხორციელებულა — გასაჭირში ჩავარდნილი ხალხის ყურადღება საყოფაცხოვრებო, დუხჭირი მდგომარეობიდან როგორმე რაღაც გონების გამთიშველ სიახლეზე უნდა გადაეტანათ... ჰოდა, ერთ ყველაზე „დიდთავას“ გაუჩნდა თოვლის კაცის იდეა... მოხდა ჩაწოდება და გაზეთი, რადიო, ტელევიზია აჰყვა ლეგენდას... ხან სად „გამოჩნდებოდა“ საოცარი არსება და ხან სად... როცა ცოტა ამოისუნთქა გოლიათმა რუსეთმა, ხალხმაც კუჭი ცოტათი აივსო, დააკვირდით, როგორ მიჩუმდა ხმები თოვლის კაცზე...

*არგუმენტი ი ფაკტი*

## ლარი კინგმა პრეზიდენტის ცოლი „გააშიშვლა“



აშშ-ის პირველმა ლედიმ ინტერვიუ მისცა ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ჟურნალისტს — ლარი კინგს, რომელსაც სი-ენ-ენზე მიჰყავს პროგრამა. არც ერთ პოლიტიკოსს არ სურს, ჟანრის დიდოსტატმა დაჰკითხოს პირდაპირ ეთერში. კინგი არა მარტო სიტყვით, არამედ ინტონაციითაც თამაშობს, ცდილობს, დაიჭიროს და გაშიფროს თანამოსაუბრის ყოველი ამოსუნთქვა. ამიტომაცაა, რომ მისი გადაცემის დროს მთელი ამერიკა ტელევიზორსაა მიჯაჭვული. გასაგებია, რა გულისყურით მოისმენდნენ და ნახავდნენ პრეზიდენტის ცოლის ინტერვიუს, რომელიც სერიოზულ კითხვებთან ერთად მისი ქმრის პოლიტიკასაც ეხებოდა. წამყვანი ლორა ბუშს მარტივ კითხვებსაც უსვამდა. სწორედ ამ კითხვებში „იჭრებოდა“ პირველი ქალბატონი. იგი ისე გაიტაცა მეუღლის იუმორის ნიჭზე საუბარმა, რომ ვერც კი შენიშნა, როგორ შეუდარა სახელმწიფოს მართვის ბუში-უმცროსისეული სტილი მათი ქალიშვილების აღზრდის მეთოდს. „იუმორის არაჩვეულებრივი გრძნობა აქვს, ყველანაირი მდგომარეობის განმუხტვა შეუძლია მოულოდნელი ხუმრობით. ჩვენი ქალიშვილები ასეთ დროს გრძნობდნენ ხოლმე, რომ აღმზრდელობითი მომენტი დამთავრდა“, — გულღიად ჰყვებოდა ლორა, თითქოს არ იცოდეს, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობა და შვილების აღზრდა სხვადასხვა რამ არის. კინგმა ვითომ ვერც კი შეამჩნია ქალბატონ ბუშის „ჩავარდნა“ და სიტყვა შვილებზე გადაიტანა. „ბარბარა და ჯენა ბუშებს არ სიამოვნებთ მასმედიის მეტისმეტი ყურადღება. ვფიქრობ, ადამიანებმა იციან, რომ რასაც წერენ და ამბობენ, სიცრუეა“, — თქვა ლორამ.

ჟურნალისტებს ალბათ არ მოეწონებათ ბუშის ნათქვამი, მაგრამ გაფრენილ სიტყვას უკან რაღა დააბრუნებს! ეტყობა, ყოფილ პირველ ლედის, რომელიც პრაქტიკულ რჩევებს აძლევდა ლორა ბუშს, დაავიწყდა დაერიგებინა რძალი, — ვიდრე პრეზიდენტის ცოლი საჯაროდ რამეს იტყოდეს, უნდა დაფიქრდესო. ლორა ბუში კი ისე ყლურტულებს, როგორც კარგი დიასახლისი.

*კომსომოლსკაია პრავდა №74*

## იტალიას ჩექმას ნუ შეადარებთ!



აფრთხილებენ ტურისტებს იტალიელი ხელისუფლები. საამისო მიზეზიც აქვთ: ამას წინათ ახალგაზრდა ნაციონალისტებმა სასტიკად სცემეს გერმანელი ტურისტი მხოლოდ იმიტომ, რომ მან პირინეის ნახევარკუნძულს ჩექმა უწოდა.

გაზაფხულის მზით გამთბარი გერმანელი ერიკ ბერნჰაიმერი მილანის ქუჩებში დასეირნობდა და ისტორიული სანახებით ტკბებოდა. აქეთ-იქით თვალების ცეცებაში გზა აებნა. იქვე, ტროტუარზე მდგომ ახალგაზრდების ჯგუფს მიუახლოვდა და საუბარი გაუბა. მერე, სხვათა შორის, ისიც უთხრა — ჩექმის მეორე მხარესაც მინდა გადასვლაო. ბერნჰაიმერი გონს საავადმყოფოში მოვიდა, სადაც „სასწრაფო დახმარებას“ მიუყვანია კარგად დაბეგვილი. პოლიციის ცნობით, გამხეცებულმა ახალგაზრდებმა გერმანელს ცხვირი და მარჯვენა ხელი მოსტეხეს, თავიც ძალზე დაზიანებული აქვს. ხულიგნების დაკავება, ჯერჯერობით, ვერ მოახერხეს. როგორც ამბობენ, ეს შემთხვევა პირველი არ ყოფილა.

ადგილობრივმა ტურისტულმა სააგენტოებმა საგანგებო რეკომენდაციებიც კი შეადგინეს ტურისტებისთვის, სადაც კატეგორიულად აფრთხილებენ მათ — არ შეადარონ იტალია ჩექმას!

*მეგაპოლის-ექსპრესი №15*

## როგორია ნამდვილი მამაკაცი?

დღესაც, ალბათ, ბევრი ნამდვილ მამაკაცად მიიჩნევს სამხედრო უნიფორმაში გამოწყობილ ახოვან ვაჟკაცს, რომელიც ყაზარმის ეზოში ბრძანებებს იძლევა. სწორედ ასეთი გახლდათ 45 წლის გინ პირტი.

იგი ლუქსემბურგის არმიაში კოსოვოში გასაგზავნ ჯარისკაცთა ასეულს წვრთნიდა და ბრძანებებს ომახიანად იძლეოდა. ჯარში სამსახურის 29 წლის მანძილზე გინმა უშიშარი, მამაცი სამხედროს სახელი დაიმკვიდრა და ქალებიც ეკეკლუცებოდნენ. სრულიად მოულოდნელად გინმა ორიენტაცია შეიცვალა: საყურე გაიკეთა, ქუსლებიანი ფეხსაცმელი ჩაიცვა, მიუნხენის ერთ-ერთ კლინიკაში ოპერაცია გაიკეთა და ქალად იქცა. გერმანიაში სამხედრო სამსახურში კანონით ქალიც და კაციც თანაბარი უფლებებით სარგებლობენ. ამჯერად კი არმიის შეფი დილემის წინაშე აღმოჩნდა, რადგანაც „ახლა გინი არც კაცია და არც ქალი. ეს კი წესდებას ეწინააღმდეგება“.

დიდი ხნის ფიქრის შემდეგ ამ ორჭოფული სიტუაციიდან არმიის უფროსობამ გამოსავალი იპოვა: ოპერაციის შემდეგ გინი არმიის კანცელარიამ მოსამსახურეთა ნუსხაში ქალის სქესით შეიტანა და ახლა როგორც ჯარისკაცი-ქალი, მარშირების დროს თავის დანაყოფს წინ მიუძღვის ხოლმე.

*შტერნი №15*

## ქართული კონიაკი „ელენა ობრაზცოვა“

თბილისში გაიმართა კონიაკის პრეზენტაცია, რომლის საპატიო სტუმარი იყო ელენა ობრაზცოვა. კონიაკს ცნობილი რუსი მომღერლის სახელი ეწოდა. ის გამოუშვა ქართულმა საწარმომ „დავით სარაჯიშვილი და ენისელი“. ამ კონიაკის პირველი პარტია ჩამოსხმულია ფირმის ტრადიციულ ბოთლში. ეტიკეტზე ოპერის ვარსკვლავია გამოსახული. კონიაკი „ელენა ობრაზცოვა“ ძირითადად რუსეთში გაიგზავნება.

„დავით სარაჯიშვილი და ენისელი“ შეიქმნა თბილისის კონიაკის ქარხნის ბაზაზე 1995 წელს. წარმოება უშვებს 13 დასახელების კონიაკს და 6 დასახელების არაყს, პროდუქციის 80% უცხოეთში იგზავნება, კერძოდ, რუსეთსა და უკრაინაში, აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში, აშშ-ში, კორეასა და იაპონიაში. ბოლო დროს ამ პროდუქციით ძალიან დაინტერესდა ჩინეთიც.

*ნოვიე იზვესტია №67*

## ფეხის „ტელეგრაფი“



სპილოს ფეხით გამოწვეული ვიბრაცია დედამიწის ზედაპირზე რამდენიმე კილომეტრის მანძილზე წამში ვრცელდება. ამ ხმას ადამიანის ყური ვერ აღიქვამს, მაგრამ თავად სპილოები, რომლებიც თანამოძმისგან 30-40კმ-ით არიან დაშორებულნი, მკაფიოდ არკვევენ ინფორმაციას, რომლის დეტალებს გოლიათები სხვა ცხოველებსაც გადასცემენ — ყვირილითა და უზარმაზარი ყურების პარტყუნით.

„სპილოების ტელეგრაფი“ ძირფესვიანად ცვლის ჩვენს წარმოდგენას მანძილის შესახებ, — ამბობს ამერიკელი ბიოლოგი ქეთლინ ო'კონელ-როდველი, — სიგნალები, რომელსაც სპილოების ერთი ჯოგი მეორეს გადასცემს, შეიძლება ნიშნავდეს მისალმებას ან გაფრთხილებას საშიშროების შესახებ.

როგორც გაირკვა, სპილოები „გადალაპარაკებას“ ფეხების საშუალებით ახერხებენ. სარგებლობენ კარგად განვითარებული სისტემით — „სეისმური სიგნალებით“. თავიანთ „საუბარს“ ისინი ავსებენ სხვადასხვა ინტენსივობის სიგნალებით, რომელიც ინფორმაციის შინაარსზეა დამოკიდებული.

ბიოლოგები ფიქრობენ, რომ მსგავსი „ტელეგრაფით“ სარგებლობენ არა მარტო სპილოები, არამედ სელაპები, რეპტილიები, თევზები და მწერებიც კი.

სიგნალებში შეიძლება პარტნიორის ძებნის სურვილიც იდოს. სიგნალებს სპილოები იჭერენ მეტისმეტად მგრძნობიარე ფრჩხილების საშუალებით. შემდეგ სიგნალი გადადის გოლიათის ტვინში და იქ მუშავდება. ხანდახან სპილოები ინფორმაციას იღებენ ხორთუმით, რომელსაც მიწას დაადებენ. იგი სასმელი მილის ფუნქციას ასრულებს.

*ეხო პლანეტი №17*




***თარაზულად:*** 5. ვარსკვლავი, კუდი; 6. ხილი, კურკა; 9. მეჯლისი, ცეკვა; 10. საქართველ..., „ივერია“; 12. ცხოველი, რქები; 13. ჭურჭელი, ფქვილი; 14. მოგზაურობა, ზღვა; 17. მონღოლი, სახლი; 18. დღე, დასვენება; 19. გუნდი, მადრიდი; 20. კურნიკოვა, შტეფი; 25. კინოფილმი, ფრინველი; 26. იაპონია, „მერსედესი“; 27. სადგური, გემი; 29. კუნძული, საბერძნეთი; 30. ცომი, კერძი; 31. სამთავრო, ქუჯი; 32. მძღოლი, თვითმფრინავი.

***შვეულად:*** 1. მუზარადი, მგელი; 2. შეჯიბრება, დასაწყისი; 3. მოსკოვი, მავზოლეუმი; 4. მატროსოვი, საფარი; 7. ლეიბი, ძიუდო; 8. ხევი, სერაფიტი; 11. მეფე, ფეხბურთი; 15. ეჭვი, ზანგი; 16. ზესტაფონი, რუსი; 19. დროშა, ქანთარია; 21. სასწავლებელი, რექტორი; 22. კოპერფილდი, თოფ-მოდელი; 23. ცხოველი, უშვილო; 24. ცოტა, სისხლი; 27. მოტაცება, ელენე; 28. სახელმწიფო, ჩექმა.

***წინა ასოციაციის პასუხები:***

***თარაზულად:*** 5. მარადია; 6. კეისარი; 9. იმამი; 10. ადრესი; 11. ატელიე; 14. ეტნა; 16. ვარშავა; 17. ლოტო; 18. ბარაქა; 19. აცტეკი; 23. რემა; 24. ეშელონი; 25. იორი; 28. პუდელი; 29. მესტია; 30. ტიტრი; 32. იკებანა; 33. ლიქიორი.

***შვეულად:*** 1. კალასი; 2. ტირი; 3. დელი; 4. ასორტი; 5. მანდატი; 7. იურისტი; 8. ბადიში; 12. ქარქაში; 13. ავიცენა; 15. ამალა; 17. ლეკვი; 20. პენუარი; 21. ყლორტი; 22. არქიელი; 26. პლომბი; 27. პენსია; 30. ტენი; 31. ილია.

## №17 (238) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 977 მკითხველი გამოეხმაურა. 14 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 402-მა ქალმა და 561-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ყველაზე მეტად სად აქვს საკუთარი თავის რეალიზების საშუალება დღევანდელ ქალს?"**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, თანამედროვე ქალი საკუთარი თავის რეალიზაციას ყველაზე მეტად ოჯახში ახერხებს. რესპონდენტთა 56%-მა შეაფასა ოჯახი მაქსიმალური — 8 ქულით, მინიმალურით — 4%-მა. **6,75** საშუალო ქულით ოჯახი პირველ ადგილზეა. შემდეგ ადგილზე სიყვარულია, საშუალო ქულაა 5,99. მაქსიმალური ქულა მას მკითხველთა 17%-მა დაუწერა. უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე ცოტა რაოდენობის (3%) მინიმალური ქულების მფლობელიც „სიყვარულია". მესამე ადგილზე 5,30 საშუალო ქულით მასმედიაა. თუმცა, მაქსიმალური ქულების რაოდენობის მიხედვით მესამე ადგილზე ბიზნესია (9%) და ამ ნიშნით იგი წინ უსწრებს მასმედიასაც (8%) და ხელოვნებასაც (4%).

ყველაზე მეტი მინიმალური ქულით (26%) სპორტი შეფასდა, თუმცა საერთო ქულების მიხედვით ბოლო ადგილზე მეცნიერებაა. აღსანიშნავია, რომ სპორტმა სულ უმნიშვნელო სხვაობით ჩამოიტოვა უკან მეცნიერება.

რაც შეეხება მამაკაცებისა და ქალების პასუხებს შორის განსხვავებას, იგი შემდეგში მდგომარეობს — ქალები თვლიან, რომ დღევანდელ ქალს საკუთარი თავის რეალიზაცია სპორტზე მეტად მეცნიერებაში შეუძლია მოახდინოს; ასევე, მამაკაცებთან ხელოვნება მესამე ადგილზეა, მასმედია — მეოთხეზე, ქალებთან კი — პირიქით.




საპრიზოს ზუსტად ოთხი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები — 30 წლის **გია სხილაძე,** 30 წლის **ნონა დარსალია,** 33 წლის რუსთაველი **რუსიკო ფალავანდიშვილი** და გაზეთ **„მედიცინის"** კოლექტივი.

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 1 მაისს, 17 საათზე.

## №18 (239) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა" თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ უპასუხოთ დამატებით კითხვას.

№18 (239) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 2 მაისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 3 მაისის 13 საათამდე.

© თბილისი, 1997

თემა №18 (239)
ქართველი მეწარმეები

**თქვენი აზრით, რა უშლის ხელს ქართველ მეწარმეებს ყველაზე მეტად** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

№18(239) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

| № | ფაქტორი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | საგადასახადო სისტემა | |
| 2 | მოსახლეობის დაბალი მსყიდველუნარიანობა | |
| 3 | კორუმპირებული ჩინოვნიკები და ბიუროკრატები | |
| 4 | ფალსიფიკაცია | |
| 5 | კონტრაბანდა | |
| 6 | ფინანსების სიმცირე | |
| 7 | გამოცდილების უქონლობა | |
| 8 | ბიზნესში გაბატონებული კლანები | |

**დამატებითი კითხვა**

როგორ აფასებთ განათლების სამინისტროს მუშაობას?

| დადებითად | დამაკმაყოფილებლად | უარყოფითად | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|---|
| | | | |

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**„კვირის პალიტრის" ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

მკითხველის რეიტინგს 833 რესპონდენტი გამოეხმაურა. კითხვა ასეთი იყო: **„ვის დანიშნავდით საქართველოს პრემიერ-მინისტრად?"**

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მკითხველთა 6%-ს გაუჭირდა. 3% კი მიიჩნევს, რომ ამ პოსტის შემოღება სულაც არ იყო საჭირო.

**ხმები ასე განაწილდა:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | მიხეილ სააკაშვილი | 19,8% | 6. | ირინა სარიშვილი-ჭანტურია | 3,36% |
| 2. | ზურაბ ჟვანია | 7,2% | 7-8. | გოგი თოფაძე | 3,24% |
| 3. | შალვა ნათელაშვილი | 6,6% | 7-8. | გია არსენიშვილი | 3,24% |
| 4. | თემურ შაშიაშვილი | 6,0% | 9. | ჯუმბერ პატიაშვილი | 3,0% |
| 5. | გიორგი თარგამაძე | 4,0% | 10. | ასლან აბაშიძე | 2,9% |

*ორიგინალური პასუხები:* მკითხველების აზრით, საქართველოს საუკეთესო პრემიერ-მინისტრები იქნებოდნენ ტონი ბლერი, ბალცეროვიჩი, ტეტჩერი და თქვენ წარმოიდგინეთ, არც ბერია, სტალინი და გიორგი სააკაძე დავიწყებიათ ჩვენს მკითხველებს.

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

რას დაარქმევდით?

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)




**კ.თ.** — ავთო, გაიგე, რა თქვა? საზღვართან სპილოები დაფრინავენო.
**ვ.ჩ.** — აბა, პრეზიდენტმა რომ თქვა, დაფრინავენო?
**ა.ი.** — არა, მთლად შხუილ-შხუილით არ დაფრინავენ, მაგრამ ცოტა-ცოტას ახერხებენ.

***ირაკლი მღვდლიაშვილი, თბილისი***

სამნი ძმანი მინისტრები
„მუშაობენ ყანასა",
შემოსავალიც კარგი აქვთ,
დასძახიან ნანასა.

***გია, თბილისი***

**ვ.ჩ.** — რა დაგიშავეთ, ბატონო კახა, ასე გამეტებით რომ დამარტყით ყბაში?
**კ.თ.** — არ გეწყინოთ, ბატონო ვალერი, ამ კვირაში მთავრობის სხდომა გვაქვს და „ფორმაში" მინდა ვიყო, ნოლაიდელს ვხვდები ფინალში!

***სვანი, თბილისი***

**კ.თ.** — შენ ვინ ხარ?
**ვ.ჩ.** — სტალინისტი. შენ?
**კ.თ.** — შევარდნაძისტი. თქვენ ვილა ბრძანდებით, ბ-ნო ავთო?
**ა.ი.** — იურისტი.
**ვ.ჩ.** — ვაა, ეს იური ვინღაა?!

***ელგუჯა შალამბერიძე, წყალტუბო***

ძილის მინისტრი — ავთო იოსელიანი;
სმის მინისტრი — ვალერი ჩხეიძე;
„ბაბუს" მინისტრი — კახა თარგამაძე.

***ლელაკო, ქუთაისი***




*წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას" 198 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.*

**კ.თ.** — ვინც ჩემი წინააღმდეგი იყო, აი, ესე მოვმუჭე.
**ა.ი.** — კი მარა, ეგ თითი რაღაა?
**კ.თ.** — ეს მიხეილ სააკაშვილია.

***გოჩა ელისაბედაშვილი, თბილისი***

(მთავრობის სხდომის დიდ შესვენებაზე)
**კ.თ.** — აკალი, ბაკალი,
გავარდა კაკალი.
ვალერი, მეც გავედი,
შენც გახვედი,
ავთო იხუჭება.

***გოგა შ, თბილისი***

**კ.თ.** — პატივცემულო, აი, ამან ყელში წამიჭირა და მახრჩობდა, ახლა კი, სირცხვილისაგან გალურჯდა და ხმას ველარ იღებს.

***ნანა ახალკაციშვილი, თბილისი***

**კ.თ.** — **ვ.ჩ.**-ს — არ გრცხვენია, ბიჭო! როგორ ამოაცალე საფულე ამ მძინარე კაცს?
**ვ.ჩ.** — მომერიდა, ბატონო, გაღვიძება.

***მამუკა ღვალაძე, ბაღდათი***

**კ.თ.** — ჩვენ-ჩვენი ხალხით ყველა მხრიდან ჩავუკეტოთ გზა კონტრაბანდისტებს!
**ა.ი.** — მერე, კონტრაბანდა როგორღა შემოვიტანოთ?!
**კ.თ.** — ხო, ეგ კი არ მიფიქრია!!!

***ლ.რ. „სამტრედიელი"***

შეიყრებიან ქვისლები,
მოზვრებს მიუგავთ კისრები.
**ხალხური**

***„ბედისმწერელი", თბილისი***

**ვ.ჩ.** — ისევ გაშტერდა, კახა ბატონო, ვინმე დიდმა კაცმა უნდა შემოულაწუნოსო და ერთი შენებურად შემოულაწუნე, შენი ხელების ჭირიმე!!!
**კ.თ.** — არა, ძმაო, ხელის შემობრუნება იცის. აგერ, კუთხეში ბაბუა და იმას სთხოვე, ვერც ხელს შეუბრუნებს და იმის შემოლაწუნებულიც უფრო მოუხდება...
(კ/ფ „ნატვრის ხე")

***გიორგი ტატინაშვილი, თბილისი***

## ფოტო კომენტარით



— სააღდგომოდ ამერიკის ნიუ-მექსიკის შტატში კვერცხის მაგივრად წიწილები შეღებეს... მაგრამ გამოჩეკილები კი არა, მანამდე... გამოსაჩეკ კვერცხებში შეაშხაპუნეს საღებავი და ასეთი ფუნჩულა, ფერადი ძიბოები გამოძვრნენ... მერე და მერე, ისინი ჩვეულებრივ ფერებს დაიბრუნებენ.




## წინა სკანვორდის პასუხები



## ქართული წამალი „სალხინო" ერთადერთი პრეპარატია, რომელსაც გამოაქვს ჩირქი ნებისმიერი რბილი ქსოვილიდან

თუ გსურთ განიკურნოთ პროსტატიტის, ცისტიტის, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებებისაგან, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, სათესლე ჯირკვლებში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, სქესობრივი კავშირის დროს თესლის ნაადრევი გამოყოფა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო" და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

„კვირის პალიტრის" უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე" (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია).

„კვირის პალიტრაში" კი, ქვეყნდება მხოლოდ ფასიანი განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:ირაკლი პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედანზე; ნაძალადევში კ.თ „საქართველოსთან", წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან" და სტადიონთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის" გაჩერებასთან; დიღომში - მშვიდობის გამზ. პოლიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვაჟაშველას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან".

ქალაქებში და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი, აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ბორჯომი, ახალციხე – არსებული „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან. ახმეტაში ყუთები დაიცლება ყოველი თვის I კვირის ხუთშაბათს 10 სთ.-დან. დედოფლისწყაროში თვის II კვირის ხუთშაბათს. ბოლნისში თვის III კვირის ოთხშაბათს 12 სთ-დან. ჟინვალსა და დუშეთში კი თვის IV კვირის ხუთშაბათს.

**ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**



### (18) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______________________

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა – 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№18 ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 2 მაისი (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.




## ინგლისელები აღშფოთებულნი არიან



ბრიტანელები ძალიან აღშფოთდნენ, როცა გაიგეს, მადონა პრინცესა დაიანას როლის სათამაშოდ ემზადებაო.

თურმე რეჟისორებს განზრახული აქვთ ლედი დის ტრაგიკული ბედი მუსიკალური კომედიის სახით წარმოადგინონ.

* * *



— გენო, ამ სიცივეში ამ პატარა გოგოს რას დაატარებ...

— სოფელში მყავდა, ვირი ვაჩვენე... დედამისი რო სულ ვირს მეძახის, ხო უნდა იცოდეს ბალღმა, ვგავარ რო?

* * *



სამხედრო კომისარიატში:

ახალწვეული — ძალიან ახლომხედველი ვარ...

— არა უშავს, ძალიან პირველ სანგრებში მოგათავსებთ...

ფირმა „ბერმუხა"



ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ზერ-

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53
☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

[R] ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი ბუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი.

სარედაქციო კოლეგია.

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ რედაქცია: 33-39-54
რეკლამა: 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentex\kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი @518

„კვირის პალიტრა"

გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".